

ISSN 0206—5746



ქართველი მწერლები



1

1986

କବିତାବଳୀ

ସାହଚରଣପାତ୍ରମାଳା ମହେଶୁରମାଳା

୧୩୦୯୬୦

୧୯୮୦୯୦୮ ମରୋବାବାବା



୧୯୮୦୯୦

୧ (56)

1986



15054

70 5000—89

8 ————— 64—81
 M 604 (08)—81

სარედაქციო კოლექტი

თემატურაზ ღოიაშვილი (მთავარი რედაქტორი),
 ჭავა აგაზიანიძე, ოთარ გაჩანიძე, ლევან ბრეჩაძე (ვ. მგ. მდი-
 ვანი), აკაკი გავრელია, გიორგი გაჩიჩილაძე, გურაშ გვერ-
 დითელი, პობა იმაზაშვილი, ემანუელ კვიცაიშვილი, გი-
 რგაბ გერგიშვილი, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, როს-
 ტომ ჩხილიძე, სერგი ჭილაძა, ვლადიმერ ჭვინარიძა, გიორგი
 ხუსაშვილი, ნაცი ჯუსოიძე.

© ალმანახი „კრიტიკა“

მისამართი: 380008. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42.
 ტელ. 93-22-85

რედაქციის ტრიბუნა

პარტიის ყრილობა და მცენლობის ამოცანები

მიმდინარე წლის 24-25 იანვარს შედგა რესპუბლიკის კომუნისტთა დიდი ფორუმი — საქართველოს კომპარტიის XXVII ურილობა. ურილობამ შეაჯამა მუშაობა, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია საანგარიშო პერიოდში და დასახა ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები სამომავლოდ, ხაუკუნის ბოლომდე.

„XXVI ურილობის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მიხი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში მყაფიოდ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ცვლილებები, — განაცხადა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბ. ჯუმბერ პატიაშვილმა, — სკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენურმიდან მოყოლებული, პარტია ენერგიულ, აქტიურ კურსს ატარებს ქვეყნის ცხოვრების უველა სფეროში, იღვწის, რათა ყოველმხრივ დაჩქაროს საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ტემპი, განავითაროს მასების შემოქმედებითი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინიციატივა, გააძლიეროს კომუნისტთა, უველა მშრომელის მომთხოვნელობა, გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა“.

საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პრობლემებს. აღინიშნა ის მიღწევებიც, რაც ამ სფეროში გვაქვს და საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება არსებულ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, ამს. ჯუმბერ პატიაშვილმა მოხსენებაში აღნიშნა: „გვაშვილოთებს ზოგიერთი იმ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული უმწიფარობა, უფერულობა, უსახურობა, რომლებიც პერიოდიკის ფურცლებზე, საგამოფენო დარბაზებში და საკონცერტო ესტრადებზე ჩნდება. გვაშვილოთებს ისიც, რომ სათანადო სიუბილეება და პოლიტიკურ სიმახვილეს ვერ იჩენენ მთელი რიგი რედაქციებისა და გამომცემლობების თანამშრომლები, ჯეროვნად ვერ აფასებენ ზოგიერთი საიუბილეო ღონისძიების იდეოლოგიურ და აღმზრდელობითს დატვირთვას“.

მრავალი საგულისხმო მოსაზრება გამოითქვა ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მისამართითაც. საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია: „სწორედ კრიტიკას შეუძლია მოახდინოს და უნდა მოახდინოს კიდევ გადამწყვეტი გავლენა კულტურის ოსტატთა მომავალი ცვლის აღზრდაზე, რადგან, მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, აქ ვერ კიდევ საკმაოდ არის სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები“.

დიახ, პოზიტიურმა ძვრებმა, რაც აშკარად შეინიშნება ჩვენს კრიტიკაში, არ უნდა მოგვიდუნოს სიუბილეის გრძნობა. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთობელი და ჩვენ, კრიტიკოსებს, დაძაბული მუშაობა გვმართებს იმ მიმართებით, რასაც პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია გვისახავს კულტურისა და ხელოვნების დარგში. პოზიტიური ძვრები ამ სფეროში წამდვილ, დიდ წარმატებად უნდა იქცეს; ეს აუცილებელია ჩვენი კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

უდავოა ბოლო წლებში საზოგადოებრივ აზრზე კრიტიკის ზემოქმედების ზრდის ფაქტი. შესამჩნევია მკითხველთა დაინტერესება კრიტიკული გამოსვლებითა და პუბლიკაციებით. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებებში, რაც საზგანებლივ აღნიშნა ყრილობაზე, კრიტიკასაც მიუძღვის სათანადო წვლილი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი მწერალი ფიქრობს და არც მაღავს იმ აზრს, რომ მწერალს კრიტიკა არ სჭირდება, რითაც, ნებსით თუ უნებლივ, უგულებელყოფს კრიტიკისა და მხატვრული შემოქმედების დიალექტიკურ ურთიერთგანპირობებულობას. თუ კრიტიკის გარეშეც შეიძლება დიდ წარმატებებს მივაღწიოთ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მაშინ რაღა საჭიროა კრიტიკა? გამოდის, რომ კრიტიკა თვითმიზანი ყოფილა.

ყრილობაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა კრიტიკის დადებითი როლი მხატვრული შემოქმედებისათვის, მწერლობისათვის: „კრიტიკა მხატვრულ შემოქმედებაზე პოზიტიური ზემოქმედების მძლავრი საშუალებაა, რომელიც ავტორებს ეხმარება უკეთ გაერკვნენ საზოგადოების სულიერი განვითარების როლს პროცესებში. იგი მუდამ უნდა იდგეს მტკიცე პარტიულ პოზიციებზე“. მწერლებმა უნდა იგრძნონ და სათანადოდ დააფასონ კიდეც კრიტიკის ეს კეთილშობილური ფუნქცია, ხოლო კრიტიკოსებმა — გააძლიერონ და სრულყონ იგი, როგორც ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიის პოლიტიკის გამტარებლებმა.

კრიტიკას ყველაზე მეტად მოეთხოვება იყოს თვითკრიტიკული, დინგად და გონივრულად გაიაზრებდეს მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს. ამ მხრივ დასაციქრებელი და გასაანალიზებელი საკმაოზე მეტია. საჭიროა უფრო ფხიზელი, პრინციპული და თანამიმდევრული ბრძოლა უიდეობის, მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური უფერულობის წინააღმდეგ. კრიტიკულ გამოსვლებში უნდა დავამკვიდროთ ზომიერების გრძნობა, ვიუოთ გულისხმიერნიც და პრინციპულნიც. აუცილებელია ისეთი შეუწყნარებელი მოვლენების პრინციპული დაგმობა, როგორიცაა ტენდენციურობა მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას, რასაც განაპირობებს ან გავლენიანი პირისადმი ერთგულების დამტკიცება, ან პირადი ანგარიშსწორების საძრახისი მიზანი. კრიტიკისათვის ეს მეტად საჭირობოროტ საკითხები ნათლად და მყაფიოდ არის ფორმულირებული ამს. ჯუმბერ პატიაშვილის საანგარიშო მოხსენებაში და იგი უნდა გახდეს ქართველ კრიტიკოსთა შემდგომი მუშაობის მთავარი ორიენტირი.

საქართველოს მწერალთა მოახლოებულ ყრილობაზე, იმედია, საგანგებო და ღრმად დასაბუთებული მსჯელობა გაიმართება ზემოხენებულ პრობლემებზე. აუცილებლად მიგვაჩნია, მწერალთა ფო-

რუმზე გავითვალისწინოთ საქართველოს კომპარტიის **XXVII** ყრი-
 ლობის გამოცდილება, მუშაობის სტილი და არსებულ ნაკლოვანე-
 ბებზე, რაოდენ მწვავეც და მტკიცნეულიც არ უნდა იყოს ისინი,
 ვიმსჯელოთ დასაბუთებულად და კონკრეტული მისამართებით.
 ამასთან, უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ კრიტიკა (აგრეთვე კრიტიკის
 კრიტიკა) კონსტრუქციული იყოს, ეს იგი, ნაკლის აღნიშვნასთან
 ერთად მისი გამოსწორების გზებსაც სახავდეს.

ამა. ჭუმბერ პატიაშვილის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია:
 „გადაჭრით უნდა დავძლიოთ გაუბედაობა, ზერელობა, ზოგჯერ კი
 აშკარა უპრინციპობა ლიტერატურული და მხატვრული კრიტიკისა...
 პრინციპული, მაღალპროფესიული კრიტიკის განვითარებაში ტონს
 უნდა იძლეოდნენ პარტიული პრესა, პარტიული ლიტერატორები,
 კომუნისტი მწერლები“.

კრიტიკის უპრინციპობა მჭიდროდ უკავშირდება კომპლიმენ-
 ტურ, სახოტბო წერილებს, როდესაც ნაწარმოებთა შეფასებაზე გა-
 დამწყვეტ გავლენას ახდენს მწერლის საზოგადოებრივი მდგომარე-
 ობა, მისი თანამდებობა. ასეთი წერილები არცთუ უანგარო მიზნით
 იწერება. სამწუხაროდ, ზოგი თანამდებობისა და გავლენის მქონე
 მწერალი ადვილად ეგება ამ ანკესზე, უდუნდება თვითკრიტიკის
 უნარი, იწყებს მოქმედებას დევიზით — „რაკი მე მაქო, ნიჭიერია“
 და განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს უქმნის ანგარებიან მე-
 ხოტბებს, ყოველ ღონეს ხმარობს თავის მაქებარს არ მოაკლოს
 პრემია იქნება ეს თუ სხვა რამ ჯილდო. ასეთი შემთხვევები ძალიან
 სცემს როგორც კრიტიკის, ისე მთელი მწერლობის ავტორიტეტს
 მკითხველის თვალში.

ორიოდე სიტყვა კრიტიკის ქმედითობის გამო. ძალზე ხშირად
 კრიტიკოსის შენიშვნებს, სრულიად უდავოსაც კი, არ ექცევა ჭე-
 როვანი ყურადღება. კვლავ და კვლავ გამოდის ერთხელ უკვე სა-
 მართლიანად გაკრიტიკებული ყოვლად უხევირო ლექსები თუ რო-
 მანები. თითქოს ჭიბრზე, გამომცემლობები კრიტიკულ გამოსვლას
 გაკრიტიკებული ავტორის ახალ-ახალი არანაკლებ უსუსური ქმინ-
 ლებების გამოცემით უპასუხებენ. ვფიქრობთ, ამგვარი ფაქტების შე-
 სახებაც კონკრეტულად და საქმიანად უნდა იმსჯელოს მწერალ-
 თა მომავალმა ყრილობამ.

ისიც სათქმელია, რომ კრიტიკული აზრის განვითარებაზე უარ-ყოფითად მოქმედებს კრიტიკოსთა მიმართ უპატივცემლობა, მა-თი შრომის დაუფასებლობა. კრიტიკოსის პროფესია ერთ-ერთი უძ-ნელეს პროფესიათაგანია. შემოქმედი ადამიანის გაკრიტიკება და-კავშირებულია სულიერი ძალების დიდ დაძაბვასთან, რაც კრიტი-კული წერილის გამოქვეყნებით არ მთავრდება; კრიტიკოსი დგას არა მარტო ლიტერატურული, არამედ ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშეც. ასე რომ, მრავალი მწვავე საკითხი დაგვიგ-როვდა გადასაწყვეტი, მათ შორის, სამწუხაროდ, ბევრია არალიტე-რატურული ხასიათისა. ერთ-ერთ მათგანზე სამართლიანად გაამახვი-ლა უურადღება თბილისის საქალაქო მე-40 კონფერენციაზე თავის გამოსვლაში თამაზ ჭილაძემ. მან განაცხადა: „მწერლობა საყოფაც-ხოვრებო პირობების გაუმჯობესების ერთგვარი საშუალება გახდა-ახლა ბევრი შემთხვევითი აღამიანი ეტმასნება მწერლობას“.

ქართველი მწერლების მომავალ ყრილობაზე გამართული სჯა-ბასი მძლავრ შემოქმედებით სტიმულად უნდა იქცეს ყოველი ჩეკენგანისათვის, ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი ლიტე-რატურაზე საუბარი, დაფუძნებული მარქსისტულ-ლენინური ესთე-ტიკის პრინციპებზე, გულწრფელი, პირდაპირი, კონკრეტული და კონსტრუქციული მხელობის სახეს მიიღებს.

საბჭოთა ხალხი — მუშათა კლასი, გლეხობა, შემოქმედებითი ინტელიგენცია — უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობის ფაქ-ტის — სკკ ა მ 1977 ყრილობის მოლოდინშია, რომელმაც უნდა გან-საზღვროს მხოლოდ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, გა-ნიხილოს და დამტკიცოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, ცვლილებანი პარტიის წესდებაში, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართუ-ლებანი.

ლიტერატურა და ხელოვნება პარტიას ერთ-ერთ ყველაზე უფ-რო ძლიერ და საიმედო მოკავშირედ მიაჩნია მშრომელთა ფართო მასების იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში, საზოგადოდ, პროგრე-

სისათვის ბრძოლაში. პარტია მუდამ გულისყურით უსმენდა და უს-
 მენს მწერლის, შემოქმედის ხმას, ანგარიშს უწევდა და კვლავაც
 გაუწევს მის კრიტიკულ პათოსს, განსაზღვრულს უკეთესი მერმისი-
 საკენ, ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ სწრაფვით. საბჭოთა
 ხალხი ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისაგან მოელის
 ახალ, მასშტაბურ ტილოებს, სადაც ჩვენი ცხოვრების არსებითი
 ტენდენციები, საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემები გად-
 მოცემული იქნება არა შიშველი დეკლარაციულობით, არამედ მა-
 ლალი ესთეტიკური ღირებულების მხატვრული სახეებით. კრიტიკის
 წმიდათა წმიდა ვალია, მთელი თავისი ენერგია, გამოცდილება და
 ანალიტიკური ძალა ამ ამოცანის გადასჭრელად მიმართოს, იყოს
 მწერლობაზე პოზიტიური ზემოქმედების რეალური, მძლავრი სა-
 შუალება, იცავდეს და ავითარებდეს სოციალისტური რეალიზმის
 ფუძემდებლურ პრინციპებს, მის იდეურ-ესთეტიკურ კრედოს.

ცხოვრება ლიტერატურა კრიტიკა

□ □ □

შუპი და ჩრდილი

□
ლიპარიტ
□

(სიკედილ-სიცოცხლის თემა რ. ინანიშვილის მოთხრობებში)

რევაზ ინანიშვილის ადრეულ მოთხრობებში სიკედილი თითქმის არ ფიგურირებს, სიცოცხლე კი ძალიან ხშირადაა წარმოდგენილი, როგორც თემა. ეს თემა სულ სხვადასხვა მასალაშია გაშლილი. ეს მასალა (და, აგრეთვე, თემის გადაწყვეტა) შეიძლება დაცყოთ ჯგუფებად:

ა) თემა მუშავდება ფსიქოლოგიურ პლანში და სუბიექტურად: ადამიანი სიცოცხლეს განიცდის, კერძოდ, განიცდის მას თავისთავში, თავის მეში. მას სიცოცხლის ცხოველი გრძნობა აქვს, ეს გრძნობა მას მხნეობით და სიხარულით ავსებს.

ბ) თემა მუშავდება ისევ ფსიქოლოგიურ პლანში, მაგრამ ობიექტურად. აღამიანი სიცოცხლეს გრძნობს არა უშუალოდ, თავის პიროვნებაში, არამედ თავის გარეთ საგნებში; იგი შეჰერის ქვეყანას და სიცოცხლის სიტქბოებას განიცდის, როგორც ამ ქვეყნით დატკბობას — მისი ლხინით, ჭირით, სიამოვნებით, სირთულითა და ტანგვით. ამ ორნაირი განცდის პირველდად დაცილება შეუძლებელია, მაგრამ მოთხოვდები მაინც შეიძლება დანაწილდეს იმის მიხედვით, თუ რომელში რომელი ჭარბობს.

მოთხოვთ „რთველი“ რთულია იმ მხრივ, რომ სინამდვილის ჭარებულ ეპიზოდს, ავტორისა და მკითხველის თვალში სიცოცხლის აპოთეოზად რომ გადატყდება, აქ „გარეშე მაყურებელიც“ პყავს, რომელიც ამ აპოთეოზს ისევე აღიქვამს, როგორც ავტორი და მკითხველი. ეს მაყურებელია ქალაქიდან რთველში ჩასული ქალიშვილი, ბუნებით ისეთივე, როგორიც ამავე სოფლის ალებივით „გადუღდუღებული და კბილებგანათებული“ ქალები, ოღონდ სოფლურ ნიადაგს მოშორებული, რის გამოც მას თვალში ეცემა ის, რაც სხვებისათვის ჩეცული ამბავია. რთველი შორსაა ყოველდღიურობისაგან, მაგრამ მასში ჩანს ის, რაც მთავარია საერთოდ და რაც საფუძვლად უდევს ყოველდღიურობასაც. რთველში არსებობის სიხალისე ბობოქრობს. ეს სულისკვეთება არა მარტო ქართული სოფლის ცხოვრების მუდმივი საძირკველია, არამედ იგი, თითქოს მთელი სამყაროს საძირკველიცა.

ასეთია ამ მოთხოვთის სულისკვეთება და მისი იდეა. მაყურებელი გოგოც, რომელიც დისტანციიდან შესცემის სიცოცხლის ამ აპოთეოზს და მას მეცნიერებანარევი სიტყვებით აღწერს. ზოგჯერ ლათინურითაც კი („რაღაც საკრალური ცერემონიალი სრულდებოდა“), თურმე თვითონაც მონაწილეა ამ აპოთეოზისა, ჩართულია მასში არა მარტო თვალით, არამედ გულისგულში მთვლემარე ეროტიზმითაც და თავისი ამქვეყნიური მოწოდების (დედობის) ბუნდოვანი შეგრძნებითაც, რომელიც აქაურმა „ჭარიდან ახლადდაბრუნებულმა შავგვრემანმა უერარ ფილიპმა“, მისი ამხანაგი გოგოს ძმამ, გამოაღიძა. სტუმრის ეს ჩართვა მასპინძელთა ცხოვრებაში, რომელიც, არსებითად, თვით მისი ცხოვრებაც არის, სრულია და ორგანული, მიუხედავად იმისა, რომ ხვალიდან იგი შეიძლება სულ სხვაგვარ ყოფას დაუბრუნდეს. „როცა გავბედე

და ჯიბის სარქეში ჩავიხედე, კინაღამ გადავირიე, ძველი სოფლის პატარძალს შეეხარბებოდა ჩემი სილაუღაუე“. შედეგიც ბუნებრივია: „ტანსრულ ქალად“, რომელიც რთველის დამთავრებისას ვენახში უნდა გააგორო, რათა მომავალში კარგად მოისხას, შავგვრემანმა უერარ ფილიპმა იგი აირჩია და ხალხის თვალწინ, მოულოდნელად, ფრთხილად გააწვინა ვაზებში. „მე რაღაც ეშმაკობა დამემართა. მაშინვე არ წამოვმდგარვარ ურიამულობდნენ ჩემი კიდურები და მკერდი. თითქოს უმტრავი ტოროლა ამომიფრინდა იქიდან და წავიდა ცისკენ. იმათ ურიამულს უუგდებდი ყურს. მერე წამოვვარდი, დავეშვი თავქვე და ძალაუნებური სიცილით გავერიდე უველას...“

მე მაინც დადარაჯებული მოველი მერმისის მოსავალს. მაინტერესებს, როგორ მტევანს დაისხამს ვენახი, რომელსაც ასაზრდოებს ჩემთან შეწყვილებული მიწა. თანაც ეს იქნება ჩემი პირველი მოსავალი ამ ქვეყანაზე და მინდა, რომ ეს მოსავალი იყოს ხვაზრიელი, ბარაქიანი, სრული“.

აღსანიშნავია, რომ ის სულისკვეთება, რომელიც მოთხრობას საფუძვლად უდევს, აქ მხოლოდ ჰუმორისტული სიუჟეტით და კოლორიტული სცენებით კი არ სახიერდება, არამედ მისტიკურის ზღურბლამდე მისული „მითოლოგიური“ ტონალობის შემოტანითაც, რომელსაც სიცოცხლით ტებობის ატმოსფერო სიმძაფრის უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს და რომელსაც თავის სიუჟეტურ საბაბად მთხრობელი ქალიშვილის უნებური ეროტული სოციაციები აქვს. მას ჰვონია, რომ თოფვადავიდებული ზურაბი („უერარ ფილიპი“) ვენახის საღარაჯოდ კი არ მიდის, არამედ ალთან შესახედრად, რათა ღამე „ღონიერ ალერსში გაატარონ“.

გ) თემა მუშავდება; თუ შეიძლება ასე ითქვას, გმირის ფსიქოლოგიის გეერდის ავლით; აეტორი ოვითონა მოცული სიცოცხლის განცდით და მას მკითხველსაც გადასცემს: იგი გმირის გვერდის ავლით, თვითონ, უშუალოდ შედის მკითხველთან კონტაქტში, რათა მას ეს გრძნობა აღიძრას. ამგვარ მოთხრობაში გმირის არსებობა არცაა აუცილებელი (მაგ., შეიძლება მოთხრობა მთლიანად პერზაციისაგან შედგებოდეს), ან შეიძლება გმირები ბევრნი იყვნენ, მაგრამ ჩანაფიქრის რეალიზაცია მხოლოდ მთლიან სურათში, მოთხრობის მთელ საერთო ტონალობაში ხდებოდეს. რა თქმა უნდა,

ამ შემთხვევაში ავტორს ნახევარტონების დიდი ოსტატობა მო-
ეთხოვება, ეს კი რეგაზ ინანიშვილის სტიქიაა.

ასე მაგალითად, მოთხრობაში „კაცები“ გადმოცემულია ყო-
ველდღიურობის ეპიზოდი, რომელიც არაფრით არ იქნება არც სა-
ინტერესო, არც მიმზიდველი, თუ მის უკან არ ვიგულისხმეთ
სიცოცხლის მძაფრი განცდა, რომელსაც ავტორი ოსტატურად გა-
დასცემს მკითხველს. ასეთი მოთხრობების რიცხვი რეგაზ ინანი-
შვილის შემოქმედებაში ძალიან დიდია („ჩასაქოლი“, „გოჭილების
ექიმი“, „ვაშლის ბალი“, „ჩვენი ფურდელო მაისა“, „თოვლი“, „ფერ-
მა მთაში“).

„გაზაფხულის პირის ნათელი სურათი“ უსიუჟეტო მოთხრობაა,
იმდენად მოკლებული ამბავს, რომ ის „ეპიზოდი“, სადაც ნისლა და
თებროლე (ძროხა და დეკეული), „იწვნენ და იცოხნებოდნენ“ ნა-
ზამთრალზე გარეთ გამოსვლისა და უკანონო ნამჯის მონადირე-
ბის შემდეგ, შეგვიძლია კულმინაციად ან თუნდაც ფინალად ჩავ-
თვალოთ. აქაც აშკარად გამოხატული თემაა სიცოცხლე — არა ბუ-
ნების გაღვიძება, თავისთავად აღებული, არამედ მასზე უფრო ღრმა
რაღაც, რისთვისაც ეს ყოველდღიური გამოფეხისზღვება ბუნებისა მხო-
ლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია და რასაც ადამიანი თავისი „მეექვსე“
გრძნობით უშუალოდ შეიგრძნობს. მართლაც, ბუნების სურათს
ზერ ჩასლასა და თებროლეს პატრონთა ხელმოკლე ოჯახის სურათიც
ემატება. დედისა და ცამეტი წლის გოგოსათვის ეს დღე ისეთივე
ჩვეულებრივი დღეა, როგორც ძროხა-დეკეულისათვის, და მოთხ-
რობის თემა — სიცოცხლე — ადამიანებშიც ისევე სახიერდება,
როგორც სხვა სულდგმულში. ოჯახის ხელმოკლეობაც თავისებურ
ფსიქოლოგიურ ფონს უქმნის სიცოცხლის ამ მძაფრ განცდას და
მით თავის როლს ასრულებს მოთხრობის კომპოზიციაში.

„ამისთანა ამინდში ცივდება ყველაზე მეტად ადამიანი“, —
ბუზღუნებს ხელმოკლე დედა, რომელმაც ცამეტიოდე წლის გოგოს
წელან გული დასწყვიტა: არ გაუშვა ამხანაგთან, რაღან გოგოს
უპალტოოდ წასვლა უნდოდა (ძველი პალტოს ჩაცმს ერიდება) —
„შენ ძალიანა სწუნობ პალტოს, შვილო, ცოტაც, გავა ეს ზამთარი
და იმ ზამთრისათვის ახალს გიყიდი, წითელს“.

„ფანჯარასთან მდგარი გაბუტული გოგო წყრომით მობრუნდა.

მერე ისევ გარეთ დაიწყო ყურება. წაზიდა ტუჩები წინ, წაზიდა და ტუჩები და ცხვირი ფრთხილად მიადო მინას“.

გოგონას სახე, რა თქმა უნდა, მომხიბლავია, ხელმოკლე დედის სახე — არც თუ მხიარული. მიუხედავად ამისა, მოთხოვობის ტონალობა მაინც დინჯი, უყოფანო, ლაღი სიხარულის განცდითაა გამსჭვალული. ამ სიხარულის საგანია სიცოცხლე, როგორც ასეთი — არსებობის განცდა, რომელიც სინამდვილის ყველა აქ აღწერილ დეტალს თავის ჰარმონიულ შუქს ჰყენს.

სიკვდილის თემასაც მწერალი, შეგვიძლია დაბეჭითებით ვთქვათ, იხილავ ფსიქოლოგიურადაც (როგორც სუბიექტურ პლანში, თავის მე-ში განცდით, ისე ობიექტურად, მისი თითქოსდა გარეგან საგნებში ხედვით), და გმირის ფსიქოლოგიის გვერდის ავლითაც. ამ მხრივ ეს თქმა თავისი დამუშავების მეთოდის მიხედვით სიცოცხლის თემის ანალოგიურია. ეს სავსებით ბუნებრივიცა.

ა) ადამიანისათვის ბუნებრივია თითქოსდა უმიზეზო ტრაგიკული განცდა მოკვდავობისა, ბოლოვადობისა, საკუთარი გარდუვალი აღსასრულისა, აგრეთვე ყოველივე იმის ბოლოვადობისა, რაც მას ასე თუ ისე უღირს ამჯეყყნად. ისიც ბუნებრივია, რომ ამ განცდას ადამიანი გადაიტანს ხოლმე სხვა საგნებშეც — ყველაფერზე, რასაც კი იგი თავის გარშემო ხედავს. ყველაფერი მას თითქოს წარმავლობით დაღლასმულად წარმოუდგება, ყველაფერში მოკვდავობასა და ტანკვას ხედავს. ამ სათუთი ფსიქოლოგიური მდგომარეობის დახატვა მწერლისაგან დიდ სიფაქიზეს და ოსტატობას მოითხოვს. რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ამ მოტივის გამოხატვის საუცხოო ნიმუშები გვხვდება. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის მინიატურა „ღამეულ ტყეში“.

ქვეყნიერების საფუძველში მდებარე ტრაგიზმი, ან სევდა მაინც, შეწუხებული ადამიანის თვალში შორდება თვით ამ ადამიანს და ქვეყნიერების, თვით ბუნების თვისებად იქცევა. მისი მაცნეა თუნდაც ის უცნაური „კრუსუნი, კვნესა და გმინვა“, ღამეულ ტყეში რომ გამუდმებით ისმის. „წუხილი ყველგანაა, შესაძლოა თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში სტეხს და ქვემოდან გვევეღრება რაღაცას“.

სუბიექტის ამ ფსიქოლოგიური „გაჭირვებისვე“ ნაკარნახევია ის მოუსპობელი „ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის

ულამაზესი სევდაც“, რომლის უტყვი მაცნენიც, ღმერთმა უწყის, საიდან მოფრენილი და საით გაფრენილი უცნაური „თეთრი ვეება ფრინველები“ (სიკვდილის მაცნეები) არიან (მოთხობა „ზამთრის-პირის სევდა“).

ამავე განწყობილების მოთხობათა რიცხვს ეკუთვნის „მარტო-ობის სიმღერა“. იგი ღირსშესანიშნავია თავისი ერთი შეხედვით უსაგნო ტრაგიზმით. თუშის ქალი ეფერება ფურს, რომელსაც თით-ქოსდა „შავმა ფიქრმა გაუტენა სხეული“, რადგან ადამიანსა და სა-ქონელს, ყველა განსხვავებასთან ერთად, საერთოცა აქვთ — ყო-ველი ცოცხალი არსების იდუმალი შიში და ძრწოლა გამოუცნობი სამყაროს წინაშე. „რა ელდას რასმე გიგრძნობს გული?“ — უყვა-ვებს ქალი ძროხას, თითქოს მასავით ავი წინათგრძნობით შეჰყო-ბილი, რასაც გამართლება მხოლოდ ის შეიძლება ჰქონდეს, რომ სამყაროში მართლაც მოუსპობელი და დაუძლეველი ტრაგიზმი დაბუდებულა და ჩასაფრებულა. შემდეგ ეს ტრაგიზმი წამიერად კონკრეტდება — ქალი იმიტომ შიშობს ან დარდობს, რომ იგი დედაა, და ძროხასაც მისი შვილიერებით „ანუგეშებს“ თავისებუ-რად: „ისევ გახვალ ყვავილებში, გაგევსება დამჭერნარი ძუძუები, ისევ გეყოლება შენი ნაწილი და სხეული“ (საყურადღებოა, რომ ქალი „ჯიქანს“ არ ახსენებს, ე. ი. ძროხის ნაღველს ადამიანურ ში-ნაარსს აძლევს). მაგრამ ეს კონკრეტულობაც წამსვე გადადის რა-ლაცა უფრო ვრცელში, უფრო გაშლილ სადარდებელში, რომელსაც თითქმის მთელი ქვეყნიერება მოუცავს: „მითხარი, დედაო და დაო, მეც ხომ ქალი ვარ და დედა; მითხარი, რა დარდის ღრუბელი და-დის ქვეყანაზე, მანიშნე, მიმახვედრე. ვხედავ და ვერცა ვხედავ. იმარ შემიძლია მეტი, თვალებს ხომ არ ავიხვევ, ისედაც თვალებბ-ნელი! მითხარი! მითხარი!“

ბ) სიკვდილის განცდა მხოლოდ სუბიექტური არაა და მისი მიზეზი მხოლოდ ადამიანის ბუნების და სამყაროში მისი ადგილის თვისება არაა. მას აბიექტური ტრაგიკული საფუძველიც აქვს — არა მარტო საკუთარი „მე“-ს მოკვდავობა, არამედ ყოველიც იმის წარმავლობა, რაც ადამიანისათვის ძვირფასია ქვეყნად. სუბიექტუ-რი ტრაგიზმის ეს ობიექტური საფუძველი ყველასათვის ცნობი-ლია, მაგრამ მისი დახატვა, როგორც ცხოველი ემოციისა, ყველა მწირალს როდი შეუძლია. რ. ინანიშვილის მძაფრი და სულის შემ-

ქვრელი მოთხრობები ამ თემაზე მის ყველაზე დიდ შემოქმედებით გამარჯვებათა რიცხვს ეკუთვნის.

მოთხრობაში „ლოცვა“ სიკვდილის შემზარავი ტრაგედია, შეიძლება ითქვას, აბსოლუტური სიშიშვლითაა წარმოდგენილი. სიუჟეტია შვილის დამკარ გავი კაცის კოშმარული სიზმარი 14 წლის შემდეგ. მოთხრობის ძალა მის შემზარავ რეალურობაშია, რომელიც სიზმრის უცნაურ ლოგიკას დამაჯერებელს ხდის.

მოთხრობა „მომღერალი სახლი“ სიკვდილის გამარჯვების სევდიანი სურათია, სიკვდილმა სძლია ადამიანის ფიზიკურ უნარსაც და მის გრძნობასაც. მთხრობელი ქალის მაზლმა ქალაქიდან ნაზი მზეთუნახავი მოიყვანა და ცდილობდა მისთვის ხელი არ გაენდრევინებინა. მისი ეს წმინდა გრძნობა, რომელშიც მან მთელი თავისი ადამიანური უნარი ჩადო, გაწილდა. კაცი ჭაფისაგან მოკვდა. მზეთუნახავმა სიყვარული დაუფასა: მთხოვნელი ბევრი მოუდიოდა, მაგრამ პირიც არავის უჩვენა. და მაინც... სიკვდილი მასზედაც და მის წმინდა გრძნობაზეც ძლიერი გამოდგა. მოკვდა ისიც და გმირის გვერდით დაიმარხა. თითქოს ორივე ამ გულჭეთილი და კეთილშობილი იდამიანის დასაცინად (მათთან ერთად კი — საერთოდ ადამიანისა), ამ სახლში ახლა იმ მზეთუნახავის გადალრმუბული და ცხოვრობს, რომელიც სიმწრისავან მთელს ქვეყნიერებას სწყევლის.

რ. ინანიშვილისათვის სამყაროს ტრაგიზმში, რა თქმა უნდა, ხშირად საესებით კონკრეტული მიზეზებიც მონაწილეობს, როგორც მისი განმსაზღვრელი, ამ მიზეზებში, ბუნებრივია, უპირველესი ადგილი ო მ ს უჭირავს.

„უშიშარი ბიჭი იოსება“ ერთი საუცხოო მოთხრობათაგანია თავისი ლრმად განცდილი და გააზრებული ტრაგიზმით. იოსება ონავარი ბიჭია — ბუნებისაგან უხვად დაგილდოებული და გამორჩეული, მაგრამ ამ ხალისიან სახეს თითქოს იმთავითვე განწირულების ბეჭედი აზის. გულის იდუმალი კუნჭულით ეს ბიჭი თითქოს იმთავითვე ნაზიარებია მწუხარების ვრცელ სამყაროს, რომელიც ქეთორციელს ყოველ ნაბიჯზე დარაჯობს. მის ფანტასტიკურ მონათხრობში პირლიად მსმენელ ტოლებთან იმთავითვე ურევია „საოცარი და ურუანტელის მომგვრელი ამბავი“ (რა თქმა უნდა, მხიარული ზღაპრული სიუჟეტი) „თევდორე ჩიტებისა“ — ჩიტებად

ქცეული ობოლი და-ძმისა, სანახევროდ ტიტვლები რომ ფუღუროში
 ცხოვრობენ, „თახთახებენ შიშისა და სიცივისაგან და დროგამოშ-
 ვებით ხმის კანკალით გასძახიან ერთმანეთს „თევდორე, იპოვნე?“
 ვერა, ვერაო“. ამოუჯდებათ გული და აქვითინდებიან პირქვე ჩამ-
 ხობილი ყმაწვილებივით“. ერთადერთი ადამიანი, ვისიც იოსებას
 ხათრი და რიდი აქვს, დედამისია. და აი, როცა დედამისს ყვავებმა
 დასხხავლეს და ფეხი მოიტეხა, გაცეცხლებული იოსება კაკალხე
 გავიდა და იმ ყვავებს ამოუყარა ბახალები. „ჯრ იფრინეს და იშავ-
 დლევეს ყვავებმა, დედალმაც და მამალმაც, ყურთასმენა აღარ იყო
 მათი ჩხავილისაგან, მერე დასხდნენ სულ მაღლა. მხრებში თავჩარ-
 გულები, ცას შეჩერებულები გაქვავებულებივით და იქ დააღმდათ
 ეგრევე“. აქ მკითხველი ჯერ კიდევ ჭოჭმანშია, საით წაიყვანს ავ-
 ტორი თემას — იოსებას, როგორც სიცოცხლის დაუწერელი კა-
 ნონის შემლახავის, მხილებისაკენ თუ, პირიქით, მისი სინაზულისა-
 კენ? შემდეგ კი სიხარულისა და შიშის ნარეჭი გრძნობით (შიშისა,
 იმიტომ, რომ გრძნობს, იოსებას ეს არ შერჩება) მკითხველი ხედავს,
 რომ ამ არასტანდარტული ბიჭის რეაქციაც ამ ეპიზოდზე განსა-
 კუთრებით გრძნობაფხიზელი ადამიანის რეაქცია ყოფილა: ბიჭმა
 ვერ მოინელა თავის მიერ ჩადენილი დანაშაული და მისი ეს გან-
 ცდა ხალხის იმ გულისგულის ყრუ გუმანსაც ემთხვევა, რომელიც
 მეზობელმა დედაბერმა გამოხატა: „შვილო, არ გეშინიან, რომ დე-
 დაშენიც ჩავარდეს ეგეთ დღეში, როგორშიაც ეგ ყვავები არიან?“

კვანძი კეთილად იხსნება: ბიჭმა (ეგებ ჩემი მსხვერპლი ლერთ-
 მა შეიწიროს და ჩემს და-დედას ჩემი ცოდვა არ მოჰკითხოს) ხელი ნატეხით გაისერა და ამით დანაშაული გამოისყიდა; მკითხველ-
 მა შვებით ამოისუნთქა, რადგან ტრაგედია, რომელიც თითქოს
 სამყაროს საფუძველში ძევს, ამჯერად „არ შედგა“, აგრძლა. და აი,
 სიუჟეტის კიდევ ერთი მოულოდნელი შემობრუნება: 1943 წელს
 იანვრის ერთ ჯანლიან დღეს იოსება გერმანელმა მეავტომატებმა
 მოკლეს უკრაინის მიწაზე, როცა იერიშზე მიმავალი, ქართულად
 ყვიროდა „მიდი! მიდი, ბიჭო, მიდი!“

მოთხოვბაში „დათია და გოგია“ — ერთ-ერთ ყველაზე გა-
 მორჩეულ ნაწარმოებში თავისი ტრაგიზმით — ტრაგედიას იგივე
 კონკრეტული ისტორიული საფუძველი აქვს — საქართველოს ის-
 ტორიაში და ერის ხსოვნაში წარუშლელი მსხვერპლი, რაც ქართ-

ველმა ხალხმა 1941-45 წლებში გაიღო. მოთხრობის ზემოქმედების ძალას განაპირობებს ორი ობოლი ძმის — დათის და გოგის — უაღრესად ცოცხალი და ინდივიდუალური სახეების დახატვა მანამდე, სანამ ლაქონიურად ითქმებოდეს, რომ ორივენი ომში წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან, და ღრმად განცდილი ლირიკული ტონა-ლობა. „მაღლა-მაღლა წასული კენჭეროები რბილად გადმოხრილან ნაღვლისფერი მიწისაკენ, მიღამო მათი ფოთლების იდუმალი ჩურ-ჩულით არის შეპყრობილი და ყოველივე ამას ობოლი ძმების ჩვენ-კენ მოსწრაფებული სულები სჩადიან“.

რ. ინანიშვილისათვის არა უცხო, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირდაპირი და რეალისტური მიდგომაც სიკვდილის თემისადმი — იმ ადამიანის განცდის დახატვა, ვისაც სიკვდილი რეალურად შეეხო.

მოთხრობა „შავი ალაყაფი“ ფსიქოლოგიური ეტიუდია მედი-ცინის მიერ განწირული კაცის განცდისა, როდესაც მან თავისი ხვედრი ეს-ესაა გაიგო. ეს ფსიქოლოგიური მხარე აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით ავტორისეული ემოცია — სიბრალული კაცის გაოგნებული ობლებისადმი მოთხრობის ფინალში, ბუნების იმ კანონთა გამტყუნების განცდა, რომლებიც ასეთ ამბავს შესაძლებლად ხდიან.

ფსიქოლოგიური სურათი აქ ფერთა ფართო სპექტრს შეიცავს — დაწყებული ჭმინდა ფიზიოლოგიური რეაქციებით („მთელი სხეული ჩუმი თრთოლვით უთროთოდა“, „პირი გამშრალი პჟონდა“ და სხვა) და გათავებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსოფლმხედველობითი, აზროვნებისეული რეაქციებით, როცა მის ცნობიერებამდე ნელნელა მიღის ის ფაქტი, რომ ახლა მას მთელი სინამდვილისადმი სხვა, ადამიანთა ჩვეულებრივი პოზიციისაგან განსხვავებული პოზიცია უჭირავს. ავტორის დიდ გემოგნებასა და ტაქტზე მეტყველებს ის, რომ ეს აზრობრივი სურათი მისი ახალი მდგომარეობისა გმირისათვის, არსებითად, ნათელია და გარკვეული — მაგრამ, ამავე დროს, მასში რჩება ერთი მომენტი, რომელიც გაურკვეველია იმიტომ, რომ მოუნედებელია მასთან შერიგება და მისღამი დამორჩილება შეუძლებელია: ეს არის თავისი მომავალი ობლების სიბრალული. სწორედ ეს გრძნობა ქმნის ძირითადად დრამატულ დაძაბულობას მის სულში, რომელიც ბოლოს თვით ავტორის სულში აბორგებულ დაძაბულობად — მის მიერ ბუნების კანონთა ზემოხ-

სენებულ დაგმობად, მის წინააღმდეგ უკიდურესად მძაფრ პრო-
ტესტად გადაიზრდება.

მოთხრობაში „დედები“ მთელი ტრაგიზმი კონკრეტულ სიტუ-
აციაში თავსდება: შვილდაღუბული დედა ანან ვერ შერიგებია
თავის უბედურებას და თავს იტყუებს, თითქოს შვილი ცოცხალია,
კიდევ უფრო დაგაუკაცებულა და მოწიფულა, დედას აკითხავს და
პატრონობს. წყაროსთან შეგროვილი ქალები კი უსმენენ დღიდან
დღემდე მის ფანტასტიკურ მონაყოლს და „დედის გულის გამჩენს“
სწყევლიან. ფსიქოლოგიურად ზუსტია (ისევე, როგორც მთელი
მოთხრობა) დეტალი, რომ ეს თითქოსდა გონებაზე გადასული ქალი,
თურმე გულის ერთი კუნძულით ხედება თავის უბედურებას და
ექიმს ეხვეწება — „ძილის წამალი მომეცი, თორემ აღარ მეძი-
ნება, ბიჭს ვეღარა ვხედავ და ვიღუპებიონ“.

ანალოგიურია მოთხრობა „ცოცხალი ჯვრები“. „ცოცხალ
ჯვრებად“ ქცეული, შვილებზე მგლოვიარე ცოლ-ქმარი წყალწალე-
ბულივით ეჭიდება იმედის ყველა ნაპერწყალს — ქალი უფრო გუ-
ლუბრყვილოდ, კაცი უფრო სკეპტიკურად. ამ ორ უბედურ აღა-
მიანს შორის პატარა „ძონფლიქტიც“ იშლება: კაცს არ სჯერა ბერ-
ძნის ნათქვამი, ბიჭებს თუ სიზმარში გაცინებულს ხედავთ, ცოც-
ხლები იქნებიან, და, თითქოს თავისი გულის ჯავრის ამოყრა სურ-
დეს მეტისმეტად ოპტიმისტ ცოლზე;

— „ეე, — ხელს ჩაიქნევს კაცი, — არავინ არაფერი იცის.

— რას ამბობ! — კანკალით მიუბრუნდება დედაბერი, — გა-
სულელდი?

— არც გავსულელდი, არც დავჭკვიანდი. ესა ვარ, რაცა ვარ...“

ამ ფსიქოლოგიურ სიზუსტეშია მოთხრობის ძალაც და მისი
ტრაგიული ულერადობის ინდივიდუალობაც.

„საბრალო ბიძაჩემი“ ტიპიურია იმ მხრივ, რომ სოფლის კო-
ლორიტული იუმორისტული სცენის ფონზე (გასუქებული და ზარ-
მაცი ბიძა ქვევრიდან ვერ ამომძვრალა, ბიცოლა კი „მძივივით ას-
ხმული“, კეთილი და გონებამახვილური წყევლით უმასპინძლდე-
ბა) აქ ისევ და ისევ სიცოცხლის ფარული თემა იშლება. ტებილია
ეს ცხოვრება, ქართული სოფლური ყოფა, განუმეორებელია და მიმ-
ზიდველია აღამიანი თავისი უსასრულო მრავალსახეობით, თავისი
სიხალისითა და არსებობის სიყვარულით — აი, ამ მოთხრობის ძი-

რითადი პათოსი (ჩ. ინანიშვილისათვის ტიპიური). მაგრამ... ახლა აღარც ბიძაა ცოცხალი და აღარც ბიცოლა. „ერთიც და მეორეც ოპტურანთ გორაზე წვანან, იმათი შვილები — საღლაც ქერჩის მიწაში. ის ორსაპალნიანი ქვევრი კი მთელია ისევ, მთელი იქნება, ვინ იცის, როდემდე.

ნაღვლიანია, ტირილის მომგვრელია მარანიც და ეზოც. იქ ახლა სხვა ტრიალებს, სხვაგვარი შყევლა ისმის — სიტყვამცირე და ავი”.

როგორც ვხედავთ, მოქვდავობის ზოგადადამიანური ტრაგედია აქ რეალისტურადაა გადაჭაჭვული უფრო კონკრეტულთან: ეროვნული მასშტაბის ტკივილთან (ქერჩში დალუპული ჯარისკაცები) და უხვი ბუნების, კეთილი ადამიანის (ქალის) შეცვლასთან ნაკლებ ნიჭიერი და ნაკლებ კაცთმოყვარე ადამიანებით.

ტრაგიკული თემა ტრაგედიის განმცდელ ადამიანთა ტანჯვის მქვეთრი რეალისტური სურათებითა ნაჩვენები მინიატურებშიც — „გმინვა“ და „ზარი კახეთში“.

გ) ისევე, როგორც სიცოცხლის განცდის გამოხატვის შემთხვევაში, სიკვდილის განცდისასაც ჩ. ინანიშვილისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხერხია მისი გამოხატვა გმირის გვერდის ავლით; ეს განცდა სახიერდება არა როგორც ფაქტებით განპირობებული და მათგან ლოგიკურად გამომდინარე, არამედ როგორც უანგარიშო, თითქოს უმიზეზო შიში და გულისტკივილი, როგორც სუბიექტური შეფასება სამყაროსი და მასში ადამიანის ადგილისა. ასეთი შემფასებლის როლში შესაძლოა მთხოვნობელი პერსონაჟიც გამოდიოდეს (და არა ავტორი), მაგრამ ეს ვერ ცვლის იმ გარემოებას; რომ ეს მაინც სუბიექტის მიერ მიცემული და გარეგნულად დაუსაბუთებელი, უფატო შეფასებაა.

ღრეობისა და „ცეტური“ ღროსტარების სურათია გაშლილი მოთხოვნა „ცეტებში“. მაგრამ მთხოვნელ დედას არ ავიწყდება, რომ ამ წუთისოფლის ბუნებას სიხარული და მხიარულება არ შეაღებს, არამედ სულ სხვა რამ. ეს თითქოს ჩასაფრებული ტრაგიზმი ამ მოთხოვნაში მკვეთრი და დაუფარავია. „მეშინიან, შვილო, ახლა ასე ვლაპარაკობ და გულიგულში რაღაც ძალიან მეშინიან. მეჩენება, რომ გამუდმებით ვიღაცა გვითვალთვალებს ბოროტი ფა-ლით, თან გვითვალთვალებს, თან პირზე ხელს იფარებს, რომ ლი-

მილიც კი არ დავინახოთ იმისი ჩვენა. ღვთიშობელო დედავ, შენ დაგვიფარე შენი კეთილი კალთითა!

ამავე რიგისაა თავისი დინამიურობით ღირსშესანიშნავი მოთხრობა „შიში“. იგი, შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტია. გმირს მოეჩვენა, რომ საშინელი უბედურება დაატყდა, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა: ბავშვს მშვიდად სძინებია, ოღონდ უხმოდ სუნთქვდა. მიუხედავად ამ მშვიდობიანი ფინალისა მოთხრობა ტრაგიკული უღერადობისაა, რადგან მასში ნატურალისტური სიცხადით დახატულია შესაძლებლობა იმ ყოვლისწამლეკავი უბედურებისა, რაც ადამიანს შეიძლება დაატყდეს. შემდეგ ნელნელა ხდება სიტუაციის განმუხტვა. კაცი, რომელსაც „ნერვები აღარ უვარგა“, თანდათან მშვიდედება და, კადელზე მიყუდებულს, ტყბილად ეძინება.

სიკვდილის, ბოლოვადობის, წარმავლობის განცდა ადამიანისათვის ხშირად მისტიკურ ელემენტს შეიცავს და ამ თემის ისეთი ფართო დამუშავება, როგორიც ა. ინანიშვილთან არის, აუცილებლად გულისხმობს ამ ელემენტის გამოყენებასაც. მართლაც, მოთხრობაში „ყვავები“ ამ ბოროტის მომასწავებელი ფრინველების ჩხავილი საბედისწერო ნიშნად ექცევა გმირს, ბერივაცს, რომელსაც ყვავებისა ეშინია, თითქოს უტყუარად გრძნობდეს მათ ზემოქმედებას თავის ცხოვრებაზე. ამ დღის მერე, რაც ის კაცი უცნაურად მოვლინა თავის ღიღი ხნის მიტოვებულ სოფელს და იქვე მოკვდა უპატრონოდ, ყვავები იმ მიღამოში აღარ გამოჩენილან. დაე, მკითხველმა რაც უნდა იფიქროს და ეს საიდუმლო ისე ახსნას, როგორც თვითონ უნდა — ასეთია ავტორის პოზიცია, რომელიც ამ შემთხვევაში მინიშნების ენით გველაპარაკება. ამ ტრაგიკულ მოთხრობას აზოვადებს და აკონკრეტებს კიდეც ერთი დეტალი — იმ ბერივაცზე „ამბობენ, კაი კაცი არ იყოო“, ასე რომ, სიკვდილის ტრაგედია, როგორც ჩანს, მართლაც საერთოა ავისთვის და კარგისთვის.

იგივე შეიძლება ითქვას მოთხრობაზე „დაგვიანებული რექვიემი“. ქალ-ვაჟის უხინჯო, ახალდაწყებული სიყვარულის ფონზე მხოლოდ ერთი რამ ხვდება უსიამოდ, უფრო კი — შემაწუხებლად ვაჟის (მთხრობელის) გულს: ქალიშვილს, თითქოს, სხვა ცხოვრებაც აქვს, სულიერი, რომელშიც ძელი ადათი, ლოცვა, სხვადა-

სხვა ხალხური რწმენა, ძველი აღთვემისეული სახელები ფიგური-რებს. იგი ბების გაზრდილია და ვაჟს ეჩვენება, „რომ სადღაც მის აწლოს, თითქოს კვნესას იყავებსო, კანკალებდა ერთმანეთში თი-თებაშნული და მაღლა აწეული ორი დედაბრული ხელი“. ტრაგი-კულ ფინალს კონკრეტული სიუჟეტური გამართლება აქვს: ვაჟი ომშია, იგი მხოლოდ 1954-ში ბრუნდება შინ და ქალი მისი დარღით მკვდარი ხვდება. ამ კონკრეტული ისტორიული ხაზის პარალე-ლურად კი თავის ფინალს აღწევს მეორე, მისტიკური ხაზიც: ქალის საფლავზე ღარიბული ძეგლი დგას — „ქვაზე ღამხობილი ქალი რომელიც თავიდან ფეხებამდე მოსახლეობის იყო გახვეული და მხო-ლოდ ერთმანეთში თითებაშნული და კანკალით მაღლა აწეული დედაბრული ხელები ჰქონდა შიშველი“.

სიკვდილის ოემისადმი მიღორია რ. ინანიშვილს ზოგჯერ ახა-სიათებს ირონია — დისტანციაზე დადგომა იმ გრძნობისაგან, რომელსაც აღწერს, და იმ აზრისაგან, რომელსაც გამოთქვამს.

მოთხოვთ „გადატრიალება“ სიკვდილის თემაზე დაწერილ მოთხოვთხებს შორის გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ირონი-ოთ. ამ ორგვერდიანი მოთხოვთის ნახევარი უჭირავს ანტიპათიუ-რობამდე ენერგიული, მიზანსწრაფული, ბეჭითი, პირქუში და გაუ-ღიმარი კაცის თორმეტსათიანი სამუშაო დღის აღწერას ბიბლიოთე-კის მაგიდასთან. აქვე ვიგებთ, რომ იგი თურმე, „გადატრიალების მოხდენას პირებს ქართულ ისტორიოგრაფიაში“. შემდეგ შემოდის დეტალი, რომელიც სულ სხვა კუთხით გვაჩვენებს ამ პიროვნებას: მას, თურმე, 12 წელიწადი ჰქონია „აგარაკზე“ გატარებული, და, დასასრულ, უაზრო, მოულოდნელი, შემთხვევითი სიკვდილი (აღ-ბათ, ინფარქტი) ამ ცხოვრებადანგრეული მარტოსულისა თარის წინ, ექსტრავაგანტური მონოლოგის წარმოთქმისას. ეს ფინალი სრულებითაც არაა იმისთვის გამიზნული, რომ გაგვიუქმოს პირ-ველი შთაბეჭდილება ამ კაცის შესახებ. ეს შთაბეჭდილება კვლავ ძალაში რჩება. და ამით კიდევ უფრო მკვეთრდება ბუნების თუ კა-ცის ფსიქოლოგიის იმ ულმობელი კანონის განცდა, რომ ადამიანის ადამიანისადმი დამკიდებულებას (ამ შემთხვევაში — არც თუ სიმ-პათიურს) თვით სიკვდილიც კი ვერ ცვლის: ტრაგიკული შემთ-ხვევა ვერ აქარწყლებს ვერც ამ ფიგურის კომიზშ და ვერც იმ ოდ-

ნავ მინიშნებულ შურს, რომელსაც მეტისმეტად ენერგიული ადამიანის დანახვა იწვევს.

სიკვდილ-სიცოცხლის თემა რ. ინანიშვილის თვალში ხშირად ორგანულადაა დაკავშირებული სოციალურთან. ბუნებრივია, რომ ეს კავშირი მაშინაა ორგანული, როცა სიკვდილი მოთხრობის ჩანაფიქრში შემოდის თავისი ერთი კერძო მხარით — შემოდის როგორც წარმავლობა, რომელსაც ვერაფერი დაუდგება წინ. ამ მხრივ დამახასიათებელი მაგალითია თუნდაც მოთხრობა „დარაჯები“. მოთხრობელი მიტოვებულ სოფელშია (სოციალური თემაც სწორედ ეს არის: მთის სოფლის დაცლის მწვავე პრობლემა), მაგრამ ამას ჩვენ მხოლოდ ამ მოკლე მოთხრობის ბოლოში ვიგებთ. თავდაპირველად მხოლოდ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის — მათი სულიერი მოზიარეობის მოწმენი ვართ. ქარ-წვიმიანი, შემდეგ კი თოვლიანი დღე კაცს ფიქრისაკენ, ნაღვლიანობისაკენ, საკუთარ თავში ჩაღრმავებისაკენ უბიძგებს. პეიზაჟის აღწერა ორიგინალურია და ინდივიდუალური შტრიხებით აღმოჩენილი, მაგრამ თავისი განწყობილებითა და ხატვის მეთოდით მაინც ტრადიციულია, ლიტერატურაში მრავალჯერ განმეორებული. ამ ტრადიციულობის ფონზე ნელ-ნელა იქვეთება მოთხრობის მთავარი და მართლაც ორიგინალური თემა: ეს სევდიანი პეიზაჟი, თურმე, ასევე სევდის მომგვრელი ბედის მქონე სოფლის პეიზაჟია. ჯერ აღმოჩნდება, რომ ცეცხლის „თალს შუქში“, უკვე ჩამონელებულ, სიპიონ ნაშენ სახლსა და მიღამოს რომ ცოტათი ანათებს და ათბობს, კაცი და ქალი სხედან, მარტოხელანი, ხმის გამცემიც არავინა ჰყავთ. „ბავშვები არ არიან სოფელში. ალბათ არც უნდა იყვნენ“, — სხვათა შორის გაღმოგვიგდებს მოთხრობელი ერთ ლაკონიურ, მაგრამ ტრაგიულ ფრაზას და წამსვე ყველაფერი ნათელი ხდება: ისიც, რომ ზემოთ სხვათა შორის წამოტივტრივებული მეტაფორა თუ პერსონიფიკაცია, საღამოთი „ქარის შხულს მიჰყვებიან რაღაცა ძალები, ყურში ჩაგდახებენ ვიღაცანი ან რაღაცანი“, შემთხვევითი არ ყოფილა, არამედ მოთხრობა ტრაგედიად ყოფილა ჩაფიქრებული, და ისიც, რომ ამ ტრაგედიას სავსებით ობიექტური საფუძველი ჰქონია. რასაც ავტორი შემდეგ ვითამბობს, მხოლოდ ამ ტრაგედიის გაშლა, განზოგადება, განვრცობა და სიმბოლიზაციაა.

სოციალური უბედურება სამყაროს ტრაგიზმს აშიშვლებს.

ამ თემას — „საშინელებაა ხატგადავლილი ნასახლარი“ — ზოგჯერ დიდი სოციალური ძვრების ჩარჩოში მოქცეულსაც ვხედავთ (მოთხოვთ „ნასახლარი“). ამ შემთხვევაში ტრაგედიას უკვე და-პირისპირების, ე. ი. დრამატულის სახე აქვს: ნასახლარად ქცეული სამოსახლო თვითონ არ გაპარტახებულა, ეს ვიღაცის (ან ვიღაცე-ების) ბრალია. თემის კულმინაცია ლირისია იმისა, რომ მოყვანილ იქ-ნეს: გარდასული ოჯხის შვილს თავისი გვარის ნასახლარში ჩასვ-ლისაც ერიდება, რათა სახლისა და წისქვილის ადგილას დათე-სილი ხახვის მოპარვა არ დააბრალონ...

მოთხოვთ „ვენახი“ სოციალური თემა — სოფლის დაცვა — კვლავ გადაჯიჭვულია სიკვდილის, წარმავლობის თემასთან. აქაც სიკვდილი გამარჯვებული რჩება, მაგრამ თუ ამ გამარჯვების მი-ზეზს დავუწყებთ ქებნას, პასუხი ერთი იქნება. სიცოცხლეში ავ-ტორი (და მასთან ერთად მკითხველიც) ყოველგვარ სიცოცხლეს კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ იმავე მიწაზე გაგრძელებულ სი-ცოცხლეს, იმავე ადგილ-მამულში ყოფნას (და ამაშია მოთხოვთის უმთავრესი პათოსი, მისი თამამი და ყველაზე გულწრფელი იდეა). მოთხოვთის გმირის (ბებერი დრეიძის) შვილი კი შორსაა და მის სოფლად დაბრუნებას პირი არ უჩანს. ამ სიტუაციასთან შერწყმუ-ლია საკუთრივ ფსიქოლოგიური პლანი — სიკვდილის მოლოდინის რეალისტური სურათი. აღსანიშნავია, რომ ეს ფსიქოლოგიური ეტი-ზდი მხოლოდ დეტალებზე არაა აგებული, არამედ თამამ ჰიპერბო-ლაზეც, რომელიც მთელ სიტუაციას, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოსმოსურ მასშტაბსა და უდერადობას ანიჭებს.

— „ მაგის ოხრობაც იყოს!“ — წამოიძახებს ზოგჯერ მამულის გაძლოლის იმედდაკარგული მოხუცებული გმირი, რომელსაც თა-ვისი მთელი ცხოვრების ამ უნებური მარცხის გამო თითქოს „ვი-ღაცისა ჰრცვენია“ და „ვიღაცის წინაშე ბოლიში აქვს მოსახლელი“. და აი, ტრაგიკული უამბო ფინალიც: „რაღაც შემაზრზენი გუგუნით ახლოვდებოდა გაზაფხული. კანკალებდა დრეიძე, ციებიანივით უკანკალებდა კბილები“.

სიკვდილს რ. ინანიშვილის თვალში უპირისპირდება არა მხო-ლოდ სიცოცხლე თვისთავად — როგორც მარტოოდნ არსებო-ბის განცდა — არამედ სიცოცხლე, როგორც რაღაცა დადებითი ფა-სეულობების სისტემა: კაცის ლირსება, სიმტკიცე, ჰატიოსნება, სია-

მაყე და ა. შ. ამ მხრივ ნიშანდობლივია მოთხრობა „ჩაჩაურის წასვლა“. ეს მოთხრობა ღირსეული სიკვდილის რეალისტური სურათია, რომელსაც ეთნოგრაფიული მომენტი ახლავს. ხევსურთა შორის რეალურად მართლაც არსებობს ძაცის კაცურად სიკვდილის კონკრეტული რიტუალი, რომელიც მშვიდობიანი პირობებისთვისაა გათვალისწინებული. ეს რიტუალი, ერთის მხრივ, მართლაც რიტუალია, ანუ ისეთი მოქმედებებისაგან შედგება, რომელთა დანიშნულებაც რელიგიურია. მეორე მხრივ, ეს არის პიროვნების შინაგანი მობილიზაცია კრიტიკულ მომენტში და მის მიერ თავისი ცხოვრების შედეგთა შეფასება-დაჯამება („უსაკადრეოდ ხომ არ მივღივარ?“ „სისხლი არავისი მომდევს“, „ვალიც არავისი მომყვება“ და ა. შ.). ისევე, როგორც რ. ინანიშვილის ამ თემაზე დაწერილ მრავალ სხვა მოთხრობაში, სიკვდილი აქაც შეიძლება ითქვას, „დამარცხებულია“, მაგრამ არა სიცოცხლის მიერ, არამედ კაცური ღირსების მიერ, რომელიც სიკვდილის პირისაირ მაინც კიდევ „ძალაშია“ — არ უქმდება და არ ხუნდება. საყურადღებოა, რომ ზუსტ ფსიქოლოგიურ რეალიზმთან ერთად (მაყურებლის რეაგირება) აქ მოცემულია თავისებური განზოგადებაც, რომელსაც შეგვიძლია ეროვნული ან ეთნიკური ვუწოდოთ: სიკვდილის ასეთი ღირსეული შეხვედრა მხოლოდ ჩაჩაურის პირადი თვისება არა (მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ავტორი არც იძლევა). ეს საერთო ნორმაა მისი კუთხი-სათვის (ხევსურეთი) და, ალბათ, მისი ერისთვისაც, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ უკანასკნელის იდეალს. ამგვარად, ასეთი თავისდაჭერა ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებების ფარგლებს სცილდება და მორალურ ნორმას წარმოადგენს (ოლონდ, რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ ხალხში მიღებულ ნორმას).

სხვა მოთხრობებში, პირიქით, სიცოცხლე, როგორც სიკვდილის საწინააღმდეგო პოლუსი, საგსებით გაშიშვლებულია. იგი მხოლოდ არსებობის განცდაა, იმის სურვილია, რომ „მზეს უყურო“ — და მეტი არაფერი. მაგრამ საკუთარი სიმტკიცე, სიამაყე, თავისი პიროვნების დამტკიცების უნარი კაცს ამ სიტუაციაშიც მიჰყვება. პირველად ავტორმა ეს გამოხატა მოთხრობაში „ონავრები“, ასევე დამახასიათებელია სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის ერთიანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახის შექმნით მოთხრობა „პაპა“. გამოფიტულ იოსება პაპასაც თავისებური „გამარჯვება“ მოუპოვებია

სიკვდილზე იმით, რომ თავისი ორგანიზმის შესაძლებლობები ბოლომდე უნდა ამოწუროს („ისე უნდა ჩავბარდე სიკვდილს, გამოსაწიწენიც კი აღარაფერი დარჩეს ჩემს ძვლებზე“).

ამ ორ მოთხრობასთან ახლოა მოთხრობა „საყანე მიწებიც“. თეთრულვაშა ბერიკაცი, რომელიც ნიკაპს ძლიერ აცილებს ხინკლის საჭმელ მრგვალ მაგიდას, თავის უღრმეს გადაწყვეტილებას ანდობს ბრიყვ ახალგაზრდას — სული იქ, სილნალის გადასახვევთან რომ საყანე მიწებია, ერთი ბერტყენას ძირში დალიოს, თანაშეზრდილი ბუნების შემყურებ და მასთან შეერწყმულა. „გათენდეს, ერთი ჩამოანათოს მზემა, ერთი ამოვიდეს თევლი ნისლი, და მერე ფეხებზე არა მყიდია, მოვიდეს სიკვდილი, იმის... მოვიდეს ტოროლას ძახილში“.

ბერიკაცისათვის სიცოცხლე, — ის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილს არასაშიშრად უხდის, — მის გარეთ მყოფ საგნებში სახი-ერდება და არა თავის ფიზიკურ არსებობაში. ეს საგნები (ყანები, ბუნება...) უკვდავია და მათთან გაერთიანებული ბერიკაციც — მარადი. ოღონდ მოთხრობაში ერთი დამატებითი დეტალიც შემოდის, რომელიც გვანიშნებს, რომ იქ პანთეიისტურ იდილიასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ რაღაცა სხვასთან. „რო ვერ იზამ მაგას?“ — ეუბნება ბრიყვი ახალგაზრდა. „ოქვენ, შვილო, მარტო მაგითა საზღვრავთ ყველაფერს, სხვამ რა გაკეთა, მე კი სხვა არა ვარ, მე მე ვარ“, — პასუხობს ბერიკაცი (რომელმაც ამის დასამტკიცებლად ლუდის ტოლჩა იატაქს მშვიდად დაამსხვრია). ამ ფორმულით — „მე მე ვარ“ — იგი გვაცნობებს, რომ მისთვის სიცოცხლე საგნებს გარდა საკუთარი მეობის განცდაშიც ყოფილა.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ რ. ინანიშვილის მოთხრობებს ამ თემაზე გ. რჩეულიშვილის გავლენა ეტყობა ზოგჯერ (კერძოდ, მაშინ, როცა ავტორის განწყობილებას ზემოხსენებული გაონება შეადგენს). ამ გავლენის ზედმეტობა ან უადგილობა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთ მოთხრობაში — „ძილაში“ ჩანს. მშვენიერ ადამიანში აფეთქებული ბუნება საბედისწერო განცდა-ვნებებს იწვევს, ადამიანი ვერ ერევა მათ და, უმრავლეს შემთხვევაში, თვითვე ისწრაფებს სიცოცხლეს. (ეს გ. რჩეულიშვილის მოთხრობებიდან კარგად ცნობილი ხაზია). მაგრამ ამ მოთხრობის სიუჟეტს დამაჯერებლობა აკლია. მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტისმეტად

მასობრივ ტრაგიზმს ფსიქოლოგიური მოტივაცია საკმარისი არა აქვს

სხვა რამ გავლენაზე, როგორც ასეთზე, ლაპარაკი რ. ინანი-შვილის „ზემოგანხილულ მოთხრობებთან დაკავშირებით ძნელია. არა-ვისი გავლენა მას არა აქვს. „გავლენის“ წყაროა მხოლოდ აღამია-ნის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ნაგრძნობი, ნაფიქტი და გან-ცდილი, რასაც ყოველი ჩვენგანი თავის გულში ატარებს და რაც ზოგჯერ პოულობს ხოლმე გამოხატულებას ისევ საუკუნეებში მი-მობნეული პოეტური სიტყვისა, ფერისა თუ ბეჭედის სახით.



პოეტის ლექსების... ერვიზე... ოცდაერვიზე... ასოცდაერვიზე... ნიგნი

□
შოთა სულაბერიძე
□

ბოლო ხანებში, უკვე ათი-თხუთმეტი წელიწადია, თანდათან იყარება ახალი პოეტური კრებულების კარგი ტრადიცია. უკვე იშ-ვიათად წაიკითხავთ ლექსების ახალ წიგნს. არა, „ახალი“ წიგნები, რა თქმა უნდა, გამოდის. გამოდის აქამდე უჩვეულო ხელგაშლილო-ბით. ანოტაციებსა და წინათქმებშიც მრავალმნიშვნელოვნად გვაუწყებენ, ეს პოეტის მეამდენე და მეიმდენე წიგნიაო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ „ახალ“ წიგნებში თითქმის აღარაფერია ნამდვილად ახალი; აქ თქვენ გაეცნობით მხოლოდ ერთ-ორ ახალ ლექსს, ძირი-

თადად კი კვლავ ძველ ნაცნობებს შეხვდებით, უკვე მერამდენედ, წინა კრებულებიდან. ამ სიახლესთან ერთად სხვა ახალი მოდაც იყაფავს გზას: ბევრი პოეტი, როგორც წესი, საერთოდ აღიარ აწერს თარიღს თავის ლექსებს და ისე ურყყევად იცავს ამ „პრინციპს“, კაცი იფიქრებ, აღბათ, წიგნის თავფურცელზედაც გააქრობდა თარიღის ნიშან-კვალს, ესეც რომ მხოლოდ მას ეკითხებოდესო.

ეს „სიახლეები“, ერთი შეხედვით, უწყინარი ამბავი, უმნიშვნელო წვრილმანი ჩანს, ნამდვილად კი, მათი დამკიდრებითა და გაჯრცელებით მაინცდამაინც დიდ სიკეთეს არ უნდა ველოდეთ. როცა პოეტს თითქმის აღარ სჭირდება იმაზე ზრუნვა, რომ მის მორიგ კრებულს საკუთარი სახე და იერი ჰქონდეს, რომ იგი უბრალოდ არ იმეორებდეს მისსავე აღრინდელ წიგნებს, როცა პოეტისთვის სულ ერთია, რით შეავსებს „ახალ“ კრებულს, ასეთ პირობებში მაინცდამაინც მოულოდნელი არ იქნება, რომ მას ნელ-ნელა წამოეპაროს გონების სიზარმაცე, მოერიოს თვითმაყოფილება, განუვითარდეს სულიერი კომფორტის კომპლექსი.

ასეთი პერსპექტივა არცთუ უსაფუძვლო ჩანს, მისი ნიშნები უკვე შესამჩნევია და სათვალავში ჩასაგდებიც. რა თქმა უნდა, შველაფერს მხოლოდ ამ „სიახლეებით“ ჰურ ავხსნით, მაგრამ ურა-ურთი არსებითი მიზეზი რომ სწორედ ესაა, საეჭვო არ არის.

* * *

ზაალ ებანოიძემ ლექსების პირველი წიგნი ამ თორმეტი წლის წინ გამოსცა („ლექსები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973). ამის შემდეგ პოეტმა თავის პირველ წიგნს კიდევ ოთხი კრებული დაუყენა გვერდით: 1977 წელს — „მთვარის კელაპტარი“, 1979 წელს — „წვიმის შვილი“, 1981 წელს — „იწყება აღმართი“, ხოლო 1984 წელს — სათვალავით უკვე მეხუთე ლექსების წიგნი „ვის გამოიხმობ სიზმრის სახლიდან“.

თავისი მეოთხე კრებულის („იწყება აღმართი“) წინათქმაში პოეტი ამბობს: „არის აღრუული შემოდგომის ერთი პერიოდი, „გველ-ახლობას“ რომ ეძახიან. ამ დროს გულდია მასპინძელი გაკრიალებულ ცოლიკაურთან ერთად დოქტით ამბოხსაც შემოდგომს სუფრაზე — არჩევანში შეიყვანს სტუმარს. ამ წიგნის საქმეც ასეა:

წინა კრებულებიდან შერჩეული ლექსების გვერდით, მკითხველს ვთავაზობ ბოლო პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს“.

უნდა ვთქვათ, რომ პოეტის ბოლო, მეხუთე, კრებულის („ვის გამოიხმობ სიზმრის სახლიდან“) საქმეც ისევეა, როგორც მისი წინა კრებულისა — აქაც კვლავ „ძველ-ასლობას“ გვთავაზობს იგი, აქაც მრავლადაა ლექსები, რომლებიც უკვე მესამედ, მეოთხედ და მეხუთედაც კია გამეორებული მის წიგნებში (კრებულში შეტანილი ასამდე ლექსიდან ნახევარი წინა კრებულებიდანაა გაღმობეჭდილი), თუმცა ანოტაცია, რატომღაც, გვარწმუნებს, თითქოს აქ მხოლოდ ბოლო სამ წელიწადში დაწერილი ლექსები იყოს შეტანილი.

კრებულზე დაკვირვება ცხადად გვაგრძნობინებს, რომ პოეტი მაინც ამანც დიდად აღარ ზრუნავს იმაზე, რომ ლექსით რაღაც საგულისხმო, მნიშვნელოვანი, როგორც იტყვიან, სულის ამამაღლებელი უთხრას მყითხველს. წიგნში ბევრია წყალწყალა საამბობელი, ლექსები, რომლებშიც არაფერი საგულისხმო, მღელვარების გამომწვევი არაა გამოხატული. რა თქმა უნდა, ეს ლექსები მთლად უსაბაბოდ არ იქნება დაწერილი, ავტორს აღბათ აქვს რაღაც ემოცია, რაღაც განცდა, მაგრამ ეს ემოცია, ეს განცდა არ ქცეულა იმის საბაბად, რომ რაღაც საყურადღებო გამოიხატოს, მათი მეშვეობით არ არის დანახული თუ ნაგრძნობი არაფერი ისეთი, რასაც „პოეტური სათქმელი“ ჰქვია.

ვნახოთ ლექსი „მთაზე დამდვარი კარავი“, რომელსაც წინა კრებულებში „რწმენა“ ერქვა და რომელიც პოეტის ხუთივე კრებულშია დაბეჭდილი და, აღბათ „გაკრიალებულ ცოლიკაურად“ უნდა მივიჩნიოთ:

I. შიშველ ფლატეებს ლოლუები — სურო ჰეიდია;
 ამ ბილიკებზე იჭვით მიდიან...

მთაზე დამდგარი ჩემი კარავი
 ლამის ასწიოს ფიქრის ბორიომ:
 აქ, ღმევ იცის, დარდიანი და შემპარავი...
 სად არის კვალი, მე რომ დავტოვე?...

ჩემო თეორშავო მოგონებავ, იღვიძებს ქარი
 და ველოდები ტყეში ფეხის ხმას,
 და სმენა ჩემი მოლნიოშე ქარს აყურადებს...

II. რიბირაბოში ნახულო გზაო,
 ეს ქედი ახლა ნისლას ქაფილან
 აშოტივტივდა და ცასთან დაობს.
 მე გინ დამპირდა გვირილის კონას?
 ან ამოუხსნელ ფერად ზმანებებს
 გინ მიმცა ხელში, ვით ბედის მონა?!

III. იღვიძებს ჩემი სიზმრების ფსკერზე
 შენი ჩამერალი სულის ფრთისანი...
 და მსურს: რწმენისთვის შეწირულ ვერძებს,
 ლამაზებს ქართულ სალამოსავით,
 ალერსი, როგორც ხელის მტევანი,
 შევახო რქებზე...

როგორც ვხედავთ, აქ რაღაც რთული განცდაა გამოხატული, ყოველ შემთხვევაში, ერთი წაკითხვით იმაში გარკვევა, თუ რას ამბობს ეს ლექსი, ძნელი საქმეა. (ეტყობა, მარტო ჩვენ კი არა, თვითონ ავტორსაც გაუჭირდა ამის გარკვევა — უმიზეზოდ არ შეცვლიდა იგი მართლაც შეუსაბამო ძველ სათაურს. თუმცა, ამ ახალი სათაურითაც მაინცდამაინც ვერაფერი გაგვინათა). ეს იმ ყაიდის ლექსია, რომელსაც ახლა მოზაიკური წყობის, ერთმანეთთან შორეული ასოციაციებით დაკავშირებული ფრაგმენტებით აგებულ ლექსს უწოდებენ. ყველამ ვიცით, რომ ლირიკულ ლექსში საერთოდ, მით უფრო ამ ყაიდის ლექსში, ტექსტის მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით წაკითხვა საქმარისი არაა. ამ ლექსშიც, მაგალითად, ეს ფლატეები, სურო, მთა, კარავი, ბილიკები, კვალი და სხვა რეალიები ცალ-ცალკე თუ სხვა სიტყვებთან შეწყვილებულნი, სულ ერთთავად მეტაფორებია, მათ ქვეტექსტი, გადატანითი, საცულისხმებელი მნიშვნელობები აქვთ და ლექსის გკითხველი ამ მნიშვნელობებს უნდა წვდებოდეს, წარმოიდგენდეს, წარმოისხავდეს. მაგრამ არც ისეა საქმე, რომ თვით ტექსტი ლექსისა, კონკრეტული საგნები და მოვლენები, მათი პირდაპირი მნიშვნელობები სათვალავში ჩასავდები არ იყოს და არავითარ ყურადღებას არ იმსახურებდეს არც პოეტისგან და არც ლექსის მკითხველისგან. პირიქით, ტექსტი საძირკველია ლექსისა, მას ემყარება ლექსის პოეტური შენობა. მეტიც, ტექსტი ის ნიადაგია, რომელშიც ჩაისახა, რომელმაც ასაზრდოა და მოამწიფა, რისგანაც იშვა პოეტური აზრი, ლექსის მიზანი არ არის მარტივი, მაგრამ არა მარტივი არ არის ლექსის მიზანი.

სის სათქმელი. თავისთავად, უკვე მარტო ეს გარემოებაც საკმარისი საბუთია, რომ არ ვცდილობდეთ ლირიკულ ლექსში ტექსტის როლისა და მნიშვნელობის დაკნინებას. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მნიშვნელობა. ღლეს სიახლეებზე, განახლებაზე და მისთანხებზე გაუთავებელ განსჯაში ბევრი რამ სადაცოდ გახადეს, მაგრამ, საბეღნიეროდ, ჯერჯერობით სადაცოდ არავის გაუხდია ის ამბავი, რომ ლექსში ნამდვილი განცდა უნდა იყოს გამოხატული, რომ პოეტმა თავის სიმართლეში უნდა დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამ უკანასკნელმა არ უნდა იგრძნოს პოეტის ნათქვამში რაიმე სიყალბე, არ უნდა იფიქროს, რომ პოეტი რაღაცას ატყუებს მას. ხოლო ამგვარი სიმართლის მისაღწევად, მკითხველის ნდობის მოსაპოვებლად პოეტს სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნია, გარდა ტექსტისა. მხოლოდ ლექსის საფუძვლად აღებული საგნებისა და მოვლენების, ვითარებებისა და გარემოებების მეშვეობით შეუძლია მას იყოს მართალი და სარწმუნო. ამიტომ ტექსტის გარჩევა სულაც არ არის უნაყოფო გარჯა და ტყუილად გვარწმუნებენ ზოგიერთები, რომ იგი ვერაფერს გვეტყვის ლექსის ავ-კარგზე, მხატვრულ ღირებულებაზე.

მოდით, ამ თვალსაზრისით დავაკვირდეთ ზემოთ მოტანილ ლექსს, კერძოდ მის პირველ ფრაგმენტს, და ვნახოთ, შეიძლება თუ არა მისი მკითხველი ენდოს პოეტს და ირწმუნოს მისი სიმართლე.

პოეტი გვეუბნება, რომ მთაზეა ასული და იქ კარავი უდგას. გვიხატავს სურათსაც, რომელსაც, როგორც გჭარწმუნებს, ახლა ამ მთიდან ხედავს: „შიშველ ფლატებს, ე. ი. ჩანგრეულ ნაპირებს თუ ხრამებს, ამ ხრამებში ღოლუებივით ჩაკიდებულ სუროს და რაღაც ბილიკებს, რომლებზედაც „იჭვით“, ე. ი. ალბათ სიფრთხილით, შიშით მიღიან ვიღაცები. შემდეგ კი პოეტი იწყებს საუბარს თავის სულიერ მდგომარებაზე. ჯერ ამბობს: „მთაზე დამდგარი ჩემი კარავი ლამის ასწიოს ფიქრის ბორიომ: აქ, ღამე იცის, დარღიანი და შემპარავი“. ეს ნათქვამი ასე უნდა გავიგოთ: ახლა თურმე „ღამე“ ყოფილა, ამ მთაზე კი „დარღიანი და შემპარავი“, ე. ი. მძიმე ფიქრის ამშლელი ღამე სცოდნია და ამ ღამის მიზეზით პოეტს „ფიქრის ბორიო“ ჰქონია ატეხილი. „ბორიო“. მოგეხსენებათ, ქარია, ჩრდილოეთის ცივი, ძლიერი ქარი, ე. ი. პოეტს ათასი ფიქრი, უამური ფიქრი უტრიალებს თავში და გატანჯულმა აღარ

იცის, რომელი ერთი მოიგერიოს: პოეტი ამის თქმას ვერც ასწ-
 რებს, რომ უცებ შეშფოთებული იძახის: „სად არის კაჭლი, მე
 რომ დატოვე?..“ ეს შეშფოთებული ძახილი ამას უნდა ნიშ-
 ნავდეს: მთაზე დაღგმულ კარავში მყოფი, იმ „შიშველ ფლატებს“
 რომ გადაჰყურებს, ეტყობა, ველარსად ხედავს ბილიქს, რომლითაც
 აქეთ ამოღილა და ოლბათ ამან შეაშფოთა, საგონებელში ჩააგდო;
 ამ შეძახილის შემდეგ იგი, უეცრად, რაღაც „თეთრშავ მოგონებას“,
 ე. ი., ალბათ, ტებილ-მწარე მოგონებას ხედავს და ამბობს: „...იღ-
 ვიძებს ქარი და ვალოდები ტყეში ფეხის ხმას, და სმენა ჩემი მოღ-
 ნიოშე ქარს იყურადებს“, ე. ი. ამბობს, რომ ამ სიმაღლეზე, ამ კა-
 რავში თურმე ტყუილა არ ამოსულა, თურმე ვიღაცამ უნდა ამოა-
 კითხოს აქ, ახლა მის მოლოდინში ყოფილა და დაძაბული აყურა-
 დებს ქარს, იქნებ მის ხმაურში ფეხის ხმა გავარჩიოთ.

ერთი სიტყვით, ლექსის ავტორს რაღაც უჩვეულო გულმავიშ-
 ყობა თუ დაბნეულობა სჭირს, დიდ საგონებელში გვაგდებს და
 ალარ ვიცით, რომელი ერთი დავუჩეროთ, რა ვირწმუნოთ: „დარ-
 დიანი და შემპარავი“ ღამისგან წამოშლილი „ფიქრის ბორიო“
 ტანჯავს მას ახლა, თუ ის —თავის „კვალს“ რომ ველარსად ხე-
 დავს, თუ იმაზე წუხილი, ვაითუ ის „ვიღაც“ არ მოვიდეს და ამ
 სიმაღლეზე ამოსვლამ უქმად ჩამიაროსო.

ამ ლექსის ფაქტურა — ფლატები, სურო, მთა, კარავი, ბი-
 ლიკები, ღამე, ქარი — გვაფიქრებინებს, რომ პოეტს თითქოს ბუ-
 ნების წიაღში, კერძოდ მთაში ღამით გაჩენილი განწყობილება
 უნდა გამოეხატა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, იგი უპირატესად იმაზე
 ზრუნავს, რომ თავისი ვითომც რთული განცდა გავიზიაროს და
 სრულიად უგულვებელყოფს კონკრეტულ ხილვას, კონკრეტულ ვა-
 თარებას, სიტუაციის შინაგანი მოტივირების პრინციპს. მის ლექ-
 სებზე დაკვირვება გვაჩრემუნებს, რომ პოეტი საერთოდ არ ზრუ-
 ნავს ასეთ „წერილმანებზე“, ისე ხშირია მასთან ამნაირი არანამ-
 დვილი, ყალბი სიტუაციები და სურათები.

ყალბ და მოგონილ, ნაკეთებ, ვანზრას გართულებულ-დრამატი-
 ზებულ სიტუაციას ხატავს პოეტი ლექსში „უპასუხო შეკითხვა“.

ძნელია, — თქვა კაცმა, დანანებით,
 მერე გაიმართა და
 თოხის ტარს დაეყრდნო, —

შედასტურეს დააყურა...
 ათასის ხმა დაუბრუნდა
 თანხმობის ნიშნად.
 მე ახლა შეუა კაცი ვარ,
 მარცხნივ თოხის ტარს დაყრდნობილი
 ეს გლეხია,
 მარჯნივ —
 ათასი შედასტურე.
 ვითომ, რაზე უნდა ეთქვა — ძნელიაო
 ამ „შარვალაკარწახებულ,
 ღვთის თვალებიან მეყანეს? —

ასე იწყება ეს ლექსი, შემდეგ კი ასპარეზი მთლიანად დათმობილი აქვს ამ „შუაკაცს“, რომელიც გამეცადინებული ცდილობს გარკვიოს — „რაზე უნდა ეთქვა — ძნელიაო ამ.. მეყანეს“. მაგრამ მისი ეს „შუაკაცობა“ საკმაოდ უცნაური ჩანს: ამ გლეხს ამის შემდეგ კრინტსაც არ აძვრევინებს, მთლად ამუნჯებს, საერთოდ ზედაც აღარ უყურებს და მხოლოდ „ათას შედასტურეს“ ედავება, უფრო სწორად, ნიშნისგებით ეუბნება: „თქვე კაი ხალხო“, ასე უაზროდ რომ დაუკარით კვერი ამ მეყანეს და „თანხმობა მიეცით“, ჯერ ის რატომ არ ჰყითხეთ, რაზე თქვა ეს სიტყვა, რა სატკივარმა წამოაცდინაო. იქნებ ეს კაცი „სამყაროს რობაზე დაფიქრდა“, იქნებ „ჯალაბის რჩენაზე“, ან იქნებ „ყმაწვილებულისას გულისტოლი დააშორეს“ და ახლა, „რაკიღა თავი მარტო დაიგულა — სარქველი ახადა სატკივარს“, ან კიდევ სულაც „სადილი დაუგვიანეს... თოხი დაუმძიმდა“ და ამან ამოაკვნესაო... თქვენ ამაზე არც დაფიქრებულხართ, ისე, „ზრდილობის გულისათვის დაემოწმეთ“ ადამიანს და თავი ისე მოგაქვთ, თითქოს მართლა „გაგებული“ ხალხი იყოთ, მე კი, ხომ ხედავთ, გატანჯული „მივჭვალავ ლაბირინთს“, „ათას ვარაუდს“ გამოვთქვამ და ვცდილობ როგორმე მივაკვლიო პასუხიო. „პასუხი!.. პასუხი!.. პასუხი!.. ცისკენ შემართულ შეკითხვაგარეულ ათასის გამოხედვის მეტი ბალა გააჩნია!“ — ამ ღრამატული შეძახილით მთავრდება ეს ლექსი.

თავისთავად, სათქმელი, რომლის გამოხატვაც ამ ლექსით სურს პოეტს, ვერ ვიტყვით, რომ მოგონილი ან ხელოვნური იყოს, მაგრამ ავტორი სრულებით ვერ გვარწმუნებს თავის სიმართლეში, ჩვენს უნდობლობას იმსახურებს და ეს იმიტომ, რომ ყალბი არაბუ-

ნებრივი, ნაძალადევი კონკრეტული სიტუაცია მოიგონა თავისი სათქმელის გამოსახატავად. ეს „შუაყაცი“ ჯერ უხირდება „ათას მედასტურეს“, გინდა თუ არა მითხარით, რაზე თქვა მეყანემ ის სიტყვა, „გადაკვრით მაინც მიმანიშნეთ სიმართლეო“, შემდეგ კი თვითონ იწყებს „სიმართლის“ ჩხრეკას — „ლაპირინთს მიკვალავს“, ვარაუდებს გამოთქვამს. მაგრამ, თუ მეყანეს ნათქვამის აზრის მიკვლევა მართლა ასე ძალიან სწყურია, მაშინ, საკვირველია, ან „ათას მედასტურეს“ რაზე აცივდება ან თვითონ რაზე იწამებს თავს. აյս თვითონვე ამბობს, ეს მეყანე აგერ დგას, ჩემს „მარცხნივ“, „თოხის ტარს დაყრდნობილი“, „შარქალაკარწახებულიო“. პოდა, ვინ უნდა უშლიდეს ხელს, თვითონ ამ მეყანეს რომ კითხოს რაზე თქვი ეს სიტყვა, რა სატკივარმა წამოგაჩივლაო, და ასე გაარკვიოს სიმართლე, მოისვენოს თვითონაც და მოსვენოს ის „ათასი მედასტურეც“. მადლობა ღმერთს, ამ გლეხს ენა არ ჩავარდნია, გული არ გასკდომია, არც უჩინმაჩინის ქული დაუხურავს, რომ მართლა სამარჩიელო და საჩხრეკი გამხდარიყო მისი ნათქვამი. ეს მეყანე ცოცხალი, საღ-საღლამათი დგას ჩვენს წინ და არავითარი „მედასტურე“ და „შუა კაცი“ არ არის ახლა საჭირო იმისათვის, რომ მან თვითონვე გაგვიზიაროს თავისი ფიქრი.

ახლა ვნახოთ ლექსი „გვიანი სტუმარი“:

ეს — ვისი ბაგე
 ჩურჩულებს ბწერში?
 ვინ იყო დღემდე
 მარტოობის ერთგული მონა?
 კარზე უეცრად მოყივნებულს
 მასპინძლად შევრჩი —
 და ახლა თვალით
 ერთშანეთს გზომავთ.

დათმობის წუთებს
 არ ვუნთებთ სანთლებს,
 ჩვენ შორის ერთ-ერთს
 ვარდის ნაცვლად ეკლით მორთავენ,
 ვისაც ეს კაცი ეაჭება,
 მეც მისი მმართებს
 და თუ წყალობას გაიმეტებს, —
 გვიხსნის ორთავეს.

პირველი კითხვა, რომლითაც ლექსი იწყება, ბუნებრივია და გასაგები. ოთახში მყოფ პოეტს გარედან ჩურჩული მოესმა და ამით შემცბარ-დაფიქრებული კითხულობს — ნეტავ ვინ ჩურჩულებს იქ, ამ ბნელაშით. მაგრამ არაბუნებრივი და გაუგებარია, რატომ კითხულობს იგი იმასაც — „გინ იყო ღლებდე მარტობის ერთგული მონაო“. საიდან მოიტანა პოეტმა, რომ ის, ვინც ახლა გარეთ ჩურჩულებდა, ე. ი. ჯერჯერობით მისთვის სრულიად უცნობი ვიღაც, „მარტობის მონა“ იყო, თანაც „ერთგული“ მონა? განა ბნელ ღამეში გარეთ ყოფნა მაინცდამაინც იმას ნიშნავს, რომ კაცი „მარტობაში“ იმყოფება? ეს კითხვა სრულიად უალაგო, შეუსაბამოა ახლა და, ცხადია, მხოლოდ იმისთვის გაჩნდა ტექსტში, რომ უბრალო ამბავი გაართოლოს, ნისლში გაპხვიოს, მომენტის დრამატიზმი გააძლიეროს. „ჩვენს შორის ერთ-ერთს ვარდის ნაცვლად ეკლით მორთავენ“, — ამბობს შემდეგ პოეტი. რატომ „ერთ-ერთს“? თუ მის წინ „მოყინებული“, ე. ი. საქვეყნოდ შერცხვენილი, თავ-მოჭრილი, სახელგატეხილი კაცი დგას, მაშინ ბუნებრივი იქნება, რომ სწორედ ის მორთონ „ვარდის ნაცვლად ეკლით“ და გაუგებარია, რატომ ქმნის პოეტი ამნაირ გამოცანას. „ვისაც ეს კაცი ეაჯება, მეც მისი მმართებს“, — განაგრძობს პოეტი და კვლავ საგონებელში გვაგდებს. ეს-ესაა იმას გვეუბნებოდა, პირისპირ ვდგავართ, ერთმანეთს თვალით ვწომავთ და „დათმობის წუთებს არ ვუნობთ სანთლებსო“, ე. ი. არც მე ვაპირებ შინ შემოშვებას და არც ის ფიქრობს უკან გაბრუნებასო. როცა ასეთ რამეს ამბობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა და ახლა რაღაც მოხდება, რაღაც ამბავი დატრიალდება. მაგრამ ლექსში არაფერი ხდება. პოეტი თვითონვე ივიწყებს ამ სიტუაციას და მისი განვითარების ნაცვლად გამოცანას გვთაჭაზობს — გვიცხადებს, ეს კაცი ვიღაცას ეაჯებაო, ე. ი. რაღაცას სთხოვს, ემუდარებაო თუ ეს მართლა ასეა, მაშინ სრულიად გაუგებარია, რისთვის მოვიდა ეს კაცი პოეტთან და, საერთოდაც, რა საჭირო იყო ეს დრამატიზებული „გვიანი სტუმრობა“. ასე გვიან, ბნელ ღამეში რომ ვინმესთან სტუმრად მივიდეს კაცი, მით უფრო, საქვეყნოდ შერცხვენილი, სახელგატეხილი კაცი, მას რაღაც სერიოზული საბაზუნდა ჰქონდეს ამისათვის. ამ კაცს ეი თურმე პოეტთან მოსასვლე-

ლი არაფერი სჭირს, მას სულ სხვა ვინმესთან ჰქონია რაღაც სათხოვარი, ამას კი აქ მოუსვლელადაც მშვენივრად გააკეთებდა.

სირთულე პოეტის სულიერი თვისებების ბუნებრივი ერთობლიობა, მისი პიროვნული ბუნების გამოვლინება უნდა იყოს და არა მოღის აყოლა, რიგიდან გამორჩევის სურვილი და სხვა მისთანა მოტივებით ნაკარნახევი თავისებურება. და როცა ამ თვალით შევხედავთ ზაალ ებანოიძის პოეზიას, თავისთვავად ჩნდება ვარაუდი, რომ მისი ლექსის სირთულე, უპირველეს ყოვლისა, ავტორის მცდარი შემოქმედებითი პოზიციის, თვალსაზრისის, შეხედულების გამოვლინება და არა მისი სულიერი თვისებების, პიროვნული ბუნებისა. „სირთულე“ მისი ლექსის წინასწარ დაპროგრამებული ნიშანი ჩანს და არა თვითონ სათქმელის ბუნებრივი გამოვლინება. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მისი ლექსების მყითხველზე ბევრად უფრო დიდ „შთაბეჭდილებას“ ახდენს თვითონ პოეტის მეტყველების სტილი, საუბრის კილო, ვიღრე თვითონ ის ფიქრი და განცდა, რასაც იგი გამოხატავს.

აქედანვე უნდა მომდინარეობდეს მის ლექსებში ამდენი „ამაღლებული“, „კეთილშობილი“, „დახვეწილი“ ფერადი ფრაზები და სიტყვები და, განსაკუთრებით, ცისა და ყოველივე ციურის პირდაპირ ფანატიკური კულტი.

ცა, მიუხედავად მეცნიერების საზღაპრო წარმატებებისა, კაცობრიობისათვის მაინც საიდუმლოთა საიდუმლო დარჩა და, როგორც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა, გონების თვალით მისი განვირეტის წყურვილი, „გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰოდა არც არა“, კაცობრიობის, ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და მარადიული საკითხავი და საწუხარია. ასე რომ, სულაც არ არის უჩვეულო ამ მარადული საფიქრალით პოეტის დაინტერესება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზაალ ებანოიძე გონების თვალით მის განვირეტას, ამ საიდუმლოში, ამ „ბნელში“ გარკვევას კი არ ცდილობს, ე. ი. მაძიებელი კი არ არის, არამედ მხოლოდ ლაპარაკობს ამაზე, ლექსიდან ლექსში იმეორებს, რომ საყარო ამოუხსნელია ჩვენთვის, ბნელია და ა. შ. „საითაც უნდა გიჩედო, სივრცეა მხოლოდ, შემოსაზღვრული გამჭვირვალე და მჩატე კედლით. იმ კედლის იქეთ? — არ ისვენებს ფიქრის ფრინველი, მზეგადასულთა სანხებია თუ შეტ-

ბორილი სიბნელის ხახა?! ეს არის ახლა შეკითხვათა შესაკრებელი და ნაღვერდალი ხელისგულზე ანთებულ ცეცხლის „(მიწა ნუთუ ერთადერთი ლურჯი რვეული“); „ხანდახან სარქმელს გამოაღებ და სიბნელიდან სიბნელეში გამოიხედავ. რას იცოხნება შავი ლამე? რა დაინახოს ძეხორციელმა ვარსკვლავების ჭუჭრუტანიდან?“ („ფიქტო“); „ცა — ლმობიერი თითბრის ზარი, ვინ ჩამორეკოს და თქვას: — აი, პასუხი! ვისი ბაგიდან გამოიცრას ცივი სიმართლე?! („თუ გსურს გადარჩეს...“), — აი, ასეთი ტრივიალური, სხვადასხვა ვარიაციით გამორჩებული, რიტორიკული „ძნელი“ კითხვები შეადგენს მისი ბევრი ლექსის მთავარ შინაარსს, უმთავრეს სათქმელს.

მაგრამ ცასთან პოეტის ურთიერთობის გასათვალისწინებლად ჩვენთვის ახლა ბევრად უფრო საინტერესოა მისივე ავტოპორტრეტი, რომელიც გამორჩეული ყურადღებითა და რუდუნებითა დახატული და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილებად რჩება მისი ლექსის მკითხველს.

ზაალ ებანოძე ლექსიდან ლექსში იმეორებს, რომ „სულით და ხორცით“ მეოცნებეა, ოცნებას და ფიქრს მინდობილი კაცია, რომ თვალი და ყური „შელერილი“ აქვს ცისკენ და განუშორებლად ახლავს „შორეთზე წუხილი“. პოეტი ღიღი მოწადინებით ცდილობს ჩაგვაგონოს, რომ ცხოვრება მისთვის არის „ყოველდღიური წვრილ-მანებით დატვირთული ქაოსი“, „ყოველდღიურ ცდუნებათა წამების გროვა“, ხოლო თვითონ „წუთისოფლის ტვირთით დაოსილი“ კაცი, „ამქვეყნიურ ზნის და ჩვეულების მსხვერბლი“. „ჩემი ბინა“, ამბობს იგი, ცაში მწამს, ვარსკვლავების მაღლა, ჩემი ნეტარება აქ ყოფნაა და სულაც იქ დავსახლდებოდი მაგრამ, ვაი, რომ არ შემძლია ეს და იძულებული ვარ ჩემდაუნებურად, ჩემი სურვილისდა საწინააღმდეგოდ აქ დავრჩე, ამ „ქაოსში“ ვიტრიალო.

ლირიკულ ლექსებში სხვადასხვა ვარიაციით ხორცშესხმულ ამ ავტოპორტრეტს ზაალ ებანოძე უფრო სრულად და მკაფიოდ ხატავს პოემაში „თეთრი წყვდიადი“. იგი ნაღვლიანი ირონიით მი-მართავს საკუთარ თავს — „რას გადატირი ამ სიმაღლიდან“ და სინანულით განაგრძობს — „გინდა თუ არა“ მაინც „უნდა ჩაყვა ყოველდღიური წვრილმანების მდორე მდინარეს“, „საითაც უნდა გაგექცეს თვალი“, ბოლოს მაინც ოვისკენ მიგაბრუნებს, მაინც „დაგადგამს ქედზე“ თავის მძიმე უღელსო. ეს უღელი, მისი ყო-

ველი შეხება ტკივილით ავსებს მას და საოცნებოდა აქებს, როგორმე დააღწიოს თავი ამ სატანჯველს, დროებით მაინც დასახლდეს თავისი „ოცნებისა და ფიქტის“ ქვეყანაში. გატანჯული პოეტი საშველს მხოლოდ მაშინ ჰპოვებს, როცა მარტო დარჩება და „საღამურ ნიავს“ მიუშვერს შუბლს. აი, მაშინ დევბა მისთვის სანეტარო ყამი — გამოჩნდება მოვარე, მისი „შორებელი დობილი“ და მთელი ღამე, „ოცნებას და ფიქტს მინდობილი“, საიდან სად არ დადის, რა გზას არ თელავს. მაგრამ ეს ნეტარება ხანმოკლე და წარმავალია: მოვა „ცისქარი“ და იგი უკვე „ცრემლის ტბაში იბანს ხელებს“, რადგან კვლავ „წვრილმანების მორევს“ უნდა დაუბრუნდეს, კვლავ მისი უღელი უნდა დაიდგას. თუმცა, პოეტის მოუსვენარ გონებას ამ „წვრილმანებისგან“ თავდასალწევი სხვა სახსარიც მოუძებნა. „ჭრელია ქუჩა, განსხვავებას თვალდათვალ უმშერ, ტკივილი ტკივილს ემატება და როცა გულზე როგორმე გინდა აიშორო ახალი დამრა, — ისევ ბავშვობა, ფიქრში უნდა შეუყვე აღმართს“, — წერს იგი და ჩევნთვის გასაგებია, რისი თქმაც სურდა: მას თურმე შთაგონება, რაღაც მნიშვნელოვანის გამოხატვის წყურვილი კი არ ახსენებს ბავშვობას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის სურვილი, რომ ცხოვრებისგან მიყენებულ ტკივილებს გაექცეს. „ახალი დამრა“ აიშოროს და მისთვის სანეტარო „ოცნებების“ ქვეყანაში — ცაში გადასახლდეს. პოემაში იგი კიდევ ერთი შტრიჩითაც ამდიღრებს ამ ავტოპორტრეტს, გვეუბნება — „წარსული მაინც წარსულია, სხეული მისი თანდათანობით იფარება ფაფუკი ნისლითო“ და, რაკი საერთოდ ძალიან იზიდავს ყოველგვარი ნისლი, ბურუსი, წყვდიალი, წევარამი და შისთანები, ეტყობა, წარსულშიც და, ალბათ ბუნების წიაღშიც იმავე მოტივის კარნახით დამოგზაურობს, რა მოტივიც ბავშვობაში გადასახლებს ხოლმე.

ავტოპორტრეტი, რა თქმა უნდა, მეაფიო და მეტყველია, მაგრამ ავტორი მაინც არ კმაყოფილდება და, თავისი ხატი რომ მთლად სრულყოს, ბოლო ხანებში დაწერილი ერთი უსათაურო ლექსით გვირვვინსაც ადგამს მას. აი ისიც: „შენს კალთაში მეგულება, ზველფერი მე რაც მინდა; გახლდეს ჩემი ერთგულება — პირჯვარი და მზერა წმინდა. ეს მინდორიც — ფეროვანი, შენს ცრემლზეა ამოსული; მეფის, მონის, ხელოვანის შენ გეკუთვნის, ცაო, სული. სულის კოკას რახან ავსებ — სამყაროთა იგავი ხარ, შეციე-

ბულ ნაზამთრალზე ხელში დროშად მიკავიხარ“. როგორც ვხედავთ, პოეტი აქ მისთვის უჩვეულო სინათლით ვვეუბნება, რომ „ცის კალთში“ ეგულება „ყველაფერი, რაც მას უნდა“, რომ ცა მისი „სულის კოკას“ ავსებს, რომ ის არის მისი „პირჯვარი და მზერა წმინდა“, მისი „დროშა“.

თუ ზაალ ებანოძის ამ ავტოპორტრეტს სიმართლედ ვიჩრწმუნებთ, მაშინ, გვინდა თუ არა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცხოვრება მაინცდამაინც არ უნდა ოლელვებდეს პოეტს, რომ მისთვის სულერთი უნდა იყოს, როგორ მიედინება, ჩქეფს და ხმაურობს ცხოვრების მდინარე, რა უჭირს და ულხის ქვეყანას, რა აღელვებთ, აფიქრებთ, აღონებთ და ახარებთ ადამიანებს. მაგრამ ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებთ. მისი ბევრი ლექსი იმას გვეუბნება, რომ პოეტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ცხოვრებით სუნთქვას, რომ ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ხატვა მისთვის არც სატანჯველია და არც ძალით თავს მოხვეული საქმიანობა. ამას განსაკუთრებით ცხადად გვაგრძენობინებს მისი ახალი პოემა, რომელსაც, საერთოდ, წარმატებად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ აქ არის არა ერთი და ორი ეპიზოდი, სურათი, ფრაგმენტი, რომელშიც წრფელი სიყვარულით და პოეტური განცდითაა დახატული მშრომელი კაცი, მისი საწუხარი და საფიქრალი. ამრიგად, ისლა დაგვრჩენია, დიდად არაფრად ვიწამოთ ეს ავტოპორტრეტი და ვიფიქროთ, რომ ის არის მხოლოდ ნიღაბი, ცრუ ესთეტიზმის თარგზე გამოჭრილი ნიღაბი, რომელმაც, ავტორის რწმენით, სიმაღლე და სინატიფე, ზეციერება, სულიერება უნდა მიანიჭოს მის ლექსებს, მის პოეზიას.

როცა ასეთი საეჭვო ღირებულების ქმნილებები ნატიფი პოეზიის პრეტენზიით იბეჭდება კრებულიდან კრებულში, წიგნიდან წიგნში, ამასთან, იბეჭდება პოეტის, მე ამას ხაზგასმით და გარკვევით ვამბობ, პოეტის და არა პოეზიაში შემთხვევით მოხვედრილა კაცის წიგნებში, ეს უკვე საგანგაშოა და ღიალაც გვმართებს ზარის შემოკვრა.

* * *

ჩვენთვის საინტერესო „სიახლეთა“ ოვალსაზრისით ძალიან საგულისხმოა ნოდარ ადეიშვილის ბოლო პოეტური კრებული — 1984 წელს გამოცემული „შეგხედავ, გამიხარდება“.

ლექსების პირველი წიგნი „შენ დამრჩი საფერებელი“ ნოდარ ადეიშვილმა გამოსცა 1973 წელს. ამ წიგნს შემდეგ მოჰყვა პოეტის მორიგი კრებულები: „თოვლის სინათლე“ (1976 წ.) „ღამის ცა“ (1977), „შენს სიყვარულში“ (1979), „მთვარის გზები“ (1981) და „სარკის ნატეხები“ (1983).

ამ კრებულის — „სარკის ნატეხების“ ანოტაცია გვეუბნება, რომ იგი „შეიცსო წინა ხუთი წიგნიდან ამოკრებილი ლექსებით“. მართალია, წინა კრებულებიდან ამოკრებილი ლექსებით არც პოეტის აღრინდელი წიგნებია ღარიბი, ახალი მხოლოდ მცირე ნაწილია ამ წიგნებში, მაგრამ 1983 წლის კრებული მაინც უნდა გამოვარჩიოთ. იგი პოეტის პირველი წიგნის გამოსვლის ათი წლისთავზეა გამოცემული და ასე თუ ისე აჯამებს მისი შემოქმედების ათწლეულს, გავლილი გზის ამ პირველ მონაკვეთს და მეტ-ნაკლებად სრულად აღგვიდგენს ამ გზის სურათს.

და აი, ასეთი, შეიძლება ითქვას, მისთვის საეტაპო, სანიშან-სვეტო კრებულის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, 1984 წელს ნოდარ ადეიშვილი აქვეყნებს ლექსების კიდევ ერთ, სათვალავით მეშვიდე წიგნს. ბუნებრივია, თუ ამ წიგნში ახალ ლექსებთან შეხვედრის ველოდით და ვფიქრობდით, რომ პოეტი ახალ სათქმელს გვეტყოდა, ახალ სივრცეს დაგვანახებდა. მკითხველი რომ სწორედ ამ მოლოდინით შეხვდებოდა მის ამ ახალ წიგნს, ამას, ეტყობა, თვითონ აეტორიც გრძნობდა. აი, რას გვეუბნება იგი კრებულის წინათქმაში: „გამიგონია, ყოველი მცირე ზომის ლექსი ერთ ან ორ გამორჩეულ სტრიქონს ეფუძნება, რომელიც, როგორც ამბობენ პოეტს ჭრიდან აქვს ჩამოტანილი. — ჭრიდან თუ ციდან ჩამოტანილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცოტა გამორჩეული სტრიქონი-სათვის მეც ხშირად მიძებნია უკეთესი — უფრო სწორად, თავისი ადგილი. ამის გამო ზოგიერთი სტრიქონი ლექსიდან ლექსში გადასულა, რამდენიმე მათგანს, ალბათ, ამ კრებულშიც წააწყდება დაკვირვებული მკითხველი. წიგნში სამშობლოსათვის გამრკე და მისი ერთგული ადამიანების ტკივილებისა და სიხარულის გამოხატვას ვცდილობდი“.

დაკვირვებული მკითხველი ამ კრებულში, ალბათ, ზოგიერთ ნაცნობ სტრიქონს წააწყდებათ — ნაცნობ ლექსებს კი არა, მხოლოდ ზოგიერთ ნაცნობ სტრიქონს, — აი, რას გვპირდება ვეტო-

რი. მაგრამ კრებულის გაცნობა სრულიად აქარწყლებს ჩვენს მოლოდინსაც და აჭტორის ამ დაპირებასაც.

როგორც ვთქვით, წიგნის სახელწოდებაა „შეგხედავ, გამიხარდება“. ამ ფრაზას კი ჩვენ უკვე ვიცნობთ. პოეტის ლექსების პირველ წიგნში, 63-ე გვერდზე, დაბეჭდილია ლექსი, რომლის სათაურია „შენ დამრჩი საფერებელი“:

შენ დამრჩი საფერებელი,
სხვა ყველაფერი მოთავდა,
აწი ვერ დაგდებ სასწორზე
გასამეტ-გასაყოფადა.

არ მინდა კოშკი ბროლისა —
ხის ქვეშ დავრჩები, შენს ახლოს.

შეგხედავ,
გამიხარდება,
ჩემო ცაო და ვენახო!

როგორც ვხედავთ, „შეგხედავ, გამიხარდება“ ამ ახალგაზრდობისდროინდელი ლექსის სტრიქონია. მაგრამ, 1984 წლის კრებულს რომ გადავთვურცლავთ, ვნახავთ, რომ ეს ფრაზა თურმე მარტო იმისთვის არ გამოუყენებია პოეტს რომ სახელი შეერქვა ამ „ახალი“ წიგნისთვის, იგი აქ დაბეჭდილი ერთი „ახალი“ ლექსის სათაურიც ყოფილა. აი ეს ლექსიც კრებულის მე-14 გვერდზე:

როგორც კი სიყრმეს გამოვცდი
და მოვადექი სიბერეს,
მეც მოვიძიე ფანდური
და ზედ ეს ლექსი ვიღერე:

შენ დამრჩი საფერებელი,
სხვა ყველაფერი მოთავდა,
აწი ვერ დაგდებ სასწორზე
გასამეტ-გასაყოფადა.

არ მინდა კოშკი ბროლისა,
ხის ქვეშ ვიქნები, შენს ახლოს,
შეგხედავ,

გამიხარდება,
 ჩემთ ცაო და ვენახო.

ამრიგად, ავტორი კი გვარშმუნებდა, ამ წიგნში მხოლოდ ზოგიერთ ნაცნობ სტრიქონს წაწყდებითო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჩვენ ნაცნობ სტრიქონსაც წავაწყდით უკვე და ნაცნობ ლექსისაც; რადგან ეს არის იგივე ლექსი, რომელიც ჯერ კიდევ პოეტის პირველ კრებულში, შემდეგ კი 1979 წლის კრებულში იყო დაბეჭდილი, ოღონდ ახლა მას დამატებული აქვს ერთი სტროფი და შეცვლილი აქვს სათაური.

ეს ლექსი გამონაკლისი არაა ამ წიგნში. მთელი კრებული თითქმის სულ ძველი ლექსებითაა შევსებული, ყველა მათგანი ნაცნობია ჩვენთვის.

მაგრამ კრებულში დაბეჭდილი ლექსების დიდზე დიდი უმრავ-ლესობის „სიახლეს“ მაინც სულ სხვა რამ განაპირობებს. იმის საჩვენებლად, თუ რა არის ეს „სულ სხვა რამ“, ვნახოთ ერთი მაგალითი, რომელიც ტიპიური, საერთოდ დამახასიათებელია პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიისათვის: ძირითადად ასე „იწერება“ მისი სულ „ახალი“ და „ახალი“ ლექსები და მზადდება გამოსაცემად „ახალი“ და „ახალი“ კრებულები.

1976 წლის კრებულში (გვ. 27), ე. ი. ლექსების მეორე წიგნში, დაბეჭდილია ლექსი „ერთგულება“:

ისევ ვავედრებ შენს თავს ზეციერს,
 ისევ მიუვარსარ, ისევ მჟირდები...
 და ნათლით სავსე ჩემს ეკლესიებს
 ფრთებს აზომებენ თეთრი ჩიტები.

ჩემი დღეები ასე მიდიან,
 — მინდი! — ჰყვირიან და მიაქვთ მინდი.
 გაჩენის დღიდან ბეჭვზე ჰყიდია
 ცოტა სინათლე და ცოტა ბინდი.

თუ რამ გამაჩნდა, შენ ერთს შეგწირე,
 თუ რამ მექნება, შენ ერთს გპირდები...
 და ფრთებით სავსე ჩემს ეკლესიებს
 ფრთებს აზომებენ თეთრი ჩიტები.

ამავე, 1976 წლის კრებულში (გვ. 28) დაბეჭდილია მეორე ლექსი „ლურჯი სამეფო“:

სანდახან ვფაქრობ: რა ბედი მერგო,
 მტრივაც და მაინც შენსკენ ვიჩქარი.
 რა შორს ყოფილა ლურჯი სამეფო,
 რა შორს ყოფილა ჩემი ცისკარი.

მაგრამ ჯერ რეკაგს ძველი სამრეკლო
 და უძლებს ქარებს გულის ფიცარი.

როცა ეს ორი ლექსი უკვე გავიხსენეთ, ახლა გადავშალოთ პოეტის ლექსების სათვალავით მეოთხე წიგნი, 1979 წელს გამოცემული კრებული და მეცხრამეტე გვერდზე წავიყითხოთ მისი „ახალი“ უსათაურო ლექსი „ხანდახან ვფაქრობ“:

ხანდახან ვფიქრობ რა ბედი მერგო, —
 ამდენი მაინც რა მეღო ვალი,
 რომ ვერ გაგაძლე შენი სამსხვერპლო,
 რომ ვერ წაგშალე მომხვდურის კვალი.

ჩემი დღეები ასე მიღიან,
 — მინდი! ჰყავირიან და მიაქვთ მინდი...
 გაჩერის დღიდან ბეჭვზე ჰკიდია
 ცოტა სინათლე და ცოტა ბინდი.

ამრიგად, პოეტის ამ „ახალ“ კრებულში დაბეჭდილი ეს „ახალი“ ლექსი გაკეთებულია 1976 წლის კრებულში დაბეჭდილი ორი სხვადასხვა ლექსიდან ამოღებული სტრიქონებით.

ასეთ მეტამორფოზებს განიცდის პოეტის უკვე დაბეჭდილი ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა კრებულიდან კრებულში; ასე დამოგზაურობენ მისი ცალკეული სახეები, ფრაზები, სტრიქონები, სტროფები ლექსიდან ლექსში, კრებულიდან კრებულში; ასე იჩეკება სხვადასხვა ლექსებიდან ამოკრებილი სტრიქონებისა და სტროფებისაგან სხვა „ახალი“ ლექსები, ამ „ახლებისგან“ კიდევ სხვა „ახლები“ და ა. შ.

პოეტის თითქმის ყველა ლექსი კრებულიდან კრებულში ან უსათუოდ ახალი მორთულობა აქვს, ან სახის იერი აქვს შეცვლილი, როგორც პლასტიკური ოპერაციის შემდეგ, ან სულაც დახლეჩილ-

დანაწევრებული, დაჭრილ-დაკეპილია და შემდეგ ქვლავ ახლად მიწებებულ-მოწებებული, გამთელებული.

ლექსის შექმნა, როგორც ამბობენ და როგორც თვითონ ნოდარ ადეიშვილმაც გადაკვრით შეგვახსენა თავისი ამ ბოლო კრებულის წინათქმაში, მძიმე, რთული, ტანჯვითა და სიამით სავსე შემოქმედებითი პროცესია. მაგრამ, მისი არ იყოს, მეც გამიგონია, ჩომ პოეტები, ჩვეულებრივ, როგორც წესი მხოლოდ მას მერე უშვებენ ლექსს მზის სინათლეზე, მერე ბეჭდავენ მას, როცა ამ სატანჯველს გამოივლიან და როცა ყოველმხრივ გამართავენ, გამოჩალ-ენ, სრულყოფენ თავის ქმნილებას.

რა თქმა უნდა, არც უკვე დაბეჭდილი ლექსის სრულყოფა თუ გადამუშავებაა უჩვეულო და გაუგონარი. გარკვეული ღროის შემდეგ, შორიდან უკეთ ჩანს ცალკეული ხარვეზები თუ ჩრდილები და, ბუნებრივია, პოეტი კვლავ მიუბრუნდეს თავის ნაწარმოებს, დახვეწოს და სრულყოს იგი; ისიც გასაგებია, რომ პოეტს კვლავაც აწვალებდეს ძველი თემა თუ მოტივი და არ ტოვებდეს ადრე თქმულის უფრო სრულყოფილად გამოხატვის სურვილი; დაბოლოს, ხდება ისედაც, რომ თავისი ადრინდელი ლექსი ან მისი რომელიმე სტრიქონი მოულოდნელ შუქში გაუნათდება და სრულიად ახალ სათქმელს შთააგონებს. მაგრამ ეს ყველაფერი, უკვე დაბეჭდილის გასწორება, გადაკეთება თუ ახლად დაწერა, გაცილებით უფრო იშვიათია და, როგორც წესი, მხოლოდ ცალკეული ლექსების ან ლექსების გარკვეული რიგის წილ-ხვედრია, და არა განურჩევლად თითქმის ყველაფრისა, რაც პოეტს გამოუმზეურებია... ყოველ შემთხვევაში, ჯერ არსად გამიგონია, რომ რომელიმე პოეტი წიგნად გამოცემულ ლექსთა კრებულებსაც ისევე თამამად და დაუნდობლად „ამუშავებდეს“, როგორც თავის საწერ მაგიდაზე გაშლილ ხელნაწერებს, შავ პირებს, ესკიზებს, თავდაპირველ მონა-ხაზებსა და ვარიანტებს, რომ პოეტი თითქმის ყოველ ადრინდელ ლექსს ყოველ მომდევნო კრებულში უსათუოდ ახალი ვარიანტით ან სულაც გადაკეთებულს ბეჭდავდეს; რომ პოეტი ახალ ლექსებს, უპირატესად, ძირითადად, საკუთარი დაბეჭდილი ლექსების ცალკეული სტროფებისა და სტრიქონების ხელახლი კომბინირებით „ადგენდეს“.

ნოდარ ადეიშვილი კი, როგორც ვნახეთ, სწორედ ასე იქეთებს.



მას „შვიათად აქვს ისეთი ლექსი, რომელიც ორჯერ, სამჯერ არ იყოს დაბეჭდილი მის კრებულებში და ასევე ორჯერ, სამჯერ არ იყოს გადამუშავებულ-გადმომუშავებულა, გადაკეთებულ-გადმოკეთებული, გადამლერებულ-გადმომლერებული.

ამას კი ვამზობთ, მაგრამ, ბოლს და ბოლოს, კაცმა რომ თქვას, ჩვენი უპირველესი საკითხავი და საჩერეფ-სარკვეჭი მაინც პოეტის შრომა-გარჯის პროცესი კი არა, ამ შრომა-გარჯის ნაყოფი—თვითონ ლექსი, მისი სრულყოფილება და სრულქმნილება უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მკითხველს ჯერ მაინც ლექსი აინტერესებს და არა ის, როდის და რა გზით იქმნებოდა იგი. ასე რომ, დროა ვნახოთ, რას იმკის პოეტი ადრე დაბეჭდილი ლექსების ამდენი გადაკეთება-გადამუშავებით, ძველი ლექსების „ნერევითა“ და დარჩენილი ძველი სამშენებლო მასალისგან, ძველი ბლოკებისა და კონსტრუქციული ელემენტებისგან, „ახალი“ ლექსების შენებით.

დავიწყოთ ლექსით, რომელიც საუბრის დასაწყისში დავიმოწმეთ და რომელსაც პირველ კრებულში სათაურად ჰქონდა „შენ დამრჩი საფერებელი“, ხოლო ბოლო კრებულში ახალი სათაური აქვს — „შეგხედავ, გამიხარდება“. როგორც ვნახოთ, ამ ლექსის თავდაპირველ ტექსტს 1984 წლის კრებულში დამატებული აქვს ერთი სტროფი: „როგორც კი სიყრმეს გამოვცდი და მოვადექი სიბერეს, მეც მოვიძიე ფანდური და ზედ ეს ლექსი ვიმღერე“, — შემდეგ კი მოსდევს თავდაპირველი ტექსტი. მოიგო თუ არა ამ სტროფის დართვით ლექსმა? ვფიქრობ, რომ არა. ეს ინფორმაცია მხოლოდ ზღუდავს ლექსის სარბიელს, უფრო ვიწრო სადინარს უჩენს განცდას, შინაარსობრივად აღარიბებს ნაწარმოებს. საერთოდ კი ასეთი „განმარტებებით“ ლირიკული ლექსის დაწყება, მისთვის ასეთი „შესავალის“ გაკეთება პრიმიტიული კომპოზიციური ხერხია და, ცხადია ამ საქმეში დაოსტატების ნიშნად არ გამოღება. თანაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს „შესავალი“ ზედმეტიც ჩანს ლექსის სხეულზე. თავდაპირველი ვარიანტი ბევრად უფრო მწყობრი, მთლიანი და დინამიური იყო. გარდა ამისა, ეს სტროფი არცთუ ისე ესადაგება ავტორის პოეტურ სტილისტიკას: ნ. აღერიშვილი არ არის ის პოეტი, ფანდური რომ უჭირავს და ზედ ამღერებს თავის ლექსებს. დაბოლოს; სათვალავში ჩასაგდებია ისიც, რომ მკითხველს შეიძლება სიყალბედაც მოეჩვენოს ლექსში გაჩენილი ეს „სი-

ახლე“, რადგან მან კარგად იცის, რომ პოეტმა ჯერ კიდევ სიჭაბუ-
კეშივი „იმღერა“ ეს ლექსი და არა მაშინ, როცა სიბერეს მოადგა.

1981 წლის კრებულში (გვ. 74) დაბეჭდილია ლექსი „სულ
თქვენ ყოფილხართ“:

ნეტავ პირველმა ვინ თქვა · მამული,
ვინ შემაჩერა ბნელს უსანათლოდ...
წვიმის სიმიგით გულზე გაბმული
ვინ მოიგონა ეს საქართველო...

ბზიფონ, ენგურო, რიონი, მტკვარო,
ჩემო უიღბლო სახლო და კარო, —
ამ სიბერის უას უფრო გამოჩნდით,
ამ ყიამეთში უფრო გიცანით...

სულ თქვენ ყოფილხართ, სულ ეს ყოფილა,
აკენის ფიცრიდან კუბოს ფიცრამდი.

პოეტმა ეს ლექსი გადაკეთა, პირველი სტროფი ამოილო,
ბოლოში ახალი სტროფი დაამატა, მეორე სტროფი გაასწორა, ლექსს
ახალი სათაური მისცა — „მიხეილ თამარაშვილი“ — და ასე დაბეჭ-
და 1983 წლის კრებულში (გვ. 94):

ბზიფონ, არაგვი, ენგურო, მტკვარო,
შორს დარჩენილო სახლო და კარო,
ამ თოვლის გზაზე უფრო გამოჩნდით,
ამ ყიამეთში უფრო გიცანით,
სულ თქვენ ყოფილხართ, სულ ეს ყოფილა
აკენის ფიცრიდან კუბოს ფიცრამდი.

დღესაც ამ თალხებს თქვენს გამო ვიცვამ,
ამ ვიღაც მკვდარსაც თქვენს გამო ვტირი...
ჯერ კიდევ ბოლავთ და თვალებს მიწვავთ,

მწარე ხართ, როდის იქნებით ტკბილი?

ეს ერთხელ უკვე გადამუშავებული ლექსი პოეტმა კვლავ გა-
დააკეთა, განაახლა და სულ ერთი წლის შემდეგ, 1984 წლის კრე-

ბულში (გვ. 51) დაბეჭდა მისი ახალი ვარიანტი თითქმის პირვან-
დელი სათაურით — „სულ ეს ყოფილა....“:

მომშივებიხარ მიწის შიმშილით
და ვტირი, ტირილს სულ რომ მიშლიდა...
თურმე რა უცებ შრება მღინარე,
თურმე რა უცებ წყლება ყიფინი...

ჩიტო, ყვავილო, დღეო ფოფინა,
ამ მზის ჩასვლისას უფრო გიცანით,
სულ თქვენ ყოფილხართ,

• • • • •
სულ ეს ყოფილა, —
აკვნის ფიცრიდან კუბოს ფიცრამდი.

ამ ბოლო ვარიანტის პირველი სტროფი წამოღებულია 1976 წელს გამოცემულ კრებულში (გვ. 45) დაბეჭდილი ლექსიდან „გურამ რჩეულიშვილის გახსენება“ („მომშივებიხარ მიწის შიმშილით, და ვტირი, ტირილს სულ რომ მიშლიდა... რა ღრმა ყოფილა შავი ზღვის ფსკერი, როგორ დაფარა გულის ყიუინი“), ხოლო მეორე სტროფი, როგორც ვნედავთ, იგივეა, რაც 1983 წლის ვარიანტის დასაწყისი, ოლონდ კვლავ გადაქეთებული და „დახვეწილი“.

მაგრამ ამდენმა გადაქეთება-გადმოქეთებამ ეს ლექსი ვერც შინაარსობრივად გაამღიდრა და ვერც ფორმით სრულყო. 1983 წლის ვარიანტში, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აშკარად უხეიროა სტრიქონი „ამ ვიღაც მკვდარსაც თქვენს გამო ვტირი“. ამ ფრაზის სტილი და ინტონაცია სრულიად შეუსაბამოა ლექსის ლირიკული გმირი-სათვის; 1984 წლის ვარიანტში კი ლექსის სხეულზე მექანიკურად მიქერებული ჩანს 1976 წლის კრებულიდან წამოღებული სტროფი. ამ სტროფმა ლოგიკურად შეუსაბამო გახადა ლექსის ტექსტი. ფრაზა „მომშივებიხარ მიწის შიმშილით“ იმას ნიშნავს, რომ ლირიკული გმირი შორს იმყოფება რაღაცისგან თუ ვიღაცისგან, ჟერ ხედავს მას, ენატრება მისი ნახვა და, თუ ტირის, ალბათ, სწორედ ამის გამო ტირის. ლექსის მეორე სტროფში კი ეს გმირი სულ სხვა სანალვლელზე გვესაუბრება. „ჩიტო, ყვავილო, დღეო ფოფინა, ამ მზის ჩასვლისას უფრო გიცანით“, — ამბობს აქ იგი, ე. ი. ამბობს, რომ

უცელაფერი, რასაც ახლა ხედავს, რაც მის თვალშინ, მის გარშემოა და რაც ასე ძვირფასია მისთვის, ახლა, „ამ მზის ჩასვლისას“, ანუ სხვანაირად, სიბერეში, სიცოცხლის დასასრულს უცვნია და დაუფასებია უფრო უკეთ, ახლა გამხდარა მისთვის კიდევ უფრო ტკბილი და თუ მას ახლა მართლა აქვს რაიმე სანაღვლელი, ეს მხოლოდ ის იქნება, რომ მალე უნდა დაშორდეს მათ, ვეღარ უნდა იხილოს ისინი. მხოლოდ ამას, მხოლოდ ძვირფას და საყვარელ საგანთან მოახლოებული განშორების სევდას გულისხმობს ლექსის ეს მეორე სტროფი და ორა რაღაც ძვირფასისგან სიშორეს, მის მონატრებას, „მოშივებას“. ნათელია, რომ ამ რამდენჯერმე გადამუშავებული, სხვადასხვა ლექსებისგან „შედგენილი“ „ახალი“ ლექსის პირველი სტროფა სხვა განცდას გამოხატავს და შეორე კიდევ — სხვას, პირველის საპირისპიროს.

1973 წელს გამოცემულ პირველ კრებულში (გვ. 48) დაბეჭდილი ლექსიდან „ძველი სიმღერა“ პოეტმა შემდეგში გააკეთა ორი „ახალი“ ლექსი და შეიტანა 1981 წლის კრებულში. ერთი მათგანის სათაურია „მაინც...“ (გვ. 47):

აღარც ის ბროლის კოშები,
 აღარც ის ფაცხა, მარიამ...
 საითაც უნდა, მიგვაფრენს,
 მაგრამ რა ქარის ბრალია.

ის გოგოც სხვისი ცოლია,
 ის ბიჭიც სხვისი ქმარია...
 მაინც, ღმიღება, თენდება,
 მაინც თენდება, მარიამ.

(მესამე და მეოთხე სტრიქონები წამოღებულია 1977 წლის კრებულში (გვ. 30) დაბეჭდილი ლექსიდან „მაქვს ჩემი ციხე-სიმაგრე“: „მაქვს ჩემი ციხე-სიმაგრე ცაცხის ქვეშ-წნული გალია, დაბერავს ქარი, მიაფრენს, მაგრამ რა ქარის ბრალია“).

ეს ლექსი დაბეჭდილია 1983 წლის კრებულშიც (გვ. 69): იქ შეცვლილია ბოლო ორი სტრიქონი და, როგორც წესი, სათაურიც ამჯერად პოეტს მისთვის „აშ სადღა უნდა გაფრინდე“ დაურქმევია:

ოღარც ის ბროლის კოშკები,
 ოღარც ის ფაცხა, მარამ!
 საითაც უნდა მიგვაფრენს,
 მაგრამ რა ქარის ბრალია.
 ის გოგოც სხვისი ცოლია,
 ის ბიჭიც სხვისი ქმარია,
 გაფრინდეს! ვისკენ გაფრინდეს,
 საწყალი ჭიამაია .

1984 წლის ქრებულში ეს ლექსი კვლავ გადაქეთებულია და
დაბეჭდილია კტლავ ახალი სათაურით — „დარ-ავდარი“ (გვ. 38):

სხვებს რომ პგონიათ, არ თოვს და
 სხვებს რომ პგონიათ, დარია,
 სხვებს რომ პგონიათ, გზა და გზა
 კვლავ ზერებზე საუბარია,

ის გოგოც სხვისი ცოლია,
 ის ბიჭიც სხვისი ქმარია...
 არ იცის, ვისკენ გაფრინდეს,
 საწყალი ჭიამარია.

ვფიქრობ, ამდენი გადაქეთებით პოეტმა საგრძნობლად დააზიანა
 თავისი ლექსი. 1981 წლის ქრებულში იგი ბოლოვდებოდა სტრი-
 ქონებით — „მაინც ღამდება, თენდება, მაინც თენდება, მარიამ“.
 მგონია, ეს დაბოლოება ბევრად უფრო ლოგიკური და ბუნებრივია
 ლექსში გამოხატული განწყობილებისათვის, თანაც შინაარსობრივა-
 დაც უფრო ვრცელი და უფრო საგულისხმო რამის მთქმელია, ვინემ
 ბოლო ორი ვარიანტის „საწყალი ჭიამარია“. ეს უკანასკნელი მხო-
 ლოდ გოგოსა და ბიჭის მოტივს აზოგადებს, პირველი კი გაცილე-
 ბით უფრო ვრცელ მოტივს — ცხოვრების „ქრის“ ემიანება და
 გეცუბნება: ეს „ქარი“, ე. ი. ცხოვრება, მართალია, „საითაც უნდა
 მიგვაფრენს“, მაგრამ მაინც ვერ გვჯაბნის, ვერ გვერევა, რადგან
 რამდენიც უნდა „დალამდეს“, მერე მაინც „თენდება, მაინც თენდე-
 ბაო“.

მთლიად უხეირო მეჩვენება 1984 წლის ვარიანტის პირველი
 სტროფი, რომელმაც, ვთიქრობ, სულ გააფუჭა ეს ლექსი. წინა ვა-
 რიანტებში პირველი სტროფი დასრულებულ აზრს გამოხატავდა და

მეორე სტროფში ახალი წინადაღება იწყებოდა. ახლა კი პირველ სტროფში დაწყებული წინადაღება მეორე სტროფში მთავრდება და ეს წინადაღება გამოხატავს, აი, ასეთ „აზრს“: „...სხვებს რომ ჰელინით გზა და გზა ქვლავ ზვრებზე საუბარია, ის გოგოც სხვისი ცოლია, ის ბიჭიც სხვისი ქმარია“. არ ვიცი, სხვებს როგორ ჰელინით, მაგრამ მე პირადად მგონია, რომ ამ წინადაღებაში აზრი ისევე „მოხდენილად“ არის გამოხატული, როგორადაც ცნობილ ფრაზაში — „ხელი გავიქნიე ფეხი“.

1973 წლის კრებულში (გვ. 12) პოეტს აქვს ლექსი „გარისკა-ცის დღიურიდან“, რომელიც, უკვე უსათაუროდ, შეტანილია 1979 წლის კრებულშიც:

ამ დროს მკერდს უნდა უშვერდე ნიავს,
 აღბათ შენც ასე გსურს და განიცდი.

ო, ახლა მაინც ისეთი დღეა,
 ჭიამაა ხელზე დავისვი.
 და რატომ უნდა მესროლო ტყვია,
 და რატომ უნდა მომჟღა, არ ვიცი!

1981 წლის კრებულში კი (გვ. 53) არის, აი, ეს უსათაურო „ნუ მკითხავ ახლა...“:

ნუ მკითხავ ახლა მოწყენის მიზეზს,
 ნურც იმას — ასე რატომ გინატრე...

მოფენილია მინდვრებზე ისევ
 უვავილის სითბო, თოვლის სინათლე.

1984 წლის კრებულში (გვ. 18) ეს ორი ლექსი გაერთიანებულია. ამ ახალი ლექსის სათაურია „ნუ მკითხავ...“:

ნუ მკითხავ ახლა მოწყენის მიზეზს,
 ნურც იმას — ასე რატომ გინატრე...
 მოფენილია მინდვრებზე ისევ
 უვავილის სითბო, თოვლის სინათლე.

მთლად ჩვენებური დარი და დღეა,
 მთლად ჩვენებური მშე და მაისი
 და რატომ უნდა მესროლონ ტყვაა,
 და რატომ უნდა მომკლან, არ ვაცი.

ორი სხვადასხვა ლექსისგან შედგენილ ამ „ახალ“ ლექსში არ იგრძნობა შინაგანი მთლიანობა და სიმართლე. ლექსის ლირიკულ გმირს, რატომლაც, იმის მოლოდინი აქვს, რომ ტყვია უნდა ესროლონ, უნდა მოკლან. ამ /საწუხარს უზიარებს იგი მისთვის ვიღაც ძვირფას ადამიანს, და ძალიან უცნაური ჩანს, რატომ ემუდარება—ნუ მკითხავ ახლა მოწყენის მიზეზს და ნურც იმას, ასე რატომ გინატრეო: თვითონვე ეუბნება ერთსაც და მეორესაც და იმ ადამიანს საიდან, რატომ გაუჩნდება ამის კითხვის სურვილი. არცა ისაა ამ ლექსიდან გასავები, რატომა აქვს ამ კაცს იმის მოლოდინი, რომ ტყვია უნდა ესროლონ. განა მშობლიური ადგილებიდან შორს მყოფ კაცს უსათუოდ ამის მოლიდინი უნდა გაუჩნდეს? ეს „ტყვია“ მხოლოდ პირველ ვარიანტებში იყო ბუნებრივი, რადგან ამას ჯარისკაცი ამბობდა, ამ ლექსში კი ასეთ მოტივს ახსნა ესაჭიროება. ვთქმირობ, ნათელი უნდა იყოს, რომ ერთი აღრინდელი ლექსის თავი და მეორე აღრინდელი ლექსის ბოლო ამ „ახალ“ კომპოზიციაში მაინც-დაშაინც ვერ ესადაგება ერთიმეორეს.

ახლა ვნახოთ სამ სხვადასხვა ქრებულში დაბეჭდილი სამი „სხვადასხვა“ ლექსი. 1973 წლის კრებულში (გვ. 60) პოეტს აქვს ასეთი უსათაურო „ჰე, მამაჩო...“:

ჰე, მამაჩო, ნუ გაიმტყუნებ,
 თუ ისე ვერ ვარ, როგორც არიან.
 იმ მყუდროებას ფიქრი ვარჩივ
 და გიზის ხელშე ჭიამარია:

არ აფრინდება — ქვეყნად წვიმაა,
 აფრინდება და... ქვეყნად დარია.

::: 1983 წლის კრებულში ლექსმა ტრანსფორმაცია განიცადა და დაბეჭიდილია სათაურით „ჭიამარია“:

მერე რაა, რომ ცა და ბრწყინვაა
 და ყვავილების ნიაღვარია...

ჩემი კარგი დღე მაინც ცირაა
 და მიზის ხელზე ჭიამარია,
 არ აფრინდება — ქვეყნად წვიმაა,
 აფრინდება და ქვეყნად დარია.

1984 წლის ქრებულში, სულ ერთი წლის შემდეგ, ლექსის კი-
 დევ ერთ „ახალ“ ტრანსფორმაციას ვეცნობით. ახლა მისი სათაუ-
 რია „ეს დღეც სასწორის პინაა“:

რა ვქნა — კვლავ სხვები მღეროდნენ,
 მე ისევ ჟენ მოგელოდე...
 სხვებს — სახელის და დიდების,
 მე — ჟენი მოსვლის მჯეროდეს.

ეს დღეც სასწორის პინაა
 სადა ხარ, ჭიამარია,
 არ მოფრინდები — წვიმაა,
 მოფრინდები და — დარია.

ეს „სამი“ ლექსი თითქოს მართლა სხვადასხვა სათქმელს გამო-
 ხატავს: პირველში შემოქმედი ადამიანის ტებილ-მწარე ხედრზეა
 საუბარი, მეორეში — სიყვარულის გრძნობაზე, მესამეში — კვლავ
 შემოქმედების სიძნელებზე, ოღონდ უკვე სხვა ასპექტებზე, მაგ-
 რამ განა ესენი მართლა სხვადასხვა ლექსებია? განა ასეთი მარტი-
 ვი ტრანსფორმაციები, ასეთი კომპოზიციური კლიშეების მიხედვით
 ლექსების „ნაკადური წარმოება“ მართლა შემოქმედების ცეცხლის
 კიდებაა? ან რა ისეთი „ჭერიდან ჩამოტანილი“ ძვირფასი ხატია ეს
 ჭიამარიის ათასჯერ გადამღერებული მოტივი, რომ პოეტი ვერანაი-
 რად ვერ შელევია მას და თავგამოდებით ცდილობს კიდევ და კი-
 დევ თავიდან გადაამღეროს?

ბოლოს გავიხსენოთ კიდევ ერთი „ახალი“ ლექსი 1984 წლის
 ქრებულიდან (გვ. 59) — „შემოდგომის ფოთლები“:

მზე არ აკლია ამ დღეებს თითქოს,
 მაგრამ ცეცხლს მაინც ვეღარ მოვეშვი...
 და ცრემლს ახარბებს
 სტრიქონი სტრიქონს, —
 ჩემი მწუხარე ლექსის კოშკებში...

— ღმერთო!

ღრუბლებმა, ფრთებმა, თელებმა,
სუსელაფერმა ფერი იცვალა...

— ღმერთო!

ტირიან დათვის ბელები,
ტყის ყველა ხილი ჩამოიცალა.

რაღა თქმა უნდა, ამ ლექსისაც თავისი მამა-პაპა ყავს („შემოღ-
გომა“ 1979 წლის კრებულიდან, გვ. 30, და „ზამთრის პირი“ 1983
წლის კრებულიდან, გვ. 47), მაგრამ ამჯერად ეს ბოლო ვარიანტი
უფრო საინტერესო ჩანს და ნუდარ გავიხსენებთ წინაპრებს. ნურც
იმაზე გავაგრძელებთ სიტყვას, მხატვრული გემოგნების თვალსაზ-
რისით რა ფასი შეიძლება დაედოს პოეტის ამ „მშუხარე ლექსის
კოშკებს“. ყურადღება მივაჭიროთ „გამორჩეულ“ სტრიქონს — „და
ცრემლს ახარბებს სტრიქონი სტრიქონს“.

უსაფუძვლო არ უნდა გვიჩვენოს, თუ ვიტყვით, რომ ეს სახე
არის მარტივი პერიფრაზი სახისა, რომელიც პოეტის ერთ აღრინ-
დელ ლექსში გვხვდება. — „ფრთებს ახარბებენ ჩიტები ჩიტებს“;
რომ, თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც ასევე მარტივი მოღიტყიაციაა
სახისა, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ კიდევ ერთ აღ-
რინდელ ლექსში შეგვხვდა — „და ნათლით საესე ჩემს ექლესიებს
ფრთებს აზომებენ თეთრი ჩიტები“. თუმცა, ამ სახის თავგადასავალი
არც ამით მთავრდება: ამ უკანასკნელსაც, თავის მხრივ სხვა წინა-
პარი ჰყავს პოეტის კიდევ ერთ აღრინდელ ლექსში. ეს წინაპარია:
ფრთა დამაზომა ნოემბრის ქარმა“. სწორედ ამ უკანასკნელისგანაა
ნაბარტყი ზემოთ ნახსენები ყველა ხატი.

თავისი ამ ბოლო წიგნის, 1984 წლის კრებულის, წინათქმაში,
როგორც ვნახეთ, ავტორი გვეუბნება, — პოეტს შერიდან თუ ცი-
ჭან აქვს ჩამოტანილი თავისი „გამორჩეული“ სტრიქონები და რა
გასაკვირია, თუ ზოგიერთი მათგანი ლექსიდან ლექსში გადავიდე-
სო. ყველაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ-ორ „გამორჩეულ“ სტრი-
ქონზე, და მათ შორის აქ დასახელებულ სტრიქონებზე, რომლე-
ბიც წლების მანძილზე ასედაც და ისედაც მეორდება მის ლექსებ-
ში, შემიძლია გითხრათ, რომ ის „ჭერია“ თუ „ცა“, საიდანაც პოეტი
„ჩამოტანია“ ისინი, არის გალავტიონ ტაბიე, კერძოდ მისი ცნო.
შილი ლექსი „ატმის ყვავილები“:

და ქართ შეხვდა ატმის ყვავილებს,
ვრცლისფერ ღილებს შეატყო ურეოლა,
ფრთა დაატოლა გაუშლელ ღილებს,
დაწვდა ბილილებს და აათოთოლა.

შემიძლია გითხრათ, აგრეთვე, რომ ისეჭ გალაკტიონია ის „ჰერი“, საიდანაც არის ჩამოტანილი პოეტის ლექსებში რამდენ-ჯერმე გამეორებული სახე — „მოარღვევს ღამეს ცისკრის თაღები“. „მოარღვრევს ხსოვნას შავი ფრინველი“ და სხვ. სწორედ გალაკტიონმა განიცადა და დაწერა პირველმა — „ჰარს მოარღვევს მარადი შემწე — გრგვინვა და ქარი, გრგვინვა და ქარი“, ხოლო ამის შემდეგ იმის თქმას, თუ ვინ რას და როგორ „მოარღვევს“, ვფიქრობ, არ უნდა ჭირდებოდეს „ჰერში“ თუ „ცაში“ მაინცდამა-ინც დიღხანს ხეტიალი.

გალაკტიონის ცნობილი ლექსის „მამული“ კომპოზიციას, რო-გორც ვიცით, აგვირგვინებს შესანიშნავი სტრიქონი — „დავდა-ვარ... ვწუხვარ და მენანება!“ ეს სტრიქონი, გარევეულად სახე-შეცვლილი, ასევე ლექსის კომპოზიციის გვირგვინადაა გადმოტანილი 6. ადეიშვილის ლექსში „ისევ დარია“: — „არ შეიძლება დღეს ვინმეს ვძულდე, — ფიქრობ, მიდიხარ და გიხარია“.

ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს, რომ პოეტი ვერც ამ მთავარ ფრონტზე იმკის მაინცდამაინც დიდ გამარჯვებებს. უმრავლეს შემთხვევაში იგი თითქმის ამაოდ ალევს მთელ ძალს ძველი ლექსების გადამდერებას, გადაკეთება-გადმოკეთებას, განახლება-გასრუ-ობას. და, ბუნებრივია, რომ ამის გამო გამუდმებით ტრიალებს უკვე შექმნილის წრეში, გამუდმებით ამღერებს ერთხელ ნაპოვნ თემებს, მოტივებს, სახეებს და თითქმის აღარ ცდილობს ახალ სივრცეში გაღწევას, თვალსაწირის გაფართოებას.

ამასთან, მრავალთაგან ერთ-ერთი, თვითგანმეორების მხატვ-რული ხერხი, რომელსაც ბევრი პოეტი ზომიერების მახვილი გრძნობით იყენებს, რათა უკეთ გამოხატოს, გამორჩევით დაგვანა-ხოს და დაგვამახსოვროს მთავარი სათქმელი, მთავარი განწყობილება, ჩვენი ავტორის ხელში გადაქცეულია ლამის ერთადერთ მხატ-ვრულ ხერხად, რაღაც აჩემებად, რაღაც უცნაურ აზარტულ ვნე-ბარ. ნოდარ ადეიშვილი ისე მოწადინებით, სიბეჭითთ, დაუინე-

ბით იმეორებს და იმეორებს ერთხელ ნაპოვნ მხატვრულ სახეს, ხატს, ფრაზას, სტროფს, რომ უნებურად იფიქრებ, ატროფირებული ხომ არა აქვს მხატვრული ზომიერების გრძნობათ.

მთლად სავალალო კი მაინც ისაა, რომ პოეტი თითქმის აღარ მიიჩნევს თავს ვალდებულად, რომ ყოველმხრივ მოიაზროს, ჩამოაყალიბოს, დაადუღოს სათქმელი, ყოველმხრივ დახვეწოს, გაასრულოს, სრულყოს ლექსი და მხოლოდ შემდეგ დაბეჭდოს. ამის ნაცვლად, მისი მთავარი საზრუნავი გამხდარა, რაც შეიძლება ჩქარა გამოამზეუროს ჯერ კიდევ ნედლი მონახაზი, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი კომპოზიციები და რაც შეიძლება ჩქარა გამოსცეს სახელდახელოდ მომზადებული სულ „ახალი“ და „ახალი“ პოეტური კრებულები. იმ სამუშაოს, რასაც პოეტები, ჩვეულებრივ, ხელნაწერებში ასრულებენ, ნ. ადეიშვილი, ასევე ჩვეულებრივ, წიგნად გამოცემულ კრებულებში აკეთებს: იგი განურჩევლად, ხელალებით ასწორებს, ამუშავებს, ხელახლა წერს თითქმის ყველა ლექსს, რაც წიგნებში შეუტანია, და, ამრიგად, ლექსების წიგნს მისთვის იგივე ფასი და წონა დასდებია, რაც მისსავე ხელნაწერ ჩვეულებსა და ფურცლებს.

□ □

„მარადი მხმდარი“

□
აკოლოონ ცანავა
□

გამომცემლობა „მერანმა“ 1985 წელს გამოაქვეყნა ჯემალ ქირიას რომანი „მარადი მხედარი“. ეს რომანი აღრე, მცირე შემოკლებით, დაიბეჭდა უზრუნალ „ცისკარში“ (№ 3-8, 1980). ანოტაციაში ნათქვამია: „რომანში დიდი ადგილი უკავია ქოლ-

ხურ მითოსს. წიგნში თანადროული და მითოსური ენაცვლება ერთიმეორეს. იდამიანი ხშირად დგას არჩევნის წინაშე — ზნეობრივი გმირობა, მოძმისთვის თავდადება, სიკეთის გამარჯვება რომანის მამოძრავებელი ღერძია“.

წინასწარ გვინდა ალვანიშნოთ შემდეგი: „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1981 წლის ბოლოსა (№ 46, 47, 48) და 1982 წლის დასაწყისში (№ 4), 70-იანი წლების ქართული პროზის მდგომარეობის თაობაზე, გამოაქვეყნა საანკეტო კითხვები. ერთ-ერთ კითხვაზე პასუხისას (რა ადგილი უჭირავს მითოსს თანამედროვე პროზაში?), დისკუსიის მონაწილეებმა (გ. მერკვილაძე, კ. იმედაშვილი, ჭ. ღვინჯილია, მ. წიკლაური, ლ. ბრეგაძე, გ. გვერდწითელი, გ. გაჩეჩილაძე) დადებით მოვლენად მიიჩნიეს მითის გამოყენება თანამედროვე პროზაში. ამასთან ერთად, გამოითქვა ეჭვიც, რომ მითოსისაკენ ასეთი მასობრივი ლტოლვის დროს შეიძლება ხშირად „პრიმტიულობა შეინიღბოს“. ამას კი კრიტიკამ სათანადო შეფასება უნდა მისცეს.

ჯერ კიდევ პორაციუსმა მიუთითა, რომ მწერალმა შეიძლება ისესხოს მასალა მითოლოგიიდან, ოქმულება-ლეგენდებიდან, სხვა ავტორთა ნაწარმოებებიდან, მაგრამ მთავარია ნასესხები სიუჟეტები რა მიზანდასახულებითაა გამოყენებული, რა ახალი ჩანაფიქრი უდევს მათ საფუძვლად, როგორი მხატვრული საშულებითაა ეს შთანაფიქრი წარმოსახული. „ნაწარმოების წარმატების საწინდარია მისი შემცველი მასალის მხატვრული დამუშავების მაღალი დონე. ეს მასალა შეიძლება ავტორისეული, დამოუკიდებლად მოპოვებული ანდა ნასესხები იყოს. სესხება შეიძლება მითოლოგიიდან, ოქმულება-ლეგენდებიდან, სხვა ავტორთა თხზულებებიდან (ხაზასმა ჩემია ა. ც.).. მწერალმა თუ პოეტმა ძველსა და ცნობილს ახალი შთანაფიქრი უნდა დაუდოს საფუძვლად (პორაციუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო აკ. ურუშაქემ, თბ., 1981, გვ. 11).

დღეს მსოფლიოში ცნობილი ახალი ტიპის, მათ შორის, მაგიური სტრუქტურის რომანების მოდელები ჩქენ თუ ისე გადმოვიდეთ, რომ საკუთარი ახალი სათქმელი, ჩანაფიქრი, თანამედროვე ცხოვრების მწვავე პრობლემები დვრიტად არ დავუდეთ, მკითხველი, რა თქმა უნდა, არ მიიღებს.

ჯემალ ქირიას „მარადი მხედარი“, ჩემის აზრით, საინტერესო ცდაა ქართულ სინამდვილეში მაგიური ტიპის „ახალი რომანის“ შექმნისა. მას საფუძვლად თანამედროვე ცხოვრების მწვავე პრობლემები უდევს. აღრინდელ რომან „ესხირში“ ავტორმა 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის პერიოდის ამბები წარმოგვიდგინა სათანადო მითისური პარალელების გამოყენებით, მაგრამ ეს პარალელები ჩვეულებრივი ასოცირებაა და არ ქმნის მაგიური ტიპის რომანის სტრუქტურას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „მარადა მხედარის“ მკითხველს გარკვეული წარმოლენი უნდა ჰქონდეს კოლხური მითოლოგიის ცალკეულ პერსონაჟებზე (გრაგი, ტყაშმაფა, როკაპი, უნასი და სხვ.). დიდად სამწუხაროა, რომ დღემდე ჩვენ ცალკე წიგნად გამოქვეყნებული არა გვაქვს ქართული მითოლოგიური პერსონაჟების შესახებ არსებული გაღმოცემები (მემორატები და ფაბულატები).

რომანში ეპიგრაფად გამოყენებული სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანიდან“ მოტანილი შეგონება ადამიანის სულის წინააღმდეგ შეთქმული მისი სხეულის ნაწილების (ხელის, ფეხის, თვალის, ყურის, საყნოსელის) თაობაზე — ზედმიწევნით ესადაგება რომანის უარყოფითი გმირების, ძმები ჯუმა და კახა ბედიების ხასიათებს.

„მარად მხედარში“ სამი ძმის — ჯუმა, კახა და მზეჭაბუკ ბედიების განსხვავებული წილხედომილებაა ასახული. ჯუმა კარიერისტია და ამ გზაზე არავის ინდობს. კახა ფულის დამგროვებელია და სხვა ფასეულობა მისთვის არ არსებობს. მზეჭაბუკი სიკეთეს განასახიერებს და მისი ქმედება ასოცირებულია ამირანისა და ჯგრაგის (წმინდა გიორგის) ფუნქციებთან. რომანის შესავალი ნაწილი გვაცნობს ბედიების წინაპართა გამოიებულ საგვარეულო ისტორიას, რომლის ფონზე შემდეგში იკვეთება თანამედროვე სამი ძმის განსხვავებული ხასიათი.

პირველმა ბედიამ გველის წიწილი გადასვა გზიდან ბუჩქებში — „ამასაც დედ-მამა ეყოლებაო“. გამდიდრდა ეს ბედია, ყოველ დღე დიდი ჭყონის ძირას თუმნიანს პოულობდა. ბოლოს ეშმაკი შეუჩნდა, უჩურჩულა: „ნატვრის თვალი ექნება ალბათ იმ უნასს, თორემ საიდან შოულობს ამდენ ფულსო“ (გვ. 3). წავიდა პირველი ბედია

შარით და დიდი ჭყონის ძირას მიწის თხრა დაიწყო. იგი, გველისა-
გან დაგესლილი, მკვდარი იპოვეს მეზობლებმა.

შე-15 თუ მე-20 თაობის ბედის უშობელი დაეკარგა. დიდ-
ხანს ეძება, ბოლოს, ტყეში, მგელზე მჯდომ წოწოლა გუჯმახანს გა-
დაეყარა. მგელი და გუჯმახანი ცეცხლს მიჯდომოდნენ და უშობე-
ლის მწვადებს მიირთმევდნენ, თან საღლევრძელოს ულოცავდნენ ერთმანეთს. მგელმა გუჯმახანს უთხრა: „ადამიანის სუნი მეცა და
კბილის ქავილი ამიტყდაო“. — „ჩემს მეტი ადამიანი აქ ვინ იქ-
ნება, — გაიცინა გუჯმახანმა, შენ თუ ბედიაზე ამბობ, სანამ თა-
ვის ეზოში შევა, სული ამოხდებაო“ (გვ. 5). ეს ბედიაც დაიღუპა.
ოცდამეტეთე ბედია — ბოდლოს მამა, გველების მგეშავი, ენგურში
დაიხრის. ქვრივად დარჩენილმა ჩათუმ „ამოუკვალთავი შავები
ჩაცვა“, ქმარი ვითომ დაიტირა, მაგრამ სოფელში ულმობელი
ჭორი დადიოდა: „ლამე უნახავთ ქვრივი ჩათუ ეწერში, მგელზე
იჯდა თურმე წოწოლა კაცთან და მიჰყიოდა ტაბაკონისაკენ“ (გვ. 6).
ბაჟშვილბერძანეუ კოჭლი ბოდლო (აკვანში ღორმა დაჯიჯვნა, ძლივს
მიუსწრო ჩათუმ), ბატების მწყემსვის ღროს, ტალახისაგან ციხე-
ქალაქებს აშენებდა. ერთხელ მას ჯორზე ამხედრებული კაცი (ჯგრა-
გი) გამოეცხადა და უთხრა: შენი ნიჭით ვერ აშენდება კეთილი და
გამძლე გოდოლი და ციხე, მაგრამ „ძევ შენი იქმს კეთილსა ამას საქ-
მესა“. ბოდლოს ჩათუმ მოატაცებინა ლამაზი ჭუბაბრიას ასული —
თათუმა. მონუსხა პატარძალი და კოჭლი ქმრის მორჩილი გახადა.
ბოდლოს შვილი არ უჩნდებოდა. დასცინონდნენ, ალბათ, „სხვა
მხრივადაც კოჭლია და ეგებ წაჟეშველოთონ“. ბოდლო ერთხელ
ტყეში გადაიკარგა. ერთ ხის ჩრდილში „უსიზმრო ძილმა ჩაითრია“.
ყურში ჩაესმა: — „შევქამო თუ არ შევქამო“. — „არ შეიძლება,
ეს ხომ ჩათუს ნაშეერია“, — უპასუხა ვიღაცამ. ბოდლოს „უზარ-
მაზარ მგელზე ამხედრებული კაცი წამოადგა თავზე... მწითური
წვერი მქერდზე სცემდა, ელამი თვალები წითლად უელავდა“
(გვ. 8). — „აპა, გამომართვი სამი ვაშლი, აჭამე შენს ცოლს და სამი
ვაჟი შეეძინება ზედიზედ“. გაოგნებული ბოდლო სახლისაკენ წა-
მოვიდა, გზაზე მგლის ყმუილი შემოესმა, შეეშინდა; სახლში რომ
მოვიდა, ნახა, ერთი ვაშლი დაკარგოდა. ამ ორი ვაშლიდან ჩნდება
ჯერ ჯუმა და შემდეგ კახა. ჩათუს საყვარლის — დემონ გუჯმა-
ხანის ნაჩუქარი სამივე ვაშლიდან საში ბოროტი არსება უნდა დაი-

ბაღოს, მაგრამ გზაში დაკარგულ ერთ ვაშლს ღვთაება ტყაშმაფა (დალის ორეული მეგრულ მითოლოგიაში) შეჭამს და დაორსულ-დება. დალის მსგავსად, ტყაშმაფაც ვერ ასწრებს თავის საშოში ამირანის მსგავსი მზეჭაბუქის მოშუშებას. მას, გუჯმახანის აღრინ-დელი საყვარლები — ნადიაკენარის ცოლყოფილი და ჩათუ ქლა-ვენ, სიკვდილის წინ ტყაშმაფა თავის შეიდოგიან შეილს ბოდლო ბე-დიას გადასცემს, ბოდლო ბედია შინაგანმა ხმამ, ინსტინქტმა მი-იყვნა ტყაშმაფასთან. მას ბავშვის ტირილის ხმა ჩაესმა ყურში და მიჰყვა ამ ხმას. ბოდლომ გადაჯეგილ ტყეში ნახა, რომ „კენტად დარჩენილი თხმელის ძირში თეთრსამოსიანი ასული იწვა და ტკიცი-ლებისაგან მიწას ფხოჭინდა. იქვე, ძონძებში, ახალშობილი ჩვილი ღნაოდა.

მიხვდა ბოდლო ბედია, ვინც იყო მის წინაშე, მუხლი მოიღრიკა და შუბლი მდელოზე დაპკრა. — „მიბრძანე, დიუფალო!“ — „მე გვდები... — ჩურჩულით ამბობდა ტყაშმაფა... — წაიყვანე ეს ბავ-შვი, ადამიანო, და დადიას შეილივით გაზარდე“. — „დამნაშავე ვარ დიუფალო, მე დავკარგე ჯადოსნური ვაშლი“, — ატირდა ბოდლო ბედია. — „გუჯმახანმა მიმუხთლა... — ძლიეს იღებდა ხმას ტყაშ-მაფა, — გუჯმახანმა მაჯობა... შენთვის კი მიატიებია, უცოდველი ხარ“ (გვ. 10).

ასეთ მითოსურ გარემოში იბადება რომანის ერთ-ერთი მოქ-მედი გმირი მზეჭაბუქი, რომელიც ასლოლუტურ სიკეთეს განასახიე-რებს და ეს სიკეთე, ამაღლებულობა ასოცირებულია ღმერთკაც ამირანის დაბადებისა და მისი წილხვედრილობის გარევეულ ას-პექტებთან, თვით უმაღლესი ღვთაების ჯგრავის (წმინდა გიორგის)

ფუნქციებთანაც.

ბოდლო ბედიაშ ტყაშმაფასაგან ნაშვილები მზეჭაბუქი თავის ვაჟებთან — ჯუმასთან და კახასთან (კაჭუჭიასთან) ერთად გაზარდა. თვით ჯუმა და კახა, როგორც ითქვა, ბოდლოსა და მის მეუღლეს მგელზე მჯდომი ბოროტი დემონის, წოწოლა გუჯმახანის, ბალიდან მოწყვეტილი ჯადოსნური ვაშლებისაგან შეეძინათ. მითოსური ას-პექტით, სამივე ძმა ჯადოსნური ვაშლისაგან გაჩნდა, ოღონდ ღვთაე-ბა ტყაშმაფას შეჭმული ვაშლიდან კეთილი მზეჭაბუქი დაიბადა.

რომანის სიუჟეტი კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ფონზე იშლება. მწვავე კონფლიქტების ჩვენებას თან ახლავს პარალელური

მითოსური და ფანტასტიკური პასაუები, რომლებიც ასოციაციურ მინიშნებებთან ერთად რომანის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად გვევლინება.

თანამედროვე ლათინური ამერიკის ლიტერატურისა და „ახალი რომანის“ თაობაზე ჭ. ქირიას მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვით წერილში (იხ. „კრიტიკა“ № 3-4, 1980 წ.) აღნიშნულია, რომ ლათინური ამერიკის მწერლობაში თვალში საცემია „მისწრაფება რომანის სამსახურში ჩაყენონ მითოსი.. აქ მითოური არაა რაღაც სამყაული, ექზოტიკური, მკითხველის დასაინტერესებლად მოგონილი... ლათინური ამერიკის ახალ რომანში მითოსი თვით გმირის თვალსაზრისია, ის ხშირად ნაწარმოების სტრუქტურას ქმნის, დაუნაწევრებელია“ (№ 3, გვ. 121-122). ასტურიასის რომანში („სენიორ პრეზიდენტი“), „შემოვიდა ინდიელთა მითოლოგიის პლასტი. მაგალითად, რომანის ერთ-ერთ გმირს კარა დე ანხელს გამოეცხადა ღვთაება ტოლი, რომელიც ადამიანის მსხვერპლს მოითხოვს“ (№ 3, გვ. 127; თვით ჭ. ქირიას ამავე რომანში დემონი გუჯმახანი ჭუმა-საგან ყველაზე ჭმინდა ადამიანის მსხვერპლს მოითხოვს).

მიხ. ბულგაროვის გახმაურებულ რომანში („ოსტატი და მარგარიტა“) ფანტასმაგრიის, მაგიური მოქმედების მრავალი პასაურია გამოყენებული (ცოლანდი ცირკში მოსულ ხალხს ფულსა და ძირფას ტანსაცმელს ურიებს, ფული უბრალო ქაღალდი აღმოჩნდება, ტანსაცმელი კი ქრება და შიშველი ქალები სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. „მარად მხედარში“ კახას (კაჭუჭიას) ნაგრძები ოქროს ზოდები და მონეტები დამხრჩებალ კატებად, მანქანის მიერ გატანილ ძალის ლეშებად, ლაყე კვერცხებად იქცევიან).

ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჭ. ქირიას „მარად მხედარში“ ასტურიასის, მარქესის თუ ბულგაროვის რომანების სტრუქტურის თვისებური მოდელირება იგრძნობა, მაგრამ ეს მოდელი შესისხლ-ხორცებულია ქართულ სინამდვილესთან, ქართულ მითოსურ წარმოდგენებთან. ჭ. ქირიას რომანში ქართული მყარი ნაციონალური მითოსური მოდელები და ზღაპრული წარმოდგენები გარკვეული მიზანდასახულებითაა რეპროდუცირებული. ისინი რომანის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია. მითოლოგიზაციის ამგვარი პრინციპი, როგორც ითქვა, დღემდე ამ „დოზით“ არ განხორციელებულა

და ჭ. ქირიას „მარადი მხედარი“ ასეთი პრინციპით დაწერილი „ახა-
ლი რომანის“ ცდას წარმოადგენს.

ქართული მითოსური წარმოდგენები ჭ. ქირიას რომანში მისა-
დაგებულია ჩვენი თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკით-
ხების მხატვრულ წარმოსახვასთან.

„მარად მხედარში“ კონკრეტულად გამოყენებული უძველესი
ქართული მითოსური მოდელები ტიპოლოგიურად საერთაშორისო,
მთარული მოდელებია: სასწაულმოქმედი ვაშლი (ნაყოფიერების
სიმბოლო); ნატერის თვალი, რომელსაც გველი პოულობს და თუ
ადამიანს ჩაუვარდება ხელში, ამდიდრებს მას; განძის (ოქროსა და
ვერცხლის) ეშმაკისეული წარმომავლობა და სხვა.

რომანში მოქმედებენ დემონოლოგიური პერსონაჟები, რომლებ-
საც ტაბაკონას მთაზე დაბულებული როვაპი მეთაურობს: ჯგრაგის
საგმეგებლოს დაუძინებელი მტრის, მგელზე ამხედრებულ დემონ
გუჯმახანის ბოროტ სახეში ასოცირებულია ჯუმა ბედიას ხასიათი.

გუჯმახანისა და ჯაგერნაუტის (ჸველ ინდოელთა ღვთაება, რომ-
ლის გამოცხადება ხალხისაგან უამრავ მსხვერპლს მოითხოვდა) ბო-
როტებას რომანში უპირისისპირდება წმინდა გიორგის (ჯგრაგის) სი-
კეთის ქმნადობა, რომელთანაც ასოცირებულია მზეჭაბუქ ბედიას
მხატვრული სახე. სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა რომანში
გლობალური ხასიათისაა და აშკარად არყაა მინიშნებული, თუ რო-
მელია მარადი მხედარი — წმინდა გიორგი-ჯგრაგი (ე. ი. სიკეთე)
თუ მგელზე ამხედრებული გუჯმახანი (ე. ი. ბოროტება). აქ არ შეიძ-
ლება არ მოვიკონ ნ. ღუმბაძის შემდეგი გამონათქვამი: „როგორც
ყველაფერი გაწონასწორებულია ამქვეყნად, ასევე ბოროტებაცა და
სიკეთეც. ისინი ისევე გათანაბრებული არიან, როგორც ღღე და
ღმე... მხატვარი მოვალეა ამა თუ იმ მოვლენას, ადამიანის ხასი-
ათსა და მის ბედს დიალექტიკურად მიუღეს“.

სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების ასეთ გლობალურ
მითოსურ მოდელში თავისებური ასპექტით იკვეთება პერსონაჟე-
ბის განსხვავებული ხასიათები. უფროსი ძმა, ერთ-ერთი ცნობილი
გამომცემლობის კორექტორი, ჯუმა ბედია, რომელსაც ხელი მოეცა-
რა სიყვარულსა და სალიტერატურო საქმიანობაში, დემონ გუჯმახა-
ნის სამფლობელოში მიდის. ეს სამფლობელო ქართული ფანტასტი-
კური ზღაპრის მოდელის კვალობაზეა წარმოდგენილი. გმირმა ყვე-

ლაფერი უნდა მოიწონოს. მიუხედავად ხელიკებთან, მორიელებთან, გველებთან შეხვედრისა, ჯუმა ოფტოვანებული ამბობს: „გუჭ-
ბახან, აღტაცებული ფარ შენი სასახლით! მის ირგვლივ გაშლილ
წალკოტს ედემი თუ შეედრება“.

ჯუმას, თანაკურსელი გოგოებიდან, მაცაცუნა კი არა, მზია
უყვარს. მზიას გული კეთილშობილ ახალგაზრდა ტატოს ეკუთვნის.
ტატო ჯუმასთან მეგობრობს. მას უნდა ჯუმა ისეთივე კეთილი და
პატიოსანი იყოს, როგორც თვითონაა. ჯუმა გუჭმახანს შესჩივლებს,
მინდა მზიასაც გუყვარდეო. „—ბევრი გდომებია, ჩემო შვილო, ეს
ძნელი საქმეა... სიყვარულზე მე არ ებატონობ, ის ჩემზე ძლიერია“.
გუჭმახანი ჯუმას „შესრულებულ სურვილთა დღეს“ აძლევს.
„—ხვალ შენს ყოველ ნაცნობს თითო სურვილი შეუსრულდება...“
„ჩემი ძმები?“ „—ორივეზე ვიზრუნებ, ორივეზე, — ცბიერი ღიმი-
ლით თქვა გუჭმახანმა, — ჩემი შვილებივით მიყვარან... ჩემი ბა-
ლიდან მოწყვეტილი გაშლები მგონიხართ სამივენი“ (გვ. 76-78).
გუჭმახანის დავალებით ჯუმამ წმინდა მსხვერპლი უნდა შესწიროს
გუჭმახანის ღმერთს, ხვალვე. ჯუმა კლავს მზიას სატრფოს და ამ-
დენად მეტოქესაც იშორებს. ტატოს სიკვდილს კაჭუჭიაც დაესწორ.
სისხლით დაწინუქლული შაურიანი გადმოვარდა ტატოს ჯინსის ჯი-
ბიდან. კაჭუჭიამ შეინახა ეს ფული და ავტობუსში ასკლისთანავე
ავტომატში ჩაგდო, რომ მოეშორებინა სისხლნაპკურები მონეტა.
ჯიბეში ხელი რომ ჩაიყო, ორშაურიანი აღმოაჩინა, ისიც სისხლით
იყო დაწინუქლული. ასე დაუსრულებლად იზრდებოდა კაჭუჭიას
ჯიბეში „დანაელთა საჩუქარი“. ბოლოს, ის ამ „საჩუქრებისაგან“
იღუპება კიდეც. ეს სიმბოლური ასოციაცია სისხლთან თავიდანვე
მიგვანიშნებს კაჭუჭიას მომავალ ბედზე. საერთოდ, მსოფლიო მი-
თოლოვიაში ცნობილი მოდელია განძის (ოქრო, ვერცხლი, მარგა-
ლიტები) ხთონური, ეშმაკეული წარმომავლობა. მას გველები და
ურჩხულები დარაჯობენ. განძის უკანონოდ დამგროვებელთა ბედი
ყოველთვის ტრაგიკულია (გავიხსენოთ „თქმულება ნიბელუნგებ-
ზე“). კაჭუჭიაც სიხარბის მსხვერპლი ხდება.

ჯუმამ მაცაცუნასთან და კახამ როგორდასთან ქორწილი ერთად
გადაიხადეს დიდ საბანქეტო დარბაზში. თითქოს, ყველა სურვილი
შეისრულეს, მაგრამ წვეულებაზე წოწოლა გუჭმახანი მოჭიდა, ყვე-
ლა დაფრთხა და ქორწილიც ადრე დამთავრდა. კაჭუჭიამ ცოლს თა-

ვისი განძი აჩვენა. ფულების დათვლას შეუდგნენ. როგორდა გააოცა ფულზე აღბეჭდილმა სისხლის წინწკლებმა. „ოქროს ზოდებსაც სისხლის წინწკლები ეცხო“ შეშფოთებული ცოლი კაჭუჭიამ დაამშვიდა — „შეეჩვევიო“. — „მე ვერ შევეჩვევი, მომაშორე თავიდანო“. ამ დროს ჯუმამ შემოანგრია ოთახის კარი და ძმებმა ჩხუბი დაიწყეს. როგორდა ტოვებს ფულისგან დამონებულ ქმარს და თავის სახლში ბრუნდება. შემდეგში კაჭუჭიას მოსტაცებენ თავის განძს, დაედევნება გამტაცებლებს, მაგრამ ნახავს, რომ მისი განძი ლაყე კვერცხები და დამრხხვალი კატებილა ყოფილა.

კაჭუჭიას ფულმა დაავიწყა ძმა, მეგობარი, სიყვარული. ადამიანური გრძნობისაგან დაცლილი კაჭუჭია, თავის გადოსნურ შარვალთან ერთად, მტკვრის ტალღებში ინთქმება.

„მარად მხედარში“, რა თქმა უნდა, ყველა პერსონაჟი ერთნაირი მხატვრული სიძლიერით არაა გამოკვეთილი, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა. უფროსი ძმის ჯუმა ბედისა მხატვრული სახე ძალზე კოლორიტული, ორიგინალური და დამაჯერებელია. ჯუმა სულს გუჯმახანს მიჰყიდის და ყველა კარიერისტულ სურვილს შეისრულებს. გუჯმახანის სამფლობელოდან ჯუმას თან გამოკვევა დამწვრის სუნი, როგორც ნიშანი, სიმბოლო ბოროტებასთან წილადაურობისა. მის სამყოფ „ოთახში დამწვრის თავბრუდამხვევი სუნი გუბდებოდა“ (გვ. 418). ეს სუნი აუტანელი იყო და სიცოცხლეს უმწარებდა ჯუმას. მაცაცუნა (უნივერსიტეტის თანაკურსელი და შემდეგ კი ჯუმას იძულებითი მეუღლე) სამაგიეროს უხდის ბოროტ ძმებს ადრე მის მიმართ ჩადენილი უკეთური საქციელისათვის (უკვე უურნალ „პეგასის“ რედაქტორმა ჯუმამ სახლში მიიყვანა მაცაცუნა. უბრძანა გაშიშვლებულიყო. ქალიშვილი ბრძანებას ასრულებს; ჯუმამ უყურა, უყურა და ისევ უბრძანა: ჩაიცვი და სახლში წადიო. ღამცირებულ, გონებაარეულ მაცაცუნას აივნის გასწვრივ კაჭუჭია შეხვდება, თავის ოთახში შეიყვანს და ნამუსს ახდის). ჯუმა როცა დარწმუნდა, რომ მზის გული საბოლოოდ მის მიერ განგმირულ ტატოს ეკუთვნოდა, ისევ მაცაცუნას უბრუნდება და ცოლად ირთავს. ბედიებისგან დამცირებული მაცაცუნა სამაგიეროს უხდის ბოროტ ქმარს. კარიერაგამყარებული და ეგოისტური ზრახვებით დაბრმავებული ჯუმა, დამწვრის სუნთან ერთად, იძულებულია იიტანოს მაცაცუნას ლალატიც. მალე სალიტერატურო საქმიანობაშიც

გამომუდავნდა მისი არაკომპეტენტურობა. მას რედაქტორობიდან ხსნიან. იმავე დღეს, ღამით ტატოს აჩრდილი გამოეცხადა, ლოგინი-დან წამოვარდა, გაიქცა ძველ სახლში, ავიდა ზემო სართულზე, ავადმყოფი მზია ინახულა, დაუჩინქა და პატება სთხოვა. შემდეგ დაბრუნდა თავის ძველ ოთახში და მიაშტერდა „სარკეზე ჩამოვა-რებულ ხავერდის ფარდას. ოდნავაც არ ირხეოდა — გუჯმახან!... რად დამღუპე, გუჯმახან! — ფარდის კალთა გადაიწია, წოწოლა თა-ვი გამოჩნდა წამიერ... გუჯმახანს დამსგავსებოდა თვითონაც... — გუჯმახან, შურს ვიძიება!.. — პასუხად ხარხარი გაისმა. სარკე ცომი-ვით ჩბილად დახვდა და ჯუმა ბედია შიგ შევიდა..“ ამ დროს ოთახ-ში ჯუმას დადევნებული მაცაცუნა შემოვარდება. გამოსწევს ხა-ვერდის შავ ფარდას და გულშემზარავად იკივლებს. „იატაჭე სარ-კი ნამსხვრევებში სისხლი გამოქრთა.. ქოტემ შემოიხედა. არ მოე-წონა ნამსხვრევებს შორის დაღვრილი სისხლი და ქალს ხელი ჩა-ავლო, ძალით გაიტაცა ოთახიდან. კარი ჩაკეტა, გასაღები კი გადა-აგდო“ (გვ. 439-440). ასე იღუპება და უკვალოდ ქრება პირადი კეთილდღეობის გამო დემონთან წილნაყარი ჯუმა ბედია.

იმავე დღეს ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებული მზეჭაბუკი, ჯგრავის ნაჩუქარი ხმლით აღჭურვილი, ისევ მზიას ეცხადება და თავს აღლოცვინებს. მზიას მზეჭაბუკი ტატო ჰერნია: „დამილოცნი-ხარ, ტატო!“. მზია, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, პირვე-ლად წამოდგა ლოგინიდან, კიბეები ჩაირბინა და ტატოს საფლავს მიაკითხა.

მზიასაგან დალოცვილი მზეჭაბუკი ჯგრავის ნაბოძები, ქართლო-სიანთა ცხრა ძმის სისხლით ნაშროობი ხმლით ეკვეთება მტრის ლაშქარს. „ჯავერნაუტი წამოიმართა ეტლზე, თაგზე მზის ბრდლვია-ლა გვირგვინი ეღგა. საცრისოდენა თვალებიდან ორი დიდი გარს-ეპლავი ანათებდა ბოროტად. მოღილა ჯავერნაუტი და შეუბრალებ-ლად სპობდა ყოველივეს“ (447). მზეჭაბუკმა მუსრი გაავლო მტრის ლაშქარს. „ლაშქრის ადგილას... ურიცხვი ბორცვი და გორაკი მი-მოიფანტა“. ბოლოს გმოჩნდა „ჯავერნაუტის ცას შემწვდარი კო-ლოსი“. იქ, სადაც პირი უნდა ყოფილიყო, საშინელი კვამლი ხრჩო-ლავდა. მისწვდა ხმლით მზეჭაბუკი და ხრჩოლვაც შეწყდა. თვალის აღიღილას ფართოდ ამოჭრილი ხერული დაუხვდა. შეიხედა: „უზარ-მაზარი ბომონი შიგნიდან ღრუ აღმოჩნდა“. თანაც მგლის საზარი

ყმუილიც მოესმა. შეიჭრა შიგნით. ქვემოთ დიდი ქურა დაინახა. იქვე მგელი ჩატუპქულიყო და ყმუოდა. წოწოლა კაცი ცდილობდა ცეცხლის ანთებას. შეუტია მზეჭაბუქმა, „წოწოლამ ქურას თავი მიანება, მგელს ზურგზე მოახტა, გაანგრია კოლოსის კედელი და მინდორზე გააქროლა“. გამოკიდებული მზეჭაბუქი კლავს მგელს, ხოლო ორბად და გველად ქცეულ გუჯმახანისაგან დაგესლილი სხეული უხურდა, ჭრილობებში შეჭრილი შხამი ეშმაკეულისა სისხლს უწამლავდა. ღროზე უნდა მიეღწია მწვანე სანახებთან, რათა სამშობლოს წიაღიდან ამოსული ნაკადულით ჭრილობები მოებანა. ორზღვას შორის იყო გადაშლილი მზეჭაბუქ ბედის მიწა და იქ მიისწრაფოდა. მალე „მწვანე ჭრილში მთაწმინდის კალთები წამომართა, ზე ამოიზიდა, შემოეგება ცით მოვლენილ შვილს... გამჭვირვალე, სუფთა წყალმა დატბორა სივრცე. მუხლამდე წყალში იდგა მზია, ისიც ცისფერი და გამჭვირვალე. დაიხარა ქალწული, პეშვი წყალი აიღო და გამოუწოდა“ (451).

მეტად საინტერესოა მზეჭაბუქ ბედის სახე. მწერალმა ამ გმირის ფანტასტიური მოქმედების ასპარეზად ძეველი საქართველო აირჩია, მაგრამ მისი სიცეთისქმნადობა თანამედროვეობის პოზიციებიდანაა ნაჩვენები. რომანის ეს ორი პლანი ასოციაციურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მზეჭაბუქმა საკუთარი თვალით ნახა ბოროტი მძის ჯუმას ვერაგობა და თბილისი დატოვა. სოფელშიც ვერ იპოვა ცხოვრების საზრისი. განმარტოვდა და გამოქვაბულში ჩაიკეტა, „ღრო სრულიად გაჩერდა. ის კი ამ გაჩერებულ ღროში ეკიდა“. მალე მან გამოქვაბულში იპოვა ოქროს ვაღიანი უწროთობი ხმალი, ერთ მხარეს მთათა მწვერვალი იყო ამოტვიფრული, მწვერვალის თავზე არწივს გაეშალა ფრთები. „მეორე მხრიდან კი წვრილი მძივივით კუთხეში მიეწერათ ერთადერთი სიტყვა „ჯგრაგი“. იმ სალამოს პირველად გაიგონა მგლის ყმუილი, შემდეგ უფრო და უფრო გახშირდა. ბოლოს გვრავი (წმინდა გიორგი) ეცხადება, — „უცბად განიხვნა კედელი და პირდაპირ კოცონზე გადმოაბიჯა თეთრწვეროსანმა... წვერი იატაკამდე დასთრევდა — ცეცხლის ალი ეტანებოდა, არკი ეკიდებოდა. ლურჯ თვალებში ლვთავებრივი შუქი რაშ უკრთოდა. ხელი აიღო ბერიყაცმა, აყურთხა ყრმა ბედია, წარმოთქვა: „აღსდეგ, შვილო ჩემო, და შეეწიე ნაშეერსა ადამისასა (გვ. 343). მზეჭაბუქმა თავზე გადაისვა ხელი. ოქროს თმა „მხრებზე სცემდა“.

ხმლის პოვნა და ჯგრაგის დალოცვა ემთხვევა დედის — ღვთაება ტყაშმაფას თმის ინსიგნის დანახვას საკუთარ თავზე. ამირანის ოქტომბერის კბილიც ხომ დალის ოქტომბერის თმის სახეცვლაა და ღვთაებრივი ჩამომავლობის ნიშანი.

შეეჭაბუქმა ხმალი წელზე შემოირტყა. იგი მითოსური ამირანისა და ჯგრაგის, აგრეთვე, გამორჩეული ისტორიული პირების (ცოტნე დადიანი, 300 არაგველები, ცხრა ძმა ხერხეულიძეები) მსგავს ქმედებას ჩადის და ამით, ასოციაციური პლანით, უპირისპირდება უკეთური ძმების ცხოვრებისეულ საზრისს, საერთოდ, ბოროტებას, რალადობას, ადამიანთა გულციობას.

„მარად მხედარში“ საყურადღებოა აგრეთვე პარალელური მითოსური პასაუები, რომლებიც მოქმებილია მატრიარქატის დროინდელი ღვთაების, შემდეგ კი ღემონოლოგიური პანთეონის ერთერთი გამოკვეთილი პერსონაჟის როკაპისა და მისი მსახური ავასულების შესახებ გაერცელებული გადმოცემებიდან. ასეთია, მაგალითად, ბოდლო ბედიას დედის ჩათუსა და ნადიაკვნარის ცოლყოფილის თავგადასავალი, რომელთა მითოსური მოდელი აღებულაა უძველესი ქართული მითოლოგიური პანთეონიდან (იხ. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ. 1956).

ტატოს სიკვდილით შეძრწუნებული მზეჭაბუქი სტოკებს თბილისს, ბოროტ ძმებს და სოფელში ბრუნდება. მას სურს გაიგოს სიმართლე: ვინ არის მისი მშობელი და რატომ დაძრწის ჩათუ-ბები ღამლამობით ეზოში. ნადიაკვნარის ცოლყოფილი მზეჭაბუქს უყვება „სიმართლეს“: ჩემი ქმარი გუჯმახანმა გოგრად აქცია, მე კი ტაბაკონაზე (მთის სახელია სამეგრელოში. მითოლოგიური გადმოცემით, ღემონ როკაპისა და მისი ხელქვეითების სამყოფი) წამიყვანა. ტაბაკონაზე შეკრებილ ჯადოქრებს შორის ბებიაშენი ჩათუც იყო, რომელსაც გუჯმახანი უყვარდა და მეტოქე რომ დამინახა, გამომენთო. გუჯმახანმა თქვა: „ვინც გაიმარჯვებს, ის შემრჩებაო“. ვიბრძოლეთ დიდხანს. მაჯობა ჩათუმ. უნდა მოვეკალი, მაგრამ შევეხვეწე, „ოღონდ ნუ მომქლავ და შენი მოახლე გაეხდები-მეთქი“. ასეც მოხდა. ბებიაშენს ვემსახურებოდი. თუკი გაიგებდა გუჯმახანთან ჩემს კავშირს, სამი დღე და ღამე მკიდებდა ხის კენწეროზე ფეხით. ბოლოს გუჯმახანს ყველაზე ლამაზი ტყაშმაფა შეუყვარდა. ვერაფრით დაიმორჩილა. თავის ბალის ვაშლი შეატყუა და დაორსულა. ეს რომ 5. კრიტიკა № 1

ბებიაშვილი გაიგო, დავიწყეთ ტყაშმაფას ძებნა. მივაგენით. შვიდი თვის ორსული იყო, დავიწყეთ ბრძოლა, დავაქციეთ ქვეყანა, დავ-ლეწეთ ტყეები. სადაც კი ხელს მოგვეიდებდა ტყაშმაფა, ის ადგი-ლი გვიბერდებოდა, ძაბუნდებოდა. მომაკვდავი ტყაშმაფა მდელოზე დაეცა. შვიდთვიანი ჩვილი ღნაოდა მის გვერდით. „ცხრა თვე რომ ეტარებინა, მისი შვილი თვით ღმერთს დაეჭიდებოდა ცაზე“. ტყაშ-მაფასთან ბრძოლის შემდეგ „ჩათუ და ნადიაკვნარის ცოლყოფილი, მიხრწნილ დედბრებად ქცეული... მილასლასდნენ შინ“. მოსაუბრე შეჭაბუქს აფრთხილებს, რომ ჩქარა წავიდეს შინ, მიუსწროს ჩა-თუს, დანარჩენ ამბავს ის გეტყვისო. შეჭაბუქი მართლაც შეიტ-ყობს თავის წარმომავლობას და ამის შემდეგ მიდის ის ურიცვ მტერთან საბრძოლველად.

ჭ. ჭირიას პირველი რომანის „ესხირის“ განხილვისას („მნა-თობი“, № 4, 1982) ჩვენ მიუთითეთ, რომ მწერალი ზოგჯერ ზედმეტ გატაცებას იჩენს მითოსური მოდელების მიმართ, მოაქვს აგრეთვე უცხოური მოდელიც (კეტსალი „ესხირში“ და ჭავერნაუტი „მარსდ მხედარში“). თანამედროვეობის პოზიციებიდან მითოსური მოდე-ლების გამოყენება გულისხმობს ამ მოდელების ზომიერად შერწყ-მას ნაწარმოების მხატვრულ სტრუქტურასთან. „მარადი მხედრის“ ზოგი ფანტასტიკური პასაჟი (მზეჭაბუქის ფრენის ხშირი გამეორება) საჭიროებს დახვეწას, შეინიშნება ზოგი ენობრივ-სტილისტიკური უზუსტობაც.

საერთოდ, „მარადი მხედარში“ ქართული მითოლოგის უძვე-ლესი მოდელები ეფექტურადაა გამოყენებული თანამედროვეობის ზოგიერთი მტკიცნეული პრობლემის მხატვრულად ასახვის თვალ-საზრისით.

ჩვენი საღისეპონ დარბაზი

□ □ □

საშარი კომიტეტის პრეზიდენტი

ეჭვგარეშეა, რომ მიმდინარე პოეტური პროცესების უშუალო მონაწილეების — პოეტების აზრს დღევანდელი ქართული ლექსის ზოგიერთი აქტუალური და საღისეპონ საკითხის შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აღნაშნული საკონკრეტო გარევარისათვის, ასევე ყურადღების მიმმა დარჩენილი ან ნაკლებ გამოკვეთილი საგულისხმო პრობლემების გამოვლენისათვის. ამ მიზნით აღმანახ „კრიტიკის“ თხოვნით კრიტიკოსი ტრაქლი კენჭოშვილი ესაუბრა გრიგოლ აბაშიძეს, მუხრან მაჭავარინისა და ლია სტურუას, რომლებმაც მას პასუხი გასცეს ქვემოთ წარმოდგენილ კითხეებზე. საუბარი პოეტებთან აღმანახის მომდევნო ნომერზეც გაგრძელდება.

1. როგორ დაახასიათებდით დღევანდელი ქართული პოეზიის მთლიან პანორამას, ანუ თუ უკეთ ვიტყვით — მის მდინარებას? შეიძლება თუ არა გამოიყოს ამ მდინარებაში განშტოებანი, ძიებათა თუ მიგნებათა განსხვავებული გზები?

2. 10-იან წლებში გალაკტიონის თაობამ სათავე დაუდო ახალ პოეტურ ტრადიციას. გასულ საუკუნეში ამგვარი „რევოლუცია“ ორჯერ განხორციელდა. დგას თუ არა დღეს ქართული ლექსის წინაშე მსგავსი ამოცანა?

3. რას იტყოდით ე. წ. ირონიულ-პაროდიულ ლექსზე? რამდე-

ნად სრულყოფილად მიგაჩნიათ ეს ტერმინი იმისათვის, რის გამო—
 სახატავადაც იგი არის ნაგარაუდევი?

4. ჩვენი აზრით, 10-იანი წლებიდან დღემდე ქართული ლექ्सის ფორმებში ამა თუ იმ სახითა და დოზით ძალიან საგრძნობია. ევროპული სიმბოლიზმიდან მიღებული გენების კვალი, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი გამოვლინებაა უკიდურესი სერიოზულობა, სიცილის მიუღებლობა. იქნებ ამ პოეტური კანონისადმი რეაქციის გამოვლინებაა დღევანდელ ლექსში სიცილის ფორმების დამკვიდრებისაკენ სწრაფვა? რას იტყულით საკითხის ამგვარ დასმაზე?

5. XX საუკუნის ინგლისურენოვან პოეზიაში ორ ხაზს განასხვავებენ. ტომას ელიოტის ხაზი ჭონ დონიდან და სხვა „გონებამახვილთაგან“ მოდის. საპირისპირო ხაზის პოეზია უპირველესად ელეგიური რომანტიზმის მემკვიდრეა. რუსულ პოეზიაში ამ ორი მოდელის ანალოგებად ალბათ ბლოკ-ბრიუსოვის და მეორე მხრივ — ხლებინიკოვ-მაიაკოვსკის ხაზი უნდა მივიჩნიოთ. ფრანგულში მეორე ხაზის მსგავს მცლენად ვიონ-ლაფორგის, ხოლო ესპანურში — გონგორას ტრადიცია უნდა ვივრაუდოთ. თუ საკითხის ამგვარ დასმას, მისი პირობითობის გათვალისწინებით, სწორად ჩათვლით, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ორი ანალოგიური გეზის გამოკვეთა?

6. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, პოეტურ პროცესთა ავანგარდი ახალგაზრდა თაობაა. რამდენად იგრძნობა, თქვენი აზრით, ახალგაზრდულ პოეზიაში „ავანგარდული საწყისი“? რამდენად იმედისმომცემად მიგაჩნიათ ყველაზე ახალგაზრდა პოეტები? რა მოაქვთ მათ და რა ვერ მოაქვთ? ვინ მიიქცია თქვენი ყურადღება?

7. რითი ახსნით იმ გარემოებას, რომ რამდენიმე ათეული წელია ლექსების 90% 8 და 10 მარცვლიანი საზომით იწერება? ამას—თანავე თავი იჩინა რეგულარული ლექსის დარღვევსაკენ სწრაფვამ—ვერლიბრამდე და თითქმის პროზამდე. რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ ეს მეორე ტენდენცია?

8. ექვსი ტერმინიდან — „ნეოკლისიკური“, „ნეორომანტიკული“, ნეოიმპრესიონისტული“, „ნეოექსპრესიონისტული“, „ირონიულ-პაროდიული“, „გროტესკული“ — რომელი უფრო შეეფერება თქვენს საკუთარ სტილს ან თქვენს ნაწარმოებთა გარკვეულ ერთობლიობას?

თუ არც ერთი არ შეეფერება, როგორ განსაზღვრავდით საკუთარ სტილს მოკლე ან ვრცელი ტერმინით?

9. დღევანდელ ქართულ ლექსში აშეარად შეიმჩნევა „ლიტერატურულ“ და „სასაუბრო“ ენათა შორის კარგა ხანს დადგენილი ბალანსის რღვევა უკანასკნელის უფრო ჭარბი გამოყენების ხარჯზე. რას იტყოდით ამ საკითხზე?

10. როგორ შეაფასებდით ბოლო დროის ლირიკულ პოემებს?

11. როგორი ხასიათის იყო თქვენი პირველი ლექსები? ვინ იყენენ იმუამად თქვენი „კერპები?“ როგორ უყურებთ ახლა მაშინ-დელ ლექსებს? იმავე კამაყოფილებით, თუ დროის ფაქტორს რამე კორექტივი შეაქვს მათდამი დამოკიდებულებაში?

12. თავის დროზე ტ. ს. ელიოტმა ყურადღება მიაქცია იმ თითქოსდა პარადოქსულ ფაქტს, რომ მილტონმა თავისი დამატყველებელი მომხიბვლელობით კარგა ხნით შეაყოვნა ინგლისური პოეტური სიტყვის განახლება. ვგონებ, ანალოგიური რამ მოხდა რუსთველურ ტრადიციაშიც. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დღეს მსგავსი პრობლემის წინაშე ვდგავართ გალაკტიონის მომნუსხავი პოეტური მოოქონისაგან განმსგავსების სირთულის გამო?

გრიგოლ აჩაშიძე

1. როგორც ყველა დროის პოეზიას, დღევანდელ ქართულ პოეზიასაც აქვს განშტოებანი, ძიებათა და მიგნებათა განსხვავებული გზები. უამისონდ ჩვენი ლიტერატურა და კერძოდ — პოეზია ჭაობს დაემგვანებოდა. რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ გვანან და საკუთარი ხელწერით გამოირჩევიან ჩვენი საუკეთესო პოეტები, ისინი, ვინაც საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს ან იბრძვიან დამკვიდრებისათვის.

2. „რევოლუციები“ მარტო ფორმის სფეროში, დამოუკიდებლად, არასოდეს არ ხდება. არსებით გარდატეხას პოეზიაში ახალი პოეტური იდეები ახდენენ, რომლებსაც თან მოაქვთ ახალი ფორმები, გამოთქმის ახალი საშუალებანი. გასული საუკუნის ქართული პოეზიის ორი მაგალითი (ალბათ რომანტიკოსებსა და თერგდალეულებს გულისხმობთ) ამ მხრივ ნიშანდობლივია. ერთნიც და მეორენიც ახალი სოციალური და პოეტური იდეებით მოგვევლინენ.

ახალი პოეტური იდეებითა და ფორმებით მოვიდა გალაკტიონ ტაბიძის თაობაც. იმისათვის, რომ პოეზიაში მკვეთრი გარდატეხა მოხდეს, არსებულმა უნდა ამოწუროს თავისი თავი, ზემოქმედებისა და სიცოცხლის გაგრძელების უნარი უნდა დაუქვეითდეს. მეორე მხრივ, ახალი უნდა მომწიფდეს ასაფეთქებლად, საარსებო სივრცის დასაპყრობად.

3. — ყველა ტერმინი პირობითია და მოვლენის არსს მთლიანად იშვიათად გამოხატავს. რაც უფრო მრავალფეროვანია ლიტერატურა, მით უფრო საინტერესოა ივი. ირონიულ-პაროდიულ ლექს-საც აქვს არსებობის უფლება. ნიჭიერად დაწერილი ყოველგვარი ლექსი მომწონს. მასესნდება ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „მე არ ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“. ირონიის უდიდესი ოსტატი ვოლტერი ამბობდა: „მე ყველა უანრი მომწონს მოსაწყენის გარდა“—ო.

4. — მე მგონია ეს კიოხვა გაუგებრობაზეა დაფურნებული. ვინათქვა, რომ ფრანგი სიმბოლისტები მხოლოდ უკიდურესი სერიოზულობის მომხრენი იყვნენ?! განა არტურ რემბოს მაგალითი არ კმარა იმის საილუსტრაციოდ, რომ მათთვის უცხო არ იყო ირონია ან გამომწვევი ორიგინალობა?! ისიც ხომ ფაქტია, რომ ფრანსუა ვიონის სახელისა და პოეზიის პოპულარობა ახალ დროში სიმბოლისტების დამსახურებად ითვლება და ვიონის პოეზია ხომ ირონიზმის კლასიკა!

ინაკლი კენჭოშვილი: უფრო მეტიც — ფიულ ლაფორგიც სიმბოლისტური ორბიტის მოვლენაა. მაგრამ მე ვგულისხმობ სიმბოლიზმის, ანუ ქარაგმულად, მინიშნებებით თქმის ხელოვნების არსს, რომელსაც ძნელად ეგუება ჭარბი სიცილი და საერთოდ — კომიზმის ეცექტი. ასევე, ჩვენი საუკუნის ქართული ლექსის გაბატონებულ ტრადიციაში „ლურჯა ცხენები“დან „პალესტინა“, „პალესტინა“-მდე „სერიოზული“ ეთიკეტი ჭარბობს, რაც, სხვათა შორის, იმაშიც ვლინდება, რომ ლექსის ფარგლებში იშვიათად შევცვლებით მაღალ და დაბალი პლანების, „ეფემერებისა“ და „დღიური პროზის“ აღრევას. იქნებ დღეს თავს იჩენს ერთგვარი რეაქცია ამ მონოლოთური სერიოზულობისადმი?

— შესაძლოა.

5. — ჯონ დონის დიდებული პოეზია მხოლოდ ლიტერატურის

ისტორიულსებმა და პოეტებმა იციან მისი სამშობლოს გარეთ, იმ დროს როცა მიღწონის, ბაირონის, კიტსის და შელლის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. გონებამახვილი მეტ-ნაკლებად ბევრი დიდი პოეტია. „ჩაროლდის“ ავტორი „დონ შუანის“ ავტორიცაა. დიდი პოეტის ეს პოემა გონებამახვილობის ფეიერვერკია, მაგრამ რომანტიზმისა და პესიმიზმის ამ კლასიკისაზე არავის უთქვამს „სიცილის“ პოეტია. განა პუშკინის ან აკაკის შემოქმედებაში არ ბრწყინავს იშვიათი გონებამახვილობა?

პოეტების დაყოფა „სერიოზულებად“ და „არასერიოზულებად“ ხელოვნურად მეჩვენება. ამ დაყოფით ვითონი და ესპანეთის უდიდესი პოეტი გონგორა, ისევე როგორც ჩვენი გურამიშვილი, მხოლოდ გონებამახვილ ირონისტებად წარმოგვიდგებიან, მაშინ როცა მათი პოეზია აღსავსეა სევდითა და ტრაგიზმამდე მისული დრამატიზმით. ასევე გაუგებრობად მიმაჩნია „მთელი ხმით“-ისა და „ლადომირ“-ის ავტორების შეტანა სიცილის პოეტების სიაში. გონებამახვილობა ამ პოეტების ნიჭის ერთ-ერთი ნიშანი თუ თვისებაა, არა უმთავრესი და არსებითი, ხოლო თუ ეს თვისება ბლოკის ნიჭს ნაკლებად გააჩნია, ეს ცოტას ნიშნავს მათ დასაპირისპირებლად. სიტყვასთან „გონებამახვილური თამაში“ უხდება კიდევ პოეზიას. ეს თავისებური არტისტიზმი ეხმარება პოეტს წარმოაჩინოს სიტყვის, ენის ახალი, ფარული შესაძლებლობანი.

ირაკლი კენჭოშვილი: გეთანხმებით იმაში, რომ პოეტთა დაჯიუცება, მით უშეტეს ორ კატეგორიად, რომანტიკულებად თუ კლასიკისტებად, „გრძნობისა“ თუ „გონების“, „მოვლენისა“ თუ „არსის“, აპოლონური თუ დიონისური საწყისისა თუ კომიზმის ინტენსიურობის მიხედვით ძალიან სახიფათოა და ერთობ პირობითად თუ შეიძლება. მაგრამ ვინაიდან „პოეზიის ჩუკის“ შედგენისას ამგვარ დაჯუცებას, ანუ ტიპოლოგიურ მიდგომას ყოველთვის ვერ ავდებით, ვიძლევი შეკითხვას: შესაძლებელია თუ არა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში გამოიყოს ორი თვისებრივად მკვეთრად განსხვავებული ტრადიცია?

— ალბათ შეიძლება, თუ თაგან ძალას დავატანთ, თუმცა ელიოტისა და მაიკოვსკის ტოლფასი ანალოგის მოქებნა გავვიძნელდება. რაკეთება გონებამახვილობას პოეზიაში, მე დიახაც მიყვარს იგი,

მაგრამ როცა იგი ზომიერია, — ისეთი, რომლის ქვეტექსტი ცხოვ-
რებისაგან გამწარებაა და თავისებური „პესიმიზმია“ (ვიოონი, გონ-
გორა, გურამიშვილი). როცა პოეზიაში გონებამახვილობა ზომიე-
რებას კარგავს და მხოლოდ იმას ისახავს მიზნად, რომ როგორმე
გავვაცინოს, ასეთი გონებამახვილობა პოეზიისაგან შორს არის.

„ირონიულ-პაროდიული პოეზია“ მე ჩვენი დღევანდელი პოეზის ერთ-ერთ ტენდენციად მესახება. მას მოქალაქეობრივი უფლება აქვს, მაგრამ მისი გამოცხადება ჩვენი დღევანდელი პოეზის ძირითად ნიშნად თუ მიმართულებად, მისი როლისა და ადგილის გაზიარება იქნებოდა, ისევე როგორც სხვაგვარი პოეტიების გადაჭარბებულად შეფასება. ჩემს ამ რწმენას ისიც აძლიერებს, რომ მათს შემოქმედებაში, ვინც ირონიულ-პაროდიული პოეზიის წარმომადგენლებად ითვლებიან, გაცილებით მნიშვნელოვანია ის ლექსები, რომლებშიც ადამიანურ სევდასთან და „სერიოზულ“ მედიტაციასთან გვაქვს საჭმე.

ირაკლი კენჭოშვილი: აღბათ იმასაც არ გამორიცხავთ, რომ სხვადასხვა ფორმისა და ინტენსიონის კომიზმის შემცველი ისეთი ლექსებიც იქმნება, რომლებიც წუხილისა თუ სერიოზული მედიტაციის გამოვლენის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს და არა სერიოზულობას, არამედ დოგმატურ სერიოზულობასა და ყალბ ღირებულებათა სისტემას უპირისპირდებიან.

— რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ.

6.— ახალგაზრდა თაობის აკანგარდული როლი რომ უფრო
საგრძნობი იყოს, ეს ჩვენი პოეზიისათვის ღიძი სიკეთე იქნებოდა.
ახალგაზრდებს შორის (მე დებიუტანტებს ვგულისხმობ) უდავოდ
არიან ნიჭიერები, იმედის მომცემი. ძნელია გამოკვეთილად იმის
თქმა, თუ „რა მოაქვთ და რა ვერ მოაქვთ“. ეს „რა“ რომ ჩვენს კარ-
ნახსა და მათ შესაძლებლობებს ექვემდებარებოდეს, უთუოდ ვეტ-
ყოდით — ესა და ეს მოიტანეთო. მაგრამ საქმე გაცილებით რთუ-
ლობაა.

7.— რუსთაველის შემდეგ 8 (16) მარცვლიანი ლექსი ბატონიბდა. ჩვენს საუკუნეში 10 და 14 მარცვლიანი ლექსი გახშირდა. 8 და 10 მარცვლიანი ლექსი უძველესი და, ასე ვთქვათ, ჩვენი „ეროვნული საზომება“.

ბობს, ეს ნაწილობრივ გ. ტაბიძისა და მისი თაობის ინერციით აიხ-სნება. ვერლიბრისა და პროზად თქმული ლექსის მოხშირების მიზეზი, ერთის მხრივ, რითმიანი ლექსის შესაძლებლობების ამოწურვაა. იგი მოყირჭდათ პოეტებს და აღბათ — მკითხველსაც. რამდენად პერსპექტიულია ვერლიბრი და პროზად თქმული ლექსი, ამას მომავალი გვიჩვენებს. მათი მომრავლება მე ბუნებრივ პროცესად მიმაჩნია და ამ პროცესის ხელოვნურად შეჩერება — შეუძლებელია.

8.— ყველა ტერმინი პირობითად. იარლიყების დარიგება კრიტიკოსების საქმეა და არა ავტორების.

9.— აღბათ ესეც ბუნებრივი პროცესია. ყოველგვარი სიახლე გამართლებულია, როცა იგი ნიშიერებით არის აღბეჭდილი.

10.— არც ლირიკული პოემა არის ჩვენი დროის გამოგონება. ჩვენს დროში იგი მომრავლდა და ამაშიც ცუდი არაფერია, რადგანაც საინტერესოდ დაწერილი ლირიკული პოემაც სრულუფლებიანია. ბოლო დროს არაერთი საყურადღებო ლირიკული პოემა შეიქმნა.

12.— გალაკტიონის ინერცია თუ „დაწოლა“ დღევანდელ ჩვენს პოეზიაზე მილტონისა და პეტრარკას მაგალითივით აშკარად გამოხატული შეიძლება არ იყოს, მაგრამ ასეთი „დაწოლა“ მაიც საგრძნობია. სხვადასხვა პოეტების შემოქმედებაში „გალაკტიონიზმისა გან“ განთავისუფლების არაერთი წარმატებული ცდა გვაქვს.

მუსიკა მაჟავარიანი

1.— ამ პანორამის ხასიათი უპირველესად კრიტიკოსებმა უნდა დაადგინოთ. აღნიშნავ მხოლოდ, რომ ყოველგვარი ძიება გამართლებულია, თუ ახალი ესთეტიკური ინფორმაციის მოტანას ისახავს მიზნად. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერავითარი სათქმელი, ვერავითარი დახვეწილი ფორმა ვერ უშველის პოეტს, თუ საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული, ჯერაბსმენილი ხმა და ხმის დამორჩილების უნარი არ გააჩნია.

2.— პოეზიაში უკვე ნავალი გზიდან გადასვლას და ახალი გზის გავალვის საჭიროებას ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებები განაპირობებენ. დიდ ცვლილებებს და დიდ სიახლეს დიდი ცხოვ-

რებისეული მიზეზები აქვს ხოლმე. ასე იყო ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის ეპოქაში. მოგეხსენებათ, რა ამბები დატრიალდა იმ დროს. ასე იყო მაშინაც, როცა აკაკიმ, ილიამ, ვაჟამ პირველად გააბეს ჩვენს ლიტერატურაში პირდაპირი და უშუალო დიალოგი ხალხთან, მთელ ერთან. 1910-იან წლებში რეკოლუცია პოეზიასა და სოციალურ ცხოვრებაში ერთდროულად მიმდინარეობდა. ამ პერიოდის ქართულ პოეზიას შეიძლება გალაკტიონის ეპოქა ეწოდოს მისი (გალაკტიონის) განსაკუთრებული მასშტაბის გამო. მაგრამ მარადიულად ვერც პოეზიის მეფები მეფობენ. არც ისე დიდი ხნის წინათ ქართულ ლექსში კვლავ დაიწყო ახალი გზის გაფაფვა. ამ გზას ბოლომდე უნდა ვავლა, მას გაფართოება ჭირდება, ხოლო წარამარა ახალი გზების ძიება — მტრისა!

ირაკლი კენჭოშვილი: ხომ არ დააზუსტებდით ამ ახალი გზის ძიების დაწყების დროს? 50-იან წლებს გულისხმობთ, თუ 60-იანს?

— ახალი პოეტიკის ჩამოყალიბება 50-იან წლებში დაიწყო. 60-იან წლებში განვითარდა და გაღრმავდა ის პროცესები, რომელიც 50-იან წლებში იწყება.

ირაკლი კენჭოშვილი: რამ განაპირობა ახალი პოეტიკის საფუძვლების ძიება?

— დიდი ისტორიული ამბები მოხდა ქვეყნის ცხოვრებაში, ბევრ რამეს ახალი თვალით შევხედეთ. ბევრი რამ სხვაგვარად გამოჩნდა.

ირაკლი კენჭოშვილი: ვინ დაიწყო ეს ახალი პოეტიკა, ვინ მოვიდა ახალი ფორმებით — ერთი პოეტი, რამდენიმე თუ...?

— ეს თქვენ — ქრიტიკოსებმა უნდა თქვათ.

3. — ირონიული ლექსი საესებით ნორმალური ტერმინია. მთავარი მაინც ისაა, რომ ვიცოდეთ — რა შინაარსს ვდებთ ამა თუ იმ ცნებაში. არ ვიცი, რამდენად აუცილებელია ამ ტერმინში სიტყვა „პაროდიული“.

4. — რასაკვირველია, სიცილი სანთლით არის საძებნელი გალაკტიონის ეპოქის ლექსში. ამიტომ ძალაბან გამიკვირდა, როცა ერთი ქრიტიკოსის წერილში წავიკითხე — ირონიული ნაკადი დღევანდელ პოეზიაში გალაკტიონიდან მოღისო. აბა, გალაკტიონის რომელ კარგ ლექსში არის ირონია ან პაროდია!?

ირაკლი კენჭოშვილი: ცხადია, არ შეიძლება ყველაფრის გალაკტიონთან დაკავშირება... თქვენ გაქვთ ირონიული ლექსები?

— არა ერთი და ორი. სხვათა შორის, ერთმა ბულგარელშა პოეტმა, როცა ჩემი ლექსი „ვიდრე შენთვის ღმერთი“ თარგმნა, „ირონიული ლექსი“ დაარქვა, თვითონ დაასათაურა ასე, მაგრამ მთარგმნელს ამის საფუძველი, ცხადია, თავად ლექსმა მისცა.

ირაკლი კენჭოშვილი: თქვენს ცალკეულ ლექსებში არის სიცოლის სხვადასხვა სახის შტრიხები — „პეტუშა გახსოვს? — იმე!“ ან — „კარტოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო აგრაფინა?“ და სხვა. ალბათ უკეთესი მაგალითების დამოწმება შეიძლებოდა... მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ლექსები მთლიანად ირონიულია.

— დიახ, ზოგჯერ სიცილი ჩემს ლექსში მხოლოდ შტრიხია, პოლიფონიის განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი კომპონენტია. ისეც ხდება ხოლმე, რომ კომიზმის ელემენტი ძალიან სერიოზულ, დრამატულ და, თუ ვნებავთ, ტრაგიკულ კონტექსტშიც შემოიჭრება ხოლმე.

5.— რასკავირველია, ლიტერატურაში მიმდინარეობებისა თუ საერთოდ მხატვრულ ფასეულობათა კლასიფიცირება ძალიან პირობითად თუ შეიძლება. მაგრამ თუ ასეთი პირობითობა აუცილებელია, ბლოკიც, ბრიუსოვიც, გალაკტიონიც, ცხადია, რომანტიკულ ტრადიციაში აღმოჩნდებიან. მაგრამ მე ეს პოეტებიც მიყვარს და მათგან მკვეთრად განსხვავებული ტიპის პოეტებიც, კერძოდ, ძალიან საინტერესოა ხლებნიკოვის შემოქმედებით ძიებათა ლაბორატორია. მხიბლავს მაიაკოვსკი, განსაკუთრებით — ადრინდელი, თაგისი რიტმული სიმდიდრითა და მოულოდნელი მახვილგონიერებით.

ირაკლი კენჭოშვილი: რიტმზე რას იტყვით?

— რიტმი ყველაფერია. ჩემთვის რიტმია მთავარი და არა რითმი.

ირაკლი კენჭოშვილი: თქვენ ბლოკი ახსენეთ. მისი პოეზიიდან „უცხო ბანგანის“ რკალი უფრო გიტაცებთ, თუ...?

— „თორმეტნი“.

6.— მაშასადამე, მექითხებით — არის თუ არა დღეს ჩვენს ახალგაზრდებში ერთი ან რამდენიმე საიმედო პოეტი? ამ კითხვაზე მე არა მაქვს ჩვენი კრიტიკოსებისაგან განსხვავებული აზრი. ისე, იმედი და რწმენა ღმერთმა ნურასოდეს მოგვიშალოს! საამისოდ ყოველთვის არის საფუძველი!

7. — მახსოვის, ეს დიდი ხნის წინ იყო, სადღაც დაგვიბარეს და აქტუალურ თემაზე ლექსებით გამოხმაურება გვთხოვეს. ერთმა პოეტმა საესებით სერიოზულად იკითხა — რვამარცვლიანით დავწეროთ თუ ათმარცვლიანითო... სათქმელი თვითონ პოულობს თავის საზომს; თავის რიტმს.

8. — ზოგ ჩემს ლექსს ერთი ტერმინი უფრო შეეფერება, ზოგს — მეორე, ზოგს — ალბათ, არც ერთი. ზოგში სხვადასხვა სტილთა ელემენტებია თავმოყრილი.

ირაკლი კენჭოშვილი: ალბათ ასეთ რამეს გულისხმობთ: თქვენ გაქვთ ტაები — „ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა“. ამას ელეგიური რომანტიზმის იერი დაკრავს. მაგრამ იქვე ლექსის ან-ტონაცია მოულოდნელ განვითარებას პოულობს: „ქარის ლა-ბუცი...“

— დიახ, „ლლაბუცი“ სასაუბრო, ყოველდღიური ენიდან მოდის, ხოლო „მთაწმინდა“ — სულ სხვა რიგის მოვლენაა. სტილთა, ხმათა შეხვედრა ამდიდრებს ლექსის ხმოვანებას.

9. — პოეზიაში სასაუბრო ენის ელემენტების გამოყენება უფრო ძნელია, ვიდრე წმინდა „ლიტერატურული“ ენით მეტყველება. არაა ადვილი, პოეზიის კუთვნილებად აქციო ის, რასაც თითქოს არაფერი აქვს საერთო პოეზიის სამყაროსთან. წარმოუდგენლად ძნელია „ისაუბრო“ და თან არ გაწყვიტო კავშირ იმასთან, რასაც ლექსი, პოეზია ჰქვია. ამ ნიშნით მხიბლავს მე აკავის „საიდუმლო ბარათი“. განუმეორებელია, საუცხოო სასაუბრო ენის სისაძავით გალაკტიონის „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“. მაგრამ ყოველივე ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს პოეტი მიჯაჭვული უნდა იყოს სასაუბრო, ყოველდღიურ ენასთან. შეიძლება ძალიანაც დასცილდე მას, მაგრამ ყოველთვის უნდა გახსოვდეს მისი არსებობა. როცა პოეტს სასაუბრო, ყოველდღიური ენის არსებობა ავიწყდება, იკარგება ბუნებრიობა და, მაშასადამე — პოეზია.

ირაკლი კენჭოშვილი: მოვათავსოთ ერთ სიბრტყეზე სამი ფრაზა — სასაუბრო ენიდან, ყოველდღიური მეტყველებიდან ალბულა ელემენტები — „დარწმუნებული პრძანდებოდეთ...“ ბარათაშვილის ლექსიდან, „ო, არ ველოდი, ქლბატონო, მე თქვენგან ლალატს“ გალაკტიონიდან და თქვენი — „იქნებ რლია ჩამობრანდა პეტერბურ-

დიდამ“. პირადად მე ვხედავ პრინციპულ სიახლეს ოქვენს ლექსში. გაგრამ საინტერესო იქნებოდა ოქვენი აზრი.

— მოგახსენებთ. „იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურლიდამ“ მაღალი რეგისტრია, მაგრამ იქვე ხდება გადასვლა სრულიად საპირისპირო ინტონაციაზე, კერძოდ, სწორედ იქ შემოდის ოქვენს მიერ ზემოთ ხსენებული „დლაბუცი“. ენის ყველა უბანი, ყველანაირი სიტყვა და ინტონაცია უნდა ახსოვდეს პოეტს — „მდაბიურიდან“, ტრივიალურიდან დაწყებული — პათეტიკურით დამთავრებული.

ირაკლი კენჭოშვილი: ჩას გაძლევთ ისეთი პროზაული, თითქოს არაპოეტური სიტყვები, როგორიცაა ოქვენს ლექსებში გამოყენებული ასეთი ფრაზები და სიტყვები — „მე შენ გეტუვი“, „გაი, ჩვენს პატრიოს“, „შე შობელძალლო“ და მეორე მხრივ — „გამოსროლით ხეგსურეთით, ლექსო ხალხურო“ და სხვ. რა მიზანს ისახავთ ასეთი კონტრასტული ლექსიკისა და ინტონაციის გამოყენებით?

— ლექსიკური, ინტონაციური, სტილისტური კონტრასტები ლექსის მუსიკალურ მრავალხმანობას ანიჭებს. გალაკტიონი ზოგჯერ ისე მეტყველებს, რომ მისი ლექსი, სულითა და ხორცით ქართული, ეგრძობულ ინტონაციასაც შემოგაბარებს.

ირაკლი კენჭოშვილი: თქვენც თუ ისახავთ მსგავს იდეალს?

— როცა ამის საშუალებას სათქმელი იძლევა, ვცდილობ დღე-განდელი ქართული ენა, ჩემი მეტყველება ძველი ქართული ენის სტიქიაზე იყოს ორიენტირებული, რომ ამ გზით მუსიკალურად გამდიდრდეს, ახლებურად აუღერდდეს. მუსიკალობაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ლექსი ჯერ ხმაა, ინტონაციაა და შემდეგ — სიტყვები.

10. — ვრცელი პოეტური ნაწარმოებები მაინც დამაინც არ მხიბლავენ, თუ დიდი შინაარსით არ არიან დატვირთული. არა თუ პოემა, ბევრი ვრცელი ლექსიც ხშირად იმიტომ იწერება, რომ მათი ავტორები მოკლებული არიან გადახაზვის ნიჭეს. დაუკვირდით — სუსტი პოეტები იშვიათად წერენ პატარა ლექსებს.

11. — (სიცილით) ნეტა ახლა ვწერდე ისე, მაშინ რომ ვწერდი!

ირაკლი კენჭოშვილი: „საბა“ რომ დაწერეთ, ოციოდე წლისა

იყავით. ძალიან გვჭირდება დღეს ასეთი დებიუტანტები. მაგრამ გა-
დავიდეთ გალაკტიონის დაძლევის პრობლემაზე.

12.— არა მგონია დღეს ვინმე გალაკტიონის მიბაძვით წერ-
დეს. საერთოდ, როცა დიდ პოეტს ბაძავენ, ეგ კიდევ არაა დიდი
უბედურება. საშინელებაა, როცა უხეირო პოეტს ბაძავენ. სამწუ-
ხაროდ, ასეც ხდება ხოლმე. რაც შეეხება დიდი ხნის წინათ დამ-
კვიდრებული პოეტური ნორმის დაძლევას, ეს პრობლემა ზოვი
პოეტისათვის, შესაძლოა, მართლაც არსებობს, რაც ხშირად მა-
ლალფარდოვნებაში მუდავნდება. ეს ყველაზე მეტად მაშინ იგრძ-
ნობა, როცა ავიწყდებათ დღევანდელობა, მისი რიტმი, ხსიათი. მაგ-
რამ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში მალალფარდოვნება და ლექ-
სის მუსიკალური სიმდიდრე და ამაღლებულობა. მალალფარდოვნე-
ბა ყოველთვის ერთფეროვანი, მონოტონური და მომაბეჭრებელია.

ლიპა სტურუა

1.— საერთოდ პოეზია და, რა თქმა უნდა, ქართული პოეზიაც
მანამდე არსებობს, სანამ იგი ძიებისა და მიგნების გზით მიდის.
ძიება — ქვალორილიანი, ეკლიანი, ფეხდაუღამი და შეყურვალე გზა,
მიგნება — წყალი უდაბნოში, ბალახის რბილი თივთიკი, გაშეშე-
ბულ ნაცრისფერ ტვინში ანთებული სინათლე. პოეზიაში ყოველთ-
ვის არიან ოსტატები, რომლებმაც გარკვეულ სრულყოფს მიაღწიეს
ნიჭისა და მუშაობის შედეგად. მათ შესანიშნავად იციან ლექსის კე-
თება, ემოციურ შეფერილობასაც აძლევენ მას და უკამათოდ კარგ
პოეტებად ითვლებიან. მათი ლექსი ესთეტიკურ ტკბობას განიჭებს,
მაგრამ არ გეხება, არ გძრავს, არ გტკივა. მათს სიტყვას ფერი და
მუსიკა გამოარჩევს, სისხლი კი არ სდის. სიტყვაში ფერისა და მუ-
სიკის შეთავსების დიდი ოსტატი იყო გალაკტიონი. მაგრამ მისი
ესთეტიკა კი არ გამშვიდებს და გადუნებს, არამედ გაფორმიაქებს და
გტკივა და — რაც უფრო ძლიერ, ანტიკური ტრაგედიისა არ იყოს,
მით უფრო სალბუნი და სარკის ნატეხივით კრიალაა კათარზისი.

ქართულ პოეზიაში, რა თქმა უნდა, ძიებისა და მიგნების გზით
ერთეულები მიღიან. დატკეპნილი და ნავალი გზით სიარული გაცი-
ლებით იოლია და სწრაფი კეთილდღეობის მომტანი, ხოლო „მხატ-
ვრის და გიუს ხალათის“ ტარება — უმაღური და მწარე. მაღლო-

ბა ღმერთს, რომ ქართული პოეზია არ გაურბის ამ სიმწარეს! იგი აზროვნებს, ეძებს და ტკივა, ე. ი. — არსებობს.

2.— გალაკტიონის თაობათ ალბათ ქართველი სიმბოლისტები უნდა მივიჩნიოთ, რომლებმაც დაახლოებით იგივე გააკეთეს ქართულ ლიტერატურაში, რაც ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც სათბურის ყვაველივით ნაპატიებ, ხელოვნურ, ცისფერსისხლიან ენას ხალხის ალისფერი სისხლი გადაუსხა და გონიერი სისადავე მიანიჭა. სიმბოლისტებმა ესთეტიკური ფასეულობა აღუდგინეს იმ დროისათვის გაღატაფებულ და ლოზუნგებად ქცაულ ენას. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მაინც კანონზომიერი ევოლუცია იყო. რევოლუცია კი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა მოახდინა. „საფირონის თეთრი ხველება“ (ჰ. გაფრინდაშვილი) უჩვეულო სახე იყო, მაგრამ საუცხოოდ უჩვეულო, ხოლო ეს სტრიქონები: „ქალაქში, მტკერში წაიქცა ბაგშეი ნუკრის თვალებით, თმით — მიმოზებით და მწუხარების მაღენიავში, მოფრინდნენ ლურჯი ანგელოსები“, უჩვეულოა, მშვენიერი და აშკარად ქართული.

60-იან წლებშიც მოხდა პოეზიაში ერთგვარი „რევოლუცია“ და, გვინდა თუ არა, უნდა ვირწმუნოთ — ამ გარდატეხის მომხდენი თავისუფალი ლექსი იყო. რითმიანი და თავისუფალი ლექსების დაპირისპირება, მათი ერთმანეთის გამომრიცხაობის მტკიცება უნიჭოთა და ხელმოცარულთა ვარჯიშია წყობილსიტყვაობაში. აღამიანის პიროვნული, კერძო ლტოლვიდან და მიღრეკილებიდან გამომდინარეს, ერთს კონვენციური ლექსი უჩჩენია და მეორეს — ვერლიბრი და ამაში ვერც ვერავის გაამტყუნებ, მაგრამ იმის მტკიცება, რომ, მაგალითად, ამ ორი ლექსიდან — „სხივთალხით განათებულა/სალაზარობო ნათლით/ქართლი, გვირგვინი ეკლისა,/მწირის არგანი, ქართლი“ და „მინდორში დადის გამხდარი ცხენი/და ამ მილიონ, ამ მილიარდ, ამ სამყაროში/ვერავინ ხედავს მას მგლის მეტი“ — ერთს აქვს არსებობის უფლება და მეორეს — არა, ან ერთი ჩამოუვარდება მეორეს როგორც ლექსი, როგორც ხატებით აზროვნების მშვენიერი ნიმუში, საღ გონებასაც ეწინააღმდეგება და მოულოდნელიცაა კულტურული ერისათვის.

ირაკლი კენჭოშვილი: ვინაიდან, თქვენი აზრით, 60-იან წლებში ჩვენს პოეზიაში უკვე მოხდა ძირეული გარდატეხა, ალბათ დღეს ოციოდე წლის შემდეგ ამგვარი გარდატეხის შესაძლებლობასა თუ

საჭიროებას აღარ ვარაუდობთ, თუ პოეზიაში ეტნის ამოფრქვევას უნველთვის უნდა მოველოდეთ?

— ძირეული გარდატეხა პოეზიაში „რევოლუციური გზით“ იმკვიდრებს არსებობის უფლებას, შემდეგ ხდება მისი სტაბილიზება და ერთი ოციოდე წელი მისი დამანგრეველი ძალა სადღაც მიწისა თუ ცის წილში თვლებს. მაგრამ ბუნების ეს კანონზომიერება არ გამორიცხავს და ვერც გაითვალისწინებს ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის რიგის მოვლენას. ტალანტის, გენის მწვერვალზე, კენწეროზე ავარდნას, მის დაცემას და ამის მერე კიდვე უფრო მაღალ, ელვარე კენწეროზე ასვლას ვერ იწინასწარმეტყველებ, ვერ განსაზღვრავ. ასეთ პოეტს ერთს მოაქვს გარდატეხა, უჩვეულო სიახლე, თავისუფლება. ის სკოლას და მიმართულებას არ გმნის: „ვწუხვარ, ერთადერთი ვარ და ზეცაზე წერია/ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“.

3.—ირონიულ-პაროდიული ლექსი, ნიჭიერი, ისეთივე მშვენიერია ჩემთვის, როგორც რომანტიკული, თუმცადა მათ ძლიერ განსხვავებული ემოციურ-გონიერი შეფერილობა აქვთ. ვერც ერთი ტერმინი ზუსტად ვერ გამოხატავს საგნისა და მოვლენის არსს და, მით უმეტეს, პოეზიისა, რომელიც ისეთივე ღრმაა, მრავალშრიანი და ისევე გაბნეული და გასხვავებული ყველაფერში, როგორც მორწმუნე კაცისათვის — ღმერთი.

4.—თანამედროვე პოეზია და პროზა, დრამატულიც და ტრაგიულიც, ირონიულ ელფერს ატარებს, ეგებ იმის გამო, რომ ჩვენს ღროში, ისე მძაფრად, ისე მწარედ და ტებილად, როგორც არას-დროს, იგრძნო ადამიანმა, რომ „ბინდისფერია სოფელი, /უფრო და უფრო ბინდება, /რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება“.

5.—XX საუკუნის ქართულ პოეზიაში აშკარად გამოიყეთა ეს ორი ხაზი: „ირონიულ-პაროდიული“, გონებამახვილური და — ელეგიურ-რომანტიკული. მათი თანაარსებობა ისეთივე ბუნებრივია, როგორც კომედიისა და ტრაგედიის, მუსორისა და მინორის. მეორე საკითხია — რომელი უფრო ახლობელია შენთვის, თუმცადა ყველაზე გულლია მაჟორიც სევდას ატარებს თავის თავში, როგორც კლავიატურის თეთრი სიცილი ბემოლების ნაპრალებში შავდება. ვითონის ლალი, შეუბორეკავი იუმორი ჯალათის ხელიდან სიკვდილით

ბოლოვდება და ეს უკვე ელეგია კი არ არის, არამედ ტრაგედია: „ხვალ გაიგებს ყელი ჩემი, /რას იწონის გავა ჩემი“. მე მხიბლავს ეს სტრიქონები ისევე, როგორც ლაფორგის მთვარეულ-ჭლექიანი სევდა ან ელიოტის თივით დატენილი ფუტურო კაცები. მაგრამ აქ სიტყვა „მხიბლავს“ უადგილოა, ალბათ უფრო შესაფერია — „შეძრა“. ერთი მწერლის გმირისა არ იყოს, რომელიც ქალს ეუბნება — „მე ბევრი ქალი მიყვარდა, მაგრამ შენ შესძარი ჩემი სული“, ჩემს სულს შესძრავს „უნაყოფო მიწა“ და „მშვენივრად ავადმყოფი მაიაკოვსკი“, სხვისას — ვითონის ირონია ან გარგანტუას რენესანსული მაღა. ალბათ სწორედ ეს არის საფუძველი ლიტერატურულაში გონიერამახვილური და სევდიან-ტრაგიული პარალელური ხაზების გამოკვეთისა და მდინარებისა უსასრულობამდე.

6. — „ავანგარდიზმი“, „მაქსიმალიზმი“ ახალგაზრდობის აუცილებელი, მომხიბლავი თვისებებია, რომლებიც სიმწიფეში შესვლისას იშვიათ და ძნელ ტალანტიად იქცევიან. თვითონ ახალგაზრდის პიროვნულ ბუნებაზეა დამოკიდებული, შერჩება თუ არა მას ეს თვისებები ზღაპრის სიყვარულივით სიკვდილამდე. სამწუხაროდ, ეს არც ისე ხშირად ხდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოეზიაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ძნელია მათ პოეტურ სახეზე ლაპარაკი, სანამ იგი არ ჩამოყალიბდება, არ დაწილდება, არ დაიწმინდება.

7. — ალბათ იმიტომ იწერება ბოლო წლებში ლექსების უმეტესობა 8 და 10 მარცვლიანი სტროფით, რომ სისაღავე, პროზასთან სიახლოვე, პოეტური სამკაულების მინიმუმამდე დაყვანა, გონების დომინანტი არა ემოციაზე, არამედ — სენტიმენტზე და მელოდრამაზე, ცნობიერების ნაკადი და სხვ., რამაც 60-იან წლებში თავისუფალი ლექსის სახე მიიღო, სწორედ იმ 10 და 8 მარცვლიან ლექსში იღებს სათავეს, რომელიც შაირთან, სონეტთან, მუხამბაზთან, ტრიოლეტთან და სხვ. (უმთავრესად 14 და 16 მარცვლიანი ლექსი) შედარებით, ნაკლებად აღზევებული, მეტად სასაუბრო, საღა, არაშემზღვდავი ჩანს, მაგრამ ეს — ერთი შეხედვით. მთელი სიცოცხლე მეგონა, რომ სონეტი ყველაზე დახვეწილი, ნატიფი, მყარიად ზღვარდამდები, პოეტური თავისუფლების პროკრუსტეს სარეცელივით შემკვეცი იყო, მაგრამ როცა თვითონ დავწერე სონეტები, მივხვდი, რომ ერთი წუთით არ შევუზღვდივარ ფორმას.

მისი სრულყოფილი გარსის შეესება ისეთსავე სიამოვნებას მანიჭებდა, როგორც მინის გამჭვირვალე ჭიქის პირამდე ავსება წყლით. ყველა ფორმა ლექსისა, ყველა გზა პოეზიაში პერსპექტიულია, თუ ამ გზით ჰეშმარიტი ტალანტი მოდის.

8.—ყოველთვის მიტირდა მხატვრული შემოქმედების ჩაწერება რომელიმე ტერმინის ჩარჩოებში. ეს დაახლოებით ისეთივე შეგრძნებაა — რაიმე ელვარე, არახვეულებრივი ხატი რომ დაგესიზმრება, გაიღვიძებ და, როგორც კი მოინდომებ სიტყვის სამოსელი მოარგო მას, ძონძებში გამოწყობილი უსახური არსება შეგრძება ხელში.

ირაკლი კენჭოშვილი: ეს მხოლოდ პოეტის პასუხია. ამჯერად იქნებ კრიტიკოსმა დაძლიოს ეს სიძნელე.

— რუსთაველი ამბობს: „რაცა ვის რა ბეღმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“. არც არასოდეს მქონია სურვილი ვინმეს ან რაიმეს დაეძლია ჩემში პოეტი და, რა თქმა უნდა, არც მიცდია ამის გავეთება.

9.—„ლიტერატურულ“ და „სასაუბრო“ ენათა არევა თავისუფალი ლექსის სფეროა. მაგრამ ხელოვნება უფსკრულის პირას გადებული თმის სიმსხო ბეწვზე სიარულს გაეს. ურთი გოჭითაც რომ გადაიხარო — გადაიჩები. პოეზიას თავისი კანონები აქვს, პროზას — თავისი, და თავისუფალი ლექსი მხოლოდ გაუწაფაც თვალსა და ყურს ეჩვენება პროზად. რითმიანი ლექსივით, ისიც ერთ მარადიულ და მშევნიერ კანონს ემორჩილება — უპირველეს ყოვლისა იმის, რომ პოეზია სახეებით, ხატებით აზროვნებაა. ამბის კარგი მოყოლა და დაწერა ყოველ წიგნიერ კაცს შეუძლია, ხოლო მასში ხიბლის ჩადება — მხოლოდ პოეტს. რაგინდ მდიდარი ლექსიკა პქონდეს ადამიანს, აუცილებელი ლექსის დაწერისათვის სიტყვების ერთმანეთთან შეთვისება-დაჯგუფების უნარი — ნიჭია, „რადგან ორი სიტყვის თანხვედრა ისეთივე ძნელია, როგორც ორი ერთმანეთის მაძებარი ადამიანის“. ამ სიძნელის გამო სცოდავს ვერლიბრშიც კი გაუმართლებელი პროზაიზმებით თანამედროვე ლექსი, რასაც კანონისა და დოგმის დარღვევა კი არ იწვევს, არამედ — ნიჭის ნაკლებობა.

ირაკლი კენჭოშვილი: ვფიქრობ, თუ პოეზიას კვლავაც სურიას ჩვენს დროში, მისი ერთ-ერთი უმთავრესი და მუდმივი

ამოცანა ის უნდა იყოს, რომ არ შემოიფარგლოს ცხოვრებისა და, შესაბამისად, ენის სპექტრის რომელიმე ერთი სეგმენტით. მე მგონი ამ მიზნისთვისაც, კერძოდ — „დღიური პროზის“ უკეთ ათვისებისათვისაც შეელია აკუსტიკურ მომენტს გარკვეულწილად — ვერლიბრი და მაქსიმალურად — ლექსი პროზად. ამიტომ არა მგონია პოეზიისათვის, მეტადრე — ვერლიბრისათვის პროზას იზმები ცოდვა იყოს. — გააჩნია — როგორ აუდერდებიან. გალაკტიონის სიტყვები — „ის პოეზიად ხდიდა ჩვენი დღეების პროზას“, თუ არ ვცდები, ისევ იდეალად რჩება. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ამ კითხვაზე პასუხს ისევ გალაკტიონით დავიწყებ. მისი ყველა ლექსი, რომლებშიც „ჩვენი დღეების პროზა“ პოეზიადაა ქცეული, შედარებით სუსტი და არაგალაკტიონურია. სამაგიეროდ ჩვენი დღეების რევოლუციური რომანტიკა სახიერდება ისეთ ლექსში, როგორიცაა „დროშები ჩქარა“ (საუკეთესო ქართული ლექსი ამ თემაზე).

უილიამ ფოლკნერის მოთხრობები და რომანები, სადაც აზრობრივ ლაიტმოტივს იგივე მუსიკალურ-ემოციური დანიშნულება აქვს, რაც რეფრენს პოეზიაში, სადაც ისეთი ფერწერული და გრაფიკული ხატები ამოტივტივდება ქვეცნობიერის ბნელი მუცლიდან, ჩემთვის უფრო ლექსებია, ვიდრე — ლექსი, რომელიც ერთ გრძელ, მოსაწყენ ამბავს მიყვება, თანაც ცდილობს ყოველნაირად გაამარტივოს, გააყოფითოს, გააყოველდღიუროს ენა. რა თქმა უნდა, თავისუფალი ლექსის ერთი მთავარი თვისება სწორედ პროზაული საწყისისაკენ გადახრაა, გადახრა და არა ჩაყოლა ან ჩათრევა (არტურ რემბოს აქვს ბრწყინვალე ლექსები). — „ტილების მაძიებლები“ და „მსხლომარენი“ ჰემოროით დაავადებულ ასაკოვან კაცებზე. სადღა უნდა წავიდეს ამას იქით პროზა?). მაგრამ აქ ის წამიერი, ფრჩხილისოდენა ელფერი თუ ნიუანსი მოქმედებს, ის ოქროს „ონავ“, რომლის გაწელვა ან შეკვეცა ხელოვნებიდან ყოფაში გადასვლას ნიშნავს, რაშიც თავისთვალ ცუდი არაფერია, ის საღია, ჭანიანია, კანონიერად გალექსილი, მაგრამ პოეზია აღარაა.

10. — ამ ბოლო დროს საინტერესო ლირიკული პოემები იწვერება.

11. — ჩემი პირველი ლექსები? ახალგაზრდული ხასიათისა იყო, აქსიმალისტური, ამიტომ — ამაყი და კიკლუცი. „და მერე ვიტყვი

ალბათ სიამაყით, /რომ ჩვენ დავიბადეთ რუსთველის ნეკნიდან, / რომ ფიროსმანს უყვარდა ცა და არაყი/და სხვა ყველაფერი ფე-
ხებზე ეკიდა“. მაგრამ თვალებს შორის, შუა შუბლში თანდაყოლილა
ტკივილი მეჯდა, რომელიც თრგუნავდა კეკლუცობასა და თავმომ-
წონეობას და ჰეშმარიტი, გატანჯული სიტყვისკენ მიაქცევდა მათ.

12.— ყოველივე ფასეული და მნიშვნელოვანი, რაიც დიდი
ხნით იპყრობს საზოგადოების გრძნობებსა და გონებას, თავის სა-
წინააღმდეგო რეაქციას იწვევს ბოლოს (ისევე როგორც ნეგატი-
ური და მდარე მოვლენა). ფრანგული სიმბოლიზმი, უკიდურესად
დახვეწილი, რეალური სინამდვილის დამთრგუნავი, ლამის პათო-
ლოგიური ფანტაზიის განმსხეულებელი პოეზიაში, რეაქცია იყო
ნატურალიზმის წინააღმდეგ; ქართული სიმბოლიზმი — გაღარი-
ძებული, თითოვით გალოკილი სიტყვის ესთეტიკური ფასეულობის
აღმდგენი, და უკვე მის წიაღშივე მომწიფდა რეაქცია იუველირული
სინატიფის წინააღმდეგ. გალაკტიონი იმხელავე მოვლენა იყო ქარ-
თულ პოეზიაში, როგორც შეკითხვაში ნახსენები რუსთაველი, პეტ-
რარეა თუ მილტონი. მან ისეთ შემძრელ სრულყოფილებამდე მი-
იყვანა ლექსის პოლიფონია და ფერწერული ხატი, რომ ამის იქით
თითქოს აღარც იყო პოეზია, იმედის წვეთიც აღარ რჩებოდა მისგან
განმსგავსების შესაძლებლობისა. და არა უარყოფის მიზნით, არამედ
ბუნებრივი დიალექტიყის გამო, იმის გამო, რომ ერთ მდინარეში
ორჯერ ვერ შეხვალ, დაწყო ვარდებიანი სილაუგრძის სილაში თუ
სულში სისაძივისაკენ მიღდერეკილმა ოთხარცვლიანმა ლექსმა ფაჩუნი;
თან ცდილობდა განთავისუფლებულიყო მისი მომხიბლავი და მწა-
რე გავლენისაგან, თან არც უნდოდა: ეს და არც შეეძლო. თავისუ-
ფალი ლექსიც ასრულებს ამ მისიას, ზოგჯერ — წარმატებით, ზოგ-
ჯერ — ვერა. მაგრამ ერთი რამ ცხადია — გალაკტიონი რომ ასეთი
მძლავრი ტალანტი არ ყოფილიყო, მისი პოეტური მოდელისაგან
განმსგავსება უფრო ტრადიციული, ნაკლებად კონტრასტული გზით
მოხერხდებოდა. იქნებ მისმა უსაზღვრო თავისუფლებამ („სულს
სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“) მისცა ბიძგი ქართულ
პოეზიას თავისუფალი ლექსისაკენ!

უახლესი ქართული

ლიტერატურის

ასტორიანან

□ □ □

ჯონა ხორცაულის დაბრუნება

□

გვარი ბარდაველიძე

□

კოტე ხიმშიაშვილი იმ თანავარსკვლავედს ექუთვნის, რომელიც 30-იანი წლების ბოლოს ამობრწყინდა ქართული მწერლობის ცაზე: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჭიათ, ლადო ბალიაური... აი, არასრული სია უნიკიერესი თაობისა, რომლის დიდი ნაწილი სიჭაბუქეშივე ომშა იმსხვერპლა. მათ გარეშე ძალიან გაღარიბდებოდა ქართული მწერლობის მთელი ათწლეული.

ეს ახალგაზრდობა მოვიდა იდეურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ბრძოლების ცხელ კვალზე, როცა დენთის სუნი ჯერ კი-

დევ ტრიალებდა, მაგრამ ატმოსფერო მაინც დაწმენდილი იყო.

პოეზიაში ამ თაობის კერპები იყვნენ გალაკტიონი და ტიციან ტაბიძე, პროზაში — მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსა-ხურდია. ეს ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდები უტყუარი ალლოთი გრძნობდნენ, რომ ქართული მწერლობის განვითარების მაგისტრალური ხაზი ამ მწერალთა ევალზე მიემართებოდა.

სასიხარულო ის იყო, რომ პირველხარისხოვანი ლექსის გვერ-დით გამოიკვეთა ასეთივე მაღალი ხარისხის პროზა.

კოტე ხიმშიაშვილი ახალგაზრდა ქართული პროზისათვის იმ რიგის მოვლენა იყო, რაც ლადონ ასათიანი პოეზიისათვის. ოღონდ მას არ დასცალდა განევლონ პროზაიკოსისათვის საჭირო ძიებების გზა, მაგრამ რაც მისაგან დარჩა, ჩენს წინაშე წარმოაჩენს რთული და საინტერესო შემოქმედებითი ხილვების მწერალს, რომელიც გაბე-დულად ეჭიდება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ თემებს და ჭაბუკური შემართებით მიაბიჯებს სამწერლო ოსტატობის ძნელ გზაზე.

ნოველისტური სტილითა და თემის აქტუალობით, თანამედრო-ვი ცხოვრებისადმი გამახვილებული ყურადღებით კოტე ხიმშიაშვი-ლი ყველაზე ახლოს დგას მიხეილ ჯავახიშვილთან, მწერალთან, რო-მელმაც, უდავოდ, დიდად განსახლვრა ქართული პროზის განვი-თარების გზები.

კოტე ხიმშიაშვილი მოწოდებით პროზაიკოსია: იგი ჩვილმეტა წლის ასაკში წერს მოთხრობებს. ამ ასაკში, ჩვეულებრივ, ლექსებს წერენ. თუმცა პოეტური მსოფლაღქმა და ლირიკული განცდა მის-თვის უცხო როდია. კოტეს პირველი მოთხრობები ფორმით ლი-რიკული აღსარებანია, ხოლო შინაარსით — პოეტურად ამაღლე-ბული, რომანტიკული, ზოგჯერ — ჰეროიკული.

კეთილშობილური ჰუმანიზმითა და პოეტური ლირიზმითაა გამ-სჭვალული მოთხრობა „ღამე“. მასში აღწერილია სამი წლის ლილის განცდები, რომელიც პირველად ათევს ღამეს საბავშვო სახლში, რაღაც დედა მოუკვდა. „გოგონამ გვერდი იბრუნა და უფარდო სარქმელს მიაშტერდა. ფანჯრებს იქით, მინდვრებზე ბნე-ლი ღამე იწვა. დიდი ცხოველია აღბათ ის, მოვა და დაფარავს ყვე-ლაფერს. მოვა და ადამიანები სახლებში იმალებიან. გაიხედავ სარქმელში — არაფერი მოჩანს: ღამე მოჰყუდებია მინებს შავი

ზურგით. მოვიდა ღამე და, გინდა თუ არა, უნდა დაიძინო. გარეთ ვეღია გახვალ, გეტყვიან: ღამეა, იქ არ შეიძლებაო. დაგაძინებენ და როცა გაიღვიძებ, ღამე უკვე წასულია. ვერც მის მოსვლას და ვერც გაპარვის ვერ იგებს ლილი. სალამოს ნელ-ნელა ეშვება ბიძა და მერე ამბობენ: „აი, ღამე მოვიდაო“. ბავშვს დედა ენატრება და აი, დედის მაგივრად მას მოევლანება ახალგაზრდა ქერა ქალი, ლენა, რომელიც ცრემლებს მოსწმენდს და მიუალერსებს. ლენაც ობოლია, ამ სახლში აღიზარდა, ახლა ათწლედს ამთავრებს და განზრახული აქვს, მთელი სიცოცხლე ასეთი ობლების აღზრდას შესწიროს.

საყურადღებოა, რომ მოთხრობის თემა ჟაბუქ მწერალს სინამდვილის უშუალო შთაბეჭდილებით უნდა შეექმნა. ქუთაისიდან გადმოსულ ხიმშიაშვილების ოჯახს კოჯორში უცხოვრია, სადაც მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი უპატრონონ ბავშვთა სახლი იყო. მომავალი მწერლის გული ღრმა თანავრძნობით შეძრულა „ბუნებით დაჩაგრულ“ თანატოლთა ბედისადმი. „რატომ არ ხვდება ლილის პატარა თითები დედის ძუძუებს? რად არ უთბობს ლილის ლოყას დედის სუნთქვა? რას გაჩუმდა დედა, რატომ არ უშლერის ლილის? ჩვეულებრივ, დაძინების ღროს გვერდზე რომ მოუწვებოდა ხოლმე, ახლა რად არა ჩანს? სად არის დედა? რა იქნა დედა?! რისთვის არ მოდის დედა?“ მიძინებულ ოთახში გაუბედავად გაისმა უნუგეშო და უსუსური არსების ტირილი“. შეუძლებელია ამ პატარა მოთხრობის აუდელვებლად წაკითხვა.

ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა მწერლის ყურადღებას იქცევს სიყვარულის გრძნობის ფსიქოლოგიური ანალიზი. საერთოდ, ხიმშიაშვილის ყველა მოთხრობა აღბეჭდილია ღრმა ფსიქოლოგიზმით, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ფსიქოლოგიური დეტალების მოხდენილი შერჩევით, არამედ შინაგანი მონილოგების საკმაოდ მაღალი ოსტატობით. ამასთანავე, ახალგაზრდა მწერალი თავის გმირებს გვაჩვენებს უკიდურესი სულიერი დაძაბულობის მომენტში. ინტონაციაც, შესაფერისად, მღელვარეა, ემოციური, აღგზნებული.

აი, დასაწყისი მოთხრობისა „თავთავი მწიფე ა“, რომელიც ახალაღძრული სიყვარულის გრძნობას ედლენება: „პოი, გეს-მის თუ არა შენ, დაიკო?.. მე მან მაკოცა!.. შენს თავს გეფიცება, მაკოცა... აღარ ვიცი, რა გითხრა.. აი, ხელს მქერდზე დავიდებ და

მგონია, მტრედები ჩაფრენილან იქ". სიყვარულის გრძნობა ხიმ-შიაშვილის გმირებში ბუნების წიაღში იღვიძებს და ისეთივე უშუალოა, ნათელი და აღმამფრენია, როგორც თავად ბუნება. „ნელი ნაბიჯებით მივდიოდით მხარდამხარ. მეტრი ლრმად ისუნთქავდა მცენარეების სუნით გაუდენთილ ჰაერს, ჭრიჭინები განუწყვეტლივ კრუალებდნენ, მეტრცლები დაბლა დასრიალებდნენ და ხანდახან მწყერის გაკვირვებული შეძახილიც გვესმოდა". „მან ღიმილით ჩამომართვა ხელი და... არ ვიცი, დაიკო, ის დაიხარა ჩემსკენ თუ მოთიბულ ბალაზზე ფეხი გამისრიალდა და უნებურად მე თვითონ მივეყრდნე, ან ნიავმა ხომ არ მიგვაასლოვა ერთმანეთს.. ეს კია, — მე უეცრად მის მკერდთან აღმოვჩნდი, მან ორივე ხელი მქლავებში მომქიდა, ახლოს მიმიზიდა და ლოყაზე მაყოცა... ერთ წუთს შაშვმა ჭახჭახი შეწყვიტა, ჭრიჭინებიც გაჩუმდნენ, ნიავი გარინდდა, მგონი, მეტრცლებმაც ფრთები შეიქეცეს და სწრაფად დაეშვნენ მიშაზე".

მოთხრობაში „გაზაფხულის უცნაურობა“ ნაჩვენებია, თუ როგორ თანდათან იპყრობს ჭერ კიდევ ბუნდოვანი, მაგრამ ძალუმი გრძნობა ასინეთს, რომელსაც ჭერჭერობით ვერ უხვდება მისი კომკავშირელი ამხანაგი, ცოტნე. „წაბლამ, როცა ულაყის ფლოჭვების ხმა გაიგონა, ყურები შეარხია, ცილისფერი ბრმა თვალები მიაბრუნა ულაყისაკენ და გაუბედავად დაიჭიხვინა. „ამასაც დაეტყო გაზაფხული“, — ვაიფიქრა ასინეთმა, შუბლი ხელით დაიჩრდილა და შორეულ, თითქოს იასამნის მტევნებისაგან ნაშენებ კაგვასიონის მთებს გახედა. გზაზე ცენტრით მხარდამხარ ვავიღნენ. ასინეთმა დახრილ წამწამქუშ ისე შეათვალიერა შავ, ტან-მორჩილ ულაყზე მჯდარი ცოტნე, თითქოს აქამდე არ ენახა. ცოტნე ჭერა იყო. ტანზე ცარიელ საქილეებიანი შავი ჩიხა ეცვა და წვივებზე შავი პაჭიჭები“. ქალი მოუსვენრობას შეუბყრია, მაგრამ ცოტნე ვერაფერს გრძნობს, იგი ხელიდან უშვებს თავისი ცხოვრების ალბათ ყველაზე ბეღნიერ წამებს და ქალს დედაბრის სატირალში აჩქარებს. „დედაბერს თებრონე ჰქვია და ასინეთს ტირილთან ერთად „თებრონეს“ სიმღერის მოტივიც წასცდება. მოთხრობაში სიყვარულისათვის შემზადებული ქალიშვილის განცდები და ბუნების პოეტური სურათები ვირტუოზულადაა შეზავებული ანეგდოტურ

შინაარსთან და ახალგაზრდა მწერლის მხატვრული ოსტატობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

სიყვარულის ძალამ გარდაქმნა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა „თალხ კაცე“ („საქორწილო მუსიკა“). ეს კაცი სამგლოვიარო მუსიკის ბიუროში მუშაობდა და გარეგნობაც შესაფერისი ჰქონდა: ყველაფერი თალხი ფერისა ემოსა, ვიოლინოსაც კი შავი შალითით დაატარებდა. არ ჰყავდა მეგობრები, სტუმრად არავინ დაუდიოდა, ფოსტალიონს არასოდეს დაუძახია მისი გვარი. უყვარდა მხოლოდ სამგლოვიარო მუსიკა, იყო ჩუმი, მარტოხელა და გაუბედავი. მაგრამ, აი, მის მეზობლად დასახლდა მუშა ქალი, „ტანმრგვალი, მკვირცხლი და კუნთოვანი“. ქალს მუსიკა ჰყვარებია და ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, რასაც ქორწილი მოჰყვა. თალხმა კაცმა იგრძნო ბედნიერება, რასაც სიყვარული ანიჭებს აღამიანს. ამიერიდან მას სამგლოვიარო მუსიკა აღარ შეიძლება იჩიდავდეს: „და მეორე წუთში სტუმრებმა გაიგონეს რაღაც ზრიალი, ქვენების მსგავსი, ძლიერი ტკივილისაგან გათავისუფლებისას რომ აღმოხდებათ ხოლმე. თალხმა კაცმა ხელიდან გააგდო მიზრაფი და თითების ერთი მოძრაობით დასწუვიტა თავისი ძველი საქრავის ყველა სიმი. და როდესაც ელნათურებით გაკაშკაშებულ, სიჩუმით მოცულ ოთახში ფანჯრის მინებს მიეხეთქა და ჩაკვდა გაწყვეტილი სიმების უკანასკნელი აკორდი, თალხმა კაცმა თავის გვერდზე გადახრით მიუგდო ყური... და ბედნიერებითა და ღვინით მთვრალმა ემადაბლა გაიცინა“.

როდესაც გაიხსენებთ, რომ ამ მოთხრობებს წერს სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი მწერალი, არ შეიძლება არ მოგხიბლოთ უსაზღვრო რწმენამ სიყვარულის ძალმოსილებისა, ნაზმა და პოეტურმა ლირიზმა, რომლითაც გამსჭვალულია ყველა მოთხრობა.

სიყვარული კოტე ხიმშიაშვილის მოთხრობებში არა მხოლოდ ბედნიერების მიმნიჭებელი გრძნობაა, არამედ სოციალურად განპირობებულია და დროის ნიშნითა აღბეჭდილი. სიყვარული და წოდებრივი უთანასწორობა არ იყო ახალი თემა ქართულ მწერლობაში, მაგრამ კოტე ხიმშიაშვილმა აქაც მოძებნა თავისი თვალთახედვის კუთხე და შექმნა პოეტური მოთხრობა აზნაურის ქალზე შეყვარებული ჭაბუკი გლეხის შესახებ („ქაჯთა სასძლო“). ჭაბუკი

გლახუკა და აზნაურის ქალიშვილი, თხუთმეტი წლის ნესტანი „ვეფხისტყაოსანმა“ დაახლოვა ერთმანეთს. „მგონი უკუკე მეასეჭერ სხედან ისინი ამ კაკლის ძირში და ნესტანის სიახლოვისაგან თუ შოთას გრძნეული სიტყვებისაგან საბრალო გლახუკას: „გული მი-დამო უარდა, ჰერთებოდა და ელალვოდა“. გატაცებით კითხულობდა ბიჭი. უნებურად ნესტანის ხელს მონახავდა და სათუთად მოუ-ჭერდა მის თლილ თითებს თავის ხელს, თან მხარზე გრძნობდა ჭალის მკვრივი მკერდის შეხებას. ვერაფერმა დაავიწყა გლახუკას ის დღეები. თუნდაც ახლა, თვალს დაბუჭავს და ისევ გრძნობს ნიგვზის ფოთლების სუნს, ნესტანის სუნთქვას კისერზე და ლოყაზე, მწყერივით განაბულ მის თბილ ხელს თავის ხელში. ახლაც ყურში ჩაესმის: „ზამთარი ვარდსა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცივიან...“ ზოგჯერ ბიჭი კითხვას შესწყვეტდა, ნესტანს მიუბრუნდებოდა, ჩა-ამტერდებოდა გაღვივებულ თვალებში და ახლო, სულ ახლო მი-იტანდა თავის სახეს ქალის სახესთან. ქალი წამით გაყუჩდებოდა, შემდეგ ბუსუსით დაფარული პატარა ტუჩი აუთრთოლდებოდა. ხელს წაართმევდა და ფეხზე წამოიჭრებოდა“. შემდეგ ქალს გა-ათხოვებენ, ხოლო გლახუკას ნესტანი იმ „ვეფხისტყაოსანს“ საჩუქ-რად დაუტოვებს. საწყალი ბიჭი შორს გადაიკარგა და მშობლიურ სოფელში მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ. უკვე კოლმეურნეობის ხა-ნაში დაბრუნდა. ერთადერთი ქონება, რომელიც კოლმეურნეობაში შეიტანა, ეს იყო მისთვის ყველაზე ძვირფასი სახსოვარი — „ვეფ-ხისტყაოსანი“. უკვე ხანდაზმული გლახუკა ასე შეაფასებს თავისი უიღბლო სიყვარულის ამბავს: „ყველა ღარიბისათვის მდიდრის ქა-ლი ქაჯთა სასძლოა“, ე. ი. ისევე მიუწვდომელია, როგორც ქაჯე-თის ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჭანიო.

უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის სოციალური მოვლენების შედეგად აღამიანთა ყოფასა და ფსიქიკაში მომხდარი გარდატეხის ასახვა, ძველისა და ახლის კონტრასტული დაპირისპი-რება 30-იანი წლების ქართული მწერლობის უმთავრესი თემა იყო („კოლხეთის ცისკარი“, „გვადი ბიგვა“). ჭიბუკი კოტე ხიმშიაშვი-ლის პირველი მოთხოვნა, რომელმაც მას სახელი გაუთქვა, ამ თე-მაზე იყო შექმნილი — „გლობუსი“.

სუფთა, ამაღლებული სიყვარულის ჭიბუკური განცდა, სიახლის გამახვილებული გრძნობა, მაღალი იდეურობა და ახალგაზრდა

მწერლისათვის საქმაოდ მაღალი ოსტატობის ხარისხი კოტე ხიმში-აშვილს ქართული მწერლობის საიმედო ძალად წარმოაჩენდა. მის-გან ყველა, მკონცელიცა და კრიტიკა, ბევრს მოელოდა. ყველა-სათვის ცხადი იყო, რომ ქართულ მწერლობაში გამოჩენდა მაღალ-ნიჭირი, დიდი შესაძლებლობების მქონე მწერალი. წარმატებებს კოტე ხიმშიაშვილისათვის თავბრუ არ დაუხვევია, თუმცა ყველაფ-რიდან ჩანს, რომ მას ფართო გეგმები ჰქონდა: მისი პერსონაჟები საზოგადოების თითქმის ყველა ფენას განასახოვნებენ, მოთხრობა-თა მოქმედების გეოგრაფიული არე მოიცავს საქართველოს თით-ქმის ყველა კუთხეს, მწერალი პატარა მოთხრობებში სვამს თავისი ღრიას მრავალ აქტუალურ პრობლემას.

საერთოდ, ახალგაზრდების იმ ჯუფს, რომელიც თავმოყრილი იყო უურნალ „ჩენი თაობის“ ირგვლივ, ახასიათებს უსაზღვრო პა-ტივისცემა ქართული მწერლობის უფროსი თაობისადმი, მაგრამ ისინი არ იყვნენ მოკლებული ახალგაზრდობისათვის ჩეულ მეტო-ქეობის გრძელებასაც, გაბედულად მიპყვებოდნენ კვალში აღიარე-ბულ ოსტატებს და მათთან ერთად ჰქონიდნენ ახალ ქართულ მწერ-ლობას, დიდსა და რთულ შემოქმედებით ამოცანებს ისახავდნენ. კოტე ხიმშიაშვილს მათში გამორჩეული ადგილი ეჭირა. ახალგაზ-რდა მწერალმა ქართულ მწერლობაში მოიტანა აქტუალური პრობ-ლემები, გამასვილებული ყურადღება ახალი ადამიანის არამარტო გარეგანი ცხოვრებისადმი, არამედ მისი სულიერი სამყაროსადმი, და ბოლოს, იგი მწერლობაში მოვიდა თავისი ბიოგრაფიით, თავი-სი ნანახითა და განცილით. რაც უფრო მდიდრდებოდა მისი ბიოგ-რაფია, ახალგაზრდა მწერლის თვალსაწიერიც თანდათან ფართოვ-დებოდა. და, ის, ხელიდან ხელში გადადიოდა 1940-41 წლის „ჩენი თაობის“ ნომრები, რომლებშიც კოტე ხიმშიაშვილის რომანი „ჭონჭა ხორნაული“ იბეჭდებოდა. სამწუხაროდ, ეს რო-მანი ახალგაზრდა მწერლის გედის სიმღერა აღმოჩნდა...

„ჭონჭა ხორნაული“ ერთ-ერთი პირველი რომანია ქართულ მწერლობაში, რომელშიც ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის სახე იყო ნაწ კენები.

„ჭონჭა ხორნაული“ პირველია ქართულ მწერლობაში, რომელ-შიც სტუდენტური ცხოვრება აისახა.

რომანის მოქმედი გმირები არიან: სტუდენტები, პროფესორე-

ბი, მხატვარი, არქიტექტორი, ისტორიკოსი, ფილოლოგი და მავნებლები.

რომანის გმირთა მოქმედების არეა თბილისი: უნივერსიტეტი, სტუდენტური, პროფესორის ბინა, რუსთაველის გამზირი, სახალხო ქომისრის კაბინეტი, ტრამვაის ვაგონი, რესტორანი, თბილისის შემოგარენი...

რომანის მოქმედების კალენდარული დროა 30-იანი წლების ბოლო. მხატვრული დრო მოიცავს ორ-სამ თვეს — ზამთრიდან ზაფხულამდე.

რომანში ყველაფერი ეს ნაჩვენებია შეკვარებული წყვილის — ჯონქა ხორნაულის და მანანა ციხისელის ურთიერთობის ფონზე.

ჯონქა ხორნაული, ფშაველი შონადირის შვილი, უნივერსიტეტის სტუდენტია. ამითაა განპირობებული მისი ბედი და თავგადასავალი რომანში. მისგან ახალი, რევოლუციის შემდეგ წარმოშობილი ინტელიგენტი რომ ჩამოყალიბდეს, ჯონქამ უნდა მიიღოს არა მხოლოდ შესაფერი სწავლა-განათლება, არამედ გარკვეული წრთობა და ცხოვრებისეული გამოცდილება. ამიტომ მწერალი თავის გმირს უკიდურესი სულიერი მღელვარებისა და მოქალაქეობრივი პოზიციის შემუშავების პროცესში გვაჩვენებს. სწავლა-განათლებას მას უნივერსიტეტი აძლევს, კერძოდ, პროფესორი ეგნატე ლაზიშვილი. აქ ყველაფერი ნათელია და გარკვეული: მთიდან ჩამოსულ ჭაბუქს ნიჭიც აქვს, ცოდნის წყურჩილიც და არც მონდომება აკლია. თვითდამკვიდრების გზაზე ჯონქა ხორნაულმა მრავალგვარ გამოცდას უნდა გაუძლოს, რომლებთან შედარებით სტუდენტური გამოცდები გაცილებით დავილი დასაძლევია.

ჯონქა ხორნაული რომანის მთავარი გმირია — იგი წარმართავს ამბავთა მსვლელობას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვა პერსონაჟებს, მასთანაა დაკავშირებული რომანის პრობლემატიკა.

ჯონქა ხორნაული ფშაველი შონადირის შვილია, ლუკა ხორნაულის, რომლის ორეულად კარგა ხანს გრძნობს თავს. იგი იმ მთიელ ახალგაზრდას ჰგავს, რომლის პორტრეტი ციხისელების ოჯახში ნახა: „მხატვარმა უთუოდ განგებ არ გადმოსცა ტანსაცმლის დეტალები, რათა რომელიმე ცალქე ტომის წარმომადგენელი არ გამოსვლოდა. ნაბადში გახვეულ, თავშიშველა ჭაბუქზე ვერ იტყოდი, ძოხევე იყო, ქისტი, სვანი თუ რომელიმე სხვა კუთხის მცხოვრე-

ბი...“ საყურადღებო დეტალია. თუ იმ ჭაბუკს ნაბადზე მაინც ეტყობა, რომ მთიელია, ჯონქა ხორნაულს მხოლოდ სახელი და გვარი შემორჩენია: მისი არც ჩაცმულობა, არც მეტყველება, ან ხასიათის რომელიმე თვისება არ მიგვანიშნება, რომ იგი არამცოუ ფშაველი, არამედ მთიელია თუ ბარის ნებისმიერი კუთხის მცხოვრები. ასე ომმ, ჯონქა კრებითი სახე-ხასიათია და იგი ასეთად უნდა განვიხილოთ.

თეთრი საყელო და ყელსახვევი, როგორც ქალაქური ციფალიზაციის სახე-სიმბოლოები, ამ რომანშიც ფიგურირებს და ერთ-გვარად იმეორებს იმ პოეტიკას, რომელიც მ. ჯავახიშვილის სახელგანთქმულმა რომანმა დაამკვიდრა. „ჯონქა ხორნაულს“ სხვა არაფერი აქვს საერთო „თეთრ საყელოსთან“. ხიმშიაშვილის რომანში დაპირისპირება თვითონ ინტელიგენციის შიგნით მიმდინარეობს და, მაშასადამე, „გაქერქეშებული“ საყელო და სიმწრით განასკული ყელსახვევი ერთობ პირობით ხსიათს ატარებს.

ასეა თუ ისე, ინტელიგენტურობის ამ ატრიბუტებით — ყელსახვევით და გახამებული საყელოთი წარსდგება ჯონქა ხორნაული სტუდენტი მეგობრის მანანა ციხისელის ოჯახში, მისი დაბადების დღეზე. მანანა სახელმოხვეჭილი ბუნებისმეტყველის, პროფესორ დაჭით ციხისელის და ასევე ცნობილი მხატვრის, ქალბატონ ნინოს ერთადერთი ასულია და მათ ოჯახში თავი მოუყრია სხვადასხვა ასაკისა და მდგომარეობის ხალხს. აქაა, ალბათ, მწერლის ჩანაფიქრით — მაშინდელი თბილისის მთელი საზოგადოება. ჯონქამ ამ ქრელ ხალხში საბოლოოდ უნდა გაარკვიოს თავისი აღგილი, თავისი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პოზიცია. ჯონქას თბალით დანახული ციხისელების სალონი კი მართლაც მრავალფეროვანია.

მწერალი მოხდენილად იყენებს ამ ხერხს — სალონის ტიპაჟსა და სალონურ საუბარს — სერიოზული პრობლემის, ახალი ქართველი ინტელიგენტის ჩამოყალიბების პროცესის წარმოსაჩენად.

აქ არიან ტიპიური სალონური ნიღბები. პარევნიუ — ლაქლაქი ითამ ხიზირელი, რომელსაც შეულწევია სამეცნიერო წრეში, ფილოლოგიის ასპირანტია და ცოტა მუშაობითა და ცოტა ძიებით ფიქრობს დოქტორი გახდეს. მისი დევიზია: „გიცხოვროთ... გემონებიანად ვიცხოვროთ და ბასტა...“ აქ არიან უსახური ტიკინები, რომელთაც საზოგადოების გართობის ფუნქცია ეკისრებათ: ევრო-

პული ცეკვების მასწავლებელი, მეტსახელად შიბზიკა, „ბატკანი-
 ვით ხუჭუჭა“ კიტი, რომელსაც „არაჩვეულებრივად სქელი გავა“
 ჰქონდა, და მისი კავლერი: „ისინი შეუწყვეტლად, მსუბუქად
 საუბრობდნენ ყველაფერზე და თან არაფერზე“. აქვე არიან: ხელ-
 შოცარული არქიტექტორი თამაზ იათაძე, ხელმოცარული სცენარის-
 ტი ჯიმშერ მხეიძე. ყურადღებას იქცევს ჯონქას ჩიხერონე —
 ციცინო ამილახვარი, აგრეთვე ხელმოცარული ხელოვანი, მაგრამ
 სხვებთან შედარებით საინტერესო პიროვნება. ციცინო წარმომავ-
 ლობით, როგორც ჯონქა ამბობს, გადაგვარებული თავადაზნაურო-
 ბის წრიდანაა და, რასაკვირველია, თავს ზედმეტად გრძნობს რევო-
 ლუციის შემდეგ შექმნილ საზოგადოებაში. მაგრამ იგი არაა ფხი-
 ზელი განსხის უნარს მოკლებული და ჯონქა სწორედ მისი დახმა-
 რებით გაარკვევს თავის ურთიერთობას სხვებთან. მათი კლასიფი-
 კაციით, ციხისელების ოჯახში თავმოყრილი საზოგადოება ხარისხ-
 დება: „შთამომავლობით ინტელიგენტებად“, ისეთებად, როგორიც
 არიან პროფესორი დავით ციხისელი და მისი ოჯახი, თვითონ ციცი-
 ნო ამილახვარი; „ვითომ ინტელიგენტებად“, როგორიც არიან:
 იოთამ ხიზირელი, კიტი, შიბზიკა და სხვები: „ძველ ინტელიგენ-
 ციად“, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია პროფესორი ეგნატე
 ლაზიშვილი, და „ახალ, რევოლუციის შემდეგ შექმნილ ინტელიგენ-
 ციად“, რომლის ტიპიური წარმომადგენელი უნდა გახდეს ჯონქა
 ხორნაული, თუმცა ციცინო ამილახვარი ჯონქას უკვე მიიჩნევს ასე-
 თად. რაკი ჯონქასა და ციცინოს საუბარში გაცხადებულია რომანის
 ერთ-ერთი ძირითადი ხაზი — ინტელიგენციის თემა, მოვიყვანოთ
 რამდენიმე ამონარიდი: — „რა ტიპია ეს კიტი? — იყოთხა ჯონქამ. —
 ჩვეულებრივი მანჭია, კარგად ჩაცმა, ცეკვა და თეატრებში სიარული
 მიაჩნია ინტელიგენტობად“. ციცინოს დახასიათებით, კიტის მსგავ-
 სნი „ადვილად ჰყარგავენ წონასწორობას, ადვილად დაავადდებიან
 ხოლმე ეგრეთწოდებული „წვრილბურუუაზიული“ ჩვევებით... კომ-
 ფორტი და გართობა კულტურად მიაჩნიათ. ეს იმიტომ, რომ მატე-
 რიალურად მოსწყდნენ რა თავიანთ კლასს, კლასობრივი ინსტიქტი
 მოუდუნდათ, ხოლო კლასობრივ შეგნებამდე ვერ ამაღლებულან“.

საერთოდ, ციხისელების სალონში ბევრს ლაპარაკობენ ინტელი-
 გენციის თემაზე და ჯონქაც ცდილობს გაარკვიოს თავისი ადგილი.
 აი, იოთამ ხიზირელის თვითერიტიკა: არქიტექტორი თამაზ იათაძე

უჩივის შემოქმედებით უნაყოფობას. ოთამი ეტყვის: „ჩვენ რაღაც გვიშლის, პოტენცია გვაკლია, პოტენცია. მე პირადად ამოწურული ვარ, ამოწურული... შევყურებ ამ გლეხის ბიჭებს, გუშინ რომ ჩამოსულან თბილისში, რა ძალა შესწევთ, რა ცოდნის წყურვილი აქვთ... დღედაღამ კითხულობენ, ბიბლიოთეკებში იჩხრიკებიან...“

აე „ჩამოსული ბიჭების“ შესახებ უფრო კატეგორიულად მსჯელობს პროფესორი დავით ციხისელი. პროფესორ ეგნატე ლაზი-შვილთან საუბარში, რომლის უნებური მოწმე შეიქმნება ჯონქა, პროფესორი ციხისელი უნივერსიტეტს უნიჭობის ინკუბატორს ეძახის და ამბობს: „ჩვენს შორის დარჩეს, ჩემო ეგნატე, ეს ახალგაზრდობა დაბა-სოფლებიდან მოისწრაფვის არა ცოდნის წყურვილით, მეცნიერებისადმი ინტერესით, არამედ იმისთვის, რომ უმაღლესი სასწავლებელი დამთავროს და ამით უკეთესი თანამდებობა მიიღოს. სწავლა სარფიანი გახდა, სარფიანი და ამიტომ ეტანება სოფლის ხალხი. ასეთი სულისკეთების შეონე თაობისაგან შეუძლებელია მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას მოველოდეთ. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მათი უნივერსიტეტში ყოფნა ხალტურაა და არა სწავლა..“ ამაზე, ცხადია, ციხისელს არ ეთანხმება „ახალგაზრდობის საყვარელი მასწავლებელი“, პროფესორი ეგნატე ლაზიშვილი: „პირიქით, დავით, მეცნიერებასთან აროდეს მოსულა ასეთი შრომისმოყვარე, უანგარო, ენთუზიაზმით აღსავსე ხალხი. ხომ დასწრებიხარ მისაღებ ვამოცდებს, ცილისწამება იქნებოდა იმ ბავშვებზე, ნაწნავებიან გოგონებზე და პირველდა გაპარსულ ბიჭებზე გვაფიქრა, რომ უნივერსიტეტში სარფიანი კარიერისთვის შემოღიან. მივაღდნილ სოფლებში, არც ერთ რუქაზე რომ არ არის აღნიშნული, ახალგაზრდები წლობით ოცნებობენ უნივერსიტეტში მოხვედრას. რამდენი ტალანტი იღუპებოდა უწინ ხელოვნურად შექმნილი ათასგვარი დაბრკოლებებით...“ ბატონი ეგნატეს აზრით, ამ ახალგაზრდების უმრავლესობას „სწავლისაგნ იზიდავს ადამიანობის სიამაყე, მათ სურთ სძლიონ უკანასკნელ უთანასწორობას, გონებრივ უთანასწორობას...“ ცხადია, ამის მოსმენის შემდეგ ჯონქა უცხოდ გრძნობდა თავს ციხისელების ოჯახში და მან უჩუმრად დასტოვა იქაურობა.

ჯონქა ამ მისთვის მიუღებელ სალონს კი განერიდა, მაგრამ მანანა ციხისელის სიყვარული კიდევ უფრო მოეძალა, თუმცა მა-

ნანას მისთვის არ ეცალა. მან ხომ მანანასთვის გაიკეთა ზოლებიანი ყელსახვევიც და გაქერქეშებული საყელოც.

ახალგაზრდა მწერლის თვალსაზრისით, ხიდჩატეხილობის საკითხმა ახლა შთამომავლობითი და ახალი ინტელიგენციის ურთიერთმიმართებაში გადაინაცვლა.

მანანა ციხისელი, ცხადია კესო არაა, მაგრამ მისი არცთუ შორეული ორეულია. უფრო ნაკლებ ჰგავს ჯონქა გიორგის, მაგრამ... აქ საჭიროდ მიმაჩნია ადგილის მოტანა რომანიდან: „ხორნაულისთვის მანანას ოჯახში მისელა ომის გადახდას ნიშავდა. რაღაც უპირატესობის გრძნობა ჰქონდა მანანა ციხისელს ჯონქასადმი, უკვე რამდენიმე წელიწადია ისინი ერთად სწავლობენ და ერთმანეთს მეგობრობდნენ. ჯონქა მანანაზე არანაკლებ გონებაგახსნილი და ნაკითხი ჩანდა. ცხოვრებას იგი თითქოს უკეთ იცნობდა, უფრო ძლიერი ნებისყოფის მეონედაც მიაჩნდა თავი, როგორც ეს ახალგაზრდებს ჩვევიათ, მაგრამ მაინც, მანანასთან ყოფნის დროს მუდამ გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა, რომ მანანას სწორი გამხდარიყ. მანანა „შთამომავლობითი ინტელიგენტი“ გახლდათ. ციხისელების ოჯახიდან რამდენიმე საზოგადოებრივი მოღვაწე გამოსულა. მანანას მამა საკმაოდ სახელგანთქმული ბუნებისმეტყველი, პროფესორი იყო, დედა — მხატვარი“. ამ ქალს დიდი გავლენა აქვს, ჯერჯერობით, ფშაველი გლეხის ვაჟზე. „მანანასთან დამეგობრების შემდეგ ჯონქა უნებურად სულ სხვა, ახალ კატეგორიებად დაუწყო დაყოფა ადამიანებს. ზოგი კაცი შიბის ხის ფუტურო კაკალს ჰგავდა, გარედან ოქროთი დაფერილს. ეს ფუქსავატები უმთავრესად ყოფილ თავიდაზნაურობილან იყვნენ. მათ ნატიფი მიხერა-მოხერა და ზრდილობიანი, დაუბრკოლებელი, მაგრამ უშინაარსო საუბრის გარდა არაფერი გააჩნდათ. ზოგის გარეგნობაში კი მართლაც გამოსჭვიოდა კულტურა, უმრავ წვრილმანებისაგან შემდგარი ჩვევა ქმნილა პიროვნების „გეშტალტს“. ხშირად ძნელი იყო ამ ორი კატეგორიის ერთმანეთისაგან გარჩევა, მაგრამ მანანას, ჯონქას აზრით, პიროვნების სრულყოფა მოსწონდა, თორებ ჩაცმულობა რა ყურადღების ღირსი იყო, და თანაც „შთამომავლობითი ინტელიგენტი“ თითქოს არსებითად ემიჯნებოდა არისტოკრატიზმს“.

სანამ მანანა კარგად თამაშობს თავის როლს, ჭაბუკი ხორნაული თავბრუდახვეულია, თუმცა მას ყური არ უნდა აერიდებინა

ციცინო ამილახვარის გაფრთხილებისათვის: „მანანას შეუძლია ყველას გაუწიოს მეგობრობა, მაგრამ მისი მეგობარი, მისი ქმარი, მეჯერ წარმოდგენილი არა მყავს. არც თვითონ ეგულება აღმათ ვინ-მე ჩეენს საერთო ნაცნობებში...“. ჯონქას ჰავნია, რომ იგი „ასხვა-ვებდა ერთმანეთისაგან იმ „ბურუუზიულ ჩევებს“, რომლისადმი წარუშლელი სიძულვილი ჭერ კიდევ ადრე სიჭაბუქისას ჩაუნერგეს კომკავშირის უჭრედში“. ქალს სიამოგნებს ნიჭიერი ვაჟის ყურადღება და მასთან სიახლოვეს არ გაურბის, რაც ჯონქას უიმედო სიყ-ვარულში გადაეზრდება. რა თქმა უნდა, მანანამ თითქოს არაფრად ჩაგდო ჯონქას უმსგავსო საქციელი ციხისელების დარბაზობაზე, როცა ფანტში აჲყვა კიტის და გაშმაგებული კოცნა დაუწყო, შემდევ კი ღვინით გაილებშა. მაგრამ „შთამომავლობითი ინტელიგენტები“ ასეთ რამეს ბოლომდე არავის პატიობენ. არც ჯონქას აპატიეს: მა-ნანა ციხისელი მალე ცოლად გაპყვა ხელმოცარულ არქიტექტორს, აგრეთვე „შთამომავლობით ინტელიგენტს“ თამაზ იათაძეს, თუმცა ციცინო ამილახვარი ირწმუნებოდა, მანანა აროდეს გახდება ჩვეულებრივი მოკედავის მეუღლეო. მანანამ, მისი მხატვარი დედის სი-ტყვებით, საგანგებო ნიუარა გაიკეთა — გათხოვდა — რათა კანა-ჭვეყნის შთოთი არ იგრძნოს. მანამდის მანანამ გამოარკვია, ხორნა-ული სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდევ თბილისში აპი-რებდა დარჩენას თუ არა. შეკვარებულმა ჯონქამ ამის გადაწყვეტა თვითონ ქალს მიანდო. როგორც ჩანს, მანანამ ჩვეული გარემო ირ-ჩია და ბოლომდე ვერ ენდო ახალი ინტელიგენციის წარმომადგე-ნელს.

ახლა კი ჯონქამ სული შეუბერა მანანას სახელზე მოწყვეტილ ენძელის და მას კვლავ დაუბრუნდა კლასობრივი ინსტინქტი: ეს ინსტინქტი კი ეუბნებოდა, რომ იგი თავიდანვე უცხო იყო ციხი-სელების ოჯახში და რომ თურმე „გარკვეული საზომი არსებობს ციხისელებისას ჯონქასთანა ახალგაზრდებისათვის“.

ასე დამთავრდა ჯონქა ხორნაულის სიყვარულის ისტორია.

ჯონქა კვლავ თავის ამხანაგებს, თავის ჩაგუს, კიტეს, გიგას და სხვებს დაუბრუნდა. მისი მისაბაძი იყო და ახლა კიდევ უფრო იქნება პროფესორი ეგნატე ლაზიშვილი. ჯონქა ასე ჩამოაყალიბებს თავისი თაობის სამოქმედო პროგრამას: „თქვენ სწორედ ის ადამია-ნი ხართ, ბატონო მასწავლებელო, რომელსაც ჩვენ ვეცდებით მივ-7. კრიტიკა № 1

ბაძოთ. ყველა, ვისაც სწავლა-განათლება მიუღია, თავს ინტელიგენტად თვლის, მით უმეტეს, თუ უმაღლესი განათლება აქვს. ჩეხინ კი თქვენგან ვისწავლეთ, რომ არის ერთი, ძნელად შესამჩნევი, მაგრამ უტყუარი სინჯი, რომელიც „ვითომ ინტელიგენტებს“ განასხვავავებს ჭეშმარიტი ინტელიგენტებისაგან, რამეთუ უთქვამთ, ყველა ოქრო არ არის, რაცა ბრწყინავსო. ეს სინჯი ხალხისადმი სამსახურია. ახლა ძალა ცოდნაშია, ჩენც ვეცდებით ვიყვეთ უბრალონი და ჩვენი ძალით ხალხის დამხმარე...“

„ჯონქა ხორნაული“ პრობლემატური რომანია. მასში ყველა იდეა და ავტორისეული ჩანაფიქრი მოაზრებულია როგორც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და მყაფიოდ, შეიძლება ითქვას, კლასობრივი ტენდენციურობითაა ჩემოყალიბებული.

აქედან გამომდინარე, სანამ მოღვაწეობის დიდ გზაზე გავიდოდეს, ჯონქა ხორნაულმა კიდევ ერთი გამოცდა უნდა დაიჭიროს: კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში მან უნდა გამოკვეთოს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია.

რომანში შემოდის მავნებლების თემა. ეს იყო 30-40-იანი წლების მწერლობის მძიმე კვარი, რომელსაც აგრეთვე კისრულობს ახალგაზრდა კოტე ხიმშიაშვილიც.

სახალხო კომისარი ალფეზ ჩიქოვანი „ნაპოლეონის კომპლექსითაა“ შეპყრობილი, რაც მას საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაქში მიიყვანს. ერთი მისი თანამებრძოლი ასე ამხელს ალფეზს: „თქვენა ხართ ერთი უბრინციბო და ხელმარცხი ავანტიურისტი, შემთხვევით რომ მოვიდა რევოლუციისთვის მოელო თქვენი ცხოვრება კარიერისთვის ბრძოლა იყო. რევოლუციამ ბევრი თქვენისთანა გაიყოლია, ამოატივტივა კიდეც, მაგრამ ზღვა ლეშს არ დატოვებს, უსათუოდ გარიყავს ნაპირზე... რითა ხართ უქმაყოფილო? იმით, რომ ბოლშევიკებმა უფრო მეტი თანამდებობა არ მოვცეს? პმ, რასაკვირველია — ნერონი, ნაპოლეონი, კრომველი... კომისარად როგორ დაეტევა ამ პატარა აქსპუბლიკში?“ აი, ეს ალფეზი, რომელიც ფშავში ნადირობს ხოლმე, შთააგონებს ლუკა ხორნაულის ვაჟს: „ყველა სათამაშოს ხელი ვერ შესწვდება, თუ მაღალი არა ხარ. მაღლა, სულ მაღლა, აი, რა უნდა იყოს ახალგაზრდა კაცის დევიზი... თავიდანვე საჭიროა თავგამეტებით იბრძოლო, კბილით მოეჭიდო. ან უნდა გასცილდე ყველას და საჭუთარ

ჩიგარაში ჩაიგეტო ქიბო-განდეგილივით, ან, რაფი ჯოგში გაფრიც, ალქაზი გახდი, წინამავალი, ოორემ თუ რჩეული არა ხარ, გულის წალილს ვერ შეისრულებ და ეგ კალებ არაფერი, რაც მთავარია, შური დაგახრჩობს, შური».

ალფეზს ჯონქა ხორნაული თბილისის დასაპყრობად ჩამოსული ჰეონია და ცდილობს თავის გავლენის ქვეშ მოიქციოს.

ჯონქას ერთგვარი სიმპათიები აქვს ფშავში არაერთგზის ნას-ტუმრები ძია ალფეზისადმი და ზრდილობის გამო უსმენს მის შე-გონებებს, რესტორანში და სანადიროდ გაპყვება. მაგრამ როდესაც ალფეზმა მისი ბრძა იარაღად გამოყენება მოინდომა, ჯონქას თვალი აეხილება. ალფეზმა მას სთხოვა მეცხვარეებთან აეყვანა ვითომ რე-ვიზორი, ყოფილი კულაყი სარხანია, რომელსაც თან პეტონდა დავით ციხისელის მიერ დამზადებული ცხვრის საწამლავი. ბოროტმოქმედე-ბას ფარდა აეხადა, ჯონქამ სარხანია გაკოჭა და მავნებლებიც მხა-ლებულნი იქნენ.

ჯონქა ხორნაული დაემშვიდობა უნივერსიტეტს, თბილის და მთას დაუბრუნდა, რათა თავისი ცოდნა ხალხს მოახმაროს.

„ჯონქა ხორნაული“ ახალგაზრდული მგზნებარებით დაწერილი რომანია სტუდენტობაზე, სიყვარულზე, ახალგაზრდობაზე, ცხოვ-რების გზების ძიებაზე, პიროვნების თვითდამკვიდრებაზე. მწერალი და მისი გმირი ერთი ასაკისანი, ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ. მერე მეორე მსოფლიო ომმაც მოუსწროთ... კოტე აპირებ-და თურმე ჯონქას შემდგომი თავგადასავლის ჩვენებას, მაგრამ არ დასცალდა.

ოთხი ათეული წლის შემდეგ „ჯონქა ხორნაული“ ქვლავი და-უბრუნდა ქართულ მწერლობას, ახლა უკვე სამუდამოდ. ეს რომანი, ისევე როგორც კოტე ხიმშიაშვილის ნაზი ლირიზმითა და მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსით აღმდეგილი მთელი შემოქმედება, ღირ-სეულად ავსებს მაშინდელი ქართული მწერლობის სურათს.

„ალზიორა“

(გ. ტაბიძის ლექსების ციკლი კახეთზე)



გიორგი ჯავახიშვილი



1922 წელი. აგვისტო.

აგვისტო კახეთში ყურძენს რომ თვალი შეუვა, ის თვეა. აშ
დროს კარგად დაისვრიმებული ყურძენი მწიფდება და თავკვერა
კი უკვე მოღეულიცაა. სწორედ აგჭისტოს თვის „მშობლიურ
ქარს“ აპყვა ჩვენი დროის დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე და კა-
ხეთს ესტუმრა:

ეს მშობლიური ქარია,
ეს სოფელია მძინარე,
არ ვიცი, რად მიხარია:
ვაზი, ყანები, მდინარე.
დოგმ ნისლი შემოიხვია,
გზაც სიარულმა დალია,
ეს — ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წინანდალია.

„გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობაში“, რომე-
ლიც დაცულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწი-
ფო ლიტერატურულ მუზეუმში, ვკითხულობთ: „...ზაფხულში გა-
ლაკტიონი მოგზაურობს კახეთში. ამ მოგზაურობის დროს იწერება
მისი ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“, „წინანდალელი ნათელა“,
„კახეთის მთვარე“, „ღამე ხეობაში“, „შავით შემოსილხარ, რო-
გორც ეღლებია.“.

სანამ უშუალოდ ამ ციკლის ლექსებზე ვისაუბრებდეთ, გავიხ-
სენოთ გ. ტაბიძის მიმართვა ხელოვნების მუშაკებისადმი, რომელიც

„გალაკტიონ ტაბიძის უურნალში“ გამოქვეყნდა: „ოქვენ, პოეტებო, მხატვერებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს, ისე როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქის უნდა ანათებდეს შესაფერი ხელოვნება... მე გეძახით თქვენ! გმირებო, შემოქმედებითი ცეცხლით საცსე ახალგაზრდობაგ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა... გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას!“ (1922, № 1). პოეტის ამ მომწოდებელ ხმას აძლიერებს ისიც, რომ იგი პირველი გადადგამს პრაქტიკულ-შემოქმედებით ნაბიჯს, წავა კახეთში და სოციალიზმის მშენებელ აღამიანებს შეხვდება.

გ. ტაბიძე აღაფრთოვანა კახეთის მთვარემ და ოლაზნის ველმა, ერეკლე მეორის ბურჯგალავანინმა თელავმა, სიღნაღმა, „მგლოვიარე ბინდებით“ მობურულმა ყვარელმა, ვაზდაბურდულმა წინანდაღმა, აელვარებულმა ახმეტურმა ვაშლმა.

წინანდაღელ ნათელას უძღვნა გალაკტიონმა ბრწყინვალე პოეტური სტრიქონები:

წინანდაღელი ნათელა
ულამზესო ქალია.
ო, ჩემო ციცინათელი ,
ჩემო ციხე და გალია.
მთელი საღმო შევჭერდა:
რა არის ქალის სინაზე,
მაგრამ უეცრად შევჭერდი
მშენები თინათინაზე.
ბრწყინვალა საარაკო ცა, —
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,
როს შუქმა ღრუბელს აკოცა
ყველა ქალების ჭინაზე.

ვინ იყო გ. ტაბიძის შთამაგონებელი წინანდაღელი ნათელა, იგივე „მშენიერი თინათინი“? ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში იმ ადგილას, სადაც „მშენები თინათინაზე“ ლაპარაკი, პოეტს უწერია: „ავალიშვილზე თინაზე“. შემდეგ პირვანდელი ტექსტი ავტორს გადაუხაზავს და მის ნაცვლად დაუწერია ის, რაც ძირითად ტექსტშია — „მშენიერ თინათინაზე“.

შენიშნულია, რომ „გალაკტიონის ქალები რეალურნი არიან თა-

გიანთი ცოცხალი ბუნებით” (დ. ბენაშვილი). მართლაც, „წინანდალელი ნათელა“ — ავალიშვილი სალომე, გალაკტიონის თინათინი, რეალური პიროვნება იყო.

ავალიშვილი სალომე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი) და მისი მეუღლე პეტრე კოპაძე გალაკტიონის სტუმრობისას წინანდალში იყვნენ. სავანელების ოჯახში დიდებული შეხვედრა მოუწყვეს გალაკტიონს; პოეტმა და პეტრე კოპაძემ გაიხსნეს ქუთაისური ამბები, ტიციან ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ბალმონტი და პაოლო იაშვილი; შემდეგ ერთად შემოიარეს კახეთი...

ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს სალომე ავალიშვილის ვინაობა. იგი დაიბადა 1899 წელს თელავის რაიონის სოფელ კონდოლში. სწავლობდა თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში. დაამთაერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამუშაოდ ქობულეთში წავიდა, 1937 წლიდან კი ბათუმში გადავიდა. ექიმი ქალი 1966 წელს გარდაიცვალა. მისი დისტვილის ი. ავალიშვილის ცნობით, სალომე ხშირად იგონებდა გალაკტიონის ტუმრობას კახეთში.

გ. ტაბიძეს კახეთის ბუნების საოცრებამ ათქმევინა:

გახედე: კახეთი! დამსკდარა ატაში,
 რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი,
 გარეულ ჭალებში ტრალებს ქათამი,
 ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი.
 პირველ სექტემბრიდან სასაჩაკ, სავათა,
 იქ თბაზე მეტია გნოლი და კაკაბი.
 თხუთმეტი: ახალი იმედის სათავე.

სადაც კი ნისლია და ტყეა საკაფი,
 თოფის ხმა, კივილი სისწრაფით მტევარი:
 „დაფრი, ალზორა“, და მიჰქრის მწევარი...
 ალაზნის ველი სჩანს. დილაა მზიანი.
 გარშემო ბურია ლამენათევარი.

აქ პოეტი გვევლინება ალაზნის ჭალებში ნადირობის მონაშილედ, „ალზორა“ კი, ჩეუნის ფიქრით, მწევარის სახელი უნდა იყოს.

სხვათაშორის, ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტს სათაურად აქვს „მონა-დირე“ (გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1966, გვ. 352).

22 ავცისტოს გალაკტიონი სიღნალისკენ მიემგზავრება, სადაც რამდენიმე დღე რჩება და „ალზიორას“ ციკლის უკანასკნელ ლექსი — „შევით შემოსილხარ, როგორც ელევია“ — წერს და ასე ათარიღებს: „1922 წ. 1 ენცენისთვე ქ. ქ. სიღნალი“. შემდეგ, აქვე მან ამ ობოლ მარგალიტებს „ალზიორას“ ქუდი დაპხურა და დედა-ქალაქისკენ გასწიო.

როგორც ცნობილია, 1922 წელს გ. ტაბიძე აარსებს თავის უურნალს („გალაკტიონ ტაბიძის უურნალი“), რომლის მხოლოდ ათი ნომერი გამოვიდა. პირველ ნომერში დაიბეჭდა ალზიორას ციკლის პირველი ლექსი „ეს მშობლიური ქარია“, ხოლო დანარჩენი რვა ლექსი კი პოეტმა სხვადასხვა წლებით დაათარიღა და ისე გამოაქვეყნა. ამჟამად ეს ლექსები, თანმიმდევრობით დალაგებული, შესულია გ. ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომში.

შევეხებით გ. ტაბიძის კახეთში დაწერილი ლექსების ციკლის საერთო სათაურის „ალზიორას“ წარმომავლობის საკითხს.

სიტყვა „ალზიორა“ შემოქლებით ნიშნავს ალაზან-იორს. მისი შექმნის ისტორია ასეთია: 1917 წელს სიღნალში ჩამოყალიბდა ქიზიუ-კახეთის აქციონერული საზოგადოება „ალზიორა“, რაც სიმბოლურად გამოხატავდა ალაზან-ივრის რეგიონის მოსახლეობის კავშირს. ამ საზოგადოების მიერ დაარსებულ იქნა თამბაქოს ქარხანა, რომელსაც „ალზიორა“ ეწოდა. იგი დაუარსებია გაზეთ „ხმა კახეთისას“ (გამოდიოდა სიღნალში 1912-17 წწ.). რედაქტორს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ქოტე ტყავაძეს (1870-1924), რომლის დირექტორიც იგი იყო დიდხანს. გამგეობის წევრები იყვნენ: დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო აბეტელი, ანტონ ნატროშვილი, გიორგი ხატისკაცი და ვასო სიფრაშვილი. თამბაქოს ქარხანა „ალზიორა“ სიღნალიდან გადატანილ იქნა სოფელ წნორში, შემდეგ ისევ სიღნალში, 1923 წლიდან კი — თბილისში.; ამ პოეტურმა სახელწილებამ იმდენად დიდ პოპულარობას მიაღწია, რომ იგი ადამიანის საკუთარ სახელადაც კი გაუხდიათ. სიღნალის მმაჩის ბიუროს არქივში დაცული საბუთებიდან ჩანს, რომ სოფელ ანაგაში 1920 წელს დაბადებული გოგონასათვის სახელად ალზიორა დაურქმევიათ.

როგორც ჩანს, გალაკტიონ ტაბიძის მიერ კახეთში დაწერილი ლექსების ციკლისათვის სათაური „ალზიორა“ აქედან უნდა იყოს აღებული. ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, თითქოს პოეტის „ალზიორა“ ქიზიყ-ქახეთის აქციონერულ საზოგადოებას ნიშნავდეს; უბრალოდ, გალაკტიონს თამამად შეეძლო ეწოდებინა კახეთის ციკლის ლექსებისათვის ეს კეთილხმოვანი სახელი, თუნდაც იმიტომ, რომ მან იმოგზაურა ივრისა და ალაზნის მიდამოებში.

კლასიკური მემკვიდრეობა

□ □ □

„პირველი აღკიშიაზე“

□
 ბაჩანა ბრეგვაძე¹
 □

დიოგენე ლაერტელი გადმოგვცემს, რომ „ალკიბიადეს“ სათაურით ცნობილი ნაწარმოებები, პლატონის გარდა, დაუწერიათ აგრეთვე სოქრატეს სხვა მოწაფეებსაც, V-IV ს. მოღვაწეებს — ანტისტენეს, კინიკოსთა ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელს, ეპილედეს, მეგარელთა სკოლის მეთაურს და ესქინეს, რომელთა საკმაოდ მრავალრიცხვანი თხზულებებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ფრავ მენტებმა მოაღწია ჩვენს დრომდე. მიუხედავად ამისა, პლატონოლოგიის იმ პერიოდში, როცა დიდი ფილოსოფოსის თხზულებათა ავთენტიკურობაში ეჭვის შეტანა ყოვლად უცნაურ მოდად იქცა, კრიტიკამ სახელდახელოდ დაივიწყა, რომ იგივე დიოგენე ლაერტელი პლატონის თხზულებათა ნუსხაში ასახელებს ორსავე „ალკიბია-

დეს“ („პირველსაც“ და მეორესაც“)? ან, თუ არ დაივიწყა, ყოველ შემთხვევაში, რატომღაც ნაკლებ საყურადღებოდ მიიჩნია ეს ცნობა და შეეცადა „პირველი ალკიბრადე“ ერთ-ერთი ზემოხსენებული ავტორისთვის, ან სულაც დღემდე უცნობი რომელიღაც ფილოსოფოსისთვის მიეწერა, რომლის არა მარტო თხზულებები, თვით სახელიც კი არ შემოგვრჩენია. ასე მაგალითად, ჩვენი საუკუნის დამდეგს გერმანელი მეცნიერი პაინრიპ დიტმარი ამტკიცებდა, რომ „პირველი ალკიბიადე“ დაწერილი უნდა იყოს 340-330 წლებში პლატონის უცნობი მოწაფის მიერ, და რომ ეს დიალოგი ანტისთენეს „კიროსისა“ და „ალკიბიადეს“, ესქინეს „ალკიბიადესა“ და ქსენოფონტეს „მემორაბილიების“ („მოგონებები სკრატეზე“) უშუალო გავლენითაა ალბეჭდილი³. დიტმარი ერუდიტია. მის მიერ შივგლეული შესატყვისობანი არავითარ ეჭვს არ იწევს. და მაინც, მთელი ეს ინტელექტუალური კონსტრუქცია მით უფრო ილუზორულია, რაც უფრო მახვილგონიერული ეჩვენება იგი ზერელე და ზედაპირულ აღქმას. „ყველაფერი ასევე კარგად აისწნება, — წერს მორის კრუაზე, — თუკი დავუშვებთ, რომ პირიქით, სწორედ პლატონის თხზულება იყო ის მოდელი, რომლითაც საზრდოობდა სკრატეს მიმდევარი არა ერთი და ორი მწერალი. ყველა ამნარ ჭიპოთეზას დიალოგში გამოვლენილი ორიგინალობის სრული არცოდნა უდევს საფუძვლად. ჩემის აზრით, ყოვლად შეუძლებელია მისი მიწერა უცნობი ავტორისათვის, რომელსაც ასე ნაკუშ-ნაკუშ უნდა შეეკოშიწებინა იგი. როცა ქმნილებას ცალკეულ ნაწილებად ვშლით, როგორც იქცევიან მანკიერი მეთოდით თავგზააბნეული კრიტიკოსები, მხედველობიდან გვეკარგება მთელი, რომელიც გვიმუშავნებს ავტორის პიროვნებას⁴. სწორედ ავტორის პიროვნებაზე გადააქვს ქცეულტი ვლადიმერ სოლოვიოვს, როდესაც წერს: „თუკი ყურადღებით დავუკვირდებით იმ ს ხ ე ა დ ა ს ხ ე ა თვალსაზრისის შინაარსს, რაც „ალკიბიადეს“ სამ სხვადასხვა ნაწილში ვლინდება, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ პლატონს არა მარტო შე-ე-ძლო დაწერა ეს დიალოგი, არამედ ისიც, რომ არავის, პლატონის გარდა, არ შეეძლო მისი დაწერა“⁵... მაგრამ ავტორის პიროვნების გარდა, საბედნიეროდ, ჩვენს ხელთაა მისი გრანდიოზული შემოქმედება, და თუ მიუკერძოებელი, ტენდენციურობის ლიბრით დაუბინდავთ თვალით შევხედავთ და ობიექტურად

გავაანალიზებთ პლატონის შემოქმედებითი ევოლუციის ცალკეულ ეტაპებს, დავრჩწმუნდებით, რომ „პირველი ალკიბიადე“ ამ შემოქმედების ორგანულ და განუყოფელ ნაწილად გვევლინება, რომელიც მირიადი ხილული თუ უხილავი ძაფით უკავშირდება მთელს. დიალოგის პირწმინდად ფორმალურ, მხატვრულსა თუ სტილისტურ თავისებურებებზე რომ ალარაფერი ვთქვათ, რომლებსაც პლატონის პირვენების, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის აშკარა ბეჭედი არის, საკმარისია აღინიშნოს, რომ „პირველი ალკიბიადეს“ არა ერთსა და ორ პასაუში უკვე ისახება რამდენიმე ისეთი კონცეფცია, რომელთა შემდგომი დახვეწა და თანდათანობითი განვითარება პლატონის სულიერი ევოლუციის საკვანძო მომენტებად უნდა მიგვაჩნდეს⁷. ხოლო თუ დიალოგის ფორმა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისგან, თუ ავტორის ხელოვნება, ერთი ექროპელი მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯერ კიდევ თავის თავს ეძებს“, თუ მოქმედება აშკარად გაჭიანურებულია, ხოლო აზრთა ჭიდილი — დრამატიზმს მოქლებული (ვინაიდან დრამატული სიმძაფრის ხარისხს, უწინარეს ყოვლისა ხასიათების თვითმყოფობა განაპირობებს, ალკიბიადეს სახეს კი აშკარად აკლია ეს თვითმყოფობაც, სიმტკიცეც და პრინციპულობაც, ვინაიდან სოკრატეს ყოველი შეტევისთანავე უკან იხევს, რათა მოჩვენებითი მიამიტობით ან გაქნილი პოლიტიკოსის ცუდად შენიღბული ცინიზმით თავი აარიდოს საკუთარი „მრწამსისთვის“ ბრძოლას), და თუ პაქტორია ხშირ შემთხვევაში სოფისტების ლოგიკურ უონგლიორობას მოგვაგონებს, რა ვუყოთ მერე? განა ლირს იმის მტკიცება, რომ არცერთი დიდი მდინარის შესართავი არა ჰგავს მისსავ სათავეს?

ყურით მოთხოვული კი არა, ნეტავი პლატონის ამ დიალოგთან დაკავშირებული რეალური პრობლემები გადაგვაჭრევინა. ასე მაგალითად, „პირველი ალკიბიადეს“ დაწერის ზუსტი თარიღის დადგენა დღესდღეობით ყოვლიც შეუძლებელია და, ალბათ არც არასდროს იქნება შესაძლებელი, თუკი მეცნიერებამ, სენსაციური აღმოჩენის წყალობით, რაღაც ახალ წყაროს, ცნობასა თუ დოკუმენტს არ მიაკვლია, რაც, კაცმა რომ თქვას, ნაკლებადაა მოსალოდნელი; თუმცა, ვინ იცის?.. მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია დაბეჭითებით, რომ „პირველი ალკიბიადე“, როგორც პირწმინდად სოკრატული დიალოგი, პლატონის შემოქმედების პირველ პერიოდში

ეპუთვნის, ესე იგი, დაწერილია ორი საუკუნის — V-IV ს. მიჯნა-
 ზე; შესაძლოა, დიალოგის მოქმედ პირთა სიცოცხლეშივე, ან ერთ-
 ერთი მათგანისა თუ ორივეს სიგვდილის შემდეგ. სავარაუდოდ შე-
 იძლება შემოვიფარგლოთ ათწლეულით — 404-394 წწ. რაც შეეხება
 „პირველი ალექიბიადეს“ მოქმედების დროს, დიალოგის საქმაოდ
 მდიდარი ფაქტობრივი მონაცემების მიუხედავად, არც მისი დად-
 გენა ხერხდება სრული სიზუსტით, ვინაიდან თვით ეს ფაქტები
 მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევიან ერთიმეორეს. ჩვენთვის ორად-
 ორი ფაქტიც საქმარისია: ერთის მხრივ, თავის მამა-პაპასთან —
 ლეოტიქიდესა და არქიდამესთან ერთად, დიალოგში იხსენიება სპარ-
 ტის მეფე აგის I (426-401)⁸, ხოლო მეორეს მხრივ, სოკრატეს
 სიტყვით ირკვევა, რომ ალექიბიადეს (451/50-404) „ჯერ ოცი წე-
 ლიც არ შესრულებია“ (123), საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ
 დიალოგის მოქმედება 430 წელს მიმდინარეობს, მაგრამ ეს თარიღი
 არ შეესაბამება აგისის ტახტზე ასვლის (426) წელს⁹. სიტყვამ მო-
 იტანა და აქვე უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ ამნაირი შეუსა-
 მობანი არცთუ იშვიათი მოვლენაა პლატონის ქრონოლოგიაში.

ასეა თუ ისე, ჩვენ ათენის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრა-
 მატული მომენტის წინაშე ვდგავართ. ათენისა და სპარტის საუ-
 დუნოვანი ანტაკონიშმი, მათი ბრძოლა ჰეგემონიისათვის, ბოლოს
 და ბოლოს, სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. პერიკლეს მმარ-
 თველობის დასასრულს დაიწყო ჰელლოპონესის ომი (431-404). ლა-
 კედემონელები ატიკაში შეიჭრნენ. არნახული სისასტიკით მიწევ-
 დნენ ისინი წინ, ცეცხლს უკიდებდნენ უკვე სამკალად მოწეულ პუ-
 რის ყანებს, ჩეხავდნენ ზეთისხილის ბაღებსა და ვენახებს, მიწას-
 თან ასწორებდნენ სოფლებსა და დაბებს. პერიკლეს განკარგულე-
 ბით, სოფლის მოსახლეობა აუნში ჩამოასახლეს, პირუტყვი კი კუნ-
 ძულებზე გახიზნეს.¹⁰ თავის მხრივ, ათენელთა სამხედრო ფლოტი
 არანაულები სისასტიკით არბევდა პელლოპონესისა და ლაკედემო-
 ნელთა. მოკავშირების სანაპიროებს. მაგრამ ხიზნებით გაჭედილ
 ათენში მოულოდნელად იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, თუკიდიდე
 შემდეგნაირად აგვიწერს ამ საზარელი სენის მძვინვარებას: „...იხო-
 ცებოდნენ უპატრონოებიცა და ისინიც, ვისაც ზრუნვა და მოვლა-
 პატრონობა არ აკლდა. არ აღმოჩნდა არავითარი სამკურნალო სა-
 შუალება, ავადმყოფებისთვის რომ ეშველა: რაც ერთისთვის სა-

სარგებლო იყო, მეორეს კნებდა. ვერავითარი ორგანიზმი — ვერც მაგარი და ვერც სუსტი — ვერ უძლებდა სნეულებას.. მაგრამ მთელს ამ უბედურებაში ყველაზე საშინელი მაინც სულიერი დათ-რეუნვილობა გახლდათ (როგორც კი შეუძლოდ იგრძნობდნენ თავს, დაავადებულნი ყოველგვარ იმედს კარგავდნენ და ბედს. შე-რიგებულნი არავითარ წინაღმდეგობას აღარ უწევდნენ ავაღმყოფობას)... მომავადავები ერთმანეთზე ეყარნენ, ან ცოცხალ-მკვდრები დაღოღავდნენ ჭუჩებში და აუტანელი წყურვილით გაწამებულნი წყაროებს ეძებდნენ... რაკიდა სეჩი თავიწყვეტით მეტინგარებდა, ამიტომ ხალხმა, რომელსაც მომავლის იმედი აღარ ჰქონდა, დაი-ვიწყა პატივისცემა ღვთიური თუ აღამიანური დადგენილებების მი-მართ... ახლა აღარავინ ეკრძალებოდა იმნაირი საქმის ჩადენას, რა-საც უწინ საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ იმისი შიშით, ვაითუ ალექსანდრინობა დავგწამონო. ხალხი ხედავდა, რაოდენ სწრაფად იცვლებოდა მდიდრების ბედი, რა ანაზდეულად იხოცებოდნენ ისინი და არასმენენი დაუყოვნებლივ ეპატრონებოდნენ მათ ავლადიდებას. ამიტომ ყველა ცდილობდა სასწრაფოდ ეგემა სიცოცხლის სიტყბოება, ვინაიდან სიცოცხლეცა და სიმდიდრეც ერთნაირად მსწრაფლწარმავილი ეჩვენებოდათ... აღარც ღმერთების შიში ჰქონდათ და აღარც აღამიანური კანონებისა, რადგანაც ხედავდნენ, რომ ყველა განურჩევლად იხოცებოდა, და ამიტომ მათთვის უკვე სულერთი იყო, პატივს სცემდნენ ღმერთებს თუ არა. ეგეც არ იყოს, აღარავის აღარ ჰქონდა იმის იმედი, რომ იქამდე მიჰყვებოდა სუ-ლი, როცა თავისი დანაშაულისათვის ბასუხი უნდა ეგო. გაცილებით უფრო მძიმე ჩანდა ის განაჩენი, რომელიც უკვე ყველის ჰქონდა გამოტანილი, და რა გისაკვირია, რომ მის ალსრულებამდე ცდა-ლობდნენ, რაღაცით მაინც დამტკბარიყვნენ ამ სიცოცხლეში”!

ლაპედემონელები უკეთეს მოქავშირეს ვერც ინატრებდნენ, სა-სოწარკვეთილ ხალხში შავ ჭირზე არანაკლები სისწრაფით გავრცელდა ანარქიის „ეპიდემია“, რომლის პირველი მსხვერპლიც პერიკლე გახდა: „ავადმყოფობამ დამღუპველი გავლენა იქონია მოქალაქეების არა მარტო სწეულზე, არამედ სულზედაც: ისინი პერიკლეს გადაეკიდნენ. როგორც სნებით ცნობამიხლილი ხალხი აღანაშაულებს ხოლ-მე მამას თუ ექიმს, ისე ათენელებიც აუმბოხდნენ პერიკლეს მისი-ვე მტრების წაქეზებით, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ავაღმყო-

ფობას ქალაქში თავმოყრილი სოფლის მოსახლეობის სიჭარებები იწვევს, ვინაიდან ეს მიღეთის ხალხი იძულებულია მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთად იცხოვოს ვიწრო ქოხმიხებსა თუ სულისშემხუთველ სარდაფებში... ხოლო ამაში ბრალი მიუძღვის მას, ვინც საომარი ვითარების გამო ქალაქის გალავანში შემორჩეა ამდენი ხალხი და ნაცვლად იმისა, რომ რამეში გამოიყენოს ისინი, არხეინად უყურებს, როგორ ასნეულებენ ერთმანეთს, პირუტყვებივთ საჩიხეში გამომწყვდლუნი, და საშუალებას არ აძლევს მათ, როგორმე შეიცვალონ თავიანთი მდგომარეობა და სუფთა ჰაერით ისუნთქონ“¹²⁾.

სწორედ ამნაირი განწყობილების შედეგი იყო, რომ მას შემდეგ, რაც თხუთმეტი წლის მანძილზე უცვლელად ასრულებდა პირველი სტრატეგის მოვალეობას, 430 წელს პერიკლე უკვე აღარ აირჩიეს ამ თანამდებობაზე. მტრებმა ისიც კი მათხერხეს, რომ სახელმწიფო სახსრების ფლანგება დასწამეს და სამართალში მისცეს. მართალია, 429 წელს პერიკლე კვლავ აირჩიეს სტრატეგად, მაგრამ ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია: შავი ჭირი შეეყარა და იმავე წლის სექტემბერში გარდაიცვალა. ასე ულიმდამოდ დასრულდა ამ დიდი კაცის ერთმმართველობა (საგსებით სამართლიანი შენიშვნას პლუტარქე: „პერიკლეს დროინდელ სახელმწიფო წყობილებას თუკიდიდე გვიჩატავს როგორც არისტოკრატიულ წყობილებას, რომელიც მხოლოდ სახელით იყო დემოკრატიული, სინამდვილეში კი ერთი თავკაცის მბრძანებლობად გვევლინებოდა“¹³⁾). თავისი დახვეწილი, ზომიერი და წინდახედული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკისა და მოქნილი დიპლომატიის წყალობით, პერიკლე მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა ათენში — დემოსისა და არისტოკრატიის ერთგვარი თანხმობის, ხოლო ელინურ სამყაროში — წონასწორობისა და მშვიდობის შენარჩუნებას. მისი სიკვდილის შემდეგ კი ყველაფერი აირ-დაირია. საქმე უკუღმა წავიდა („სანამდის ხალხის სათავეში პერიკლე იდგა, სახელმწიფოს საქმეებს ასე თუ ისე არა უშავდა; მისი სიკვდილის შემდეგ კი ყველაფერი გაცილებით უფრო გაუარესდა“¹⁴⁾).

მალე დემოკრატია რადიკალურ ფრთას სათავეში ჩაუდგა სადაბალო სახელოსნოს მფლობელი, „თავხედი და თავგასული ქლეონი, რომელიც, მიუხედავად ამისა, ხალხის კეთილგანწყობითა და პატი-



ვისცემით სარგებლობდა¹⁵. კლეონი ელაქუცებოდა ბრძოს და შობერებულად იყენებდა მის ბრძანებულისას პირადი გავლენის განსამტკიცებლად და საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, თავისი გერგილიანობისა და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით მან შეძლო სპარტელების წინააღმდეგ რამდენიმე სამხედრო ოპერაციის წარმატებით განხორციელება, რამაც კიდევ უფრო გაათავსედა და ზომიერების ყოველგვარი გრძნობა დაკარგვინა (ეს აშენად იგრძნობოდა თუნდაც მაშინ, როცა ორატორის ტრიბუნაზე შემდგარი სიტყვით მიმართავდა ხალხს; „ის პირველი იყო, ვინც ხალხის წინაშე გამოსვლისას ბდაოდა, მოსასხამს იგლოვდა მხრებიდან, ბარძაყებზე იცემდა ხელებს და სიტყვის წარმოთქმის დროს აქეთ-იქით დარბოლა“¹⁶. მთელი შვიდი წლის განმავლობაში ორისტოკრატიული ოპოზიცია მსხვილი მონათმფლობლისა და მხედართმთავრის ნიკია¹⁷ მეთაურობით ამაღლ ცდილობდა კლეონის გავლენის შესუსტებასა და მის გზიდან ჩამოცილებას, ვიდრე ეს უკანასკნელი ქალაქ აციკიონლისთან სპარტელების წინააღმდეგ ბრძოლაში არ დაიღუპა (422 წ.) ცხრა წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია ნიკიასაც სპარტელების მოქავშირე სირაკუზელებთან ბრძოლაში.

„მათ შემდევ¹⁸, — წერს არისტოტელე, — ერთი პარტიის სათვალში იდგა თერამენე.., ხალხის სათავეში კი კლეოფანი, ლირების მეწარმე, რომელმაც პირველმა შემოიღო ორი იმპოლის¹⁹ გაცემა... მაგრამ შემდევ ის გადააყენა კალიკრატე პეანიელმა. მან პირველმა აღუთვეა ხალხს ამ ორი იმპოლისათვის მესამე იმპოლის დამატება. მოგვიანებით ორივეს სიკვდილი მიესაჭა. ჩვეულებრივ ასე ხდება, რადგან თუ ხალხი თავდაპირველად ტყუვდება კიდევ, შემდევ მაინც სიძულვილს ამჟღავნებს ყველას მიმართ, ვინც მას უკეთურებისაქენ უბიძგა. კლეოფანის სიკვდილის შემდევ ერთმანეთს რიგრიგობით ცვლილენ დემაგოგები²⁰, რომლებსაც ყველაზე მეტად თავიანთი ყოყოჩობის გამოვლენა სურდათ და ყოველნაირად ცდილობდნენ ბრძოლის გულის მონადირებას, რადგანაც მხოლოდ იმას ისახავდნენ მიზნად, რომ ხელსაყრელი წამით ესარგებლათ“²¹.

უწინარეს ყოვლისა, სწორედ დემაგოგებსა და მათ ანგარებას გულისხმობდა სახელგანთქმული ბერძენი ორატორი ისოკრატე (436-338), როცა პეტრას²² აღარებდა ათენს: „პეტრას სილმაზით



მოხიბლულნი ხარბად ცდილობენ მის დაუფლებას, მაგრამ არ არ-
სებობს ისეთი შლეგი, მასზე დაქორწინებას რომ პირებდესო²³.
ერთი ამ დემაგოგთაგანი იყო აღკიბიადე, ჩვენი დიალოგის მთა-
ვარი გმირი, რომელმაც თავისი უსაზღვრო პატივმოყვარეობითა და
შეუზღუდავი ძალაუფლებისაკენ დაუკეცელი ლტოლვით ისეთნაი-
რად დაჩრდილა ყველა თანამედროვე თუ წინამორბედი, რომ მისი
აბსოლუტისტური მისწრაფებების შედეგად ათენის პოლიტიკური
ცხოვრების პორიზონტზე მკვეთრად გამოიკვეთა ბერძნებისათვის
უსაზარლესი სახელმწიფო წეს-წყობილების კონტურები, რასაც
ისინი აღნიშნავდნენ მათთვის ყველაზე საძულველი, არაბერძნული
წარმომავლობის სიტყვით — „ტირანია“²⁴. ეს გარემოება ორი სხვა-
დასხვა რიგის ფაქტორების — სუპიექტური და ობიექტური ფაქ-
ტორების თანხვდომით გახლდათ განპირობებული. ერთის მხრივ,
როგორც აღვნიშნეთ, წრესგადასული პატივმოყვარეობა, სოფისტე-
ბის პოლიტიკურ დოქტრინაზე დაფუძნებული, დოქტრინაზე, რომ-
ლის თანახმადაც ტრადიციების, აღათ-წესებისა და კანონების მთე-
ლი კოდექსი სხვა არა არის რა, თუ არა ბორკილი, რომლითაც სუს-
ტი კაცუნების ბრძოლის ბოჭავს და გასაქანს არ აძლევს ძლიერი პირ-
ოვნების ბუნებრივ მისწრაფებებს. ამიტომ ეს უკანასკნელი (რო-
მელიც სოფისტების ინტერპრეტაციით ერთგვარად მოვაგონებს
ნიცვეს „ზეკაცს“) საკუთარი ძალისხმევით უნდა ამსხვრევდეს აშ
ბორკილს და თავის აბსოლუტურად შეუზღუდავსა და ყოველ-
გვარი პირობითობისაგან თავისუფალ ნებას უნდა აცხადებდეს სა-
მოქალაქო ცხოვრებისა თუ ზნეობრივი ქცევის ერთადერთ ჰეშმა-
რიტ, ბუნებრივ კანონად. მეორეს მხრივ კი, არსებული საზოგადო-
ებრივი სისტემის რღვევა, უკიდურესად გამწვავებული და დაჩქა-
რებული საომარი ვითარების შედეგად, რაც სახელმწიფოს თავს
ახჭევდა შეუზღუდავი უფლებამოსილებით აღჭურვილი სამხედრო
ძალაუფლების აუცილებლობას და, ამრიგად, ხელსაყრელ პირობებს
ქმნიდა ცალკეულ პატივმოყვარეთა აღვირასნილი მისწრაფებების
ხორცესასხმელად.

აღკიბიადე დაიბადა 450-51 წ. ათენში. მამამისი — კლინა
ევპატრიდების ძელისძველ საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც
მითიური ევრისაკესაგან იღებდა დასაბამს²⁵. დედამისის — დეინომა-
ქეს საგვარეულო (ალკმეონიდები) არანაკლებ ძველი და არანაკლებ



სახელგანთქმული გახლდათ. ალკიბიადეს პაპის პაპა (დედის მხრივ) კლისთენე, VI ს. დამლევს პისისტრიდების ტირანის დამხობის შემდეგ, ათენის რესპუბლიკის პირველი არქონტი, თავისი რადიკალური რეფორმებით აუქმნებდა დემოკრატიულ წყობილებას. ბედის იზონით, მისი შვილიშვილის შვილიშვილს თავის სასიცოცხლო მიზნად ამ წყობილების დამხობა და ტირანის აღდგენა მიაჩნდა. ალკიბიადე სამი თუ ოთხი წლისა იყო, როცა მამამისი დაიღუპა კორონეასთან გამართულ ბრძოლაში (447 წ.), სადაც ბეოტიელებმა დაამარცხეს ათენელები და თავი დააღწიეს მათი ბატონობის ულელს²⁶. ყმაწვილი იზრდებოდა ახლო ნათესავის, ათენის დემოკრატიის თავკაცის პერიოდეს მეურვეობით. განგებამ ყველაფერი უშურველად უბობა მას — აურაცხელი სიმდიდრე, განსაცვიფრებელი სილამაზე, გამჭრიახი ჭიკუა-გონება, ათლეტური აღნაგობა და ძალ-ღონე (ალკიბიადემ ორჯერ გაიმარჯვა ოლიმპიურსა და ნემეის ასპარეზობაზე)²⁷, გავლენანი მფარველები, ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები, და მხოლოდ ერთი რამ არ გაიმეტა მისთვის: სულის სიქველე, შინაგანა კეთილშეიბილება. მთელ ამ ბრწყინვალე საბურველს შიღმა იმალებოდა უკიდურესი აღვირახსნილობა, ზნედაცემულობა, გაუკულმართებული, ნება, ვერაგობა, დაუნდობლობა და, ბოლოს, ყოვლის-შთანთქმელი ვნება — კულტად ქცეული ეგოიზმი, უსაზღვრო პატივმოყვარეობა: „ჩემის აზრით, — ეუბნება სოკრატე ალკიბიადეს, — ერთ ღმერთთაგანს რომ ეთქვა შენთვის: რას არჩევდი, ალკიბიადე, ცოცხალი იყო და ფლობდე მხოლოდ იმას, რაცა გაქვს, ისე რომ მეტის მოხვეჭა ვეღარ შეიძლო, თუ ამწამსვე სიკვდილსაო, — მე მგონია, სწორედ სიკვდილს ამჯობინებდი... ხოლო იმავე ღმერთს ხელახლა რომ ეთქვა შენთვის: შეგიძლია მბრძანებლობდე აქ — ევროპში, მაგრამ ფეხს ვერ დააკარებ აზიას და შენს ნებაზე ვერ წარმართავ იქაურ საქმეებსო, მე მგონია, არც ამ შემთხვევაში ისურვებდი სიცოცხლეს, რაკი საშუალება არ გექნებოდა შენი სახელი და ძალაუფლება გაგევრცელებინა მთელი დედამიწის ზურგზე”²⁸.. „ნუ გაზრდით ლომის ბოკვერს ქალაქში, — იფრთხილებდა არისტოფანე თავის თანამოქალაქეებს, — ძალას მოიცემს და თავას ნებაზე გათამაშებთო“²⁹.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ალკიბიადეს პოლიტიკური კარიერის დაწვრილებით განხილვა, მისი დეტალური ანალიზი. ვიტყვით გ. კრიტიკა № 1

შხოლოდ, რომ ეს ტიპიური ავანტურისტის კარიერა; რთული, ძნელად სავალი, ნარ-ექლიანი გზა. ამ გზაზე მას თავბრულამხვევი მიღწევების სიტკბოც ახსოვს და დამთრგუნველი მარცხის სიმწარეც, ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ თენში ტრიუმფით დაბრუნების სანეტარო ჭუთებიც და სამშობლოდან განდევნილის უსასოებაც; მაგრამ ბედასწერის ჩარხის ამ წალმა-უკუღმა ტრიილში, გარემოებათა ამ დაუსრულებელ ცვალებადობაში შხოლოდ ერთი რამ იყო უცვლელი: მისი მასულდგმულებელი მიზანი — თენის, სპარტის, ელადის, მთელი მაშინდელი მსოფლიოს დაბყრობა და დამონება. ერთხელ და სამუდმოდ დასხული მიზნისკენ სწრაფვისას მისთვის სრულიად უცხო იყო შიში, სიფრთხილე, სიმხდალე, პრინციპებისადმი ერთგულება, საშუალებების წინაშე უკან დახვევა. დიახ, მიზანი უცვლელი გახლდათ, თვითონ კი — თავისი ბედივით ცვალებადი³⁰. ხან სამშობლოსთვის თავდადებული პატრიოტი იყო, ხან მოლალატე. ხან გულცივი დიპლომატი, ხან შლევი სტრატეგი, ხან თამაშებრივი დარჩენას ამჯობინებდა, ხან ერთდროულად ეწეოდა სამმაგ თამაშს, სადაც ერთმანეთში მზავრულად ჩაწინულ-ჩახლართული იყო ათენის, სპარტის, სპარსეთის ინტერესები; დემოსი და დემაგოგები, მეფეები და სატრაპები, დემოკრატები და არისტოკრატები, — ი. ამ სისხლიანი თამაშის დანარჩენი კომპონენტები. „მიზანი ამართლებს საშუალებასო“, — ალკიბიადეს არ უთქმეს, მაგრამ საქმით კი ასეთი იყო მისი დევიზი. შხოლოდ ეგ კი: რომ არც მისი „პარტიიორები“ იყვნენ ბრიყვები. რამდენჯერაც სხვებს ატყუებდა, ორი იმდენჯერ თვითონვე რჩებოდა მოტყუებული, ვინაიდან ერთი ბრძენის თქმისა არ იყოს, „კაცის მოტყუება ყველაზე ადვილია სწორედ მაშინ, როცა თვითონვე უპირებს სხვებს მოტყუებას“. ალკიბიადეს საშუალებები ხომ ყველასთვის აშკარა იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ არც მიზანი დარჩენილა შეუმჩნეველი. 412 წელს ათენელი არისტოკრატი ფრინჯე აფრთხილებდა თავის მეგობრებს, რომლებიც ოლიგარქიულ გადატრიალებას ამზადებდნენ, ნუ ენდობით ალკიბიადესო: „...მას ფეხებზე ჰკიდია ოლიგარქიაც და დემოკრატიაც, და მხოლოდ იმიტომ ცდილობს არსებული წყობილების დამხობას, რომ თავისი მომხრეების მოწვევით სამშობლოში დაბრუნდესო³¹... „დემოკრატიას არაფრად აგდებს, სიტყვით ხალხის ბელადად მოაქვს თავი, სინამდვილეში კი ნამდ-

ვიღი ტირანიგით იქცევაო“, — წერდა ფსევდო-ანდოკილე³². სწორედ იმიტომ, რომ არსებითად არცერთ პარტიის არ ეკუთვნოდა, ალ-კიბიადემ მნიშვნელოვნად დააჩქარა თავისი აღსასრული. 404 წელს, ლაქედემონელების მოთხოვნით, სპარსელებმა ისრებით დაცხრილეს თავიანთი ყოფილი მეგობარი და მოკავშირე.

ასეთია იმ ისტორიული მოვლენების ზოგადი რეალი, რაც „პირველი ალკიბიადეს“ გაგებას გავვიაღვილებს. თუმცა, ვიდრე უშუალოდ დიალოგის განხილვაზე გადავიდოდეთ, მინდა მკითხველს გავუზიარო ჩემი პირწმინდად სუბიექტური შთაბეჭდილება, რასაც, ალბათ, მკრეხელობაში ჩამომართმევს ყველა აყადემიურად განსწავლული, ყველა „პურიტანი“ პლატონოლოგი, რომლებიც არ სცნობენ სოკრატესადმი პლატონის დამოკიდებულების არავითარ სხვა ასპექტს, მოწიწებისა და თაყვანისცემის გარდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, დიალოგის პერსონაჟთა აბსოლუტურად ურთიერთსაპირისპირო ბუნებას, მათი ხასიათების უკიდურეს სხვადასხვაობას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი საუბრის თემასაც, ძალზე ძნელია თავი დააღწიო იმაზე ფიქრს, რომ პლატონი, ოდნავ შესამჩნევი ირონიით, ისევე არ დასცინის და აბიაბრუებს თავისი ბრძენი მოძღვრის „დონ კიხოტიშმს“, — რადგან დონ კიხოტი ისევე არსებობდა სერვანტესამდე, როგორც განაგრძობს თავის მარადიულ სიცოცხლეს სერვანტესის შემდეგაც, — როგორც მისი მოძღვარი დასცინოდა თანამოსაუბრებს თავისი მსუბუქი და შემპარავი იუმორით. და მართლაც, ალკიბიადეს ზოგიერთი რეპლიკის ქვეტექსტში დროდადრო ისე აშკარად გაქროება, ისე აშკარად გაიღვებს ცინიკური ღიმილი, რომ მისი ადრესატი უნებურად მოვცავონებს წმიდა ფრანჩესკო ასიზელს, „საღმრთო წერილის“ ათ მცნებას რომ უქადაგებდა მგელს („არა იპარო“, „არა იმრუშო“, „არა კაც ჰყლაო“...).

ახლა კი, როგორც ყოველთვის, ფეხდაფეხ მივყვეთ ავტორს:

სოკრატე ხედება ალკიბიადეს, რომელსაც სახალხო თავყრილობაზე გამოსვლა განუზრიახვეს—კი მაგრამ, რას ეტყვი ათენელებს, ან რას ურჩევ მათ? — აინტერესებს სოკრატეს, რაზედაც ალკიბიადე თავდაჯერებით მიუგებს: იმას, რაც კარგად ვიციო. სოკრატე მახჭილგონივრულად უმტკიცებს თავის თანამოსაუბრებს, რომ მან კარგად კი არა, საერთოდ არ იცის თითქმის არცერთი ის საჭირო,



რასაც სახალხო თავყრილობაზე იხილავენ ხოლმე. ვინაიდან, სამართლო
 და რომ იცოდეს, კაცს ან სხვისგან უნდა ესწავლა, ანდა თავისით
 მიეკვლია, ალკიბიადეს კი არც სწავლით აუტეიბია თაჭი და არც
 კვლევა-ძიებისათვის გარჯილია. იქნებ, მას შეუძლია ურჩიოს ათე-
 ნელებს, რა არის სამართლიანი და რა — უსამართლო? მაგრამ ვა-
 შინ კვლავ ისმის იგივე კითხვა: ვინგან ისწავლა ზნეობის, სამარ-
 თლისა თუ სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის ეს ერთ-
 ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი? ალკიბიადე იძულებულია
 აღიაროს, რომ არც სხვისგან უსწავლია ოდესმე და არც თავისით
 მიუკვლევია მისთვის, ვინაიდან რაღცა რომ ექებო და იკვლიო,
 ჯერ იმაში უნდა იყო დარწმუნებული, რომ ნამდვილად არ იცი
 ის, რასაც იკვლევ და ექებ, ალკიბიადე კი ვერასდიდებით ვერ იხსე-
 ნებს, მაიც როდის, რა ასაკში, თავისი ცხოვრების რომელ პერი-
 ოდში ევონა, რომ არ იცის, თუ რა არის სამართლიანი და რა —
 უსამართლო. მაგრამ სოქრატეს თანამოსაუბრე, არსებითად, მხო-
 ლოდ თავის მცონარებას აღიარებს: რაც მართალია, მართალია, —
 არც სწავლით შეუწუხებია თავი და არც კვლევაძიებით; ხოლო რაც
 შეეხება არცოდნას, ამის აღიარება კი არა, გაგონებაც არა სურს:
 რასაკვირველია, მან იცის, რა არის სამართლიანობა და უსამართ-
 ლობა, მშვენივრად იცის, — კეთილი და პატიოსანი, — ამბობს
 სოქრატე, — მაგრამ, მაშინ რა გზით შეიძინე ეგ შენი ცოდნა? —
 ხალხისაგან ვისწავლეო, — ამბობს ალკიბიადე, მაგრამ ეს პასუხი
 სასაცილოდაც არ ჰყოფნის სოქრატეს: მას არა სჯერა, რომ ხალხს
 შეუძლია სამართლიანობისა და უსამართლობის რაობა ასწავ-
 ლოს ვინმეს. — ვითომ რატომაო? — თავისის არ თმობს ალკიბია-
 დე, — ხალხს შეუძლია გაცილებით მეტიც გვასწავლოს; განა სწო-
 რედ ხალხის წყალობით არ ვისწავლეთ ჩვენი მშობლიური ბერძ-
 ნული ენა? მაგრამ, სოქრატეს აზრით, შეუძლებელია ეთიკურ კა-
 ტეგორიათა ცოდნის გარგივება ენის ცოდნასთან, თუნდაც იმიტომ.
 რომ მშობლიური ენის ცოდნა საყოველთაოა და აბსოლუტური, რა-
 საც ვერ ვიტყვით სამართლიანობისა და უსამართლობის ცოდნაზე-
 დაც. ათას კაცს ცალ-ცალკე სოხოვე, ქვა ან ჭოხი მიჩვენეო და ყვე-
 ლა ერთსა და იმავე საგანზე მიგითითებს, მაგრამ, აბა, სცადე და
 ასევე ერთსულოვანი პასუხი მიიღე მათგან შეკითხვაზე: რა არის
 სამართლიანი და რა — უსამართლო. ხოლო თუ ხალხს ერთი აზრი

არა აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, განა ეს არ კმარა იმის დასტურად, რომ არ შეიძლება ამ საქმეში სანდო მასწავლებლად მი-ვვაჩნდეს იგი? — მიმართავს სოქრატე ალკიბიადეს და ამით თვალ-ნათლივ უჩვენებს მას ხალხის ცოდნის უსაფუძვლობას. სამართ-ლიანობისა და უსამართლობის ცოდნა კი არა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მათი ორცოდნა განაპირობებს იმას, რომ ადამიანებიცა და მთელი ხალხებიც მუსრს ივლებენ ერთიმეორეს. მაშასადამე, ამნაი-რი მასწავლებლისგან ვერ ისწავლი და, ცხადია, ვერც შენის მხრივ ასწავლი სხვას, თუ რა არის სამართლიანი და რა — უსამართლო.

თავმოყვარეობაშელზული ალკიბიადე პჟარად გაღიზიანებუ-ლია. პოლიტიკოსს არაფრად ეჭაშნეკება ფილოსოფოსის ახირებუ-ლი კითხვები. ბოლოს და ბოლოს, ვის რაში სჭირდება ეს ყბაღა-ლებული სამართლიანობა: ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ყოველგვრ სამართლიანობას: „სამართლიანი“ კი არა, „სასარგებლო“, — აა, რა არის საყოველთაო ინტერესის ერთადერთი საგანი: „მე მგონაა, სოქრატე, ათენელებიცა და დანარჩენი ელინებიც იშვიათად თაობი-რობენ იმის თაობაზე, თუ რა არის სამართლიანი და რა — უსა-მართლო. ისინი ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს თავისთავადაც ცხა-დია, ამიტომ გვერდს უვლიან ამ საკითხს და მხოლოდ იმაზე ბჭო-ბენ, რაც მათთვის სასარგებლოა. მაგრამ, ჩემის აზრით, სამართლი-ანი და სასარგებლო სულაც არ არის ერთი და იგივე. მართლაცდა რამდენმა ვინმემ ისარგებლა იმით, რომ საშინელ უსამართლო-ბას სჩადიოდა, მაშინ როდესაც სამართლიან ხალხს, რამდენადც ვი-ცი, თავისი სამართლიანობით არაური უსარგებლია“³³... მაგრამ სოქრატეს ნაკლებად აღარდებს ალკიბიადეს გაღიზიანება და კვლე თავისას განაგრძობს: „დაუუშგათ, რომ სამართლიანი და სასარგებ-ლო მართლაც სხვადასხვა რამეა, მერედა შენ რა? იმის ცოდნასაც ხომ არ დაიჩემებ, თუ რა არის ხალხისთვის სასარგებლო და რატომ არის?“³⁴ ალკიბიადეს მდგომარეობას გაღიზიანებაც აღარ ეთქმის, ის უკვე გაცეცხლებულია: როგორ? ავდგეთ და ყველაფერი თა-ვიდან დავიწყოთ? ხელახლა მიპირებ იმის გამოკითხვას, სხვისგან ვისწავლე თუ ჩემით მიგაკლიე, რა არის სასარგებლო და რა არა? — ვითომ რა შემიშლის ხელს? — მშვიდად მიუგებს სოქრატე, — ვამოგვითხავ და დაგიმტკიცებ კიდეც, რომ, სამართლიანისა არ იყოს, სასარგებლოსიც არა გაგეგება რა. მაგრამ ნუ გამოქუდებით

გულისგამაწვრილებელ გამეორებებს. მე მხოლოდ იმას გიჩვენებ, რომ, შენი მოსაზრების საპირისპიროდ, სამართლიანი, იმავდროულად, სასარგებლოცაა. სოკრატესეული მტკიცება, ძალზე სქემატურად, შემდეგი სილოგიზმის სახით წარმოგვიჩნდება: ყოველივე ის რაც სამართლიანია, მშვენიერია; ყოველივე ის, რაც მშვენიერია, სასარგებლოა; მაშასადამე, სამართლიანი სასარგებლოა. ამ პირზმინდად სიტყვიერი ფორმალიზმის მიუხედავად, პლატონის არგუმენტაცია არ შეიძლება სოფისტური მსჯელობის ნიმუშად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან ის გვიმუღლავნებს ადამიანის ბუნების შინაგან კეთილშობილებას, მისი ეთიკური და ესთეტიკური იდეალების ნათესაობას, მისი ღირსებისა და პატიოსნების ამაყ გრძნობას, ერთის სიტყვით, თითქმის ყველაფერს, რისი გულისთვისც ღირს სიცოცხლე ამ ტანჯვით, სიმწარითა და სისასტიკით სავსე წუთისოფლად.

მაშასადამე, ალკიბიადემ არც სამართლიანი იცის და არც სასარგებლო. პოლიტიკოსის შეუვალ თვითრწმენას პირველი ბზარი დააჩნდა; ის იძულებულია აღიაროს: „ვფიცავ ღმერთებს, მე თვითონაც არ მესმის, რას ვამბობ, სოკრატე: როგორც ჩანს, მთლიად გამოვლენჩდი; როდესაც კითხვებს მისეამ, ხან ერთი რამ მეჩვენება სწორად, ხანაც მეორე“³⁵. ამნაირ კაცს, რაღაც თქმა უნდა, არ შეუძლია გზიანი და რიგიანი რჩევა მისცეს თავის თანამოქალაქეებს. ის საერთოდ არ არის მზად სახელმწიფო მოღვაწეობისათვის; ხოლო ამ მოუმზადებლობის უმთავრესი მიზეზი სწორედ მისი არცოდნა გახლავთ. და თუ მაინც ასე დაუინებით მიეღლოს მბრძანებლობას, ქეთილ-ინებოს და ჭერ თვითონვე ისწავლოს, გაიწაფოს, დახელოვნდეს, გამოიბრძმედოს, ერთის სიტყვით, ჭერ საკუთარ თავზე იზრუნოს, ვიდრე ხალხსა და სახელმწიფოს ქცევდეს თავისი მოწყალე „მზრუნველობის“ საგნად... ალკიბიადეს მოთმინების ძაფი გაუწყდა. ის უკვე ნანობს, რომ ასე წინდაუხედავად აჲყვა, თავი გაუყადრა და ლაპარაკი გაუბა ამ ყბედ ბერიკაცს. ამიტომაც ცინიკური გულახდილობით უცხადებს მას, რომ უსწავლელადაც კარგად მოუვლის თავის პოლიტიკურ მტრებს, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ მის ერთპიროვნულ მბრძანებლობას, რადგან ისინი კიდევ უფრო უვიცნი და უსწავლელნი არიან: „განსწავლულნი რომ იყვნენ, მაშინ ყველას, ვინც მათთან შეტოვებას დაპირებ-

და, ჯერ თვითონაც უნდა ესწავლა და, ათლეტებისა არ იყოს, შხოლოდ საფუძვლიანი მომზადების შემდეგ გამოსულიყო მათ წინააღმდეგ. მაგრამ ახლა, როცა ქვეყნის სათავეში უკიცები დგანან, რა შალა მადგას ვისწავლო და წვრთნით ავიტკიო აუტკიფარი თავი? ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი ბუნებრივი ნიჭით და უნარით ყველას უკან ჩიმოვიტოვებ“³⁶. ის, ალკიბიადეს პოლიტიკური „სიმწიფის“ კიდევ ერთი დასტური: ქვეყანა ცეცხლის ალშია გახვეული, მტერი დაუინებით მოიწევს წინ, ხოლო მას სპარტის ან სპარსეთის მეფეები³⁷ კი არა, ათენელი დემაგოგები მიაჩნია თავის უშუალო მტრებად. სოკრატე ცდილობს თვალი აუხილოს საკუთარი პატივ-მოყვარეობით დაბრმავებულ პოლიტიკოსს. მაგრამ აქ გზა ვუტიოთ თვითონ ავტორს და მოვისმინოთ მისი გმირების დიალოგი, რომელიც უშუალოდ მოსდევს ალკიბიადეს ზემოთ ციტირებულ სიტყვებს:

„სოკრატე. ერიჲა, რას ამბობ, ჩემო ძვირფასო?! განა ეს ვკადრება შენსავით მომხიბლავესა და მაღალნიჭიერ კაცს?

ალკიბიადე. ვითომ რას მაყველრი, სოკრატე?

სოკრატე. აღშფოთებული ვარ შენით, ჩემო ძვირფასო.

ალკიბიადე. რატომ?

სოკრატე. იმიტომ, რომ შენიანებისავე წინააღმდეგ აპირებ პრძოლას.

ალკიბიადე. აბა, მაშ ვის უნდა ვებრძოლო?

სოკრატე. რომელი ჭკუათმყოფელი იყითხავს ამას?

ალკიბიადე. რას ამბობ, სხვა ვინ არის ჩემი მეტოქე?

სოკრატე. კი მაგრამ, შენ რომ განგეზრახა ტრიერის მართვა, რომელიც მზადაა ბრძოლაში ჩასაბმელად, ნუთუ შენთვის საკმარისი იქნებოდა ის, რომ უფრო უკეთესი მესაჭე ხარ, ვიდრე შენი მეზღვაურები? ნაცვლად იმისა, რომ ამ შენს უპირატესობას დასჭერებოდი, განა შენი ნამდგრალი მოწინააღმდეგის მოქმედებასაც არ გაუწევდი ანგარიშს და არა მარტო შენი თანამებრძოლებისას? რასაკვირველია, მათზე მაღლა ღიახაც უნდა იდგე იმდენად, რომ მეტოქეობის ღირსად არ მიგაჩნდეს ისინი, მაგრამ, მოელი შენი უპირატესობის მიუხედავად, მათთან ერთად უნდა იბრძოდე მტრების წინააღმდეგ, თუკი მართლა აპირებ საგმირო საქმით თავგამოჩენას, როგორც შეგშენის შენ დ შეშტენის ამ ჩვენს ქალაქსაც“³⁸...



არა, — შეაგონებს სოკრატე ალკიბიადეს, — შენი ნამდვილი მოწინააღმდეგები შენივე თანამემამულები კი არ არიან, არამედ გარეშე მტრები. ხოლო მტერს რომ წარმატებით ეომო, უწინარეს ყოვლისა, კარგად უნდა იცნობდე მას. და ის დაწვრილებით უხასიათებს თავის თანამოსაუბრეს სპარსეთის სამეფო კარის წარმოუდგენელ სიღიადეს და ენით აუწერელ ფუფუნებას, უფლისწულთა საუცხოო აღზრდას, სპარტელთა სიმდიდრეს, სიმამაცესა და ძალამოსილებას. მთელი ამ ოვალისმომჭრელი ბრწყინვალების ფონზე რაოდენ უბადრუკად გამოიყურება არა მარტო საკუთრივ ალკიბიადეს, არამედ თვით მთელი ათენის, მთელი ატიკის სიმდიდრეც და ძლიერებაც. სპარტისა და სპარსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ეს ერთგვარი იდეალიზაცია მარტოოდენ პლატონის ლაკონიფილური³⁹ განწყობილებით როდი აიხსნება, ან კიდევ იმით, თითქოს ის სიმპათიით იყოს გამსჭვალული სპარსეთის მიმართ. არა, მას სურს, უწინარეს ყოვლისა, კიდევ უფრო გაამასფროს კონტრასტი, რათა სოკრატეს — თავისი მეორე „მე“-ს მეშვეობით თვალნათლივ დაუმტკიცოს ალკიბიადეს, რომ მდგომარეობა აშკარად კრიტიკულია, და როცა ესოდენ ძლიერი მტერი უკვე კარზეა მომდგარი, ნამდვილი ბოლიტიკოსის ერთადერთი მიზანი თავისი პატიუმოყვარული მისწრაფებების დაკმაყოფილება კი არ უნდა იყოს, არამედ მრისხანე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამემამულეთა მხარდამხარ დგამა, ნამდვილ პოლიტიკოსს, სოკრატეს აზრით, მარტოოდენ ის კი არ მოეთხოვება, რომ ზედმიწევნით იცნობდეს მტერს, არამედ ისიც, რომ არანაკლებ ზედმიწევნით იცოდეს მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებიცა და. საშუალებებიც, სამხედრო სტრატეგიაცა და ტაქტიკაც; იცოდეს, რა განასხვავებს ერთმანეთისაგან სამართლიანსა და უსამართლო ომს; რა არის სასარგებლო ამათუ იმ კონკრეტულ ვითარებაში, ანდა, პირიქით, რა არის ფუჭი და უსარგებლო. მაგრამ არ არსებობს ამ ცოდნის დაუფლების არავითარი სხვა საშუალება, მუდმივი თვითწვრთნის, თვითგაწაფვის, საკუთარ თავზე ყოველდღიური ზრუნვის გარდა, რაც სრულქმნალებისა და სრულყოფილების მიღწევას ისახავს მიზნად; ხოლო სრულყოფილებას რომ მიაღწიო, ჯერ ის უნდა იცოდე, ვინ ხარ და რა ხარ, ესე იგი, იცოდე, რა არის ის, რაც უნდა სრულყო. ასე რომ ყოველგვარი შემეცნების პირველსაწყისიც და აუცილებელ

პირობაც თვითშემეცნებაა. აქედან — სოკრატეს თითქმის მთელი პოძლვრების არსი, მისი ცხოვრების დევიზი, რომელიც დელფოს სამისნოს საქარალური წარწერის სახითაა გამოხატული: „შეიცან შენი თავი“⁴⁰.

მაგრამ ას ნიშნავს თვითშემეცნება? მაინც რა ფარული აზრი დევს ზერელე იღებისათვის ესოდენ მარტივ, ხოლო ღრმა დაკვირვებისათვის ესოდენ იღუმალ ფორმულაში: „შეიცან შენი თავი“, ან რა არს საკუთრივ ეს „შენი თავი“? სოკრატეს მტკიცებით, ადამიანის ნამდვილი არსი სხეული კი არ არს, არამედ სული და ამიტომ სწორედ სულია თვითშემეცნების ერთადერთი საგანი. თუმცა შემდეგ თანდათანობით იჩკვევა, რომ ადამიანის მეობის, მისი ნამდვილი არსის ცნება კიდევ უფრო კონკრეტული ყოფილა; საქმე ისაა, რომ სული თურმე რთულია, ნაწილებისაგან არის შემდგარი, კერძოდ, არის სულში ერთი საწყისი რომელშიაც მოქცეულია სულის მთელი სიბრძნე და გონიერება⁴¹. აი, სწორედ ეს საწყი-სი სულისა და, საერთოდ, ადამიანის უკეშმარიტესი და უინტი-მურესი არსი, სწორედ ეს საწყისია თვითშემეცნების ერთადერთი საგანიც და თვითშემეცნების ერთადერთი საშუალებაც, შესამეცნებელიცა და შემმეცნებელიც⁴². თვითშემეცნების ობიექტიც და სუბიექტიც, მხოლოდ სულშია ჩვენი სიქველეც და ჩვენი ბიწიც, ჩვენი ნამდვილი სიკეთეც და ბოროტებაც; მხოლოდ სულის უინტიმურეს არსში წვდომით თუ დავთრგუნავთ იმ ბოროტებას, რომელიც არის ჩვენში და პირიქით, ძლევას მიგანიჭებთ სიკეთეს; მხოლოდ ჩვენივე სულის შესწავლას შეუძლია თავიდან აგვაცდენინოს შეცდომები და, ამრიგად, გვაზიაროს სიმშვიდეს და ბეღნიერებას, ვინაიდან ბეღნიერებას სიმდიდრის კი არა, მარტოოდენ სიბრძნის მოხვეჭით, ბიწის დათრგუნვითა და სიქველის ზეობით თუ აწევა კაცი; კაციც და სახელმწიფოც; მაგრამ აქ, დაე, პლატონმა თვითონვე გვითხრას თავისი სათქმელი:

„სოკრატე. მაშასადამე, ქალაქების კეთილდღეობისთვისაც, ალკიბიდადე, იმდენად გალავნების, ხომალდებისა თუ ნაესაშენების სიდიდე და სიმრავლე როდია საჭირო, რამდენადაც მოქალაქეთა სიქველე.

ალკიბიდე. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ამიტომ, თუ გსურს ლირსეულად უძღვებოდე საქვე-

ნო საქმეს, უწინარეს ყოფლისა, სიქველეს უნდა უნერგავდე მო-
ქალაქებს.

ალკიბიადე. რასაკვირველია.

სოკრატე. მაგრამ ვის შეუძლია გასცეს ის, რაც თვითონ არ
გააჩნია?

ალკიბიადე. არავის.

სოკრატე. მაშასადამე, თავდაპირველად შენ თვითონ გმართებს
სიქველის შეძენა, შენცა და სხვასაც, ვინც აპირებს ღირსეულად
უწინამძღვროს არა მარტო საკუთარ თავს და თავის პირად საქ-
მეს, არამედ თავის ქვეყანასაც და საქვეყნო საქმესაც.

ალკიბიადე. მართალს ბრძანებ.

სოკრატე. ამიტომ შეუზღუდავ ძალაუფლებასა და სრულ-
თვითნებობას კი არ უნდა სახავდე შენი თავისა და შენი ქალაქის
ერთადერთ მიზნად, არამედ სამართლიანობასა და კეთილგონიე-
რებას“⁴³...

ათ! წლეულების მანძილზე გრძელდება პლატონის მიერ დაწ-
ყებული ეს დიალოგი ფილოსოფიასა და პოლიტიკას, ადამიანის
ეთიკურ იდეალებსა და მის პრაქტიკულ ინტერესებს შორის. რო-
გორი უნდა იყოს პოლიტიკა, რას უნდა ემყარებოდეს ან რას უნდა
მიელტვოდეს იგი? სამართლიანობისა და კეთილგონიერების პრინ-
ციპებს უნდა ექვემდებარებოდეს, თუ პირიქით, თვითონ იქვემდე-
ბარებდეს მათ? ანუ, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკა
მორალური უნდა იყოს, თუ პირიქით, თვით მორალი უნდა იყოს
პოლიტიკური? აი, მთელი განსხვავება ძალადობასა და სამართლია-
ნობას, დესპოტიზმსა და ჭეშმარიტ დემოკრატიზმს შორის. მაგრამ
ჩვენ კვლავ უნდა დაგბრუნდეთ ათასწლეულების მიღმა, იქ, სადაც
გვეგმულებიან ჩვენი დიალოგის გმირები: ფილოსოფოსი კვლავ გა-
ნაგრძობს თავისი ნათელი, მაგრამ ამგვეყნიურ სინამდვილეში განუ-
ხორციელებელი მრწამსის ქადაგებას, პოლიტიკოსი კი კვლავ
იქედნურად ხითხითებს გულში.

ზენიშვნები

¹ დიოგენე ლერტელი, სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა ცხოვრება, VI,
1, 18; II, 10, 108; II, 7, 61 (ლათ.) .

² იქვე, III, 1, 51.

3 ფილოლოგიური ძეგბანი, ტ. 21, 1912, გვ. 65-163 (გერმან.).

4 პლატონი, თხზ., სრული კრებული, ტ. I, ტექსტი დადგენილი და თარგმ-ნილი 3. კრუაზეს მიერ, პარიზი, 1920, გვ. 49-50 (ფრანგ.).

5 ხაზგამა ყველგან ვლ. სოლოვიოვისაა.

6 პლატონის თხზულებანი, ვლ. სოლოვიოვის თარგმანი ბერძნულიდან, ტ. I, ვ. 1899, გვ. 118. თუმცა, უყოფებანდ რომ აღიარებს პლატონის ავტორობას, ვლ. სოლოვიოვი შემდეგ წამოაყენებს სრულიად უსაფუძვლო პიპოთეზის იმის შესახებ, თითქოს „პირველი ალკიბიადე“ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სამი სხვადასხვა ნაწილისგან შეღება, და რომ ეს ნაწილები პლატონის შემოქმედებითი მოღვაწეობის სამ სხვადასხვა პერიოდში უნდა იყოს შექმნილი (იხ. იქვე, გვ. 119 და შმდ.).

7 იხ. თუნდაც ფსიქოლოგიური კონცეფცია სულის „ღუთაებრივი ნაწილის“ შესახებ, რომელშიაც მოქცეულია მისი სიბრძნე და გონიერება, 133; იხ. ოგრეთვე კომენტ. 67.

8 124; იხ. აგრეთვე კომენტ. 56.

9 430 წელს სპარტის სამეფო ტახტზე ჭერ კიდევ აგისის მამა არქიდამე II (469-426) ზის... მეორეს მხრივ, 430 წლის „სასარგებლოდ“, ალკიბიადეს ხნოვანების ვარდა, მეტყველებს ის გარეშემოება, რომ ალკიბიადეს ერთი რეპლიკას მიხედვით (118), ამ დროს პერიოდე (495-429) ჭერ კიდევ ცოცხალია.

10 თუკიდიდე, II, 14, 16, 17.

11 თუკიდიდე, II, 51, 53.

12 პლუტარქე. „პერიოდე“, XXXIV.

13 იქვე, IX.

14 არისტოტელე, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, X, 28.1.

15 პლუტარქე, „ნიკა“, II.

16 პლუტარქე, „ნიკა“, VIII; შდრ. გრისტოტელე, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, X, 28, 3.

17 ნიკას შესახებ იხ. „ლახვისი“ წინათქმა.

18 ე. ი. ნიკას და კლონის შემზღვევა.

19 ობოლი — ფულის ერთეული, დაახლ. 4 კაბ... ამ თანხას ურიგებდნენ ღარიბებს თეატრალურ წარმოდგენებზე დასაწრებად.

20 „დემაგოგი“ „ხალხის ბელადს“, „ხალხის წინამდებოლს“ ნიშანებს, მაგრამ იმ საშუალებების უკეთურებამ, რომლებსაც დემაგოგები იყენებდნენ ხალხის სათავეში ჩასაღმად, ხოლო შემდეგ — მის გასაძლოლად, ამ სიტყვას თანდა-თანობით შესძინა ის მნიშვნელობა, რომლითაც დღეს მას გხმარობთ.

21 „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, 28, 3, 4.

22 ჰერერა როსკებს, მედაბს ნიშანებს ბერძნულად.

23 იხ. ელიანე, „ჰირფლ-ჰირფლი ამბები“, XII, 52.

24 ამ სიტყვის ძირს ლილიურ, ფრიგიულ, ეტრუსკულსა თუ სხვა ენებში მდებრენ.

25 იხ. „პირველი ალკიბიადე“, 121; იხ. აგრეთვე კომენტ. 40.

- 26 თუკიძიდე, I, 113; პავსანია, I, 27, 6.
 27 პლუტარქე, „ალკიბიადე“, XI, 2; პავსანია, I, 22, 6-7.
 28 „პირველი ალკიბიადე“, 105; შდრ. კომენტ. 4.
 29 „ბაყაყები“, 1431 და შმდ.
 30 „გაღმოცემით, ალკიბიადეს უყვარდა თქმა: სწორედ დიოსკურების სიცოცხლით ვცოცხლობ, — ხან ვევდები, ხან მკედრეთით ვდეგებიო; როცა ბედი მწყალობს, ხალხი ღმერთით მადიდებს და თაყვანსა მცემს, ხოლო როცა წყრომით მიმაქცევს პირს, რაღა ჩემი ყოფა და რაღა მკვდრისაო“, — ელიანე, „ჭრელ-ჭრელი ამბები“, XIII, 38.
 31 თუკიძიდე, VIII, 48, 4.
 32 „ალკიბიადეს წინააღმდეგ“, IV, 27.
 33 113.
 34 იქვე.
 35 116.
 36 119.
 37 სპარსეთი ყოველნაირად აქეზებდა და ხელს უწყობდა სპარტას ათენის წინააღმდეგ ბრძოლაში.
 38 119.
 39 ლაკონოფილია ლაკონიკის (ლაკედემონის), ანუ სპარტის სიყვარულს ნიშნავს ბერძნულად.
 40 124; იხ. აგრეთვე კომენტ. 57.
 41 იხ. კომენტ. 67.
 42 ძეგლი ქართული ტერმინოლოგით — საცნაურო და მეცნაურო.
 43 134.
-

პოეტიკა

□ □ □

ლამაზ „მუხანული“

□
გორის დარჩია
□

„მუხანული“ ერთ-ერთი თავისებური და საინტერესო ლექსია ქართულ პოეზიაში. მკვლევართა ყურადღებას ივი უპირველესად იპყრობს თავისი ფორმის გამო და განიხილება, როგორც ლექსის დამოუკიდებელი სახეობა.

ეს ნაწარმოები დაცულია მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიქის“ ორ ხელნაწერში: ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 36 ნუსხასა (გვ. 15 v), და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გ. ავალიშვილის მიერ გადაწერილ კრებულში — S—303 (გვ. 92). დაბეჭდილია „ჭაშნიქის“ ყველა გამოცემაში. უკანასკნელ ხანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ივი გავრცელებული იყო გ. მიქაძისეული პუბლიკციებით, რომლებიც წაკითხვების მიხედვით მიჰყვება ლენინგრადულ ნუსხას:

სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, თუ მოიმკი, კოთილსა რქ, მალო,
მოიმკე და შეიყრაბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო,

შტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო, მას შეები გულმესისხლედ, ძალო,
 რა მას დასცემ, მოისცენებ, ძალო, ორსავ სოფელს სახელს პოვებ, ძალო!

გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში „ძალო“-ს მაგივრად ყველ-
 ვან იკითხება „რძალო“.

ჩვენი მიზანია ამ ნაწარმოების ძირითადი მხარეების — ავტო-
 რობის, ფორმის, შინაარსის და მასთან დაკავშირებული საკითხე-
 ბის — განხილვა.

1. ავტორი.

„მუხრანულის“ ავტორი დადგენილი არ არის. ამ საკითხის გა-
 დასაწყვეტად, ვფიქრობთ, სანდო მონაცემებს იძლევა „ჭაშნიკის“
 ლენინგრადული ხელნაწერი. ამ ხელნაწერში, ისე როგორც გ. ავა-
 ლიშვილისეულ ნუსხაში, „მუხრანული“ მოთავსებულია „ჭაშნიკის“
 ე. წ. ქრესტომათიშვილ ნაწილში, ვახტანგ მეექვსის ლექსებს შო-
 რის. აქ სანიმუშოდ დართულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსებს
 უშუალოდ მიჰყება ვახტანგის ლექსები: „მეფისვე ნათქვამი უწყ-
 ვეტელი“, „მეფისვე ნათქვამი ბოლორთი“, „მეფისვ[ი] ნათქვამი“;
 „შემდეგ ერთ გვერდზე არის „მუხრანული“ და „ვახტანგური“ და
 სულ ბოლოს — „მეფის ნათქვამი ლექს-ამბავი“. გ. ავალიშვილი-
 სეულ ხელნაწერში ეს რიგი რამდენადმე დარღვეულია: „ლექს-ამ-
 ბავი“ „ვახტანგურის“ წინ არის მოთავსებული, „მუხრანული“ კი
 შის ადგილას, სულ ბოლოს. როგორც ვხედავთ, ყველა ამ ნაწარმო-
 ებს, გარდა „მუხრანულის“ და „ვახტანგურისა“, ახლავს ავტორზე,
 ვახტანგზე მითითება — „მეფისვე ნათქვამი“. უკანასკნელ ხანს აღ-
 მოჩნდა ვახტანგ მეექვსის ხელით ნაწერი „ვახტანგურის“ შავად ნა-
 მუშევარი, რაც გვიჩვენებს ამ ლექსის შექმნის პროცესსა და ვახ-
 ტანგისადმი მის კუთვნილებას. აქდან გამომდინარე, ყოველგვარი
 გამონაკლისის დაშვების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მუხრა-
 ნული“ „ჭაშნიკში“ მოთავსებულია ვახტანგის ლექსებს შორის.

მეორეც, და რაც მთავარია, „ჭაშნიკის“ ლენინგრადულ ხელნა-
 წერში „მუხრანული“, ისე როგორც „ლექს-ამბავი“, ჩაწერილია მკა-
 ფიოდ გამოხატული, ვახტანგის ცნობილი, გაკრული ხელით.

ეს ორი ფაქტი, რომ „მუხრანული“ პირველწყაროში მოთავსე-

ბულია ვახტანგის ლექსებს შორის და იგი ჩაწერილია თვით ვახტანგის მიერ, ცფიქრობთ, საქმაო საბუთია იმისა, რომ ეს ნაწარმოები ვახტანგ მეექვის ქმნილებად ვცნოთ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, შესაძლებელია, სათაური „მუხრანული“, ასე თუ ისე, დღეს ხალხური ლექსის ასოციაციას იწვევდეს, მაგრამ ამ ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის გაშიფრვა უკველს ხდის, რომ იგი აშკარად ლიტერატურულ-მწიგნობრული ხასიათისაა და დაწერილია გარევეული პოეტური მიზანდასახულების, მაღალი განათლების მქონე, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანული თეოლოგის ნიუანსებში გათვითცნობიერებული პოეტის მიერ.

როცა ამას აღვნიშნავთ, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ „ჰაშნიკზე“ დართული ვახტანგის ლექსები პოეტის არც ერთ თხზულებათა ხელნაწერ კრებულში — არც აღრინდელში და არც გვიან გადაწერილებში, — არ დასტურდება და ყველა მათგანი თავისი ფორმით გამორჩეული ნაწარმოებია. ასეთივეა „მუხრანულიც“. ამის გამო „მუხრანულიც“ ვახტანგის იმ დაუცხრომელი ვერსიფიკაციული ძიების შედეგად შექმნილ თხზულებად უნდა მიყიჩიოთ, რასაც, საზოგადოდ, პოეტი ეწეოდა და რისი გამოხატულებაც „ჰაშნიკზე“ დართული მისი ლექსებია.

„მუხრანული“ ვახტანგის პოზიასთან დიდ ნათესაობას ამჟღავნებს აგრეთვე თავისი ალეგორიული შინაარსითაც. ქრისტიანულ-თეოლოგიური სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება, ბუნებრივია, გარევეულად აისახა ძველ ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ მან პირველად ვახტანგის პოზიაში მიიღო ის განსაკუთრებული სიღრმე, მასშტაბურობა და სისტემური ხსიათი, რომელიც ასე ფართოდ გამოიხატა შემდეგ დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ყოველმხრივ დასტურდება, რომ „მუხრანული“ ვახტანგ მეექვის ნაწარმოებია.

2. ფორმა

„მუხრანულის“ ფორმის, ლექსის სახეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებანია გამოთქმული

ამ საკითხის გასარკვევად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამ ლექსის ავტოგრაფული გრაფიკული გამოსახულება. „ჭაშნიკის“ ლენინგრა-დულ ნუსხაში „მუხრანული“ შუაზე გაყოფილად, ორ სვეტად არის წარმოდგენილი, ისე რომ გვერდი-გვერდ, ორ სტროფად დაწერილი ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს:

სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო, მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, შტერი რომ მზერს დასწველად, ძალო, რა მას დასცემ, მოისვენებ, ძალო,	თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო, მას შეები გულმესისხლედ, ძალო, ორსავ სოფელს სახელს პოვებ, ძალო!
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ იგი იკითხება, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად, ცალკე სვეტებად. ერთი და იგივე აზრი გამოდის, როცა ვკითხულობთ:

სამკალი გაქვს, სამუშაო ძალო, თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო, საუკუნოდ არ წახდების, ძალო... და ა. შ.

მეორე მხრივ:

სამკალი გაქვს, სამუშაო, ძალო,
 მოიმკე და შეიკრიბე, ძალო... და ა. შ.
 }

ან კიდევ:

თუ მოიმკი, კეთილსა იქ, ძალო,
 საუკუნოდ არ წახდების, ძალო... და ა. შ.

აქედან გამომდინარე, უნდა დაგასკვნათ, რომ „მუხრანული“ ვანეკუთვნება სხვადასხვა მხრიდან, ამ შემთხვევაში ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად წასაკითხ ფიგურულ ლექსის სახეობას — კვადრატულ ლექსს.

ამ ტიპის ლექსები მრავალი ხალხის პოეზიაში მოიპოვება, მათ შორის, სპარსულსა და რუსულში. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით გავრცელებული და პოპულარული იყო სპარსულში.

კვადრატული ლექსები ქართულ ლიტერატურაში აქამდე შენიშვნული არ ყოფილი. ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში ივ. ლოლა-

შეილი ამგვარ ნაწარმოებად თვლის გრორგი მთაწმიდელისადმი მიჩ-
ღვნილ ეფურემ მცირის შესხმას, რომელიც სხვა მხრივ ყველაფრით
განსხვავდება „მუხრანულისაგან“ (ვ. ლოლაშვილი, ათონურ ქარ-
თულ ხელნაწერთა სიახლენი, 1982, გვ. 28-35).

„მუხრანულს“ ძალიან ჰგავს მე-18 საუკუნესა და მე-19 საუ-
კუნის დასაწყისში ჩვენში გავრცელებული თითო სტროფად დაწე-
რილი, 4-სტრიქონანი, შიგა და გარერითმიანი ლექსი „რვული“,
რომელიც სულხან-საბა ორბელიანის გალექსილი „ქილილა და და-
მანადან“ მომდინარეობს. „მუხრანული“ და ამ სახის „რვული“
ფაქტიურად ერთი ტიპის თხზულებანია.

3. შინაარსი

თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ „მუხრანულში“ მკა-
ზე, ჩვეულებრივ სამეურნეო სამუშაოზე, პურეულის აღებაზე საუ-
ბარი პირდაპირი მნიშვნელობით არ არის. ეს ისეთი სამკალია, რო-
მელიც „საუკუნოდ არ წახდების“, ხოლო, მომკელი, როცა სამკა-
ლის მტკრს დაამარცხებს, „ორსავ სოფელს სახელს პოვებს“. მა-
შასადამე, აქ ისეთ მყასთან გვაქვს საქმე, რომელიც საიჭიოს, სა-
მოთხის მოპოვებას უკავშირდება.

ახალ აღთქმასა და მასზე დამყარებულ ქრისტოლოგიურ ლიტე-
რატურაში მკა, პურეულის აღება და გადარჩევა იგაურად გამო-
ხატავს ქრისტიანულ ესქატოლოგიურ მოძღვრებას — ქრისტეს მე-
ორედ მოსვლასა და მის მიერ ბოროტთა და ქეთილთა განსხას. ეს
პირდაპირ არის აღნიშნული მათეს სახარებაში, სადაც ქრისტე სხვა-
დასხვა იგავით მოუთხრობს ხალხს, თუ რას წარმოადგენს წმინ-
დანთა სამყოფელი — „სასუფეველი ცათამ“. ერთერთი იგავი სწო-
რედ მკის, ხორბლისა და ღვარძლის გადარჩევას ეხება და იქვეა ახს-
ნილი მისი ნართაული შინაარსი:

„სხუად იგავი დაუდგა მათ და პრქუა: ემსგავსა სასუფეველი
ლმრთისად კაცა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკა
თვისა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და
დასთესა ღვარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. ოდეს აღმო-
9. ქრისტი № 1



ცენტრა ჯეჭილი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლო იგი. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და პრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა? გინაა აღმოხდა ღუარძლი? ხოლო მან პრქუა: მტერმან კაცმან ყო ეგე. ხოლო მონათა მათ პრქუეს მას: გნებაგსა, რათა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? ხოლო მან პრქუა მათ: არა, ნუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰეტხურეთ მის თანა იფქლიცა. აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას ვიდრე უამამდე მკისა, და უამსა მკისასა უბრძანი მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკარით იგი ძნეულად, რათა დაიწუს იგი; ხოლო იფქლი შეკრი-ბეთ საუნჯესა ჩემსა” (მათე, 13, 24-30).

იქვე ქრისტეს პირით განმარტებულია, რომ აგარაკი სააქაო, ამქვეყნიურ ცხოვრებას აღნიშნავს; კეთილი თესლის მთესველი ღმერთია, თვით კეთილი თესლი, — ჭინც კეთილსინდისიერად გან-ვლო ეს ქვეყანა და სამოთხე დაიმკვიდრა; ღვარძლი უკეთურთ, ბო-როტების ჩამდენთ წარმოგვიდენს; მტერი, რომელიც ღვარძლს თესავს, ეშმაკია; მკა — ამქვეყნიურ აღსასრულსა და მეორედ მოს-ვლის დროს განსჯას გამოხატავს. ღვარძლის შეკრებასა და დაწვაში ცოდვილთა ჭოჭოხეთში გაგზავნა და იქ სამუდამო ტანჯვაში ყოფ-ნა იგულისხმება; ხორბალი — მართალნი, სამოთხეში მოხვედრი-ლები არიან:

„მაშინ დაუტეჭა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუხ-დეს მას მოწაფენი მისნი და პრქუეს: გამოვგითარგმანე ჩუენ იგავი იგი ღუარძლისად მის და აგარაკისად. ხოლო თავადმან მიუგო და პრქუა მათ: რომელი სთესავს თესლისა კეთილსა, ძეო კაცისად არს, ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკა იგი არს აღსასრული ამის სოფლისად; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეც-ხლითა დაწვიან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისად. რამე-თუ მოავლინეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი, და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოე-ბისანი. და შთასთხივნენ იგინი სახუმილსა მას ცეცხლისას. მურ-

აყის ტირილი და ორჭენად კბილთახ. მაშინ მართალნი გამობრწყინ-
დენ, ვითარცა მზეც, სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 13-43).

მკისა და პურეულის შეგროვების აღნიშნული გაგება მინიჭ-
ნებულია ითანეს სახარებაში (ითანე, 4, 35-36).

თეოფილაქტე ბულლარელიც ასევე იგავურ ნათქვამად თქლის
სახარების მოყვანილ ტექსტს და მკას იგიც სამუდამო ცხოვრების
მოპოვებას უკავშირებს.

მკის ექვანტოლოგიური, ალეგორიული შინაარსი კიდევ უფრო
ნათლად და მკაფიოდ მოცემულია ითანეს გამოცხადებაში და მის
თარგმანებაში, რომელიც ანდრია ექსარიელ-კაბადოკიელს ეკუთ-
ვნის.

ამის შემდეგ კიდევ უფრო სარწმუნოა, რომ მკა ჩვენთვის სა-
ინტერესო მნიშვნელობით არის აგრეთვე ნახმარი მარკოზის სახა-
რებაში.

მკა და მასთან დაკავშირებული ტერმინები ჩვენთვის საინტე-
რესო მნიშვნელობით დასტურდება მხატვრულ მწერლობაშიც, მა-
გალითად, ჰიმნოგრაფიაში.

ამრიგად, მკის შესახებ „მუხრანულსა“ და ქრისტოლოგიურ
ლიტერატურაში შემუშავებულ და ფართოდ გავრცელებულ შეხედუ-
ლებას შორის პირდაპირი, სიტყვიერი, აზრობრივი, ორგანული კავ-
შირი არსებობს.

ეს კავშირი კიდევ უფრო რელიეფური ხდება ლექსის მიმართ-
ვის ობიექტის გარკვევის შემდეგ.

ვის ეხება ლექსში მოწოდება, ვინ იგულისხმება „ძალო“-ში?

„ქაშინიერის“ გ. ავალიშვილისეულ ხელნაწერში, როგორც
უთქვით, „ძალოს“-ს მაგივრად „რძალო“ იყითხება. პირველ მეორე
სტრიქონების ბოლოებში ასევე ბეჭდავს ამ სიტყვას გ. ლეონიძე
თავის პუბლიკციაში. პირველი სტრიქონის ბოლოს „რძალო“-ს
ბეჭდავს აგრეთვე პ. ინგოროვა (თხზ., III, გვ. 43). ცნობილია,
რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მათ შორის ქართლში, საი-
დანაც იყო ვახტანგ VI, „რძალი“, „რ“-ს გარეშე გამოითქმის —
ძალო, ძალუა. თავისთავად მოულოდნელი და კონტექსტისათვის
მაინცდამაინც შეუსაბამო არ იქნებოდა რომ ლექსში „ძალო“
„რძალოს“ მნიშვნელობით გაგვეგო. ეს სიტყვა, ძველი ორთოგრა-
ფით „სძალი“, ძველ მწერლობაში ხშირად ალეგორიული შინაარ-

სით იხმარება და მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სძლად ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი“. კერძოდ, ამ სახელით ხშირად იხსენიება მარიამ ღვთისმშობელი:

„ქერობინთაგან მიუწვდომელი და სერიბინთაგან უხილავი ღმერთი ხორცითა გვიშევ, უბიწოო და უქორწინებელო სძალო, ქალწულო მარიამ“ (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 9 და სხვა).

ჩვენს ლექსს სძალი ღვთისმშობლის გაგებით იმ მხრივაც მიესადაგებოდა, რომ სასულიერო, და არა მარტო სასულიერო, მწერლობაში მორწმუნები ღვთისმშობელს, ისე როგორც, საზოგადოდ, წმინდანებს, ხშირად ევედრებიან ეშმაკისაგან დახსნასა და სასუფეველში დასამკვიდრებლად შემწეობას. იმავე საგალობლებში ვკითხულობთ:

„სიქაღულო მორწმუნეთაო, ღმრთისმშობელო ქალწულო, შენ გვედრებით: ნუ დასცხები ვედრებად უფლისა მიმართ, რაოთა მისხენ ჩუენ ცოდვათა ჩუენთაგან და ღირს ვიქმნეთ დამკვიდრებად ხასუფაველსა მისსა მვედრებელი შენი, სძალო ღმრთისათ“ (გვ. 45) და მრავალი სხვა.

უფრო მეტიც, თვით ვახტანგის ვრცელ, ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებში „სატრფიალონი“, სადაც სიყვარული მისტიკურ-ალეგორიული გაგებით არის მოცემული (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ს. ცაიშვილი), სატრფიალო, სამიჯნურო ობიექტია სძალი, ხასძლო, რომელიც ლამაზი, მომხიბვლელი ქალის სახით არის დახატული და სინამდვილეში არამიწიერ, ზეციურ არსებას წარმოადგენს (სტროფები: 5-7, 9, 49, 60).

მიუხედავად ყოველიც ამისა, სძალი-რძალი „მუხრანულში“ ამგვარი გაგებითაც არ არის მისაღები. საქმე ის არის, რომ ვახტანგის თხზულებებში „რძალი“ ყველგან სძალი ფორმით არის ნახმარი, როგორც ეს ძველ ქართულშია. „მუხრანულის“ ავტოგრაფში, ლენინგრადულ ხელნაშრეში კი, როგორც ვთქვით, აღნიშნული სიტყვა სანის გარეშეა წარმოდგენილი.

მეორეც, კონტექსტს უფრო შეესატყვისება სწორედ ავტოგრაფული წაკითხვა ძალო, ძალო.

ძალი ძველ ქართულში ბევრნაირი გაგებით იხმარება. ერთ-

ერთი გავრცელებული მნიშვნელობა, რომელიც ახალ ქართულშიაც შემორჩა, არის ძალა, ძლიერება, ღონე. ვახტანგი ამ სიტყვას ყველან ძველი ორთოგრაფიით (ძალი) იყენებს.

ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით ხშირად და საგანგებოდ ესმება ხაზი ძალის, როგორც ზეციურ ძლევამოსილებას. გარდა ამისა, და რაც მთავარია, სალვოსმეტყველო ლიტერატურაში, როგორც ჩვენს მეცნიერებაშია აღნიშნული (ვ. ნოზაძე, ა. გაწერელია, ზ. გამსახურდია), ძალი ერთ-ერთი სახელია ღვთისა, კერძოდ, სამპიროვანი ღმერთისა ან მამა ღმერთისა. საილუსტრაციოდ უპირველესად მითითებულია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი. ამ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების შესახებ საგანგებო მსჯელობა არის ცალკე თავში — „ძალისათვის, სიმართლისათვის, ცხორებისათვის, გამოხსნისათვის, რომელთა შინა არს უსწოროებისთვისცა“ (შრომები, 1961, გვ. 74-79).

ძალი სამების მამა ღმერთის სახელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში იგი უხვად გვხვდება.

იმავე ვახტანგ VI „სიბრძნე მაღალობელში“ ვკითხულობთ: ერთისგან არის სიმრავლე, ნუ სიმრავლისგან ერთები, ძალი, სიბრძნე და წადრო, არ ერთანერთსა ერთები... (646, 1-2).

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს „სატრაფიალონში“:

წადილი და ძალი, სიბრძნე მშედლობად გაქვს შესაძარი, მზე — ალმასად, მოვარე — ლალა, იაგუნდად — ვარსკვლავთ ჭარი, ცა — ოქროდ და მინანქარად, ქვეყანა მრავალ-გვარი, და ამით გიცნობთ, ამით გაქვებთ, მექმენ სულის გამახარი! (101).

ამ მასალებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია „მუხ-რანულის“ ძალი სამპიროვან ღმერთს წარმოადგენდეს.

გარდა სამებისა და მამა ღმერთისა, ძალი სახელით მოიხსენიება აგრეთვე მისი სხვა პიპოსტრასი, ქე ღმერთი — ქრისტე. ცნობილია, რომ ქრისტიანული დოგმით, სამპიროვანი ღმერთი განუყოფელია და რაც მიეწერება ერთიან სამებას, იგივე ვრცელდება თითოეულ მის წევრზე. ეს ეხება „ძალსაც“. ძალი ქრისტეს მიმართ

თხმარება ახალ აღთქმაში. ეს პირდაპირ არის მოცემული კორინ-თელთადმი მიწერილ პავლეს პირველ ეპისტოლეში:

„ხოლო მათვე ჩინებულთა ჰურიათა და წარმართთა ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“ (1, 24).

ანალოგიური გამოთქმები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში, ნათარგმნებში და ორიგინალურებშიაც, საკმაოდ მრავლად გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული მოძღვრებით ყოველივეს მეუფე უზენაესი სამპიროვანი ღმერთია, ესქატოლოგია მაინც ქრისტეს სახელთანაა დაკავშირებული. მეორედ მომსვლელი სწორედ ქრისტეა და ყოველთა განსხა მისი უშუალო საქმე და მოვალეობაა.

განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვახტანგის მასწავლებლისა და მრავალ საქმეში ახლო თანამშრომლის სულხან-საბა ორბელიანის ესქატოლოგიური შეხედულება ისეთივეა, იმავე ალეგორიითა და სიტყვებითაა წარმოდგენილი, რაც, საზოგადოდ, მიღებული იყო ქრისტოლოგიაში და რაც ვახტანგის ლექსში „მუხრანული“ გვაქვს. დავიმოწმებთ ერთ ადგილს:

„...ამისთვის, ძმანო, ნათესნი მათნი ნაყოფიერ ვყვნეთ და ვბრწყინვიდეთ სწავლათა მდინარითა კითხვითა წერილთა მათთა, და ჭეკილთა მათთა, მარადის განვმარგლიდეთ ეკალთა და შამპნართოვანთაგან აღსარებითა წინაშე მოძღვართათა რათა არა შეაშოთ ყანა იგი იფქლ-წმიდა, რომლისათვის წარავლინა იგინი სამკალად ქრისტემან. მოვრწყოთ კალონი იგი, საღა განილეწებიან გვამნი ჩვენნი ცრემლითა, რათა ხვავი იგი ხვარბალთა არა შეიმწიკვლოს, და განვანიავნეთ ბზენი იგი ქარითა სულთქმისახთა, რათა დასაწველი რამე არა მიჰყვეს თანა, ოდეს მივიხმევდეთ იფქლთა ჩვენთა საუნჯეთა შინა ქრისტესთა, რათა არა სირცხვილეულნი გვიხილნეს ზედა მდგომართა მათ ჩვენთა, რომლისაგან დაგვეთესა იფქლი იგი წმიდათა ქადაგებათა მისთანი, რათა სიხარულით აღსებულნი მიგვიყვანეს სამსჯავროსა მას საშინელსა და ჩვენ მაღლითა მისითა საგსენი უშიშრად მოველოდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და დაუსრულებელსა ნეტარებასა უკუნითი უკუნისამდე“ (თხ. III, გვ. 187).

ამრიგად, იმის გამო, რომ, ქრისტიანული თვალსაზრისით, მეორედ მოსვლა და განკითხვა არსებითად და უშუალოდ ქრისტეს უქავშირდება, ხოლო „მუხრანული“ პირდაპირი, სიტყვიერი და გადატანითი შინაარსითაც ამ შეხედულებას ემთხვევა, უფრო მოსალოდნელია ლექსში მოწოდება ქრისტეს ეხებოდეს და ძალი მას აღნიშნავდეს.

ამავე საჭითხთან დაკავშირდებით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. ცნობილია, რომ საძიებელი სიტყვით ძველ ქართულში გამოიხატება აგრეთვე ყოველგვარი ზეციური ძალები, ზეციური არსებანი. ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ყოველთა ზეცისა არსებათა საზოგადოდ ძალი ზეცისანი სახელ-ედებიან“ (გვ. 132); მათ შორის ამავე სიტყვით აღინიშნება ანგელოზთა ერთ-ერთი დასი და, საერთოდ, ანგელოზები, აგრეთვე, — ციური მნათობები, ვარსკვლავები. ხოლო თეოლოგიურ ლიტერატურაში ქვეყნის აღსასრულისა და განსხაში მონაწილეებად უზენაეს ღმერთთან ერთად გამოყვანილია ანგელოზები და სხვა ციური ძალები.

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, „მუხრანულის“ ძალში ეს ზეციური ძალები ან, კერძოდ, ანგელოზები იგულისხმებოდეს?

ვფიქრობთ, ამგვარი ახსნა გამორიცხულია თუნდაც იმიტომ, რომ „მუხრანულში“ ძალი მხოლობით რიცხვში დგას, ხოლო ზეციური ძალების ან ანგელოზების მნიშვნელობით ეს სიტყვა ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმით (ძალი) იხმარება. კიდევ უფრო უარსაყოფია ძალი ვარსკვლავების მნიშვნელობით, რომელიც, მართალია, მხოლობითი რიცხვითაც იხმარება და „აღსასრულის“ დროსაც ჩანს, მაგრამ მას მოქმედი, წარმართველი ძალა არ გააჩნია. აპოკალიპსის დროს თავი და თავი ქრისტეა!

„მუხრანული“, გარდა ცნებებისა „მკა“, „შეკრება“, „ძალი“ ქრისტიანულ, სახელდობრ, ესქატოლოგიურ მოძღვრებას ენათესავება სიტყვით „მტერი“ (მტერი რომ მზერს დასაწველად, ძალო...“), რომელშიაც ეშმაკი იგულისხმება. სახარების ზემოთ დამოწმებულ იგავში იკითხება: „...და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა“. იქვე ახსნილია: „ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი,

ეშვაყი არს“. სწორედ ამ გაგებით არის მტერზე საუბარი ზე-
მოთ მოყვანილ ძლისპირში: „შენ ქრისტე, ომთისა ძალო, მიხსენ მე
ხელთაგან მტერთადასა“. ნიშანდობლივია, რომ ამგვარივე გაგებით
ხსნის ვახტანგი ამ სიტყვას მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაო-
სანზე“ დართულ კომენტარებში.

ამრიგად, „მუხრანული“ ესქართოლოგიურ თემაზე დაწერილი
ალეგორიული ნაწარმოებია, რომელშიაც ქრისტიანულ თეოლოგია-
ში შემუშავებული ნართაული ენით გამოხატულია მოწოდება მეო
რედ მოსვლისა და განსჯის შესახებ. მიმართვის ობიექტი ძალი
არის ღმერთი, ქრისტე.

თეორიის საკათეგზი

□ □ □

სახე და სიმბოლო

□
ვიზთორ ბიჩაოვი
□

ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, ფსიქოლოგიისადმი, ხელოვნების ადამიანის სულზე ზემოქმედების მექანიზმისადმი ყურადღების გამახვილებამ, რაც „უმაღლეს ჭეშმარტებათა“ წვდომისას ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების დასაზღვრულობის გაცნობიერებას ეფუძნებოდა, ჯერ კიდევ ფილონ ალექსანდრიელი, ხოლო შემდეგ II-III საუკუნეების ქრისტიანი აპოლოგეტები მიიყვანა სახისა და სიმბოლოს პრობლემის ბევრი მხრივ ახლებურად გააზრებასთან.

თავისი არსებობის პირველ საუკუნეებიდანვე ქრისტიანობაში ეს ცნებები გამოიყენა თავის ონტოლოგიაში, გნოსეოლოგიასა,

* წიგნიდან: ვ. ვ. ბიჩოვი. ბიზანტიური ესთეტიკა. მოსკოვი, 1977.

ეთიყასა და ესთეტიკაში. მათ საფუძველზე ქრისტიანობაშ შექმნა მთლიანი მსოფლმხედველობრივი სისტემა და მათი მეშვეობით ახ-სნა ის, რაც არ ექვემდებარებოდა ფორმალურ-ლოგიკურ ახსნას. ამ კატეგორიების შემოტანით და გამოყენებით ქრისტიანი მოაზროვნები ცდილობდნენ გამოსულიყვნენ ანტიკური რაციონალიზმის ჩი-ხილან. გნოსეოლოგიაში ასეთი ცდა ხშირად მოჩვენებითი იყო, მაგ-რამ ესთეტიკასა და მხატვრული აზროვნების პლანში სახისა და სიმბოლოს პრობლემის დაყენებამ, ისევე როგორც მათი ანალიზის ცდამ, საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო.

საქაოდ სრული მასალა ამ საკითხების შესახებ შეგვიძლია მოვიძიოთ კლიმენტი ალექსანდრიელთან, სწორედ მასთან გეხვდება პირველი ცდა ქრისტიანულ საფუძველზე გაგებულიყო უნივერსუ-მის სახეობრივ-იერარქიული წყობა, რამაც თავისი საბოლოო გან-ხორციელება არეოპაგელის იერარქიულ სისტემაში პოვა. როგორც ვ. ფოლკერი აღნიშნავს, პირველად კლიმენტიმ აქცია (ქრისტიან მწერალთა შორის) „ეიკონ“-ზე მოძღვრება თავისი მსოფლმხედვე-ლობრივი სისტემის მთავარ პუნქტად. კლიმენტისთან სახე უკვე იმ სტრუქტურული პრინციპის როლს ასრულებს, რომელიც უზრუნ-ველყოფა მთელი სისტემის მთლიანობას, პირველმიზეზი, ღმერთი—სახეობრივი იერარქიის ამოსავალი პუნქტია, შემდგომ გამოსახუ-ლებათა პირველსახეა. არქეტიპის პირველ, მაქსიმალურად იზომორ-ფულ, პრაქტიკულად ყველაფერში მის მსგავს (ჰომოიოს) სახედ ლოგოსი მოიაზრება. ეს არის უხილავი და მგრძნობელობით აღუქ-მელი სახე. მის ანასახს (მისი ნებითვე) წარმოადგენს კაცის გონება ან სული — „ქაცის გონება შეადგენს სახეს სახისას“... კლიმენტის შეხედულებით, გნოსტიკოსის გულში ქე ბეჭდავს თავის სახეს (ხატი), რათა გნოსტიკოსმა შესძლოს ამაღლება მისი სავსების განსაჭერებად. ამიტომ ახლა უკვე თვითონ გნოსტიკოსი გადაიქ-ცევა „დვთის მესამე სახედ (ხატად)“. ეს მატერიალიზებული, ვი-ზუალურად და ტაქტილურად აღსაქმელი სახე საქაოდ სუსტად ასახავს პირველსახეს. უფრო „შორსა დგას ჭეშმარიტებისაგან“ სა-ხეთა მეოთხე საფეხური — სახვითი ხელოვნების სახეები, კერ-ძოდ, ქანდაკებები, რომლებიც ადამიანებსა და ანტროპომორფულ ღმერთებს განასახიერებენ.

ადამიანი არამცთუ მთლიანობაში წარმოადგენს ლოგოსის სახე-

გას, არამედ მისი სულიერი წყობის ცალკეული ნაწილებიც უზენაეს აჩხებათა სახეებია. იმეორებს რა ფილონის აზრს, კლიმენტი ფიქა რობს, რომ ნების თავისუფლებაა სწორედ „ღვთის სახება ადამიანუში“, ლოგოსის სახეებია გონება და სინდისი, ხოლო ცოდვა მუსრავს „სახეებს“ და აკნინებს მათ. ამ მიმართულებით ავითარებს იგი აზრს „მსგავსი სახეების“ (პომოისის) შესახებ. ეს არის განსაკუთრებით დინამიკური სახე, „სახე-მიმსგავსება“, სახე-პროცესი. იგი წარმოადგენს იდეალსაც, ქრისტიანის სწრაფვათა მიზანს და ამასთანავე, ამ მიზნის განხორციელების უსასრულო პროცესს, რადგან ღმერთთან სრულ „მსგავსებას“ ოვით იდეალური გნოსტიკოსიც ვერ მიაღწევს...

სახის აღსანიშნავად, უფრო ხშირად სულიერი სახისა, კლიმენტი იყენებს „პლასტიკურად ხელშესახებ“ ტერმინებს, როგორიცაა „ქანდაკი“ (აგალმა — სულიერი სახე), „გარეგანი ხედი“ (მორფე — ლოგოსის სახე ადამიანში), „კერპი“ (ეიდოლა)... თავისი ტრაქტატის „შეგონება ელინთათვის“ ერთ ადგილს კლიმენტი წერს იმაზე, რომ მასალის გამო კი არ სცემენ თაყვანს ქანდაკებას, არამედ ხელოვანის მიერ მასალისაგან გამოძერწილი „ხატების“ (ტო სქემა) გამო.

დიდმა კაბადოკიელებმა გააგრძელეს და განავითარეს ბიბლიური ტექსტების სიმბოლიკურ-ალეგორიული აღქმის ფილონისეული, კლიმენტის და ორიგენისეული ტრადიცია. ამაში განსაკუირებული ვირტუოზულობით გამოირჩეოდა გრიგოლ ნოსელი. ღრმა ანალიტიკური აზროვნებით მორჭმული ეს მოაზროვნე სხვადასხვა შრომებში მივიღა დასკვნებამდე, რომელთაც სათავე დაუდეს სახისმეტყველების ბიზანტიურ თეორიას.

სახის აღსანიშნავად გრიგოლი უფრო ხშირად იყენებდა ტერმინს „ეიკონ“, რომელიც მას ესმოდა ძალიან ფართო აზრით, როგორც გამოსახულება. მისი თვალთახედვით, სახე „რა თქმა უნდა, ყველაფერში ესადაგება პირველსახეს, და მხოლოდ თავისი ბუნებით („ბუნებითი თვისებით“) განსხვავდება მისგან, „რამეთუ ვერ იარსებებდა სახება, ის რომ ყველაფერში ესადაგებოდეს არქეტიპს“. ამ ცნებას იგი ავრცელებს როგორც ადამიანზე, რომელიც შექმნილია „ხატად და მსგავსად ღმრთისა“ (შესაქმე, I, 26), ისე სიტყვიერი და სახვითი ხელოვნების „სახეებზეც“. ერთიცა და შე-

ორეც არ უნდა მივიჩნიოთ თავად პირველსახედ: „დაე, პირველ-
სახედ ნუ ჩათვლიან სახეს“.

ლიტერატურულ და ფერწერულ სახეებში გრიგოლი მქაფიოდ
განასხვავებდა ნაწარმოების გარეგნულ ფორმასა და შინაარსს. ამ
უკანასკნელს იგი „აზრობრივ სახეს“, „იდეას“ (ეიდოს) უწოდებდა.
მაგალითად, გრიგოლის თვალსაზრისით, ბიბლიურ ტექსტებში ღვთა-
ებრივი სილამაზისადმი მხურვალე სიყვარული გრძნიბითი ტკბობის
სურათებში ჩაქსოვილი „აზრობრივი სახეების“ მეშვეობით არის
გაღმოცემული. ფერწერასა და სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში მაყუ-
რებელი ან მკითხველი სურათზე ფერთა ლაქებისა და ტექსტში
„ხიტყვერი ფერების“ ჭვრეტაზე კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ
ის „იზა“ (ეიდოს) უნდა დაინახოს, რომელიც ამ ფერთა მეშვეო-
ბით ჯადოშსცა ხელოვანმა.

გრიგოლ ნოსელის ეს აზრები მრავალი საუკუნის განმავლო-
ბაში საფუძვლად ედო ბიზანტიურ ესთეტიკას. მან აქტიური გავ-
ლენა მოახდინა ბიზანტიურ, და უფრო ფართოდ — მთელი შუა
საუკუნეების ევროპულ ხელოვნებაზე. რა თქმა უნდა, ეს აზრები
ეფუძნებოდა ანტიკურ თეორიებს. მსგავს შეხედულებას ჩვენ წავაწ-
ყდებით პლატონთან და არისტოტელესთან, ფსევდო-ლონგინესთან
და პლოტინთან (ამ უკანასკნელთან ყველაზე ახლოს დგას გრი-
გოლ ნოსელი).

მაგრამ კაბადოკიელ მოაზროვნეს ეს იდეები დაფორმულე-
ბული აქვს, მე მგონი, უფრო კონკრეტულად და სულ სხვა კონ-
ტრექსტში, ვიდრე ანტიკური ხანის მის წინამორბედებს. იგი არამც
და არამც არ დასძრახავდა ხელოვნების ნაწარმოებს როგორც უდირს
ასლებს ან „ჩრდილთა ჩრდილებს“. პირიქით, იმ უნარში, რომ შე-
ინახონ და გადმოგვცენ „აზრობრივი სახეების“ გრიგოლი ხედავს
მათ ღირსებასა და ხელოვნებათა არსებობის გამართლებას. და ხე-
ლოვნების სწორედ ეს ფუნქცია აღმოჩნდა ძირითადი და უპირა-
ტესი ქრისტიანობისთვის.

ამასთანავე, გრიგოლ ნოსელი ერთ დონეზე აყენებდა სიტყვა-
კაზმულ ხელოვნებას, ფერწერას და მუსიკას და მათ აფასებდა მხო-
ლოდ „აზრობრივი სახეების“, „ეიდოსების“ განხორციელებისა და
გადმოცემის უნარის მიხედვით... სიტყვაკაზმული და სახვითი ხე-
ლოვნების შედარებისას საჩინოს ხდიდა რა მათ სტრუქტურულ

იდენტურობას, იგი „სახით ხელოვნებას“ ჩვეულებრივი სიტყვით „ტექნი“ კი არ აღნიშნავდა, რაც „ხელოსნობასაც“ ნიშნავდა, არა-მედ სიტყვით „ეპისტემე“, რასაც უმთავრესად „ცოდნის“, „მეც-ნიერების“ მნიშვნელობა ჰქონდა (ტენ გრაფიკენ ეპისტემენ). ამ პირ-წმინდად გნოსეოლოგიური (მაშინდელი დროისათვის) ტერმინით რომ აღნიშნავდა ფერწერას, გრივოლი მას თითქმის ფილოსოფიის დონემდე ამაღლებდა.

კაბადოკიელთა დროიდან მოყოლებული ვიზუალური სახე, კერძოდ, ფერწერული სახე სიტყვითან ერთად თანაბარ დონეზე განიხილებოდა, თანაც ისე, რომ სიტყვას მის წინაშე არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა, რაკი თავადაც „სახეს“ წარმოადგენდა. კაბა-დოკიელთა მსჯელობამ „სახის“ შესახებ ბევრი მხრივ შეამზადა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეორია. მათ მიერ ჩაყრილ საცურაველზე არეოპაგელმა ღრმა ფილოსოფიური დასკვნები გააკე-თა, რამაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მთელი ევროპული შუა საუკუნეების ფილოსოფიასა და ესთეტიკაში.

* * *

ბიზანტიური კულტურის მქონევართა შორის არსებობს და-პირისპირებული და ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელი თვალსაზ-რისები შუა საუკუნეების კულტურასა და ფილოსოფიაში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის წვლილის შესახებ. არავინ უარპყოფს იმას, რომ ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ეს წვლილი და რომ არე-ოპაგელის გავლენის გარეშე შეუძლებლია გავიგოთ ქრისტიანულა (როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური) ფილოსოფიის განვი-თარების კანონზომიერება. მაგრამ გასული საუკუნის მიწურულს, არეოპაგელის თხზულებების პროკლეს ნაშრომებთან (კერძოდ, მის „თეოლოგიის პირველსაფუძვლებთან“) სიახლოეს დადგენის შემ-დეგ, ბევრი მკვლევარი ამ თხზულებათა აკტორში მარტოდენ ნი-ჭიერ ქრისტიან ნეოპლატონიკოსს ხედავს, ავტორს, რომელმაც შეს-ძლო ქრისტიანობის საჭიროებისთვის მოქმარევებინა („გადაემუშ-ვებინა“, შ. ნუცუბიძე) წარმართული ფილოსოფია. ერთ-ერთი ასეთი მკვლევარის თვალსაზრისით, არეოპაგიტული კორპუსი „პლატო-ნიზმის“ ანუ შუა საუკუნეების ნეოპლატონიზმის „ცოცხალი და მთა-

გარი (მაგრამ არა ერთადერთი) წყარო იყო“ (გ. ვ. ფლოროვსკი,
პარიზი, 1933).

მკვლევართა მეორე ჯგუფს არეოპაგელის შემოქმედებაში ნეოპ-
ლატონიკური თვისებები სრულიადაც არ მიაჩნია უმთავრესად და
განმსაზღვრელად. ასე მაგალითად, ე. უილსონი და ფ. ბონერი ამ-
ტკიცებენ, რომ თუ არ ვალიარებთ არეოპაგელის (შტიგლმაიერის
აზრით, ამ „ნეოპლატონიკური ფილოსოფისის ტოვით მოსილი
ქრისტიანის“) მოძღვრების ორიგინალურობას, მაშინ შეუძლებელი
იქნება ქრისტიანული აზროვნების მთელი შემდგომი განვითარები-
სათვის მისი მნიშვნელობის გავება და შეფასება.

მეორე თანამედროვე მკვლევარი გ. ჰუნგერი, ოდნავადაც არ
არის დაეჭვებული მისი თხზულებების საკუთრივ ქრისტიანულ ხა-
სიათში, „წარმართულ ნეოპლატონიზმთან მთელი მათი ფორმალუ-
რი მსგავსების მიუხედავად“. უფრო მეტიც, არეოპაგელის მეშვიდე
წერილის საფუძველზე გ. ჰუნგერი ასკვნის, რომ ფსევდო-დიონი-
სეს ამოცანად ჰქონდა დასახული „ნეოპლატონიზმი მისივ საკუთარი
იარაღით დაემარცხებინა“, რითაც არაპირდაპირ ისიც შეიძლება
აიხსნას, თუ რატომ ესესხება იგი ეგზომ ხშირად ნეოპლატონიკო-
სებს. დაბოლოს, ვ. ფოლკერმა, არეოპაგელისადმი მიძღვნილ მო-
ნოგრაფიაში საფუძვლანანდ დასაბუთა, რომ მისი სისტემის შე-
ნობა მხოლოდ ქრისტიანი წინამორბედების საძირკველზე შეიძლე-
ბოდა აგებულიყო, წინამორბედებისა, რომელთაც გამოთქმული
ჰქონდათ ბევრი ფუძემდებლური იდეა.

არეოპაგიტულ თხზულებათა აგრძელებს და ავითა-
რებს ქრისტიან-ალექსანდრიელთა და გრიგოლ ნოსელის მოძღვრე-
ბას, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს პროკლეს გავლენასაც. უკა-
ნასკნელი თვალსაზრისი, როგორც ჩანს, დღეს ყველაზე უფრო მი-
საღებია.

* * *

სახისა და სიმბოლოს გნოსეოლოგიურ დასაბუთებას არეოპაგი-
ტულ თხზულებათა ავტორისათვის ის აზრი ედო საფუძვლად, რომ
ღვთიდან კაცამდე ინფორმაციის მოწოდების იერარქიულ სისტე-
მაში, „ცა — ქვეყნის“ მიჯნაზე, აუცილებელი იყო ამ ინფორმა-

ციის თვისობრივი გარდაქმნა. აქ, არეოპაგელის აზრით, ხდება ინფორმაციის მტვირთველის არსობრივი სახეცვლა: სულიერიდან (საღმრთო იერარქიის უდაბლესი საფეხური) იგი გარდაიქმნება მატერა-ალურად (ქვეყნიური იერარქიის უძალლესი საფეხური). სახეთა, სიმბოლოთა და ნიშანთა საფარველ ქვეშ გარკვეული სახის სინათლის ინფორმაციაა დაფარული. არეოპაგელთან ყველა ეს კატეგორია მყაფიოდ დიფერენცირებული არ არის, მაგრამ მათი გამოყენებისას შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება, რაც საშუალებას გვაძლევს ესთეტიკის იტორიისათვის ამ უმნიშვნელოვანების ცნებათა წინასწარი ანალიზი მოვახდინოთ.

ჯერ ის უნდა აღინიშნოს, რომ სახისა და სიმბოლოს არეოპაგიტულ გაებაზე ძლიერი გავლენა იქნიებს არა მარტო ალექსანდრიული ორიენტაციის ქრისტიანმა მოაზროვნებმა (კლიმენტი, ორიგენი, კაბადოკიელები), არამედ ამ თვალსაზრისით მათთან ახლოს მყოფმა ნეოპლატონიკოსებმა (პლოტინი, იმპერატორი იულიანე — 361-363, პროკლე).

ქრისტიანები — ბიბლიური ტექსტების საფუძველზე, და ნეოპლატონიკოსები — ანტიკური მითოლოგიის განმარტებისას, თეორიულ პლანში ხშირად მიღიონდნენ მიახლოებულ დასკვნებამდე, ვინაიდან ქრისტიანობის პირველი საუკუნეების სულიერი ატმოსფერო სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულების მოაზროვნებს ერთი და იმავე ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართავდა. შესაბამისად, IV-V საუკუნეებში სიმბოლოს ფუნქციასა და დანიშნულებაზე ნეოპლატონიკოსებიც და ქრისტიანებიც ხშირად ერთმანეთის მსგავს დასკვნებამდე მიღიოდნენ. მაგალითად, იმპერატორი იულიანე ჰიმნში „ღმერთების დედლუფალს“ წერდა: „ძველად კაცნი ნივთიერ საგანთა მიზეზებს ღმერთთა მეშვეობით ან თავისით, — მაინც ჭობს ასე ვთქვათ, — ღმერთთა მეშვეობით ეძიებდნენ. და რომ მოიძიებდნენ, ამ მიზეზებს უცნაური აზრის მქონე მითებით მოსავლენენ, რათა პარადოქსით და ბუნდოვანი მინიშნებით საჩინო ეყოთ მათში დაფარული შინაგანი აზრი“... „ბუნებას უყვარს იდუმალყოფა. იგი არ გამოაჩინებს ღმერთების არსებას უწმინდეულ ყურათვის გადაგდებული პირდაპირი სიტყვით. შეუცნობელი და იდუმალი ბუნება იმისთვის შეიქმნა, რომ იგი სიმბოლოთა მეშვეობით გამჟღავნდეს“... „რაც უფრო პარადოქსული და უცნაურია ენიგმა, მით

უფრო გვიდასტურებს იმის აუცილებლობას, რომ ვირწმუნოთ არა ის, რაც სიტყვით არის გაცხადებული, არამედ ის, რაც იღუმალყოფილია“ (წიგნიდან: ძველბერძნული ლიტერატურული კრიტიკა, მ., 1975).

არეოპაგელთან სიმბოლო (ტო სვიმბოლონ) ყველაზე უფრო ზოგად ფილოსოფიურ-რელიგიურ კატეგორიად გვევლინება. იგი თავის თავში მოიცავს სახეს, ნიშანს, გამოსახულებას, მშვენიერს და რიგ სხვა ცნებებს, აგრეთვე, რეალური ცხოვრების და განსაკუთრებით საკულტო პრაქტიკის მრავალ საგანსა და მოვლენას, როგორც ამა თუ იმ სფეროში თავის კონკრეტულ გამოვლინებას, არეოპაგიტულ სისტემაში სიმბოლო ძირითად გნოსეოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს და შესაბამისად მის ესთეტიკური მთავარია ადგილი უკავია...

წერილში ტიტესადმი, რომელიც მისი დაკარგული ტრაქტატის „სიმბოლიკური თეოლოგიის“ შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენს*, არეოპაგელი მიუთითებს, რომ ჭეშმარიტების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ორი საშუალება არსებობს: „ერთი — გამოუთქმელი და საიდუმლო, მეორე — ცხადი და ადვილად შესამეცნებელი. პირველი — სიმბოლიკური და მისტერიულია, მეორე — ფილოსოფიური და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი“. უზეშთაესი, ენითუთქმელი ჭეშმარიტება მხოლოდ პირველი საშუალებით საჩინოვდება. და ამიტომ ძველი ღროის ბრძენი „იდუმალ და თამამ მარაგით-ზრახვას მიმართავდნენ“. ამ „მარაგით-ზრახვაში“ ერთმანეთში მჟიდროდ იყო „გადახლართული გამოუთქმელი და გამოსათქმელი“. თუ ფილოსოფიური მსჯელობა ფორმალურ-ლოგიკურ ჭეშმარიტებას შეიცავდა, სიმბოლიკური სახე შეიცავდა გონიერი მიუწვდომელს. უზეშთაეს ჭეშმარიტებათა შესახებ მთელი ინფორმაცია სიმბოლოებშია დამარხული, „რადგან გონიერების ჭვრეტამდე სხვანაირად, თუ არა მისთვის დამახასიათებელი სავნობრივი წინამძღვრობის მეშვეობით“...

სიმბოლოები და პირობითი ნიშნები (ტა სვინთემატა), არეოპა-

* ფსევდო-დიონისეს გნოსეოლოგიურ იერაჩქიაში სიმბოლიკური თეოლოგია ლვთის შემეცნების დაღებით და უარყოფით გზებს შორის არის მოთავსებული.

გელის აზრით, საკუთრად თავისთვის კი არ აღმოცენდნენ, არამედ გარევეული და თანაც საპირისპირო მიზნით: ჩათა ერთდროულად გაამჟღავნონ და იდუმალყონ ჭეშმარიტება (ეს იდეა მკაფიოდ არის დაფორმულებული უკვე კლიმენტი ალექსანდრიელის „სტრომატებში“). ერთი მხრივ, სიმბოლოს მეშვეობით გრძნობითაღსაქმელ სასრულში უსასრულოს, უსახოს და მიუწვდომელის ნიშანდება, გამოხატვა და მაშასადამე, გამოვლინება ხორციელდება, ხოლო მეორე მხრივ, სიმბოლო წარმოადგენს გარსსა და საფარველს, რაშიც საიმედოდ არის დაცული უთქმელი ჭეშმარიტება იმ უღირსი „პირველი შემხვედრის“ თვალისა და სმენისაგან, ვისთვისაც არა ხამს მისი გამხელა. რა აქვს სიმბოლოს ისეთი, რაც მას საშუალებას აძლევს განახორციელოს ეს ურთიერთგამომრიცხვი მიზნები? როგორცა ჩანს, ჭეშმარიტების შენახვის (დამარხვის) განსაკუთრებული ფორმა. ასეთ ფორმად არეობაგელს მიაჩნია „სიმბოლოს შიგნით დაფარული სილამაზე“, რომელსაც ზეშთაარსობრივი სულიერი სინათლის წვდომისაკენ მივყავართ.

ამრიგად, სიმბოლოს არაცნებითი ინფორმაცია მისი მეცნაურის თვალში, უპირველეს ყოვლისა, უაღრესად ემოციურად — „სილამაზისა“ და „სინათლის“ ფორმით აღიქმება. თუმცა აქ ლაპარაკია არა ფორმათა გარეგნულ სილამაზეზე, არმედ ერთგვარ განზოგადოებულ სულიერ სილამაზეზე, რომელიც ახლავს ათასნაირ — სიტყვიერ, გამოსახულებრივ, მუსიკალურ, საგნობრივ, საკულტო და სხვა სიმბოლოებს. ეს სილამაზე მხოლოდ იმისთვის ხდება საჩინო, ვინც „იცის ხილვა“. ამიტომ აუცილებელია შევასწავლოთ კაცო სიმბოლოთა „ხილვა“. თვითონ არეობაგელს თავის პირდაპირ ამოცანად მიაჩნია შეძლებისდაგვარად განუმარტოს მკითხველს „სიმბოლიკური წმინდა სახეების მთელი მრაფალფეროვნება“, ვინაიდან ამგვარი განმარტების გარეშე ბევრი სიმბოლო „წარმოუდგენლად ფანტასტიკურ ბოდვად“ შეიძლება მოგვეჩენოს...

სიმბოლოთა შეცნობისას არა ხამს მათ ზედაპირზე შეჩერება. აუცილებელია შევაღწიოთ მათ გულისგულში... ისინი თავიანთი ხილული ნაწილით „უთქმელ და განსაკუთრებელ სანახაობათა ხატებს აცხადებენ“. თვითონეულ სიმბოლოს (ნიშანს, სახეს), იმ კონტექსტის შესაბამსად, საღაც ის იხმარება, და მკვრეტელის პიროვნულ თვისებათა („ბუნების“) შესაბამსად, შეიძლება სხვადასხვანირა 10. ქრიტიკა № 1

მნიშვნელობა ჰქონდეს. თუმცალა მისი ამ მრავალნიშნადობის მიუ-
 ხედავად „წმიდა სიმბოლოები ერთმანეთში არ უნდა აყურით“.
 თვითონეული მათგანი თავისი საკუთარი მიზეზისა და ყოფიერების
 შესაბამისად უნდა იქნას შეცნობილი. სიმბოლოს სრული შეცნობა
 დაუშრეტელი და უნატიფესი ტკბობის მომნიჭებელია, რაგი განვტე-
 რეტო ღვთაებრივი სიბრძნის შეუწერელ სრულქმნილებას. პრაქ-
 ტიკულად ასე პოულობს ესთეტიკურ დასრულებას შემეცნების
 პროცესი.

თარგმნა თამაზ ჩხერიძელმა

ხელოვნება

□ □ □

ვ. ფალინის „ორკესტრის რევაზიშვილი“

□
 დავით გურგენიძე
 □

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო ფილმის მთელი შინაარსი, გარდა ფინალური ბირთვისა (ჩვენ ამ სიმბოლოზე მოგვიანებით დაწვრილებით ვისაუბრებთ), სიმბოლურთან ერთად ყოველდღიურ-რეალურიცაა: ეს ნაწარმოები პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველგვარი სიმბოლოს გახსნის გარეშეც რომ აღიჭვათ, თავისთავად მოკლებული არ არის ლოგიკას, სიუჟეტის განვითარებას... ე. ი. ტრადიციული, კლასიკური იგავის ყველა ძირითად ფორმალურ მოთხოვნას აქმაყოფილებს.

ამავე დროს, ყველაფერი — მოქმედების ადგილი და დრო, მოქმედი პირები, კონფლიქტი, ტექსტი — ყოველივე ღრმა სიმბოლური მნიშვნელობისაა. ისეთ პრობლემებზე რეფლექსია, როგორიცაა პიროვნება-საზოგადოება, საზოგადოების ისტორიული დინამიკა, თავისუფლება-აუცილებლობა, დემოკრატია-დიქტატურა,



ხალხი-მთავრობა, თაობათაშორისი კონფლიქტი („მამები-შვილები“), ომი-შვიდობა და ა. შ., რაც ამ ფილმის შინაარსს წარმოადგენს, უფლებას გვაძლევს ფილმის უანრი განვსაზღვროთ, როგორც ფილმის ფილმი იგავი.

ჩვენი წერილის მიზანი ამ სიმბოლოების ფილმის ფილმი და რებულების წარმოჩენა და განზოგადებაა. მხოლოდ ამ გზით თუ შივაღწევთ საწადელს: ვაჩვენოთ, როგორ აისახა თანამედროვე ბურუუაზიული საზოგადოების კრიზისი ამ საზოგადოებისავე კულტურულ ზედნაშენში.

ავტორი მოქმედების ადგილის არჩევით დასაწყისშივე გვიქმნის ახალი (თანამედროვე) ეპოქის განწყობას: ფილმის სიუჟეტი ყოფილ ქრისტიანულ ტაძარში ვითარდება — ტაძარს ბრწყინვალე ყველატრიკა აქვს და ამჟამად იგი სიმფონიურ ორკესტრს აქვს დათმობილი.

მაშ ასე, ეპოქა ხაზგასმულია: ეს არის თანამედროვე, სეკულარიზირებული, ათეისტური ეპოქა, კაცობრიობის განვითარების ის ეტაპი, როცა „ღმერთი მოკვდა“ (დისტოევსკი, ნიცშე), კაცობრიობის არსებობის რეფლექსის შემდგომი ღირებულებათა იერარქია დაინგრა. დაიწყო ფასეულობათა გადაფასების, ხშირ შემთხვევაში, ჩამოთხასებისა და სრული გაუფასურების ტრიგიზმით სავსე პროცესი.

„ღმერთის სიკვდილს“ უზარმაზარი ეთიკური რეზონანსი მოჰყვა. ამჯერად ამ ურთულესი მოვლენიდან მხოლოდ ერთ მახასიათებელს გამოგყოფთ: დაიკარგა აბსოლუტური ერთი, უმაღლესი ავტორიტეტი, უზენაესი განმგებელი, კოსმიური ჰარმონიის შემოქმედი-დირიჟორი — ღმერთი (მისი რეალურობა-ფიქტურობის საკითხის დასმა მსჯელობის ამ სიბრტყეში უაზრობაა). დაიკარგა ის დამთრგუნველი, აღმაზევებელი, შემაკავებელი, წამახალისებელი, კონტროლის გამწევი (შეაღარე — სინდისი) და ა. შ. ქმედითი არსება, რომელიც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი კაცობრიობას. მასზე დამყარებული ყველა სისტემა: კოსმოგონიური, კოსმოლოგიური, ესთეტიკური, ეთიკური და ა. შ. დაიშალა; ღირებულებები, პირველ რიგში კი ეთიკური, დაუფუძნებელი დარჩა.

ახლანდელი (ფილმის დროით) არეულობის, ქაოსის წინამიზე-



ზად ფელინის ეს ფაქტორი აქვს წამოწეული (ქვემოთ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შევხერდებით). იტალიურ სინამდვილეში მას, მართლაც, ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ, ჩვენი აზრით, კონფლიქტის (კრიზისის) იმანენტურია მიზეზი სხვა კატეგორიისაა. თუმცა, ყველაფერზე — თანმიმდევრობით.

მაშ ასე, მოქმედების დრო და ადგილი: თანამედროვე ბურჟუაზიული სამყარო.

პერსონაჟებიც შეუზღუდავი ზოგადობისანი არიან: უმარტივესი ორგანიზმიდან — ურთულესამდე.

პოტენციური ზოგადობის სქემა მარტივად ასე შეიძლება წარშოვიდგინოთ: ინდივიდი (მევიოლინე, ფლეიტისტი) — ინდივიდთა მარტივი გაერთიანება (კლავიშებიანები, სიმებიანები, ჩასაბერიანები; ოჯახი, პარტია) — უფრო რთული გაერთიანება (მთელი ან-სამბლი, ორკესტრი; ერი, სახელმწიფო, ამათი კოალიციები) — საბოლოო ჯამში, მთელი კაცობრიობა, მსოფლიო პოლიტიკური რუკა.

ასევე დირიჟორსაც მმართველის ყველა ქცევიდენცია შეიძლება შეესატყვისოს: მუსიკალური კოლექტივის ხელმძღვანელიდან (ოჯახის მამა, კლავის პატრიარქი, პოლიტიკური პარტიის ლიდერი) სახელმწიფოს მეთაურამდე (პრეზიდენტი, მონარქი).

აღმის „სამუშაო სიბრტყე“ კი, მაყურებლის ნებისამებრ ერთ-დროულად რამდენიმე შეიძლება იყოს. ძირითადი მაინც საზოგადოებისა და სახელმწიფოს (მთავრობა, სახელმწიფო აპარატი) ურთიერთობის ფილოსოფიური პრინციპება.

თანამედროვე ბურჟუაზიული ყოფისათვის ეს პრობლემა გადაუწყვეტელია: დემოკრატია, როგორც სოციალური სისტემა, განუზორციელებელია; მას სტაბილურობა არ ახასიათებს — იგი ორ უკიდურესობას შორის მერყეობს: ერთის მხრივ, ღიქტატურა (მილიტარისტული, მონაპოლისტური, საბოლოო ჯამში — პიროვნების; ფილმის მიხედვით: ძველი დირიჟორი და შესაბამისი სიტუაცია, მხცოვანი მუსიკოსები და დარაჯი რომ იხსენებენ), მეორეს მხრივ — ანარქია (სოციალურ პროცესებზე მართვის, კონტროლის დაქარგვა; ფილმში მიმდინარე მოქმედება). ეს მერყეობა ქრონიულია, იგი თვით კაპიტალიზმის არსიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ორივე უკიდურესობამდე საზოგადოება ტერორის

გზით მიდის, რაც უაღრესად ნიშნეულია დღევანდელი ბურუუაზი—
 ული ყოფისთვის. ფილმში ავტორი საგანგებოდ უსვამს ამას ხასს.

ამ პრობლემის მოხსნა ამავე სოციალური სისტემის ფარგლებში
 შეუძლებელია: სახელმწიფო პრინციპულადაა გაუცხოებული.
 თუკი ამ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ცნებას — „დემოკრატია“ —
 საერთოდ აქვს რაიმე ლოგიკურად რეალური, არაწინააღმდეგობ-
 რივი ისტორიულ-ცხოვრებისეული შესატყვისი, იგი განვლილ ეტა-
 პში უნდა მოიძიოს: ეს აღბათ ის დროა, როდესაც ბურუუაზისა-
 და დემოსის ინტერესები მცირე დროით ერთმანეთს დაემთხვნენ
 (ფეოდალიზმის წინააღმდეგ). ამ მაგალითში კი სტაბილურობა, რაც
 სახელმწიფოს კეთილდღეობის კრიტერიუმია, თავისითავადაა გამო-
 რიცხული — რევოლუციური პროცესი და სტაბილურობა ამ კუთ-
 ხით ურთიერთგამომრიცხავი, კონტრადიქტორული ცნებებია.

ამ საყველთაო, გლობალური გაუცხოვების თვალსაჩინო დამა-
 დასტურებელია თუნდაც ის გარემოება, რომ გაუცხოებული მთავ-
 რობისგან მასების ინტერესების დამცველი ინსტიტუტი (ჩვენს მა-
 გალითში მუსიკოსთა პროფესიული კავშირი) ხალხისგან იმავ ზო-
 მითვეა თავად გაუცხოებული (არც ერთი მათგანი მუსიკოსი არ
 არის) და მათი არსებობა და „საქმეში ჩარევა“ კიდევ უფრო არ-
 თულებს (ფილმის მიხედვით, კატასტროფამდე მიჰყავს) შექმნილ
 ვითარებას.

ახლა მცირე ხნით მოქმედების განვითარების ფილოსოფიურ
 სიმბოლიკაზე შევჩერდეთ: ანუ, როგორ მივიდა საზოგადოება
 „სტატუს კვო“-მდე და რა ბედი ელის მას.

წავიდა ის დრო, როცა ამ შენობაში შემოსული, თავი მარტო-
 დაც რომ დაეგულებინა, უაღრესად წესიერად, კანონიერად იქცე-
 ოდა.

ის დროც ძველი თაობის მუსიკოსების მეხსიერებაშიღა შემორ-
 ჩა, როცა დესპოტ დირიქორს ფანატიკური მორჩილებითა და სიყ-
 ვარულით (ინერცია) შესციცინებდნენ ორკესტრანტები — მთავა-
 რი ხომ შედეგი — სიმფონია — (საერთო საქმე, საზოგადოების
 წევრთა ჰარმონიული თანაარსებობა) იყო.

ახლა პულტიან სხვა მმართველი დგას; მისი მეთოდი დაშინე-
 ბა და იძულება აღარია, ან ვეღარაა. საერთო საქმეც მხოლოდ იმ-

დენადა ღირებული, რამდენადაც იქ ყველას თავისი კერძო წილი უგულება. ეს მომენტი უაღრესად მაღალმხატვრულადა ფილმში წარმოდგენილი: გახსოვთ, აღბათ, რაოდენი ლირიზმით ახასიათებენ ცალ-ცალკე ორკესტრანტები თავიანთ ინსტრუმენტებს. ორკესტრანტებს ღირებულებათა ძველი იერარქიიდან მხოლოდ პიროვნული, უშუალოდ „მე“-სგან გამომდინარე გუხდიათ ამოსავალ წერტილ-ად და კერპად. დიახ, კერპად და არა ღმერთად. „მე“-ს გარეშე მყოფმა ავტორიტეტებმა ღმერთის ხვედრი გაიზიარეს (ბახი, ბეთ-ჰოვენი, დირიჟორი, პირველი ვიოლინო და ა. შ.). ეს კი უკვე ჭატასტროფის რეალური საფუძველია. ინდივიდუალიზმის გააბსოლუტება ანარქიას წარმოშობს. ფილმის სიმბოლიკით — სიმფონია — როგორც საზოგადოების ნორმალური არსებობა, შეუძლებელი ხდება. ორკესტრი, როგორც გარკვეული რეალობა (სიმფონიის შემოქმედი) — ირლვევა, ინგრევა.

წახდენილი საქმის გამოსწორების ნაცვლად იწყება ინტენსური რი რეფლექსია (მეთოდად გაღვეული სკეფსისი ამ რეფლექსიას პოზიტიურად უშედეგოს და დაუსრულებელს ხდის).

პირველი ფსიქოლოგიური იმპულსია: ჩვენი (ჩემი) ბრალი არ არის! ეს იმპულსი საერთოდაა დამახასიათებელი „ყოველდღიური“ ადამიანისათვის. სკეპტიკოსიც კი, თუ სადმე რაიმე „შმინდას“, აბსოლუტურს უწყებს ძებნას, ისევ და ისევ საკუთარ „მე“-ში. მაში, ვისი ბრალია? ვინ დარჩა? დირიჟორი.

ძირს დირიჟორი (მევე)! ტერორის გზით! მაღლა მეტრონომი! (საზოგადოების აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი, კომპიუტერი) — მეტრონომი, ყოველგვარი პიროვნულისაგან, კარგი იქნება ეს თუ ცუდი, დაცლილი განმსაზღვრელი, რომლის სუბიექტურობაში და, აქედან გამომდინარე, შეცდომაში ეჭვს ვეღარავინ შეიტანს. დაე, მან გვმართოს!

იყარება შემოქმედებითი სული?! ადამიანურობა?! ეს მოძველებული, მეტაფიზიკური, თეისტური ტერმინებია. ახლა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ხანა!!! მეცნიერებაა (პლუს ტექნიკა). ყოვლისშემძლე, ყოვლადირებული. ყოვლადკეთილიც? ეგივულისხმება... სიკეთის კატეგორია აღარ არის ძირითადი. მისი აღვილი ახლა მომხმარებელთა საზოგადოებაში სასარგებლომ

დაიჭირა. I და II მსოფლიო ომის ანდა ხიროსიმასა და ნაგახაკის ბიძგებს ტაძარი ჯერ კიდევ არ შეუტორტმანებიათ ძალუმაღ. „უმნიშვნელო“ რხევებს კი ყურადღებას არავინ არ აქცევს. რა დროს ეგ არის! გაუმარჯოს სრულ, აბსოლუტურ თავისუფლებას; ძირს მეტრონომიც! სრული თვითმმართველობა! გაუმარჯოს ყოველნაირ თავისუფლებას (მორალი, სექსი, იარაღი და ა. შ.).

(იმ სიტუაციის საილუსტრაციოთ ორად ორი ასოციაციით დაგემაყოფლდეთ: დოსტოევსკის „ყველაფერი ნებადართულია“-თი და სარტრის „დაწყევლილი თავისუფლებით“).

ამასობაში ბურუჟაზიული დემოკრატიის ქანქარის ამპლიტუდამ მეორე ზღვარს მიაღწია — ტაძარი ნგრევის იწყებს, არის მსხვერპლიც.

კი მაგრამ, ვინ ანგრევს (გვანგრევს)? ჩვენ ხომ ყველანი აქავართ; ჩვენს გარდა ხომ ალარავინაა?

დრო მოვიდა ზემოთ ნახსენები ფინალური ბირთვის სიმბოლური მნიშვნელობის გახსნისა. დამანგრეველი, წინ რომ ვერაფერი ალუდგება, — ბირთვული კატასტროფა. „შემთხვევითი“ ბირთვული ავარია. ამოქმედება საზოგადოების მიერ შექმნილი ძალისა, რომელიც მისგანვე გაუხცოვდება და მასვე სპობს, გამოდის რა მისი კონტროლიდან (ასევეა გაუცხოვებული თანამედროვე ბურუჟაზიულ საზოგადოებაში საერთოდ მეცნიერება და ტექნიკა, მთელი ცივილიზაცია).

დიახ, ეს ბირთვი რაიმე „გარეშე“ როდია — იგი თვით საზოგადოებამ შექმნა და როგორც შექმნილი, მასვე ემორჩილება, მის ხელთ არის; ასე გრძელდება სანამ თვით საზოგადოება არსებობს, როგორც ჯანმთელი ორგანიზმი, რომლის ყველა ძირითადი ორგანო ნორმალურად ფუნქციონირებს (ხელები ემორჩილებიან ტვინის ბრძანებას და ა. შ.).

მაგრამ საღლაა საზოგადოება, მთლიანობა, რომლის ყველა ნაწილი თავისი ადგილისდა მიხედვით, თავისი უფლება-მოვალეობისდა მიხედვით არსებობს, ცოცხლობს, ცხოვრობს, სიმფონიას სრულებს?! აღარ არის — ორკესტრი ხომ დაიშალა. ორკესტრანტებილა დარჩნენ, თუკი შეიძლება ახლა მათ ორკესტრანტები ეწოდოთ. დარჩნენ ცალკეული მუსიკოსები, რომელთა ერთდრო-

ული მოღვაწეობა (რაგინდ ვირტუოზი იყოს ყველა) კაკოფონის შედრ. ანარქია) ვერ ასცდება. ამ არაორგანიზებულ ბრბოს უკვე აღარაფერზე შეუძლია კონტროლის გაწევა. ზეპიროვნული ტვირ-თის ზიდვა მხოლოდ ერთსულოვან აღამიანებს შეუძლიათ, ერთ-დროულად, ერთი მიმართულებით, მთელ და არა აწეშილ საზ-ოგადოებას. ლოგიკურად ეს მომენტი ასე გამოისახება: პლანეტის მოსახლეობის ყველა წევრიც რომ ომის წინააღმდევები იყოს, ეს არ იქნება საკმაო საფუძველი იმისა, რომ ომი არ მოხდება.

რაც შეეხება გლობალურ პრობლემებს, იქ სახელმწიფო აპა-რატი უძლურია — იგი საზოგადოებრივი კონფლიქტებით არის დე-ტერმინფერული.

ასეთია ამ ნაწარმოების სიუჟეტი, განვითარების ლოგიკა. მე-ტრისმეტი იქნებოდა ავტორისთვის „თუ — მაშინ“-ის მაღალმხატვ-რულ ჩვენებასთან ერთად პერსპექტიული ისტორიზმიც მოგვეთ-ხოვა. და მაინც ფინალი საკამათოა, საკამათოა თეთი ფილმისავე ქსოვილში.

აინშტაინის აზრით (ეს აზრი რაც დრო გაღის, მით უფრო ანგარიშგასაშევია), მესამე მსოფლიო ომის შემდგომ ომში მშვილდ-ისარი გადაწყვეტს ყველაფერს.

ბირთვი კი ტაძრის მხოლოდ ერთ კედელს ანგრევს. ორკესტრ-ანტებშიც მხოლოდ ერთი, „მეორეხარისხოვანი“ მსხვერპლია. კა-ტასტროფამ საზოგადოება გამოაფხიზლა, ყველას შეაგნებინა, რომ მცდარ გზაზე იდგნენ. მყარდება შეზნებული, რაციოზე, გონება-ზე დაფუძნებული და „ცხელ-ცხელი“ ემოციებით განმტკიცებული ერთსულოვნება. ორკესტრი, პირობებისდა მიუხედავად, რეპეტი-ციას განაგრძობს.

ღმერთმა ქნას.. მაგრამ როგორია აქ რეალიზმისა („სალი პზ-რი“) და სურვილის, იმედის თანაფარდობა? შეცდომებზე სწავლო-ბენ, მაგრამ არა საბედისწეროზე (გამოუსწორებელზე). მსჯელო-ბა — გაიმეორებდა თუ არა თვითმკვლელი თვითგანაღურების აქტის — სქოლასტიკურია.

თუნდაც დავუშვათ, რომ კატასტროფა ლოგალური იყო (რაც თავისთავად აბსურდია), რომ მან ორგანიზმს (ორკესტრს) მხოლოდ

სასურველი გარეპირობები (აკუსტიკა, კომფორტი) გაუუარესა და
 მისი რომელიღაც „უმნიშვნელო“ ორგანოს (არფა) ამპუტაცია გა-
 მოიწვია, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მისი განკურნება, მეტა-
 სტაზები ხომ ყველგან არიან შეჭრილნი? რა არის გადამრჩენელი
 ძალა, ძალა, გარანტის მომცემი, რომ მომავალში უკვე გლობალურ
 კატასტროფამდე არ მივალთ? შეგნება? რწმენა? ცხადია, აქ ლაპა-
 რაკია ზოგადადამიანურ თვისებაზე და არა მის რომელიმე გამოვ-
 ლენაზე, ზოგადად რწმენაზე და არა მის რაიმე ფორმაზე, თუნ-
 დაც რომელიმე ახალ, ჯერ არარსებულ რელიგიაზე. ამ იდეალის-
 ტურ თვალთახედვას უკვე იმის გახსენება აბათილებს, რომ მან
 ერთხელ უკვე გვიმტყუნა. გამოსავალი არ ჩანს. არ ჩანს იმიტომ,
 რომ არ არის. ეს საზოგადოება დასაღუპადაა განწირული. არ არსე-
 ბობს და ვერც იარსებებს ძალა, რომელიც ამ საზოგადოებას გაა-
 ერთიანებს, გაამთლიანებს, გააერთსულოვნებს, მის გამოიშავ წი-
 ნააღმდეგობებს მოხსნის ისე, რომ თვით საზოგადოებას უცვლე-
 ლად დატოვებს.

ეს, რისი თქმაც უშუალოდ ფილმთან დაკავშირები გვინდოდა.

საზოგადოებრივი ცნობიერება საზოგადოებრივი ჟოფიერების
 ასახვა (ზედნაშენი — ბაზისის); კულტურა საზოგადოებრივი
 ცნობიერების შემადგენელი ნაწილია, ხელოვნება — კულტურის
 ერთი მხარე, კინემატოგრაფი — ხელოვნების ერთი დარგი, „ორ-
 კესტრის რეპეტიცია“ კი მისი ერთ-ერთი ნიმუში.

რამდენად ვართ უფლებამოსილნი, საზოგადოებრივი ყოფიერე-
 ბის ანალიზისას ამ ერთ ნიმუშს და მისგან გამომდინარე ზოგად
 დასკვნებს დავეყრდნოთ? რამდენად მიზანშეწონილია ცალქული-
 დან (ერთეულიდან) ზოგადი დასკვნის გამოტანა?

იტალია ტიპიური კაპიტალისტური ქვეყანაა. კაპიტალისტუ-
 რი სამყაროსთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები, ქრონიკუ-
 ლი პრობლემები მისთვის უცხო არ არის; უფრო მეტიც — მათი
 უმრავლესობა — 'ეკონომიკური კრიზისი'; მრავაგანზომილებიანი
 გამოვლენებით, უმუშევრობა, კლასობრივი და პოლიტიკური ბრძო-
 ლა, მთავრობის კრიზისები, მილიტარიზაცია, ფაშიზაცია, ტერო-

რიზმი, დამნაშავეობის ზრდა, მაფია, ნარკომანია და ა. შ. — ამ ქვეყანაში უკიდურესად გაშიშვლებულია. ასე რომ, მისი პრობლემების განწოვადება-განვრცობა მთელ კაპიტალისტურ სამუაროზე გარკვეულწილად დასაშვები, მისაღები და სამართლიანია.

იტალიური კინემატოგრაფის არსებითი ნიშნები (სოციალურობა, პოლიტიკურობა, რეალიზმისაკენ სწრაფვა და, ხშირ შემთხვევაში ფილოსოფიურობა), საზოგადოებრივ ყოფაზე საკუთარი აზრის გამომუშავებისას, ტიპიურ კრიტერიუმებად, არსებით ინდიკატორებად იქცევიან.

ფილმის სიმბოლიკის ფილოსოფიური შინაარსისა და მნიშვნელობის მეტ-ნაკლები სისავსითა და სიზუსტით გადმოცემის მცდელობის შემდეგ დრო მოვიდა ჩვენთვის ძირითად ასპექტებზე მსჯელობისა: 1. რამდენად რეალურად (არსებითად, ობიექტურად) არის ავტორის მიერ დანახული კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობანი; 2. რა დონეზეა გაცნობიერებული მათი წარმომშობი საფუძველი; 3. ჩანს თუ არა ამ წინააღმდეგობების (გლობალური კრიზისის) გადაჭრის გზა, ანუ საზოგადოების პერსპექტივა (იგულისხმე დადებითი პერსპექტივა). ვეცდებით, თანმიმდევრულად ფავტეთ პასუხი ამ კითხვებს.

1. ფილმში წარმოდგენილი ძირითადი წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა ხალხის მასებსა (მოსახლეობას) და გაუცემვებულ მთავრობას (ხელისუფლებას, მმართველობას, სახელმწიფო აპარატს) შორის.

კაპიტალისტური საზოგადოების რთულ, წინააღმდეგობებით აღსაფსე სისტემაში დასახელებული წინააღმდეგობა რეალურია, არსებითიც, მაგრამ არა ძირითადი და განმსაზღვრელი — არც ისტორიულად და არც ლოგიკურად. რა თქმა უნდა, რეჟისორის მიზანი არ შეიძლება ყოფილიყო კაპიტალიზმის არსების, მისი შინაგანი კანონზომიერებების კვლევა — მას, როგორც მხატვარსა და მოქალაქეს, „კალამი“ ააღებინა თავისი თანამედროვე, გარემომცველი საზოგადოების, ცხოვრების თვალშისაცემა, მტკიცნეულმა, ჩატასტროფის სიმპტომატურმა მოვლენებმა (ა. მორო, პუტინს

მცდელობა, ბულონი და სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი ცხოვრებისეული დეტალი). სოციოლოგისგან განსხვავებით ხელოვანისთვის ცხოვრების ყველა დონე (მასალა) ერთნაირად საინტერესოა.

ხელისუფლების, მართველობის გაუცხოება ფაქტია და ეს ბრწყინვალედაა ასახული ფილმში, მაგრამ საქმე ის არის, რომენად განმსაზღვრელ-განსაზღვრულია თვით ეს ფაქტი საზოგადოების ცხოვრებაში. ის, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას, უაღრესად დამაჯერებლად და რეალისტურადაა ნაჩვენები, მაგრამ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ფილმში არ ჩანს და ისიც, რაც მინიშნებულია, ჩვენი აზრით, არსებითი არ არის. გავიხსენოთ, რომ დარბაზში შემოსული მუსიკოსები „საკონფლიქტოდ“ უკვე „მომწიფებულნი“ არიან: ნოტების ცვენა პიუპიტრიდან, აგდებული დამოკიდებულება ერთმანეთთან, დავა ადგილზე, ტელევიზიასთან.

მისი გამომწვევი მიზეზი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობაა. სწორედ ამ წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს აუცილებლობით როგორც ზემომოყვანილი, ასევე ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ყველა სხვა პრობლემა. ამას ამთავითვე იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ამ ძირითადი წინააღმდეგობის გადაჭრის გარეშე ყველა ეკონომიკური და ა. შ. ღონისძიება დროებითი იქნება და „მიმდინარე რემონტის“ ფარგლებს ვერ გასცდება.

ამიტომ ფილმის ფინალი ილუზორულად გვეჩვენება — განვლილი გზის გამორჩება ანუ ახალი გამოსაცდელი ვადა, რაგინდ ფრთხილადაც უნდა წარმოებდეს, ადრე თუ გვიან იგივე პრობლემებთან მივა.

ასე რომ, მართალია, სიტუაცია რეალურია, მაგრამ მასში მომწიფებული რეალური კონფლიქტის რეალური გადაჭრა მის (ამ სიტუაციის, ამ წინააღმდეგობის) ჩარჩოებში აღარ ეტევა, სცილდება თავის ფუსვებით მას, კიდევ უფრო უნივერსალურ მასშტაბს იღებს. იგი თვით არის შედეგი და მანამდე არ მოისპობა (გადაწყდება), სანამ მისი წარმომშობი მიზეზი არსებობს და ფუნქციონირებს.

დასკვნა: ფილმში გადმოცემული წინააღმდეგობა რეალურია, საზოგადოებისათვის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანიც, მაგ-

რამ არასუბსტანციური დონით. გლობალური გაუცხოება, მათ შორის სახელმწიფოსიც, თითქმის იმთავითვევა განსაზღვრული კაპიტალიზმის აჩსით და ამ წყობილების არსებობის „აუცილებელ გეგმაში ზის“. ასე რომ გაუცხოების პრობლემა მხოლოდ ფრაგმენტია იმ საერთო კრიზისისა, რისი პანორამის ჩვენებაც ერთვერად შეუძლებელია.

2. როგორც პირველ საკითხზე საუბრისას ითქვა, ფილმის შინაარსის მიხედვით კონფლიქტის (წინააღმდეგობის) ძირითადი წარმომშობი მიზეზი არ ჩანს.

ის მინიშნებები კი, რასაც ავტორი დასაწყისში გვთავაზობს, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ვითარების ბოლომდე ასახულად არასაკმარისი, არაგადამწყვეტი.

პროლოგით ავტორი იმას მიგვანიშნებს, რომ საქმე მაშინ „წახდა“ ჯერ კიდევ; როცა „უფლის სახლი“ „უპატრონოდ“ დარჩა (უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ). ეს თვალსაზრისი მხოლოდ ერთი შეხედვით, თვალის ზერელე გადავლებით თუ მოგვეჩენება გულუბრყვილოდ. სინამდვილეში ლაპარაკია კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს, შეიძლება ითქვას, ანალოგის არმქონებადატრიალებაზე, ზემოთ რომ მხოლოდ გაკვრით გვქონდა ნახსენები. შევეცდებით, სქემატურად მაინც ჩამოვაყალიბოთ მისი არსებითი შედეგები. წინასწარვე ვაცხადებთ, ჩვენი ინტერესებიდან გაშომდინარე, აქცენტი მის უარყოფით შედეგებზე გვექნება გადატანილი; ნაწარმოებში ასახული კრიზისის ანალიზისას სწორედ ისინია ანგარიშგასაწევი.

ბურჟუაზია ადამიანის დროშით გამოვიდა ისტორიის ასპარეზზე. ამის შესახებ ბევრი თქმულა. „ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება“ — ეს ლოზუნგი კიდევ მრავალი ადამიანური იდეალით შეიძლება შეივსოს. რენესანსმა ხელახლა გადააფასა ეს გაგება, ხელახლა ოლმოჩნდნენ, ოლორძინდნენ და დადგინდნენ თავისთავად ადამიანური, სისხლითა და ხორცით სავსე ღირებულებანი. ადამიანს დაუბრუნდა და მიენიჭა თავისთავადი ღირებულება — მას თურმე მაშინაც (ან იქნებ მხოლოდ მაშინ) ჰქონია ღირებულება, როდესაც თავისთავად, არა „ხატად და მსგავსად“, არა ღმერთთან მიმართებაში, არამედ დამოუკიდებლად გა-

ნიჩილავენ. იმიტომ კი არ ყოფილა სულიერი, კეთილი, მშვენიერი და ო. შ., რომ მასში რაღაც ზეადამიანურია, არამედ თავისი-ვე თავით. მან აქამდე ეს არ იცოდა. ადამიანის ფასი არნახულად ამაღლდა, მისი სახელი უკვე ამაყად უღერს.

შემეცნებას, მეცნიერებას, ცოდნას (ჩაციო) უპირველესი მნიშვნელობა მიენიჭა. ბუნებრივია, სამყარო გადააზრებას მოითხოვდა. გაჩნდა უამრავი კითხვის ნიშანი, მაგრამ იქვე იყო დაფუძნებული, შეგნებული, დარწმუნებული და ენთუზიაზმით აღვსილი ოპტიმიზმი, რომ აღრე თუ გვიან ყველაფერს ჯეროვნად გასცემდნენ პასუხს.

მაგრამ ასეთი განწყობა დიდხანს არ გაგრძელებულა...

ეს პროცესი უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობდა. ორიენტაციადაკარგულ ცნობიერებაში სპონტანურად გაჩნდა ამგვარი „ულოგიკა“ კითხვა: „ლმერთი თუ არ არის, მე რა (ვიღეს) შტაბსკაპიტანი ვარ?!“ უაღრესად მტკივნეული კითხვაა, დრამატული, ტრაგიზმით სავსე.

ამას ისიც დაერთო, რომ თანდათან გამოირკვა: მეცნიერებას არათუ არა აქვს ყველაფერზე პასუხი, არამედ არც შეიძლება რომ ჰქონდეს.

კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო უდიდესი ახალი ეტაპი — ანტენსიური რეფლექსის ხანა. ღვთის რწმენა რომ მოისპო, ცოტა ხანში ადამიანის რწმენაც დაიკარგა. რწმენის ადგილი დროებით, მეტად მცირე ხნით დაიკავა ენთუზიაზმზე დამყარებულმა იმედმა, ცოტა ხანში ენთუზიაზმი გაქრა (ეს ბუნებრივია), იმედმა ეჭვს დაუთმო ადგილი. ასეთი სულიერი მყვებავი გარემო უფრო ჰამლეტებს წარმოშობს, ვიდრე დონ-კიხოტებს. ყველაზე უბრალო, ყოველდღიური, ჩვეულებრივი, აქვთიმატური, რასაც „თვითცხადი“ ჰქვია — ისიც კი ხელახლა უნდა აწონილიყო ფასულობათა უშპალო სასწორზე. ღირებულებები ახალ დაფუძნებას, იერარქიას მოითხოვდნენ, საყოველთაო მნიშვნელობა რომ მიეღოთ.

საფუძველი კი არ ჩანდა. რევოლუციური ერთსულოვნება მაღლები გაქრა, მასთანვე გაქრნენ ძმობა, თავისუფლება და ო. შ.; დარ-

ჩენ ბურუუები და პროლეტარები, რომელთა „გათიშვა“ უსწრავთ გადაიზარდა სისტემის მთავარ წინააღმდეგობაში.

ადამიანი არც ისეთი „უფროთ ანგელოსი“ და „არსით კეთილი“ ყოფილა, მხოლოდ მის პიროვნებას რომ დამყარებოდნენ, როგორც გონიერ არსებას. გამოთქმა „საღი აზრი“ უაზრო გახდა. სინდისი იმ პირობებში ბევრად ნაკლები ქმედითობის გამოდგა, ვინემ „ეშმაკეული“ კუჭი, გონება კი, ეთიკურ ასპექტში, ტრადიციულად ორლესული. საფურველგამოცლილი და ახალ საძირკველზე ჯერ დაუფუძნებელი ეთიკური კატეგორიები — კოსმოლოგიურს მეცნიერებამ შედარებით მარტივად გაართვა თავი — უშინაარსოდა საეჭვო გახდა. სიცოცხლის სასრულობის მძაფრმა შეგრძნებაში — სამოთხე ხომ წარსულს ჩაბარდა — თითქოს ყველაფერს აზრი დაუკარგა: „თუ ჩემი სიცოცხლეა უმაღლესი ღირებულება, მაშინ კარგი ის არის, რაც მას ხელს უწყობს, ცუდი — რაც ხელს უშლის.“ ამგვარი სუბიექტური პრინციპით შექმნილი ღირებულებათა იერარქია ადამიანებს თიშავს.

„ყველაფერი ნებადართულია“ — გამოაცხადა უთანმიმდევრულესად მოაზროვნე ერთმა ლიტერატურულმა გმირმა. ღმერთის და მისი მცნებების უარყოფით ხომ საქმე არ დამთავრებულა. პირიქით — დაიწყო. ის მხოლოდ მწვერვალს მოწყვეტილი პირველი გუნდა იყო ადამიანური ღირებულებებით „დაბარდნილ“ მთაზე — უარყოფის სული თანდათან ზვავივით იქრებდა ძალას და ახალ — ახალ სფეროებს ითრევდა უფსკრულისკენ; ზვავს არ შეუძლია მთადაანგრიოს, მაგრამ მშვენიერ საფარველს დიალაც აგლეჭს. ამგვარად „თავისუფალი“ ადამიანი კი პოტენციურად მოძალადეც არის, მკვლელიც და ა. შ. თან — უდანაშაულოც.

ბურუუაზიულმა ფორმაციამ ძველის ნაცვლად ვერ გამოიმუშავა ახალი „მარადიული და აბსოლუტური“ საყოველთაო ღირებულება (მორალი). მისი მორალი ჰუმანიზმის თვალსაზრისით თითქმის ანტიპოდურიც კია ქრისტიანულისა — დეჰუმანიზაცია მისი ატრიბუტთაგანი გახდა.

ადამიანი მომზადებული, მომწიფებული ვერ შეეგება ზნეობრივი თავისუფლებას (ზნეობრივი მონობიდან გათავისუფლებას). ეს ბუნებრივია, ვინაიდან თუ ნგრევა შედარებით სწრაფია, თუმცა არა-

შესეული, ახლის დაფუძნება რთული, თანდათანობითი, ხანგრძლივი პროცესია; ახლის გათავისება კი ასევე დიდ დროსა და ტრადიციას მოითხოვს.

მაგრამ მშრომელი მასები „უღვთოდ“ იმიტომ როდი იჩავრებიან, რომ კაპიტალისტებს „ღმერთი არ სწამო“. ექსპლოატაცია ყველაზე რელიგიურ (ფეოდალიზმი) საზოგადოებაშიც ყვაოდა. ძირითადი კონფლიქტის მიზეზი სულიერი სფეროდან როდი მომდინარეობს. რაგინდ „ღვთისმოშიში“ იყოს კაპიტალისტი, მისგან, მისი პიროვნებისგან დამოუკიდებელი მიზეზით ხდება „უსამართლობა“.

დასკვნა: შექმნილი ვითარების მიზეზი კაცობრიობის ცხოვრებაში მომხდარი სულიერი კატაკლიზმი როდია, რომელიც ბურუჟაზიულმა რევოლუციამ მოიტანა, არამედ თავად იმ ფორმაციის საზოგადოებრივი წყობის ძირითადი (გამოიშავი, გამაუცხოებელი) წინააღმდეგობა. კაპიტალისტური საზოგადოების სულიერი კრიზისი ამ საზოგადოებისვე ეკონომიკური კრიზისით არის ძირითადად განპირობებული. საქმე მაშინ კი არ „წახდა“, ეკლესია რომ საკონცერტო დარბაზად აქციეს (საფიქრებელია, რომ რელიგიური მომენტის ასე ძალუმად ხაზგასმისაკენ ავტორს მისმა იტალიურმა წარმოშობამ უბიძგა. ყველასათვის ნათელია ამ მხრივ იტალიის სპეციფიკა), არამედ მაშინ, როცა ყმა გლეხის ადგილი (და შესაბამისი როლი) პროლეტარმა დაიკავა, ხოლო ბურჟუაზიამ — ფეოდალებისა. ფეოდალიზმის უპოლარულესი დაპირისპირება დროებით ბურჟუაზიის „ზომიერმა განედურმა“ დაპირისპირებამ შეცვალა, შეცვალა და თავად იმთავითე დაიწყო პოლარიზაცია. ახალმა დაპირისპირებულმა ძალებმა ახალი, იხლებური სოციალური კონფლიქტები და პრობლემები წარმოშვეს (მაგალითად, ანარქია სწორედ ამ ეპოქის ღვიძლი შვილია), მათ შორის — პოლიტიკურიც. ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფა ამით არის განსაზღვრული

3. ის, რომ ამ საზოგადოებას ადრე თუ გვიან კატასტროფა ულის გარდაუვლად, მშვენივრად აქვს გაცნობიერებული რეჟისორს — ფილმის მთელი შინაგანი ლოგიკა ამას თხოულობს და აკი ასეც ხდება ჭიდეც; რაც დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის გადმოცემული (აქ თანათემად ბირთვული საშიშროებაც შემოდის). და

თუ ფილმში ასახული კრიზისი ამ საზოგადოების იმანენტური ხვედრია და მისი, როგორც სისტემის, განაღვეურება შინაგანადაა გარდაუვალი, ბირთვული პრობლემა ზოგადსაკაცობრივია. ომი პოლიტიკურ-ისტორიულიდან ფილოსოფიურ პრობლემად გადაიზარდა. თუმცა, ახლა ეს არ არის ჩვენი მსჯელობის საგანი. ფილმის ბოლო სტადია: ანარქია, დემონიზირებული გასტიქიურებული ძალა, ნგრევა. დამფრთხალ-შეშინებულ-შეცბრნებული სახეები, საყოველთაო გაოგნება, ორკესტრანტების თვალები ამჯერად მხსნელად დირიჟორს ეძებენ (დასაწყისში პულტიან მისი მისვლა ვერავინ შეამჩნია!), მისგან ელიან ხსნას. იგი დიქტატორად ქცეულა. საზოგადოების ერთი ნაწილი — ძველი თაობა — იმწუთასვე მხარად და მხარი აუბას. „გავიმეოროთ კიდევ ერთხელ“ — ისმის ხმაში (გერმანული, ფიურერული) ფოლადნარევი კომანდა. ორკესტრი რეჟეტიციის განაგრძობს.

ძნელი გასაგებია ფინანსის არსი: რა არის ეს, ოპტიმიზმი, რომ შეცდომებზე სწავლობენ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არა-დამაჯერებელია), თუ მარადიული წრებრუნვის წინასწარმეტყველება? (არც ესაა დამაჯერებელი. ერთგვარი წრებრუნვის „წინააღმდეგები“ არა ვართ, მაგრამ მის მარადიულობაში გვეპარება ეჭვი — წრე რომ ხელახლა ჩაიქეტება, ბირთვი ხომ ბევრად დამანგრეველი ძალის იქნება!)

ჩემი აზრით, ფილმი პასუხს არ იძლევა, არ ჩანს კონფლიქტის გადაჭრის გზა. იმ სიბრტყეში, სადაც ავტორი მანიპულირებს, ეს გზა არც არსებობს.

ფილმი ფილოსოფიურ ფილმ-იგავს წარმოადგენს და ამდენად იგი ჭეშმარიტების ესთეტიკის პრინციპით უნდა იქნეს შეფასებული.

შესაძლოა, ავტორმა იგი ფილმ-გაფრთხილებად შექმნა.

„თუ ოდესმე ყველაფერს ბოლო არ მოეღო, ყველაფერი ისევ ისე (ძველებურად) იქნება“. ამ პოზიციის კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში უდიდესი ტრადიცია აქვს.

რეზენტა

მიმოხილვა

□ □ □

ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების შესახებ

□
 გრანი ქავთარია
 □

„ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, შედგენილი კონა გიგინეიშვილის მიერ (თბ. 1985), საყურადღებო ნაშრომია. მასში თავმოყრილი და განმარტებულია ბერძნულ-რომაულ საკუთარ სახელთა ვრცელი გალერეა. ამგვარი ლექსიკონის საჭიროება კარგა ხანია იგრძნობოდა ჩვენში, ამიტომ მისი გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ლექსიკონის მთელ რიგ ლირსებათა მიუხედავად, საჭიროდ ვცანით რამდენიმე შენიშვნა გამოგვეთქვა, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მის შემდგომ დახვეწადა და გაუმჯობესებას.

მრავალ საკუთარ სახელთან დართული განმარტება ბუნდოვანი და სერიოზულ უზუსტობათა შემცველია. განსაკუთრებით ზერელედაა შედგენილი საკუთარ სახელებზე დართული განმარტებების ისტორიული ნაწილი.

შევეხებით რამდენიმე საკუთარ სახელს, რომელთა ლექსიკონისეული ახსნა ეწინააღმდეგება მეცნიერებაში დადგენილად მიჩნეულ შეხედულებებს.

ცნობილ ათენელ რეფორმატორს კლისთენეს ლექსიკონმა უმართებულოდ ჩამოართვა დამსახურება. წიგნის მიხედვით, აღნიშნულ სახელს საბერძნეთში ორი პიროვნება ატარებდა, სიკიონის ტირანი და მისი „შვილიშვილი, სოლონის რეფორმის გამტარებელი“ (გვ. 57). კლისთენეს სოლონის რეფორმა არ გაუტარებია. ამ ორ პიროვნებას საკმაოდ განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ ეპოქებში მოუხდათ მოღვაწეობა. სოლონმა რეფორმები გაატარა ძვ. წ. აღ. 594 წელს. თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი როლი შესარულა ბერძნული დემოკრატიის განმტკიცების საქმეში. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მომდევნო ხანებში ტირანის არსებობა დააკნინა რეფორმების ძირითადი დამსახურება.

კლისთენეს სახელთან კი დაკავშირებულია ძვ. წ. აღ. 509 თუ 508 წელს, ტირანის დამხობის შემდეგ, რეფორმების სერიის გატარება, რომელმაც არსებითად დასაბამი მისცა ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის ბატონობას. კლისთენეს რეფორმებით ახალი ეპოქა დაიწყო საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისმა რეფორმებმა ბოლო მოუღო გვაროვნული არისტოკრატიულ საწყისებს. სოლონისა და კლისთენეს რეფორმები ერთმანეთისა-გან შედეგებითაც განსხვავდებოდა. ბერძნული სინამდვილე კლისთენეს დროს რეფორმებისათვის უფრო მომზადებული აღმოჩნდა. არასწორი ინფორმაციის შემცველია მსჯელობა, „სოლონის რეფორმის გამტარებელი“. გამოდის, რომ სოლონმა წამოაყენა რეფორმის იდეა, მაგრამ მას არ გაუტარებია. როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც სინამდვილეში ასე არ მომხდარა? რეფორმები რა სახითაც სოლონმა დასვა, გაატარა კიდეც. კლისთენემ სულ სხვა შინაარსის გარდაქმნები დააყენა დოის წესრიგში. სოლონისა და კლისთენეჭ მოღვაწეობის გაერთიანება შეცდომაა.

ლექსიკონი მემნონის სახელით ხუთ პიროვნებას წარმოგვიდებს: „1. ასურეთის მეფე, პრიამეს მოკავშირე; 2. კიზიკოსელი მწერალი; 3. დარიოსის მხედართმთავარი; 4. როდოსელი, სპარსელთა მოკავშირე; 5. ეგვიპტის ერთი უძველეს მეფეთავანი“ (გვ. 68).

ბერძნული მითოლოგით, ტროას ომის მონაწილე მემნონი ასურეთის მეფეა. სინამდვილეში, ასურეთის ისტორია მემნონის სახელის მატარებელ მეფეს არ იცნობს. კიზიკოსელი მწერალი, დარიოსის მხედართმთავარი და როდოსელი მემნონი ისტორიული პირები არიან. ლექსიკონი გვაუწყებს, რომ მემნონი ეგვიპტის უძველესი მეფე იყო. ეგვიპტის ფარაონთა სიაში სახელი მემნონი არ გვხვდება. ლექსიკონის არასწორი ინფორმაცია იქიდან მომდინარეობს, რომ ბერძნებმა ეგვიპტის XVIII დინასტიის ფარაონის ამენხოტეპ III გიგანტურ ქანდაკებებს მითიური მემნონის სახელი უწოდეს (აღმართულია 15 მ. სიმაღლის ორი მჯდომარე ქანდაკება). ბერძნულმა ტრადიციამ მითოლოგის გავლენით რეალური პიროვნების გამოსახულებანი მემნონის სახელით მონათლა. ამენხოტეპ III ქანდაკებები, რომლებთანაც მრავალი პოეტური გადმოცემაა დაკავშირებული, ღლესაც დგანან ეგვიპტის ძველი დედაქალაქის თებეს ნანგრევებთან და სამყაროს მემნონის სახელით აცნობენ თავს. ყველა ნაშრომში მითითებულია, რომ ქანდაკებებთან არავითარი კავშირი არ აქვს მითიურ მემნონს.

გაიუს იულიუს ცეზარს ორთოგრაფიული ლექსიკონი არ იცნობს. იგი უპირატესობას იულიუს კეისრის ხმარებას ანიჭებს.

ცეზარი იყო ზედმეტი სახელი (კონგრე), საგვარეულო სახელს (წომენ) იულიუსი წარმოადგენდა. ყველაზე დიდი პიროვნების, გაიუს იულიუს ცეზარის ცეზარად ხსენებას ლექსიკონი გვერდს უვლის. ამავე დროს იულიუსების უმნიშვნელო წარმომადგენლებს კონგრენტ ცეზარით გვთავაზობს. წიგნში შესულია ლუციუს იულიუს ცეზარი, გაიუსის ნათესავი, უმნიშვნელო პიროვნება (იგი დიდ ცეზართან სიახლოვით შერჩა ისტორიას). ჩატომ არ ვწერთ ლუციუს იულიუს კეისარს?

ლექსიკონში ცეზარის ცეზარად ხსენებას ტაბუ აქვს დადებული, მაგრამ შეზღუდვა მოხსნილია მის შვილთან დაკავშირებით, „ცეზარიონი — იულიუს კეისრისა და კლეოპატრის შვილი“ (გვ. 140). საქუთარი სახელი ცეზარიონი ცეზარისაგან წარმოსდგა. ბერძნები

წერდნენ კეისარს და მის შვილსაც კესარიონს უწოდებდნენ. თუ კეისარს ვწერთ, მაშინ ლექსიკონში კესარიონი უნდა იყოს ცეზარიონის ნაცვლად.

ლექსიკონში ცეზარი ახსნილია, როგორც იულიუსთა საგვარეულო სახელი. განმარტება სწორი არ არის. ცეზარი საგვარეულო სახელი არ ყოფილა, იგი ზედმეტი სახელი იყო. იულიუს ცეზარმა მისცა თავის კონკრეტულ მნიშვნელობა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. ცეზარის გარდაცვალების შემდეგ „ცეზარ“ იმპერატორთა უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლოდ იქცა. არსებობა განაგრძო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, ბერძნული ტრანსკრიპციით, კეისრის ფორმით.

ცეზარი ბერძნულის მეშვეობით შემოვიდა ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც კეისარი. ორთოგრაფიულ ლექსიკონში ორივე ფორმა უნდა ეწეროს. ბერძნულ ტრადიციას თუ გავყვებით, ციცერონის ნაცვლად უნდა დავწეროთ კიკერონი, სციპიონი იქნება სკიპიონი, მუციუს სცევოლა — მუციუს სკევოლა და ა. შ. ლექსიკონში ონიშნული რომაული სახელები ლათინური ფორმით არის შესული, გამონაკლისს მხოლოდ ცეზარი წარმოადგენს. ლათინებმა ოდისევის ულისედ გადაიტანეს, ეს ფაქტი ლექსიკონში ონიშნულია. ასევე შეიძლებოდა მოქცევა ცეზართან დაკავშირებით.

მსგავს შესუაბამობას იქვს ადგილი ნარკისეს ახსნაში. ლექსიკონის მიხედვით, „ნარკისე — ლამაზი ჭაბუქი, (...) რომელმაც ექოს სიყვარული უარყო, რის გამოც ყვავილ ნარცისად იქნა ქცეული“ (გვ. 72). მოტანილ განმარტებაში ერთმანეთში არეულია ბერძნული და ლათინური ორთოგრაფიის თავისებურებანი. ბერძნული ნარკისოს ლათინურში გადავიდა ნარცისად. ბერძნულად საკუთარი სახელი და ყვავილის სახელწოდება ნარკისედ იწერება, ხოლო ლათინურად ნარცისად.

ცნობილ რომაელ რეფორმატორებს, ძმებ გრაქუსებს, ლექსიკონი გრაქუსების სახელით გვაცნობს (ამ დაწერილობას ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც უშერს მხარს. იხ. ქსე, ტ. 3, გვ. 249). წიგნში გათვალისწინებული არ არის დამკვიდრებული ტრადიცია. იყო დრო, როდესაც ქართულად წერდნენ გრაქეს (რუსულის გავლენით). შემდეგ გავლენა გადაილახა და აღდგა ლათინური ფორმა. დღეისათვის გრაქუსების შესახებ ვრცელი ლიტერატურა არ-

სებობს. საკმარისია დავასახელოთ პლუტარქეს რჩეული ბიოგრაფიების ქართული თარგმანი. ცნობილმა მეცნიერმა და მთარგმნელმა პროფ. ა. ურუშაძემ პლუტარქეს ორ გამოცემაში ძმები გრაფეუსებად დატოვა. უხერხელიც კი არის იმის აღნიშვნა, თუ როგორ შეუთანხმებლად ვაწვდით მკითხველს ადვილად მოსაგვარებელ საკითხებს. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა გვთავაზობს გრაფეუსს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია გრაფეუსს.

გრაფეუსებთან სხვა საკითხებიცაა გასარტვევი. ლექსიკონში ტიბერიუს სემპრონიუს გრაფეუსი (მამა) და მისი შვილები, სხვადასხვა გვარითაა შესული. მამა სემპრონიუსია შვილები გრაფეუსები. ამის გამო მამა და შვილები სხვადასხვა ადგილას წერია. ტიბერიუსთან და გაიუსთან სემპრონიუსი ნახსენები არ არის. გრაფეუსების საგვარეულო სახელი სემპრონიუსი იყო. ამის მითითება აუცილებელია. ყველა ლექსიკონსა და ენციკლოპედიაში მამა და შვილები ერთად შეაქვთ. ქართულმა ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა საყველთაოდ მიღებული წესი დაარღვია.

ტიბერიუს სემპრონიუს გრაფეუსის (მამა) შესახებ შემოთავაზებული განმარტებაც არ არის სრულყოფილი. ლექსიკონში ვკითხულობთ, „სემპრონიუსი ტიბერიუს გრაფეუს — რომის სახალხო ტრიბუნი, ძმების ტიბერიუს და გაიუს გრაფეუსთა მამა“ (გვ. 135). სახალხო ტრიბუნებად ცნობილნი არიან ტიბერიუს გრაფეუსის (მამა) შვილები. ხოლო მას რომის ისტორია სხვა თანამდებობით უფრო იცნობს. იგი იყო კონსული (177 წ. და 163 წ.), ცენზორი (169 წ.), კალტიბერიული აჯანყების დროს რომის არმიის სარდალი. სასურველი იყო ჩამოთვლილი მაგისტრატურებიდან ერთ-ერთი მაინც იყოს მითითებული, რომლითაც მიიქცია მან ძველ ისტორიკოსთა ყურადღება.

ლექსიკონი ხშირად ყურადღებას ამახვილებს მეორეხარისხოვან მოვლენებზე. სხვადასხვა ფორმით ასეთი ფაქტი რამდენიმე პირვენებასთან დაკავშირებით გვხვდება. აღნიშნული შენიშვნის დასადასტურებლად გამოდგება ბერძნულ საკუთარ სახელებში შესული ქალის სახელი ათენაიდა. წიგნში ვკითხულობთ, „ათენაიდა — 1. იმპერატორ თეოდოსიუს II-ის კოლი, ქრისტიანობაში ევდოკია; 2. კაბადოვკის მეფის არიობარზანე II ფილობატორის კოლი“ (გვ. 28).

მოტანილ განმარტებაში გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ დიდ შეუსაბამობას ვწყდებით. ათენა-იდა ლექსიკონში ვერ მოხვდებოდა იმპერატორის ან მეფის მეუღლე რომ არ ყოფილიყო. ათენაიდა დედოფალსაც შეიძლებოდა რქმეოდა და მონასაც.

იმპერატორი თეოდოსიუს II და არიობარზანე II ფილოპატორი ლექსიკონში საერთოდ არ წერია. ისინი თავიანთ მეუღლეებს უნდა უმაღლოდნენ, რომ ასენენ.

რომისა და კაპადოკიის ისტორიაში ორივე ათენაიდას ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ გვირგვინოსანთა მეუღლეები იყვნენ.

რომის იმპერატორი თეოდოსიუსი ლექსიკონში შესულია, მაგრამ არ არის მითითებული, რომელი თეოდოსიუსია, „თეოდოსიუს-ი ფლავიუს — რომის იმპერატორი“ (გვ. 121). მოცემულ განმარტებაში არ არის მითითებული რომელი თეოდოსიუსის შესახებ არის საუბარი. მაგრამ ათენაიდას დახმარებით ვგებულობთ, რომ მისი მეუღლე თეოდოსიუს II იყო. იგი აღმოსავლეთ რომის იმპერიას მართავდა 408 წლიდან 450 წლამდე. იყო შვილიშვილი ერთიანი რომის უკანასკნელი იმპერატორის თეოდოსიუს I (379-395). თეოდოსიუს I დიდის სახელითაა ისტორიაში ცნობილი.

ათენაიდას წყალობით გავიგეთ თეოდოსიუს II და არიობარზანე II ფილოპატორის (62-54 წწ.) არსებობა.

არ არის სრული ლუციუს კალპურნიუს პიზონის განმარტება. ლექსიკონში ვკითხულობთ, ლუციუს ცეზონიუს პიზონი იყო ციცერონის მოწინააღმდეგე და იულიუს კეისრის სიმამრი (გვ. 132). ცეზარის მეუღლეს ერქვა კალპურნია. თუ მამის სრული სახელი ლუციუს ცეზონიუს პიზონი იყო, საიდან გაჩნდა ასულის სახელად კალპურნია? ლექსიკონში საგვარეულო სახელი კალპურნიუსი კამტოვებულია.

გაურკვევლად გვეჩვენება ასეთი წინადადება, „ტერცია — ემილიუს პავლუსის ასული, კატონ უმცროსის მეუღლე“ (გვ. 137). ტერცია საკუთარი სახელი არ ყოფილა, იგი მესამეს ნიშნავს. რომაული ტრადიციით, გვარში ყველაზე უფროს ქალს ერქვა მაიორი, ასაკით მომდევნოს სეკუნდა, მესამეს ტერცია და ა. შ. ყველაზე პატარას მინორი. კატონ უმცროსის მეუღლეს ტერცია კი არ

ერქვა, არამედ იყო ემილიუსების გვარის ქალებში ასაკით მესამე იყო. მის სრულ სახელს წარმოადგენდა ემილია ტერცია.

ლექსიკონი რომელ ქალთა სახელებს ყოველგვარი ტრადიციის გაუთვალისწინებლად წარმოგვიდგენს. არასწორი განმარტების ნიმუშად გამოდგება კორნელიუსების გვარის მანდილოსანთა ჩამოთვლა: ლექსიკონის მიხედვით, „კორნელია — 1. სციპიონ აფრიკელის უფროსი ასული; 2. სციპიონ აფრიკელის უმცროსი და, ტიბერიუს და გაიუს გრაკეუსების დედა; 3. იულიუს კეისრის მეუღლე; 4. პომპეუსის მეუღლე“ (გვ. 125).

მრავალრიცხოვან სციპიონთაგან ორი ატარებდა აფრიკელის სახელს. ლექსიკონიდან ვერ გავიგებთ გრაკეუსების დედა რომელი სციპიონის ასული იყო და რომელის და. მთავარი მაინც ის არის, რომ სციპიონ აფრიკელს (უნდა ვიგულსხმოთ უფროსი, რადგან უმცროსს შევილი არ ჰყავდა) ათი ასული და ამდენივე და რომ ჰყოლოდა, ყველას კორნელია ერქმეოდა. რომაელებს შეეძლოთ მათი განმასხვავებელი ნიშნებით დაწერა და მოხსენიება.

კორნელიუსების გვარის ყველა ქალს კორნელია ერქვა. ამიტომ ზედმეტად მიგვაჩინა ცეზარისა და პომპეუსის მეუღლეთა დასახელება. მაგრამ თუ აუცილებლად ვთვლით, გამონაკლისი არ უნდა დავუშვათ, ყველა უნდა ვახსენოთ. გაიუს მარიუსის მეუღლეც კორნელია იყო, რატომ არ შევიტანეთ ლექსიკონში? არ იყო აუცილებელი კორნელიების არასრული ჩამოთვლა. საქმარისი იქნებოდა მხოლოდ გრაკეუსების დედის სახელი და იმის აღნიშვნა, რომ კორნელიუსების ყველა ასული კორნელიას სახელს ატარებდა.

კორნელიუს ცინას ასული ლექსიკონში იმიტომ მოხვდა, რომ ცეზარის მეუღლე იყო. სხვა დამსახურება რომის ისტორიის წინაშე მას არ მიუძღვის¹. ცეზარის მეუღლეთა მიმართ ლექსიკონი გან-

¹ ცეზარის მეუღლეთა სრული სია თუ გვხვდა, კორნელიასა და ქალპურნიათან ერთად პომპეიაც უნდა შეგვეტანა. რაც შეეხება ეგვიპტის დედოფალს, მას ცეზარის საყვარელად ვეცნობით. კლეოპატრას ლექსიკონი საერთოდ ის წყალობს. იგი გამოყვანილია, როგორც „იულიუს კეისრისა და მარქუს ანტონიუსის საყვარელი“. ჩვენ სულაც არ ვცდილობთ კლეოპატრას დამცველის როლში გამოსვლას, მაგრამ ლექსიკონის განმარტება ბოლომდე ზუსტი არ არის. კლეოპატრა ანტონიუსის მეუღლე იყო და არა საყვარელი.

საკუთრებულ დაინტერესებას იჩენს. ისმის კითხვა, რომის სხვა
 გამოჩენილ მოღვაწეთა მეუღლეებმა რა დააშავეს? რატომ დარჩენენ
 ისინი ყურადღების მიღმა. კვლავ აღვნიშნავთ, რომში რამდენი გვა-
 რიც ასებობდა, ქალის სახელიც იმდენი იყო. ამიტომ ლექსიკონს
 გამოჩენილი პიროვნებების მეუღლეებისა და ასულების დასახე-
 ლების ნაცვლად ეს მოვლენა უნდა წარმოეჩინა. არ არის სწორი
 როცა ვწერთ, იულია—იულიუს კეისრის ქალიშვილი, ტულია—ცი-
 ცერონის ქალიშვილი. იულია და ტულია ერქვა იულიუსებისა და
 ტულიუსების გვარის ყველა ქალს. ამ პრინციპის მიხედვით, ლექ-
 სიკონში ადგილი უნდა ეპოვა პორციუსების გვარიდან პორციას,
 ცეცილიუსებიდან — ცეცილიას, ვალერიუსებიდან — ვალერიას,
 ლუკრეციუსებიდან — ლუკრეციას, სემპრონიუსებიდან — სემპრო-
 ნიას და ა. შ.

„ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიუ-
 ლი ლექსიკონის“ შინაარსი სახელწოდებას აღმატება. ბერძნული და
 რომაული სახელების გარდა წიგნში ფართოდაა შეტანილი ფინი-
 კიური, სპარსული, ეგვიპტური, გალური, ნუმიდიური და სხვ. სა-
 კუთარი სახელები. მაგრამ არაბერძნული და არარომაული საკუ-
 თარი სახელები უსისტემოდაა თავმოყრილი. გაურკვეველია, რა-
 ტომ შედის ბერძნულ საკუთარ სახელებში სპარსული სახელებია
 (დარიოსი, არტაქსერქეს, კიროსი, არტაბანე, მითრა და სხვ.), ხო-
 ლო ფინიკიური რომაულში (ჰამილკარი, ჰანიბალი, ჰანონი და სხვ.).

ბარკა ბერძნულ სახელებში წერია, ჰამილკარ ბარკა რომაულ-
 ში. ლექსიკონი გვაცნობს, „ბარკა — კართაგენის წარჩინებული
 გვარი“. უნდა გვახსოვდეს, კართაგენში გვარი არ ასებობდა.
 ბარკა იყო ზედმეტი სახელი (ბარკა — ქართულად ელვა), ატარებ-
 და შხოლოდ ჰამილკარი და შეერქვა პირადი ღირსებების გამო-
 მართალია, ჰამილკარის იდეების გამგრძელებლებს (რომთან ომის-
 მომხრეებს) ბარკიდებს უწოდებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ
 ბარკა გვარი იყო. ჰამილკარის შვილებს ბარკას გვარით არავინ იც-
 ნობს.

ეგვიპტური საკუთარი სახელები ბერძნულშია შეტანილი. ძი-
 რითადად ყურადღება გამახვილებულია მითოლოგიაზე (ისიდა, ოსი-

ჩისი, აპისი და სხვ.). არ ჩანს არც ერთი ისტორიული პიროვნების შახელი რამფსინიტეს გარდა, რომელიც ლექსიკონის მიხედვით მე-20 დინასტიის ფარაონია. XX დინასტიიდან ათი ფარაონის სახელია ცნობილი. ათიდან ერთს ერქვა სეტნახტი, დანარჩენ ცხრას კი რამზესი. საიდან გაჩნდა რამფსინიტე უცნობია. თუ ლექსიკონი რამზესის ნაცვლად რამფსინიტეს დამკვიდრებას ცდილობს, ეს იმავე ტრადიციის წინააღმდეგ გამოსვლაა, რომლის დამკველადაც წინა-სიტყვაობა გამოდის. აღნიშნული სახელის მატარებელი ფარაონები XIX დინასტიის დროსაც მართავდნენ ეგვიპტეს. სხვათა შორის მრავალრიცხვოვანი რამზესებიდან კველაზე დიდი რამზეს მეორე XIX დინასტიის ფარაონი იყო.

ევროპის ძველი ტომების ბელადთა სახელები (არმინიუსი — გერმანული ტომის ხერუსკების ბელადი, არიოეისტუსი — გერმანელთა ტომის სვევების მეფე, არვირაგუსი — ბრიტანიის მეფე და სხვ.) რომაულ საკუთარ სახელებშია შესული. იგივე პრინციპია გამოყენებული ნუმიდიის მეფეთა მიმართ (მასინისა, მიციფსა, იუგურთა და სხვ.). თუ მთლიანობის პრეტენზის ვაცხადებთ, მაშინ იძერის ტომთა ბელადებისთვისაც უნდა მიგვეჩინა ადგილი. ინდიბილისს, კულხას, ლუქსინიუსს და სხვ. არანაკლები რეზონანსი ჰქონდათ თავისი დროისათვის. რატომ ვერ მოხვდნენ ისინი ბერძნულ-რომაულ საკუთარ სახელებში?

ლექსიკონი კართავენის ახლებურ წაკითხვას გვთავაზობს. „კარქედონი — კართავენი, ქალაქი ჩრდილოეთ აფრიკაში“ (გვ. 54). კართავენი ბერძნულ სახელებშია შესული. ფინიკიური სახელებიდან ბარქას მსაგასად ესეც გამონაკლისს წარმოადგენს. ქალაქის სახელ-წოდება ლათინურის მეშვეობით გავრცელდა მსოფლიოში. ლექსიკონი რატომდაც ბერძნულს ანიჭებს უპირატესობას.

გავირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ლექსიკონში რომი არ წერია. სამაგიეროდ შესულია მისი მფარველი ღვთაების რომას სახელი. ასევე გაურკვეველია, რატომ არ მოხვდა რომაულ საკუთარ სახელებში რომულუსის ტყუპისცალი, რომის ერთ-ერთი დამაარსებელი რემუსი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი პიროვნების სახელი ლექსიკონში არ გვხვდება.

ქართული მასალა კარგადაა წარმოდგენილი, მაგრამ გვაქვს შე-
ნიშვნაც. ფარნავაზის ნაცვლად წერია ფარნაბაზე. ქართულ საის-
ტორიო მწერლობაში ფარნაბაზეს დაწერის ტრადიცია არსებობს?

მიზანდასახულობის მიუხედავად ლექსიკონი მყარ ფუნდამენტ-
ზე აგებულ ცნობარს არ წარმოადგენს. შეიძლება ბევრი არასასია-
მოვნო ფაქტი აღვნიშნეთ, მაგრამ ანტიკური სინამდვილისადმი სიყ-
ვარული გვაიძულებს თავი ძველი სიბრძნით დავიმშვიდოთ —
amicus Plato, sed magis amica veritas.

შენიშვნები რემდიკები

□ □ □

შენიშვნები რემდიკები —
ეპუსტის განვითარება

□
ზაალ მესენარი
□

1984 წელს გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დასტამბა ოთარ კასრაძის მონოგრაფია ლადო მესხიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სათაურით „ქვალი ნათელი კაცისა“. ამ წიგნის მე-60 გვერდზე ვძიოთხულობთ:

„როგორ წარიმართა ლ. მესხიშვილის სიკვდილის შემდეგ ანა ვასილის ასულისა (ლ. მესხიშვილის მეულლის — ზ. მ.) და პატარა ლადიკოს ცხოვრება, ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ 1939 წლიდან დედა-შვილი სტალინგრადში იმყოფებოდა, 1943

წელს კი გერმანელთა მიერ ქალაქის დაბომბვისას დაიღუპა“. (თუ „დაიღუპნენ?“ — ზ. მ.).

ახლა ვნახოთ რა წერია 254-ე გვერდზე:

„სამწუხაროდ მისი (ლ. მესხიშვილის შვილის ვლადიმერის — ზ. მ.) ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვი-ცით, ცნობილია მხოლოდ ის, რომ სამამულო ომის წლებში იგი დედამისითან ანა ვასილის ასულ ქონვალოვასთან ერთად ლენინ-გრადში ცხოვრობდა და ქალაქის ბლოკადის დროს ორივე და-იღუპა“.

რომელ ცნობას ვენდოთ?

203-ე გვერდზე ანა ვასილის ასული ქონვალოვა სულ სხვა ვარიოტ არის მოხსენიებული: „მოგვიანებით დასს შეუერთდა ანა ვასილის ასული კონსტანტინოვიჩი, რომელიც შემდეგ ლ. მესხიშვილმა ცოლად შეირთო“.

ბოლოსდაბოლოს, რა გვარი იყო ანა ვასილის ასული?

წიგნში არასწორად არის მოწოდებული თარიღებიც. მაგალი-თად, 248-ე გვირდზე ვკითხულობთ: „ლ. მესხიშვილის შთამომავალ-თაგან თეატრისადმი გაუნელებელი სიყვარული აკაგშირებდათ ნინო-სა და ვარიას. ისინი თბილისში დაიბადნენ, პირველი — 1896 წელს, მეორე კი — 1898 წელს... 1960 (?) წლიდან მამისეული ოჯახის საც-ხოვრებლად მოსკოვში გადასვლის შემდეგ სწავლა განაგრძეს სა-დოვაია სამოტიოჩნიაზე მდგბარე კალადიოვიჩის გიმნაზიაში...“

არასწორ ცნობას აწვდის ავტორი მკითხველს, როდესაც წიგ-ნის 246-ე გვერდზე აღნიშნავს, რომ ლადო მესხიშვილის უფროსი შჭირი ცნობილი ადვოკატი შალვა მესხიშვილი თითქოსდა 1920 წელს გარდაიცვალა. სინამდვილეში შალვა მესხიშვილი გარდაიც-ვალა 1960 წელს.

ეხება რა ქუთაისში ცხრაასხუთი წლის რევოლუციურ გამოს-ვლებს, ო. კასრაძე წერს, რომ 1905 წლის 20 იანვარს გამართულა ფართო მასშტაბის დემონსტრაცია, რომელშიც „შეიარაღებულ ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის ფაბ-რიკა-ქარხნების მუშები...“ (გვ. 138).

ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ 1913 წლამდე ქუთაისში არც-ერთი ფაბრიკა-ქარხანა არ იყო, თუ არ ჩავთვლით ლიმონათის და-

მამზადებელ ერთადერთ კუსტარულ საწარმოს, სადაც მხოლოდ ოცამდე კაცი იყო დასაქმებული.

35-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ი. ჭავჭავაძის წერილს „ორიოდე სიტყვა თავად ჩევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელშიც ენობრივი თვალსაზრისით გაქრიტიკებული იყო სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმნილი მარმონტელის „მეუღლაბნოენიც“, პასუხად მოჰყვა მამათა ბანაკის წარმომადგენლების: ბარბარე ჯორჯაძის, ექვთიმე წერეთლის, დავით ბერიშვილისა და გიორგი ბარათაშვილის სტატიები, ხოლო შემდეგ სარდიონის „უსტარი ანტიკრიტიკული“.“

ჯერ ერთი: ილია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანს „ენობრივი თვალსაზრისით“ კი არ იშუნებდა, არამედ იმის გამო, რომ მარმონტელი სენტიმენტალური სკოლის მწერალი იყო. ესე იგი, ილიას კრიტიკა მიმართული იყო არა თარგმანის ხარისხისადმი, არამედ თვით ამ ნაწარმოების თარგმნის ფაქტისადმი.

მეორეც: სარდიონ ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“ ექვთიმე წერეთლის სტატიის შემდეგ კი არ გამოქვეყნდა, არამედ მასზე თითქმის ერთი წლით ადრე.

მესამეც: ვინ არის დავით ბერიშვილი? „ცისკარში“ თანამშრომლობდა პოეტი დიმიტრი ბერიაშვილი (ბერიევი), რომელიც გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ „ორიოდე სიტყვაში“, მაგრამ ბერიევს პოლემიკაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს ყოველივე კარგად ცნობილი ფაქტებია.

რამდენიმე წლის წინ „თეატრალურ მოამბეში“ გამოქვეყნდა აკაკი ბაქრაძის რეცენზია ო. კასრაძის მონოგრაფიაზე „კორე მარჯანიშვილი“. რეცენზიის სათაური იყო „ამ წიგნს ნუ ენდობით!“ სამწუხაროდ, როგორც ამ შენიშვნებიდანაც ჩანს, დიდ ნდობას ო. კასრაძის არც ეს ახალი მონოგრაფია იშსახურებს.

ප්‍රතිච්චිත මානවත්වය

වෛදාචපිටිස තිබූහානය

පාර්තියිස යුරිලෝධා දා ම්‍යුශ්‍රලෝධා පාම්පාන්ගේධා ප්‍රෙම්චරුවයා. දැඩිවිරාත්පාරා. පරිපිකා.	31
ලිං දුෂ්චිරාදා, සුශ්‍රී දා නිර්දිග්‍රි	9
ඡැම්තා තුළාදේරියා. පෙශ්‍රියි ලැයිස්ගේධා... මේෂ්‍රියා... ගුදාමේෂ්‍රියා පාම්පාදේෂ්‍රියා... එගිනි	26
අප්පොන් පානායා. „මාරාලි මේදාරින්“	54
කිවේන සායිනස්ප්‍රිය දාර්භාණි	
සාංඛාරිය පෙශ්‍රියියාතාන පෙශ්‍රියිංඡී	67
ඡාචුලුවයි ජාරිතුළු ලැංත්වාත්පාරිස පිතොත්‍රියාතාන	
ඩේෂාන බාරදාවුවෙකියා. දැන්දා තොර්නාජුලියා දාඩ්‍රුන්ගා	85
ගිණරුගිය ඡාගාත්ත්‍රියාලි. „ඇල්ඩිනරා“	100
කුලාසියුරු මෙමකුදිලාවයා	
ඩානින බරුගුවාදා. „පාරුවුලි අඟුබියාලු“	105
පුවුතිකා	
ධාරියි දාරිනියා. ලැයිස් මුශ්‍රරානුලියා	125
තාම්රියියි සාක්තිත්වෙයි	
වෝත්ම්‍ර ඩිනියුවා. පාත්‍ර දා සිත්තියාලි.	137
කේලුත්ත්‍රෙනුවයා	
දායාත ගුරුගුණියා. ඉ. පුළුවිනිස „ත්‍රිකුෂේත්‍රියිස රුපුශ්‍රියා“	147
රුවුණුවා, මිත්‍රියිලාවය	
දරානි ජාවතාරා. ඩේර්ක්‍රුලි දා රැම්බාජුලි සාකුතාරා සාකුලේධා මුශ්‍රියාද	162
ශ්‍රීගිත්‍රෙනුවා, රුවුලියිවා	
දිං මිශ්‍රින්ගියිරා. එරා ක්‍රියාවුනුගිලුවා, ඩේශ්‍රියා — පාසුක්‍රිස්මගුඩ්ලියා	172

ფაზომცემლობის რედაქტორები —

ალექსანდრე გაბელია

ნოდარ გრიგალაშვილი

ფაზომშვები — რევაზ ჭუბაძეია

ქლა — სპარტაკ ცინცაძისა

КРИТИКА

Альманах Союза писателей Грузии

(на грузинском языке)

№ 1 (56)

1986

Издательство «Мерани»

ვადაეცა ასაწყობად 6.01.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.02.86. ნაბეჭდი
თაბაზი 10,23, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 7,69, ზომა $60 \times 84^{1}/_{16}$. ბეჭდვა
მაღალი.

შეკვ. № 14

უე 08810

ტირაჟი 5.000.

ფასი 60 კაპ.

საქართველოს ქა ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი
სტამბა, მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография изд-ва ЦК КП
Грузии, Тбилиси, Ленина, 14.



0644560 76188